

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

27 იანვარი 2012 №2(158)

ჟილიამ ფოლკნერის მინიატურული პროზა
ჭურტა მიულერის მოტმასნილი ტანგო
პოლიტიკოსთა მფარველი წმინდანი
ნანა კუცია ნათია მეგრელიშვილზე
საუბარი მიშელ ჟელზეუსთან
გალმა ნაპირიდან მოსულნი
ვანო ჩხიკვაძის ლექსები
გამოსვლები უეკრანოდ
თომას მანი გოეთეზე
რა არის პოეზია?



შინაარსი

განთიადიდან განთიადამდე	2	როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უკრაინოდ
მსხარას-ინტერვიუ	6	თამაზ ტყემალაძე „ვინაა, მამრამ ვერ შვიციანი“ (მომზადდა ნატო ვარადამ)
ელვარა და ლოგოვარი	7	რუსუდან ღვინეფაძე „ლოტი ვინმარში“: ავტორი და ნანარმოები (თომას მანის რომანი გოეთეზე)
აინსტოლა	10	ნინო ჩხიკვიშვილი ნუ მონატრებთ თავს მკითხველს (ლია წერილი თემურ ქორიძეს)
პროზა	11	გურამ ბათიაშვილი ბაღმა ნაპირიდან მოსულნი
პოეზია	16	ვანო ჩხიკვაძე მდინარეები და სხვა ლექსები
უსხოეთის ცხოვრებიდან	20	მიშელ უელბეკი გამომგონების ხელოვნება
წარსული მოგვლინათვის	22	მაია დიასამიძე თომას მორი — პოლიტიკოსთა მფარველი წმინდანი
თქმა მართლისა	26	იოსებ ჭუმბურიძე დიდი აწითქება არაფერ შუაშია?! (მარიამ გერსამიას „ელემენტარული ნაწილაკები ჟურნალისტიკაში“)
ფიქრი და განსჯა	28	მურმან ჯგუბურია რა არის პოეზია?..
რეპორაჟი	34	ეკა ბუჯიაშვილი პიტარ ვინეკის კვალდაკვალ... „ცოტაოდანი განდაგანათი“ (“კონსერვატიზმის ისტორიის განხილვა“)
ახალი წიგნები	38	ლელა ხაჩიძე „წინამძღვარი გზისა და მასწავლებელი კეთილი“ (გრეგორ ნოსელის „ქალწულებისათვის და საღმთოესა მოქალაქობისა“)
ახალი რომანი	40	ნანა კუცია „რაც უცვლელი რჩება“ (ნათია მეგრელიშვილი, „+5,0“)
კრიტიკა	47	ივანე ამირხანაშვილი ბედისწერა და მოვალეობა (ქეთევან შენგელიას ლექსები)
სილუები	48	თამარ ყალიჩავა „ვიღრე აქ ვდგავარ გოლო მლოცველად“ (ტარიელ ხარხელაური)
ჩემი პატარა ქალაქი	49	წმორის მონოლოგი
ფიქრები	50	გივი ალხაზიშვილი შთაბეჭდილებათა ნაკვალავი
ლიტერატურული ცხოვრება	54	ნინო დეკანოიძე ელვარა მოციქულები
პოეზიის მერიდიანები	55	ლინნეა კარლსონი „...მა ვუსმენ წვიმას“ და სხვა ლექსები
საუბიოდ, სალალოდ	56	გიზო ზარნაძე პაროდიები
ახალი თარგმანები	58	უილიამ ფოლკნერი ნიუ ორლეანის სკიჩებიდან
გამოხმარება	60	ცირა ყურაშვილი შხამიანი ფიქვილი (ჰერტა მიულერის ნოველა „დამპალი მსხლები“)
უსხოური ნოველა	61	ჰერტა მიულერი მოტმასნილი ტანგო
მოზიკა	63	უცხო მოყმა

ორკვირული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96_20_62

რეკლამა – (995 93) 65_93_68

გავრცელება – (995 77) 11_24_30

ფაქსი: (995 322) 96_20_62

E-mail: info@mtserloba.ge



მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩხილაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: რუსთაველის თეატრი ახალწლობისას, ლადო ჩაჩუას ფოტოეტიუდი
ლინნეა კარლსონი, მათიას კარლსონის ფოტოეტიუდი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 10 თებერვალს

როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უეკრანოდ

როცა ნახევარი სიტყვაც კმარა

თითქოს წინასწარ შევთანხმებულიყავით უჩა შერაზა-დიშვილი და მე, ეს ორი მასალა გვერდი-გვერდ რომ მოგვეთავსებინა „ლიტერატურული გაზეთის“ ერთ ნომერში, სახელდობრ: 2011 წლის 2 სექტემბერს.

ჩემი ესეი „ეს უცნაური ედგარ პო („ყორანის“ 21 ქართული ვერსია)“

და უჩას მიერ თარგმნილი ედგარ ლოურენს დოქტოროუს ინტერვიუ „მწერლობა კეთილშობილური პროფესიაა...“

მე გავიხსენებდი, რომ სამი დიდებული ფრანგი მწერლის (მარლ ბოდლერი, სტეფან მალარმე და პოლ ვალერი) თანადგომისა და ფარზე აზიდვის გარეშე ედგარ პო ამერიკელ მკითხველთა ვინრო წრეს ვერაფრისდიდებით ვერ გასცდებოდა და ლიტერატურის ისტორიაშიც სადღაც მეორე და მესამეხარისხოვან ავტორთა შორის უფრო იტრიალებდა; და რომ არც სხვა ამერიკელები და არც თვით ტომას სტერნზ ელიოტი დამაკნინებელ ეპითეტებს არ დაიშურებდნენ მის მიმართ და მიიჩნევდნენ სულაც ლიტერატურისაგან შორს მდგომად, იმ მანანწალად, შემთხვევით რომ ამოეყო თავი მისთვის სრულიად უცნობ გარემოში და ისე გარდაცვლილიყო, ვერ გაეგო, სად მოხვედრილიყო.

ედგარ ლოურენს დოქტოროუ კი მკითხველს რომ ამცნობდა: ჩემთვის ედგარ ალან პოს პატივისცემით დაურქმევიათ ეს სახელი, მამაჩემს მართლა უყვარდა ედგარ პოს წიგნებიო, — იქვე მოადევნებდა: საერთოდაც მას ბევრი ცუდი მწერალი მოსწონდაო, — და მისდგებოდა და რას მისდგებოდა „ყორანის“ შემოქმედს:

— თუმცა ჩვენი ცუდი მწერლებიდან პო ყველაზე დიდია, რაც ცოტათი მამშვიდებს. მამა ადრე გარდაიცვალა, დედამ კი ოთხმოცდაათ წლამდე იცოცხლა. ერთხელაც უკვე ხანდაზმულ დედას ჩემ სახელთან დაკავშირებით ვკითხე: „იციოდით შენ და მამამ, რომ მარქმევდით ნარკომანის, ალკოჰოლიკისა და ნეკროფილიისადმი აშკარად მიდრეკილი პარანოიკის სახელს?“ „ედგარ, ეს სასაცილო არ არის“, — მომიგო დედამ.

ერთიმეორეს აგრძელებს, არა, ეს ორი მასალა?

და საგანგებოდ ამიტომაც შეიძლება მომზადდეს ამ ყაიდის კრიტიკულ-ესთეტიკური თხზულებანი — ერთმანეთის შემავსებლად.

დაბეჭდვით კი შეგნებულად მოთავსდა გვერდი-გვერდ ირაკლი ჯავახაძის მიერ, მაგრამ ხომ შეიძლება ჩვენვე მოგველაპარაკა წინასწარვე?!

თუმც... რა შეთანხმება გვეჭირდებოდა — ალლოთი, რა, ვერ ვიგუმანებდით, თუ რა მასალები შეენწყობოდა ერთიმეორეს?..

ჩვენ ხომ ერთ სიტყვაზე გვესმოდა და გვესმის ერთმანეთის... ერთი სიტყვა ბევრიც მომივიდა — ნახევარ სიტყვაზე... თქმაც არ გვეჭირდებოდა, ყოველთვის მზად ვიყავით გვერდი-გვერდ დგომისათვის — ადგილი არ დაგვიტოვებია ჩვენს მინა-წყალზე, ერთად არ მოგვენახულებინა, მიგვეგნო, აღმოგვეჩინა... გვივლია დღისით, გვივლია ღამით, გვივლია დარშიც და გვივლია ავდარშიც, გვივლია გზებით, გზებს რომ ვერ დაარქმევდი, თოვლშიც ჩავფლულვართ, ტალახიც გვიტოპია და კოკისპირულ ნვიმაშიც რამდენჯერ მოვყოლილვართ... ერთად ვარისხებით ქაშუეთის ზარებს, ერთად ვაფუძნებდით ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებას და ლიტერატურულ საღამოს საღამოზე ვმართავდით იმ რწმენით ალესილნი, რომ ყველგან, ქვეყნის ყველა კუთხეში მოგვენახა მწერლობის მოყვარული ადამიანები და მიგვეწვდინა მათთვის წიგნი და სიტყვა... ერთად ალვ-

მართავდით ჯვარსაც ათრევის ხეობაში და ერთადვე ვიხდიდით დიდებულ მოღვაწეთა პანაშვიდებსაც...

და კიდევ იყო ჩვენთან ერთად განუყრელად ივანე ამირხანაშვილიც, ჩვენს კალმასობათა ისეთ დოკუმენტურ მატთანეს რომ შექმნიდა თავისი „თეთრი ჯვრის ხეობით“, იოანე ბატონიშვილის სახელს ძალდაუტანებლად ნამოატივტივებდა მკითხველის მეხსიერებაში.

და ამ ყოველივეს შემდეგ დიდი ამბავი, თუ ამჯერადაც სიტყვის უთქმელად გაეუგეთ ერთმანეთს.

მეც და ვანოსაც „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილს გვაგონებდა უჩა თავისი სილალით, უშურველობით, თავდაუზოგაობით... და არ გაგვიკვირდებოდა, იმის კვალობაზე რომ გაემეორებინა: ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერადო.

ძალზე, ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც ჩნდებიან ქართულ სინამდვილეში პიროვნებანი, რომელნიც ავთანდილს გახსენებენ... და ამ მცირერიცხოვან გაღერეაში თვალსაჩინოც გამოსჩანს უჩა შერაზადშვილის პორტრეტიც.

...თუნდაც ვინმემ სენტიმენტალიზმში ჩამომართვას.



რა, ვითომ დასაწუნებელია სენტიმენტალიზმი ამ ქვადქცეულ რეალობაში?!

* * *

დედა მიუხვდებოდა ედგარ ლოურენს დოქტოროუს, გულით რომ არა ძრახავდა ედგარ პოს და მხოლოდ მშობლის გასალიზიანებლად იმეორებდა პოს ვეებერთელა ოპოზიციის შეხედულებებს. ვითომ სიცოცხლეში აკლდა მკილავნი, სიკვდილის შემდგომაც რომ არ გამრავლებოდნენ... მიუხვდებოდა, მაგრამ მაინც უსაყვედურებდა, არ არის ეს სახელი შენი ასაგდებო.

ტომას ელიოტს თუ ეპატიება?

თუმც ამ შეკითხვის პასუხი ანტიკურ ხანას უკვე მოეპოვებოდა: რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარსო... დოქტოროუ რომ ხარ, ცოტა... ცოტა მაინც თავდაჭერილად!..

ბიოგრაფიის ბილიკაპით — დიდი სამყაროსაკენ

ერთი ასეთი თხზულება ქართველ მწერალზეც რომ მოგვცა!..

მალტე შუხარტის, გერმანელი ლიტერატურისა და ხელოვნების მკვლევარის, ნაშრომი რომ არის: „გოეთეს ბიოგრაფიის მოტივები“.

რაც გოეთეზე ნაშრომები და მონოგრაფიები დახვავებულა.

ერთ-ერთი აკი ქართველ მწერალსაც შეუქმნია: კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფიული ქრონიკა „გოეთეს ცხოვრების რომანი“.

განა შუხარტის წიგნი რითი განსხვავდება ამ უზღვავე ქმნილებათაგან?

რითი და:

გათვალისწინებულია მე-9 კლასის მოსწავლეებისათვის და, შესაბამისად, აგებულია მათი ასაკობრივ-ემოციური განწყობილებების კვალობაზე.

გერმანელი სწავლულის მიზანია, თავს კი არ მოახვიოს მოზარდებს რაიმე, არამედ ისეთი კუთხით წარმოუსახოს მათ გოეთეს პიროვნება, რომ სიყვარულითა და ცნობისწადილით განმსჭვალოს და ძალდაუტანებლად აიყოლიოს, რათა ისინი უკეთ გაერკვნენ ამ დიდებული მწერლის ცხოვრებაშიც და მონუმენტურ შემოქმედებაშიც.

ასეთ დროს მკვლევარის ერუდიცია უკმარია, თუკი თანდაყოლილი ალლო მარჯვედ არ აარჩევენებს ისეთ ბილიკებს ათასგვარი მღელვარებითა და დრამატიზმით აღსავსე ცხოვრებაში, რომ მის არსში ჩაგახედოს და, ნაცვლად მიუწვდომელი მწვერვალისა, უპირველესად ადამიანი დაგანახოს, იმისად მიუხედავად, რომ ეს ადამიანი უცნაურად იბადება და შესაძლოა მითოსური გმირის შობის ასოციაციაც გამოიწვიოს. გადარჩებოდა თუ არა ახალშობილი, დაბეჯითებით ვერავინ იტყოდა, სამ დღეს გრძელდებოდა დაბადების პროცესი და სუნთქვის უკმარისობისა და სისხლის მიმოქცევის დარღვევის გამო მთლად გაღურჯებულიყო. — მთლად შავიო, — დედამისი სულაც ასე იხსენებდა.

წიგნი არ იწყება გოეთეს დაბადებით და საამისოდ მკვლევარს საკმაოდ საფუძვლიანი მოსაზრება აქვს: ნებისმიერი ბიოგრაფიის წარდგენისას მოსწავლეთა წინაშე თხრობა უნდა დავიწყოთ ახალგაზრდული ასაკით, ამჯერად კი ამოვიდეთ ოცდაათი წლის გოეთეს დღიურის ერთი დღიდან, რომელსაც უმაღ შეუძლია მეცხრეკლასელთა ცნობისწადილის გამოწვევაო.

დღიურის იმ ადგილის უკეთ გასაგებად მოსწავლეებს უნდა შეეტყვოთ, რომ გოეთემ სულ რაღაც 24 წლისამ შექმნა რომანი „ახალგაზრდა ვერტერის ვენბანი“, რომელმაც იგი ერთ ლამეში ცნობილ მწერლად აქცია. რომანის გამოცემა სკანდალურ მოვლენად გამოჩნდებოდა საზოგადოებისათვის და ხალხში ვერტერის ციებ-ცხელება დატრიალდებოდა, თვითმკვლელობათა ნაკადს (როგორი ამბავია!) რომ გამოიწვევდა.

უზომო პოპულარობა მოუტანდა ომისა და გზათამშენებლობის კომისიის ხელმძღვანელის სახელს, დღევანდელი ტერმინოლოგიით — ტრანსპორტისა და თავდაცვის მინისტრისას. დღისით მინისტრი უნდა ყოფილიყო, საღამოს კი პოეტობის საშუალება ჰქონოდა.

და აქ ჩნდება მნიშვნელოვანი კითხვები მოზარდებში პიროვნების მიმართ ინტერესის გამოსაღვიძებლად:

— არის თუ არა ასეთი რამ შესაძლებელი ანდა როგორ? ამგვარი საწინააღმდეგო მოქმედება ერთსა და იმავე დღეს? რომელი დიდი პიროვნება დგას ამ პოეტისა და თავდაცვის მინისტრის მიღმა?

მალტე შუხარტი დარწმუნებულია, რომ ამით იხსნება კარი გოეთეს ბიოგრაფიაში შესაღწევად და ახლა უკვე შეიძლება საუბარი მის დაბადებაზეც, მშობლებზეც, ლისაბონის მინისტრით გამოწვეულ რელიგიურ მოკვებზეც, ბუნების საკურთხეველის აგებაზეც, 13 წლის ყმანვილის ლამის ციხეში მოხვედრაზეც, ლაიპციგში გამოწვეულ სისხლდენაზეც, სიყვარულში განცდილი მარცხი რომ დამართებდა, თვითაღზრდის საფეხურებზეც სტრასბურგში, ჰერდერთან შეხვედრასა და შემოქმედებითად ყველაზე ნაყოფიერ თვეებზეც („ჰერდერი მას ყველგან ფართოდ უღებს კარს. კარს უძველეს ხალხთა პოეზიისკენ, შექსპირისკენ, პინდარისკენ, მსოფლიო ისტორიისკენ. ამავე დროს გოეთემ ბევრი ტანჯვაც გამოიარა. ჰერდერი არ ზოგავდა მას თავისი საყვედურებითა და დაცინვით“), სოფლის სასულიერო პირის ქალიშვილის ფრიდერიკე ბრიონის გაცნობაზეც, ადვოკატობასა და დრამის „გიოტც ფონ ბერლიჰინგენი“ შექმნაზეც, 50-მდე სასცენო ჯგუფი რომ გაეცნობოდა და ახალგაზრდობა აღფრთოვანებით შეეგებებოდა („იგი სულ გზამია. სიამოვნებით დახეტილობს და ცხოვრობს არაბიურ-გერული ცხოვრების წესით. მე-9 კლასელებს ამის გამო ის კიდევ უფრო ესიმპათიურებათ“), ვაიმარში მმართველობაზეც, ქალბატონ ფონ შტანინის გაცნობაზეც, იტალიაში მოგზაურობაზეც, ცხოვრებისეულ კრიზისსა და გაქცევაზეც...

ყველა ეს ეპიზოდი ჩანახატების ქარგაშია მოქცეული და მინიატურების ციკლის შთაბეჭდილებას ტოვებს, მათგან განსხვავებით კი „ერთი მეგობრობის ისტორია: გოეთე და შილერი“ დოკუმენტურ მოთხრობად წარმოგვიდგება და საკმაოდ დეტალიზებულიცაა. შუხარტი ამ გარემოებას იმით ხსნის, რომ: ამ მეგობრობის ისტორია თვითონვეა მკვეთრად დანაწევრებული და მოეპოვება ამაღლელებელი, ტკივილიანი დრამის ნიშნები.

ამ დრამის პირველი საფეხური აღ-
მოჩნდებოდა შილერის მოუთმენელი
მოლოდინი გოეთესთან შესახვედრად,
მეორე საფეხური კი — შეხვედრა და...
შილერის დიდი იმედგაცრუება — გოე-
თე უარს განაცხადებდა პირად ურთი-
ერთობაზე, რაც შილერის გაბრაზებას
გამოიწვევდა, და თუმცა „ფაუსტის“ შე-
მოქმედი უშუამდგომლებდა მის პროფე-
სურას იენის უნივერსიტეტში, შილერს
ისეთი განცდა გაუჩნდებოდა: დიდი პა-
ტივით გამომაძევა ვაიმარიდანო. მაგ-
რამ ბოლოსდაბოლოს მათ „შემთხვე-
ვით“ შეხვედრას 1794 წლის ივლისის მი-
წურულს ბუნების მკვლევართა საზოგა-
დოების ერთ-ერთი შეკრების დასრულე-
ბისას, უნდა მოჰყოლოდა რალაც სასი-
კეთო ნიშნები, მიმონერაც გაბმულიყო
მათ შორის და შილერის გამოწვეული
ხელი გოეთეს ახლა უკვე გულითადად ჩამოერთმია.



მკვლევარი პედაგოგებს ურჩევს, რომ ამ ორი პიროვ-
ნების მეგობრობა მოსწავლეებს რაც შეიძლება ცოცხლად
წარმოუდგინონ, ხოლო ამ მეგობრობის ღირებულება ლი-
ტერატურის ისტორიის თვალსაზრისით მხოლოდ მე-12
კლასში მიაწოდონ.

— რა შეიძლება განიცადონ მოსწავლეებმა მათ ურთი-
ერთობაში ამდენი ხელისშემშლელი ფაქტორის შემდეგ სა-
ბოლოოდ მაინც შემდგარ მეგობრობაზე? ფაქტობრივად ის,
რომ ასეთი სრულიად საპირისპირო ხასიათის პიროვნებანი
მეგობრები ხდებიან საკუთარი განსხვავებულობის დათმო-
ბის გარეშე, სურთ ერთმანეთი ნაყოფიერად შეავსონ და სა-
კუთარ ნაყოფიერებაში ამაღლდნენ, ამაში არის რალაც, რაც
მორალურად გამაძლიერებლად მოქმედებს მოზარდის სამ-
შვინველზე, რომელიც, როგორც ვიცით, სამაგალითო სახე-
ებს ეძებს. შემდგომი მნიშვნელოვანი ზემოქმედება: ადამი-
ანთა და სამყაროს მიმართ ინტერესი ზოგადად, რაც ამ მე-
გობრობის დრამაში ჩაღრმავებები უფრო გაძლიერდება.

შუხარტი იმასაც დასძენს, რომ: მოზარდმა შესაძლოა
განიცადოს ბედისწერული მიმოხილვა ორივე პიროვნების
ბიოგრაფიაში, რაც გოეთემ თვითონაც შეიგრძნო და გა-
მოხატა კიდევ:

— ასე რომ, შილერთან ჩემს ნაცნობობაში ნამდვილად
რალაც დემონური ურია. თორემ ჩვენ შეგვეძლო უფრო ადრე
ან უფრო გვიან შეხვედროდით ერთმანეთს, მაგრამ ის, რომ
ეს სწორედ იმ პერიოდში მოხდა, როცა მე იტალიაში მოგზა-
ურობა უკვე დასრულებული მქონდა და შილერიც თავისი
ფილოსოფიური განსჯისაგან უკვე იღლებოდა, მაშინ იყო ეს
მნიშვნელოვანი და ორივესთვის დიდი წარმატება.

ამ სტრიქონებს კვლავ მკვლევარის შეგონება მოს-
დევს, კიდევ უფრო დაბეჯითებული, რადგანაც ამ ორი პი-
როვნების მეგობრობა სანიშნოდ ესახება, სიმბოლურ
სიმაღლეზე აზიდულად და სურს ეს განცდა სამუდამოდ
ჩაუნერგოს ახალგაზრდებს, როგორც თავისებური გზის
მაჩვენებელი თვითულისათვის ცხოვრების სტილის არ-
ჩევისას, და ეგებ გადამწყვეტიც, ყოველ შემთხვევაში
ფსიქოლოგიურად დამმუხტავი:

— მოზარდი გახსნილია ბედისწერუ-
ლი ამბებისთვის, რადგან ასტრალური
სხეულის დაბადების წყალობით ის ამ
ასაკში ყოველივეს პირადად განიცდის:
და მაშინაც კი, თუ უფრო მეტად არაც-
ნობიერად, მაგრამ გრძნობს, რომ პირ-
ველ რიგში ასევე პიროვნული პასუხისმ-
გებლობაც იწყება და მასთან ერთად სა-
კუთარი ბედისწერაც.

მალტე შუხარტი იმონებს კიდევ და
ისედაც თვალნათლივია მის ნაშრომზე
რუდოლფ შტაინერის მოძღვრების ზე-
გავლენა, თუმცა იგი მაინც არ ემწყვეტა
ერთი პედაგოგიური მეთოდის ჩარჩო-
ებში და ღრმა ერუდიციისა და ფსიქოლო-
გიურ დაკვირვებათა წყალობით უსა-
თუოდ გადაუშლის თვალწინ მოზარდს
სტერეოტიპთაგან განრიდებული აზ-
როვნების სიდიადესა და მშვენიერებას.

ხოლო თუ რა ნაყოფიერად აისახებოდა გოეთესა და
შილერის ათწლიანი მეგობრობა მათ პოეტურ შემოქმედე-
ბაზე, ამას პედაგოგები უკვე მე-12 კლასელებს შეაცნობი-
ნებდნენ, როგორც უკვე ყოველმხრივ მზადყოფთ საამი-
სოდ.

...ჩაამთავრებთ წიგნს და... შეუძლებელია თქვენც ჩემ-
სავით არ დაგცდეთ ნატვრა: ახ, ამისთანა თხზულებანი
ჩვენს მწერლებსა და მოღვაწეებზეო!..

თვითულის ბიოგრაფიის მოტივები შეიგრძევა ამ თვა-
ლსაზრისით: ყმანვილებმა სულიერი სიახლოვე რომ იგრ-
ძნონ მათთან, უფროს მეგობრებად დაიგულონ და ისე შე-
ეთვისონ, თვითონვე მოინადინონ მათ ცხოვრებასა და შე-
მოქმედებით მემკვიდრეობაში უფრო ღრმად გარკვევა.

დავიჯერო, მალტე შუხარტის დარი მკვლევარები
ჩვენს გარშემო არ არსებობენ?

აგერ ზოგადი მონახაზი, რომელიც ახალ-ახალი სი-
ცოცხლით უნდა აღივსოს და ამით გაიტაცოს ჩვენი ახალ-
გაზრდები.

ვინ იცის, ადრე თუ გვიან ამ ყაიდის წიგნთა რა წყება
დაგვიღაგდეს.

„გოეთეს ბიოგრაფიის მოტივები“ არ არის დამოუკი-
დებელი ნაშრომი და წარმოადგენს ნაწილს გერმანელი
სწავლულის წიგნისა „სიცილი და ტირილი სამშვინველის
აღმზრდელები (იუმორი და ტრაგიზმი ხელოვნებასა და
ლიტერატურაში)“, აგერ ახლახან, 2005 წელს რომ გამო-
ცემულა მის სამშობლოში.

სახელწოდება ძალდაუტანებლად მოგანდომებს ამ
წიგნის გაცნობას, მითუმეტეს, მის ლიტერატურულ-ფსი-
ქოლოგიურ ღირებულებაზე მკაფიო შეხედულებას გვიქმ-
ნის ეს ნაწილი, რომელიც ცალკე გამოარჩია რუსუდან ბე-
ჟაშვილმა და გამომცემლობა „ანამოს“ ეგიდით ხელმი-
სანვდომი გახადა ქართველი მკითხველისთვისაც, თან,
ეტყობა, იმასაც ვარაუდობდა, ისე როგორ იქნება, ამ
თხზულებამ ჩვენი ლიტერატორებიც არ აიყოლიოს
მსგავსი წიგნების შესაქმნელად.

კარგი იქნება, თუ თვითონ „გოეთეს ბიოგრაფიის მოტივებს“ არ დაჯერდება და იმ ვრცელი თხზულების ქართულ ვერსიასაც მოამზადებს.

ნურც ეს დეტალი გამოგვრჩება.

მართალია მალტე შუხარტი „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანს“ მე-11 კლასის მოსწავლეთათვის მიიჩნევს საკითხავად და არა მე-9 კლასელთათვის, მაგრამ მთარგმნელი ამ გამოცემას ყმანვილი გოეთეს პიროვნების უკეთ წარმოსაჩენად დაურთავდა თომას მანის ესეის „გოეთეს ვერტერი“, რომელიც მრავალმხრივაა მნიშვნელოვანი და ძალაუნებურად მოგანდომებს გაცნობას XX საუკუნის ამ დიდებული მწერლის რომანისა „ლოტე ვაიმარში“ (ხანშიშესული გოეთეს შეხვედრას თავისი სიჭაბუკის ასერიგად მძაფრ სიყვარულთან!) რომელშიც გოეთეს გენია ასე შთამბეჭდავად, ასე ხელშესახებდადა გამოხატული.

სხვათა შორის, თომას მანის ამ ესეის ფინალური სტრიქონი მოწმობს, რომ იგი ელოდებოდა, ამ თემას რომელიმე მწერალი უთუოდ მოჰკიდებს ხელსო... ელოდებოდა... ელოდებოდა...

მეც ველოდები, რომ „გოეთეს ბიოგრაფიის მოტივების“ შთაგონებით დაინერება ჩვენი საყვარელი ქართველი მწერლების ბიოგრაფიათა მოტივებიც... ველოდები...

ვაჟაეიწი

— ვაჟაეიწი, — ერთხელ, მეორედ, მესამედ შეეხუმრებოდა რეზო ჭეიშვილი ელგუჯა თავბერიძეს და... სინანულსაც მოაყოლებდა: ნეტა თავის დროზე მომფიქრებოდა და ჩემი პერსონაჟისათვის ვაჟა ზაზაეიწი კი არა, ზაზა ვაჟაეიწი დამერქმია, ასე უკეთესად გაისმის, უფრო ეფექტურად, ეს „ვაჟაეიწი“ ძალიან კარგი მხატვრული დეტალიაო.

„ცისფერი მთების“ გმირს გულისხმობს, მოგეხსენებათ, ისეთ გაპოპულარებულს ელდარ შენგელიას კინოფილმისა და თემო ჩირგაძის მსახიობური ხელოვნების

წყალობით, რომ ახალ გამოცემაში ჩასწორებას არავითარი აზრი აღარ აქვს.

— ვაჟაეიწი, — უმეორებს ხოლმე ელგუჯას.

შესაძლოა მხატვრული თვალსაზრისით მართლაც ასე უკეთ გაისმოდეს, მაგრამ ეგებ სწორედ ელგუჯას პატივისცემით დაეთანაღრა გულს: ნეტა არ მეჩქარაო.

ეს პატივისცემა ასე შეფარულად გამჟღავნებოდა მოთხრობაშიც, თორემ რეზო ჭეიშვილი სხვა დროს ხომ არა და არ დაინანებდა საქებარ სიტყვებს იმ პიროვნების მიმართ, ერთ საუკეთესო კრიტიკოსად და მკვლევარად რომ ეგულეება ლიტერატურაში ჩახედულ ყველა ადამიანს და არც „მეოთხე სიმფონიის“ შემოქმედს ეეჭვება, რომ თუ ვინმეა გარკვეული ჩვენს მწერლობაშიც და უშუალოდ მისი გროტესკული სამყაროს თავისებურებებშიც, ერთი უპირველესთაგანია ელგუჯა თავბერიძე.

აქ ქუთაისური კოლორიტი ნაკლებ მნიშვნელოვანიცაა.

პირნმინდად მხატვრული ღირსებანია მთავარი, ელგუჯას „წვრილმანებიც“ რომ არ გამოჩება და, რა რანგის მწერალიც უნდა იყო, დარწმუნებული ხარ, რომ თუ ვინმე გაგიგებს და ჯეროვნადაც დააფასებს შენს ძველსა თუ ახალ თხზულებას, მათ შორის ეს კაციც, ვისი ზეგავლენაც

— კრიტიკულ-ესთეტიკური თუ საგამომცემლო-რედაქტორული და ორგანიზატორული — სულ უფრო თვალნათლივ იკვეთება ჩვენს სალიტერატურო პროცესზე.

ისე ქუთაისურ კოლორიტსაც მთლად ნუ გამოვრიცხავთ — ზოგადქართულისა და ზოგადკაცობრიულის ფონზე, ელგუჯაც ღრმად რომ წვდება მის თვითეულ ნიუანსს და თავის მხრივაც ქმნის ამ კოლორიტის ისეთ დოკუმენტურ პანორამას, შალვა დადიანის შემდეგ რომ აღარ ღირსება ამ ქალაქს.

მეგზური გნებავთ?

ელგუჯაზე უკეთესს ბევრს ვერ იპოვნით, თუკი საერთოდ ვინმეს მოძებნით.

საგულისხმოა, რომ შალვა დადიანის „გვირგვინიანების ოჯახი“ ერთ-ერთი გამკვლევია ელგუჯასათვის ისტორიული ფონის აღსადგენადაც და იმ დროისაგან შობილ ცალკეულ გარემოებათა გასათვალისწინებლადაც.

ეჰ, ნეტა ზაზა ვაჟაეიწი დამერქმიაო, — ელგუჯას დანახვისას ყოველთვის „ცისფერი მთები“ მოტივტივებს რეზო ჭეიშვილის ცნობიერებაში და უსაზღვრო ნდობას მისადმი ამ სიტყვაში ატეხს: ვაჟაეიწი!..



მეგობრული შარყები კარლო ფაჩულიასი

თამაზ ტყემალაძე

„ვნახე, მამრამ ვერ შევიცანი“



— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— დარბეული სამშობლო... არსაიდან მშველელი.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ჩემს ახალგაზრდობაში, იმავე მინა-წყალზე.

— რა არის უმალესი ბედნიერება?

— არასდროს განმიცდია! ხან რა უშლიდა ხელს, ხან რა...

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ავთანდილი, ლუარსაბი, ჯოყოლა, ობოლი კვირია, კირილე მიმინაშვილი...

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— აშოტ კურაპალატი, დავითი, თამარი, ერეკლე II.

— თქვენ საყვარელი მხატვარი?

— იმპრესიონისტები, ფიროსმანი, და აპრილის თვე.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ამ წამს მოცარტის რეკვიემის მოსმენა მინდა... საერ-

თოდ კი ბეთჰოვენი.

— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— სიქველეს, სილამაზის აღქმის, შენების უნარს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ერთგულებას, მოთმენას, ქალურობას... ეროვნულობას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის ყველაზე მეტად მიმზიდველი?

— შემწყნარებლობა, ლუკმის გაზიარება.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა.

— კითხვა. ხატვა. მუსიკის მოსმენა. მეგობრების სიახ-

ლოვე, ბავშვებთან საუბარი...

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ალბათ ავთანდილი... ყველაფერთან ერთად დიდებუ-

ლადაც რომ იმღეროს.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— სიკეთეს, ნიჭიერებას, მიმტევებლობას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— დროის ფუჭად კარგვა, ზედმეტი აზარტულობა, უყა-

ირათობა, დაუდევრობა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე...

— ეს მირაჟია, როგორც პოეტი ამბობს... უფრო ალბათ

მარადი სიცოცხლეა!

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურე-

ბა?

— უცხოეთში სიკვდილი... ატირებული ბავშვების ხილ-

ვა... წარღვნის მეორე დღე!

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— აყვავებული სამშობლოს სულ ახალგაზრდა და შეყ-

ვარებული შვილი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ღვინის ფერი, ის-
რიმის ფერი... მე უფრო
ფერთა შეხამება მიყ-
ვარს... ბრონეულისა...
ია, ენძელა...

— თქვენი საყვარე-
ლი ფრინველი?

— ეზოს მამალი.

— თქვენი საყვარე-
ლი პოეტი?

— რუსთაველი, ბა-
რათაშვილი, პუშკინი,
ცვეტაევა, ბო-ძიუ-ი.

— თქვენი საყვარე-
ლი მწერალი?

— მერჩულე, ილია
ჭავჭავაძე, შექსპირი,
მარკესი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— სოფიო ლეონიძე, ალაზა, პატრიცია ჰოლმანი, სიძვის

დიაცი.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ჩვენი პატრიარქი ილია II.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში.

— თამარ მეფე, მარიამ დედოფალი (ციციშვილი).

— საყვარელი სახელი?

— ეთერი, ივლითი, მარიამი, გიგა, დავითი, გიორგი, ილია.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— უნიდაგო ამბიციებს, პრავმატიზმს, უთავმოყვარე-

ობას, მოღუწურეობას...

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი
ზიზი დაიმსახურა.

— ასეთი უამრავია... ტოტლებენი, პავლე ციციშვილი,

ლენინი, პუტინი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-

ნაკლები აღტაცებისა?

— ქართულთა ყველა მოგებული ომი: დიდგორი, შამ-

ქორი, ასპინძის.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით

უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— რუსის-ურბნისის საეკლესიო კრება... ვახტანგ VI-ის

რეფორმები.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მინდიას ნიჭი...

— როგორი გინდოდათ მომკვდარიყავით?

— ვალმოხდილი ქვეყნის, ადამიანების წინაშე... „მინაც

ტკბილია მშობლური, გულს რომ გეყრება ფხვიერა“. და

ესეც... „მსურდა შენის ხელებით, დამხუჭვოდა თვალები“.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— არასახარბიელო...

— თქვენი დევიზი?

— არა „მე“ და არა „შენ“ — არამედ „ჩვენ“!

— თუკი ოდესმე შეხვდებით ღმერთს, რას ისურვებ-

დით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ამის წარმოდგენა არ შემძლია! მჯერა, რომ ბევრ-

ჯერ ვნახე იგი, მაგრამ ვერ შევიცანი... ალბათ, თუ მეტყვის:

„ნუ გეშინია!“

რუსუდან ღვინეფაძე

„ლოტე ვაიმარში“: ავტორი და ნაწარმოები

ცნობილია, რომ ნიურნბერგის პროცესზე ერთ-ერთმა ბრიტანელმა მოსამართლემ მოიშველია ციტატა — გოეთე გერმანელების შესახებ:

„მათ რომ სიცხადე სძულთ, — ეს ცუდია; სიმართლის ხიბლი რომ არ ესმით, — დასანანი; ყოველივე ბურუსითა და ბანგით მოცული და ყოველგვარი ზღვარგადასული უხამსობა რომ მათთვის ასე ძვირფასია, — შემზარავია; ასე ბრმად რომ მიჰყვებიან ყოველ ალტყინებულ თაღლითს, რომელიც მათ ქვენა გრძნობებს მოუხმობს, აღრმავებს მათ მანკიერებებს და ასწავლის, ესმოდეთ ნაციონალიზმი როგორც იზოლირება და კბილების ღრჭენა; თავი რომ ძლიერად და სხვებზე აღმატებულად წარმოუდგენიათ, თუმც მთელი ღირსება ბოლომდე დაუკარგავთ, და ღვარძლით უცქერიან მათ, ვინც უცხოელთათვის გერმანიის პატივისა და ღირსების განსახიერებაა, — ეს ამაზრზენია. [...] ჰგონიათ, ჩვენ ვართ გერმანიაო. მგრამ გერმანია — მე ვარ. და თუ ის დაიღუპება, ჩემში გააგრძელებს სიცოცხლეს“.

ფხიზელმა ინგლისურმა პრესამ მაშინვე განგაში ატეხა, რომ ეს იყო არა გოეთეს სიტყვები, არამედ თომას მანისა რომანიდან ლოტე ვაიმარში. ამ ამბავთან დაკავშირებით თომას მანი ვაშინგტონში საელჩოში გამოუძახებიათ და უთხოვიათ, აეხსნა საქმის ვითარება.

მე ვუპასუხე, — წერს თომას მანი 1946 წლის 4 ნოემბრით დათარიღებულ წერილში თავის უმცროს ძმას ვიქტორ მანს, — თავს დავედებ, რომ გოეთე ნამდვილად ისევე იფიქრებდა და იმავს იტყოდა, როგორც ის ჩემს რომანში ფიქრობს და ამბობს- მეთქი. და იქვე: კაცმა რომ თქვას, არც ისე შეუძლებლად მიმაჩნია, რომ გოეთეს ფიქრებმა, როცა ეს გერმანელებს ეხება, მოვლენებს გაუსწროს და წინასწარ განჭვრიტოს მომავალი.

აქ ლაპარაკია მონაკვეთზე რომანის მე-7 თავიდან, სადაც გოეთე, მისი პირით კი თომას მანი, თავის აზრს გამოთქვამს გერმანელებზე. თომას მანმა იმდენად მიაღწია გოეთეს იმიტაციას როგორც აზრობრივი, ისე ენობრივი

თვალსაზრისით, — და ეს მსგავსება არამარტო გარეგნულია, არამედ სიღრმისეულიც, რადგან მისი დამოკიდებულება გერმანიისა და გერმანელთა მიმართ ისეთივე ამბივალენტურია, როგორც გოეთესი, — რომ ნაცისტური გერმანიის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი წრეები ხშირად იყენებდნენ რომანიდან ამოკრეფილ გამონათქვამებს, როგორც გოეთეს აუთენტურ სიტყვებს.

ნაწარმოების შექმნის დრო — 1936-1939 — ეს გახლდათ უკიდურესი დაძაბულობის წლები მთელს ევროპაში; თომას მანისათვის ეს იყო ჯერ შვეიცარიაში, შემდეგ კი ამერიკაში ემიგრაციის ხანა; წლები, როცა მომწიფდა გადაწყვეტილება, გაენწყვიტა ყოველგვარი კავშირი გერმანიასთან. ამ რომანზე მუშაობა ასეთ დროს მისთვის ნიშნავდა მიახლოებას გოეთესთან, თავის Vater – Imago-სთან, და, ამდენად, მიახლოებას გერმანიასთან.

გარდა ყოველივე ამისა, რომანს გოეთეზე წინ უძღოდა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მთელი რიგი ესეებისა: „გოეთე და ტოლსტოი“, „გოეთე როგორც ბიურგერული ეპოქის წარმომადგენელი“, „გოეთეს ვერტერი“. 1938 წელს დაწერილ ამ ესეის თომას მანი ამთავრებს ლოტეს წერილით, რომელშიც იგი სწერს თავის ვაჟს იმ შეხვედრის შესახებ, რომოცდათხზილიანი განშორების შემდეგ რომ შედგა ვაიმარში: „მე ვაპირებ ბერიკაცი, რომელმაც, რომ არ მცოდნოდა, გოეთეაო, და მაინც, ჩემზე დიდად სასიამოვნო შთაბეჭდილება ვერ დატოვა“.

„ვფიქრობ, ამ ანეკდოტური ამბის საფუძველზე შეიძლება შეიქმნას ჭკუისსასწავლი მოთხრობა, ან სულაც რომანი“, — წერს თომას

მანი, — „რომელშიც გაშუქებული იქნება გრძნობისა და შემოქმედების ურთიერთმიმართების საკითხი, მხცოვანობის ყადრიცა და უღონობაც, და, რაც მთავარია, დამაჯერებლად იქნება დახატული გოეთეს, და საერთოდ, გენიოსის ხასიათი. იქნებ გამოჩნდეს მწერალი, ვინც ხელს მოჰკიდებს ამას“.

ეს გამონევეა, როგორც ირკვევა, თვით თომას მანს უკვე მრავალი წლის წინათ ჰქონდა მიღებული. 1936- 39 წლები ტექსტზე ინტენსიურად მუშაობის ძირითადი დროა; გეგმა კი გაცილებით ადრინდელია, და წყაროებიდან შექმნილი ცოდნაც უკვე დიდი ხანია ნაწარმოებში განსხეულებას ელოდა.

რადგან თომას მანი ხშირ შემთხვევაში თვითონვეა ხოლმე საკუთარ ნაწარმოებთან საუკეთესო ინტერპრეტატორი, ვფიქრობ, საინტერესო იქნება მისი რამდენიმე წერილის გაცნობა, რომლებშიც იგი სწორედ ამ რომანზე ლაპარაკობს.

1936 წლის 31. 10 თომას მანი სწერს გოტფრიდ ბერმან-ფიშერს:

ლოტე ვაიმარში — ამბავია გოეთეზე, რომელზეც ამ ბოლო დროს სადილობამდე ვმუშაობ ხოლმე; ფაქტობრივად კი მთელი დღე და ღამე ვუკირკიტებ, თუმცა ფორმა ჯერ საბოლოოდ არ გამოკვეთილა.



იოჰან ვოლფგანგ გოეთე

1937 წლის 28. 12, აღფრედ ნოიმანისადმი:

„ყოველ თავისუფალ წუთს იმისთვის ვიყენებ, რომ ლოტე ვაიმარში რაც შეიძლება სწრაფად და შეუმჩნევლად კიდევ ერთი ნაბიჯით წავწიო წინ... თხრობის ცენტრში, ცხადია, რომერის საუბარია, და ეს ნაწარმოების ძირითადი თავია; თუმცა თვით მოხუცის გამოჩენამ სრულიად განსაკუთრებული შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს. [...] რაღაც სიახლის ხიბლი, ამაღლებელი და განუმეორებელი უნდა ახლდეს ამ ეპიზოდს, და ეს, სულ ცოტა, ჩემი ძველი ოცნების განხორციელებაა — გოეთეს პიროვნების ხორცშესხმა. ეს ოცნება ჯერ კიდევ იმდროინდელია, როცა „სიკვდილი ვენეციაში“ იქმნებოდა. მაგრამ მაშინ საამისოდ გამბედაობა არ მეყო. ებრაულ მითოსში ხანგრძლივმა ვარჯიშმა კი ცოტა არ იყოს გამათამამა“.

ამ წერილში ალბათ პირველად დასახელებული რომანის წინა საფეხური, და ამავე დროს მისი აზრობრივი და ემოციური ბირთვი: „გოეთე მარინებადში“ — ასე უნდა რქმეოდა ნოველას, რომლის რთული მეტამორფოზისა და თემატური ტრანსპოზიციის შედეგად შეიქმნა „სიკვდილი ვენეციაში“.

ამავე ოცნების შესახებ უფრო ვრცლად ჩაუწერია დღიურში, 1940 წლის მარტ-აპრილში:

„... ალბათ გემბახოვრებათ, რომ ჯერ კიდევ 25 წლის წინათ, როცა ჩემი ფიქრები სიკვდილს ვენეციაში დასტრიალებდა, მინდოდა, მოთხრობის გმირად მექცია გერმანიის უდიდესი პოეტი გოეთე, მაგრამ მაშინ საამისოდ გამბედაობა არ მეყო. სამოცი წლისამ ვაგბედე სცენაზე გამომეყვანა ეს დიდი მსცოვანი, — სცენაზე-მეთქი, შემთხვევით არ მითქვამს, რადგან დიდხანს ვერ ვადამენწყვიტა, ხომ არ იქნებოდა ეს მასალა მისი კომედიური ელემენტებით, უფრო გამოსადეგი თეატრისათვის. [...] „ლოტე ვაიმარში“ კომედიასავით იწყება: ხანძიშესული სიმბატიური მანდილოსნის ჩამოსვლა გასაგებ მიზეზთა გამო დიდ აუიოტაჟს გამოიწვევს პატარა სარეზიდენციო ქალაქის სასტუმროში, სადაც იგი ჩერდება — ეს ხომ თვით შარლოტე კესტნერია, სწორედ ის შარლოტე ბუფი, რომელიც გოეთემ თავისი „ვერტერი“ უკვდავყო. ამდენი წლის შემდეგ ქალი ჯერ კიდევ იმ შთაბეჭდილების ტყვეობაშია და იმედი აქვს, რომ შეხვედრა სიყრმის მეგობართან, დღეს კი სახელგანთქმულ მწერალთან, ე.წ. ჰეიბი ენდით დასრულდება. [...] კომედიასავით იწყება ნაწარმოები გოეთეზე, რომელიც თავად მხოლოდ მოგვიანებით შემოდის სცენაზე; ღირსეული ხელოვანი, რომელიც თავის სულს, ყველაზე პირადულს, მოხერხებულად მაღავს ცივი ნიღბის ქვეშ ცნობისმოყვარე საზოგადოებისაგან. იგი გენიოსია, რომელსაც ემსახურებიან, და რომელიც მაღლიერი კი არ არის, არამედ მხოლოდ ასაჩუქრებს გარშემომყოფთ თავისი არსებობით; მისი არსებობა მათთვის ერთსა და იმავე დროს გამაბედნიერებელიცაა და დამთრგუნველიც. იგი ჰგავს მამას, რომლის წინაშეც აღმფოთებანარევი მონივნებით იხრიან ქედს. მაგრამ ისიც მსხვერპლია, — გენიოსი; ის არის ალიც და სანთელიც, რომელიც იწვის, რომელიც სწირავს სხეულს, რათა სინათლე ნათობდეს“...

1940 წლის 21. 01 ჰერმან კესტენისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, თუ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თომას მანი მასალისა და ფორმის ურთიერთშესაბამისობას, როგორი პასუხისმგებლობით ეკიდება ნაწარმოების ჟანრის განსაზღვრას:

„განსაკუთრებით მახარებს ის, რომ თქვენ ამ ნაწარმოებში კომედია დაინახეთ — რომანი ამ შემთხვევაში მართ-

ლაც ნაკლებად შესაფერისი ჩანს. ინტელექტუალური კომედია — ეს იქნებოდა ამ ჟანრის მართებული სახელი. [...] მაგრამ აქ არის რაღაც, რაც გარკვეულწილად ამართლებს სახელწოდება რომანს — ის ამაღლებელი ელემენტი, რაც ნაწარმოების კონცეფციაში ძევს და, ჩემი აზრით, ბოლომდე შენარჩუნებულია“.

და კუნო ფიდლერისადმი მიწერილი წერილიდან:

„... და მაინც, ეს სასიყვარულო რომანია, ორგვარი გაგებით. და სიტყვები, ერთმა მოგერმანულე ლედიმ რომ მიითხრა, არც ისე სულელურია: თქვენ არასოდეს არცერთი სულიერი ისე არ გყვარებიათ, როგორც ის.“

ჩემთვის რომანი ლიტერატურული თავგადასავალიაო, წერს თომას მანი, და განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს ხოლმე, როცა მკითხველსაც ასეთივე შთაბეჭდილება ექმნება.

1940 წ. 03. 03, კუნო მიულერისადმი:

„ძალზე გამახარა იმ პარალელმა, რომელიც რომანსა და ჩინური პოეზიის ალუზიურ პიესებს შორის გაავლეთ; ასევე თქვენი აღიარება, რომ ეს წიგნი ისეთივე გატაცებით ნავიკითხავთ, როგორც თქვენი სათავგადასავლო მოთხრობები ინდიელთა შესახებ [...]. ნაწარმოებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნიაღვრები ტრადიციებსა და კულტურაში. ამავე დროს წიგნი თავგადასავალიცაა, და არამარტო ავტორის, არამედ, და არანაკლებ, მკითხველისთვისაც, რაც მითოსის ხორცშესხმის დამსახურებაა. მკითხველს ექმნება ილუზია, რომ ზუსტად ხედავს, თუ როგორი იყო ის სინამდვილეში; ექმნება ილუზია, რომ ყველაფრის მოწმე და თვითმხილველია, რაც ძალზე ამაღლებელია. ინდიელზე თქვენი მოგონებაც ალბათ ამასთანაა დაკავშირებული“ [...].

1940 წლის 03. 03, ჰაინრიხ მანისადმი:

„არ ვიცი, ეს ჩემი ულამაზესი ნაწარმოებია თუ უსაყვარლესი, რადგან მასში, უპირველეს ყოვლისა, სიყვარული და სიყვარულით შეკავშირებაა, მიუხედავად იმ ირონიული ვერიზმებისა, რაშიც ეს სიყვარულია გახვეული. ამიტომ განსაკუთრებული სიცხადით ვხედავ მის სისუსტეებსა და პედანტობას. ამ ამაღლებელ ელემენტთა გარეშე ეს რომანი კი არა, დიალოგიზებული მონოგრაფიის მსგავსი რაღაც იქნებოდა. ეს თავგადასავალია და, შვეიცარულ გაზეთში კიდევ წერს ერთი მკითხველი, წიგნი ისე გადავყლაპე, როგორც ჩემი სიყმანისდროინდელი ინდიელთა სათავგადასავლო ამბები“.

გაცყვეთ ამ თავგადასავალს. ის ნამდვილი ამბავი, რომელიც ნაწარმოებს უდევს საფუძვლად — შარლოტე კესტნერის, ქალწულობაში ბუფის სტუმრობა ვაიმარში 1816 წლის სექტემბერ-ოქტომბერში — რომანში ანუ ფიქციაში დროის სხვა სტრუქტურაშია ასახული: თხრობის დრო და მოთხრობილი დრო არ ემთხვევა ერთმანეთს. 22 სექტემბერის ანუ შარლოტეს ჩამოსვლის დღის პირველი ნახევარი მთელი ექვსი თავის მანძილზეა გაჭიმული. ამ შენელებულ დროში სენსაციურ სტუმარს ჯერ ირლანდიელი მხატვარი ქალი ეწვევა, რომელიც ცნობილ ადამიანთა პორტრეტებს ხატავს, შემდეგ — დოქტორი რომერი, ადელ შოპენჰაუერი, რომლის მონათხრობი თითქმის ორ თავს მოიცავს, ბოლოს კი გოეთეს ვაჟი. ეს უგრძესი დიალოგები ერთი ღერძის — გოეთეს გარშემო ტრიალებს. გოეთეს ხატი, რომელიც ამ დიალოგებში იკვეთება, ახალ განზომილებასა და სიღრმეს

იძენ სწორედ რიმერთან დიალოგში. მისი მონათხრობი ყველაზე ნათელი გაცხადებაა იმ ჩინური სიბრძნისა, გოეთე რომ წარმოთქვამს სუფრასთან საუბრისას: „დიდი ადამიანი საზოგადოების უბედურებაა“. ავტორი ერთი სიტყვითაც კი არ ერევა რიმერის ამ გრძელ აღსარებაში, რომელიც შეფარულ განაწყენებას ამჟღავნებს. მასში ჩანს ანალიტიკური ძალა; ის წარმოადგენს მოლაპარაკე მე-ს თვითშემეცნებისა და თვითუარყოფის, შელახული პატივმოყვარეობის ნაზავს, რაც მსხვერპლად მოითხოვს საკუთარ მეზე უარის თქმას. ამავე დროს სწორედ მისგან გვეხმის ისეთი ბრწყინვალე შეფასებანი, როგორიცაა მაგ., გოეთეს პროზის ბუნების გახსნა, რაც თავისი სიღრმით თითქმის არ ჩამოუვარდება შექსპირის ცნობილ დახასიათებას „ვილჰელმ მაისტერიდან“. თომას მანისათვის ეს თავი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო.

„თქვენ სწორი ხართ“, — სწერს იგი კუნო ფიდლერს 1937 წლის 21. 12, — „როცა რიმერში ხანშიშესულ ეკერმანს ხედავთ, თუნდაც ნაკლებად სიმპათიური თვისებებით. [...] თვით დიალოგი, ცხადია, პლატონურია, — ფიქციური, არა რეალური, მაგრამ დრამატული იმ გაგებით, რომ ის დამახასიათებელია მოსაუბრეთათვის, — არამარტო მათი საუბრის ობიექტისათვის, არამედ ლოტესათვის, რომელიც ვერ გათავისუფლებულა შინაგანი დაძაბულობისაგან, და გაბუსხული ასისტენტისთვისაც“...

და 1937, 27. 11, რენე შიკელესადმი:

„ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა ის კეთილი სიტყვები, რომლებიც თქვენ რიმერის თავისათვის გაიმეტეთ“...

დიალოგთა ამ ლაბირინთის გავლით თომას მანს მიეყვართ პირისპირ შეხვედრამდე პოეტთან, რომელიც მხოლოდ მე-7 თავში წარმოსდგება ჩვენს წინაშე. დიდი ხელოვანისათვის ჩვეული გამბედაობით ავტორი წარმოგიდგენს გოეთეს არა რაიმე დამახასიათებელი ეპიზოდით, არამედ გველაპარაკება მისი ხმით, ალადგენს მის ცნობიერების ნაკადს. ამ თავს თომას მანი ძალიან ნელა, ცხრა თვის მანძილზე წერდა, რასაც ახლდა გოეთესთან მიახლოებით ტკბობა. ეს არის საიდუმლოებასთან შეხება — დიდი პიროვნების შინაგანი სამყაროს ამეტყველება. თომას მანი ამას ადარებს თავგადასავალს, რომელშიც უნდა გადაეშვას ადამიანი, როცა ის ცდილობს, ჩასწვდეს მიუწვდომელ ფენომენს. აგნეს მაიერისადმი მიწერილი წერილებიდან ჩანს, როგორ ცდილობს იგი, გადმოსცეს სიდიადის ამბივალენტურობა:

„მე რომ შემძლია, დავცინო საკუთარ თავს, ეს ადამიანური თვისებაა, ასე არ არის? [...] მე ჩემი ვატერ-იმაგო, გოეთე, საკმაოდ არამომგებიან შუქზე წარმოვადგინე. მაგრამ, როგორც ვიცი, ის ხშირად იმეორებდა ერთ გამოთქმას წმინდა წერილიდან, რომ ადამიანი შეიძლება ანგელოზის ენით მეტყველებდეს, მაგრამ თუ მას სიყვარულის უნარი არ გააჩნია, ეს მხოლოდ და მხოლოდ ეჟენის ჟღარუნია. მე სასონარკვეთილებში ჩავვარდებოდი, თუ იმამი გამოვუტყვევებდი თავს, რომ სიყვარული არ გამაჩნია“...

ამ მონოლოგს, რომელსაც ავტორი ბუტბუტს უწოდებს, ამერიკული ლიტერატურული კრიტიკა სტილის თვალსაზრისით ხშირად აღარებდა ჯოისის ტექნიკას, რასაც არც თომას მანი უარყოფდა.

ამ ორ შემოქმედს შორის არსებულ ყველა განსხვავებასთან ერთად, გოეთეს ხატში იკითხება თომას მანის ხა-

ტიც. იმ მრავალ საერთო, მონათესავე ნიშანს შორის, რომლებიც მათ აერთიანებს, პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ ბიურგერობა, რაც ისევე მნიშვნელოვანია თომას მანისათვის, როგორც გოეთესათვის. გოეთე — როგორც გერმანული კულტურის განსახიერება — იმავეს ამტკიცებს საკუთარ თავზე თომას მანი ემიგრაციის დროს. ერთმანეთს ენათესავენ ასევე მათი თვალსაზრისი ხელოვანის სიმარტოვის თაობაზე. ეს აზრი ხშირად გამოსჭვივის გამონათქვამებში, რომ ხელოვანს უნევს მსხვერპლად გაილოს ადამიანური მხარე, აიტანოს სიცივე თავის გარშემო და უარი თქვას სიყვარულზე. შემოქმედის სიმარტოვეზე მეტყველებს მინიშნება ლექსზე „სანეტარო მისწრაფება“ — „დასავლურ-აღმოსავლური დივანიდან“ ფინალურ დიალოგში ლოტესთან:

„ძვირფასო, ნება მომეცი, გულწრფელად გიპასუხო გამომშვიდობებისა და შერიგების ნიშნად. შენ ახსენე მსხვერპლი, ეს კი სათავეა საიდუმლოებისა; სამყაროს, ცხოვრების, პიროვნებისა და შემოქმედების დიდი ერთიანობისა. და ყოველივე ეს გარდაქმნას განიცდის. ღმერთებს მსხვერპლს სწირავდნენ, ბოლოს კი ღმერთი იქცა მსხვერპლად. შენ მიმართე შედარებას, რომელიც ესოდენ ძვირფასი და ახლობელია ჩემთვის, და იმთავითვე დაუფლებია ჩემს სულს: შედარებას ფარვანასა და საბედისწერო ალის შესახებ“.

შემდეგ თავში თვალთახედვის არეში ექცევა სადილი გოეთეს სახლში — თავყრილობა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ინტიმურობასა და უშუალობას. აქ მხოლოდ ის ერთი ლაპარაკობს, აჩვენებს თავის „ცოდნის იმპერიას“, ყურადღების ცენტრშია; ლოტე და მისი ქალიშვილი კი ჩრდილში რჩებიან...

ამ ორ შემოქმედს აერთიანებს დამოკიდებულებაც შვილების მიმართ. არა მხოლოდ მსახურები, თანამშრომლები, ნაცნობ-მეგობართა გარემოცვა შეიცნობს და განიცდის იმას, თუ რა არის სიდიადე. ყველაზე მეტად ეს ეხება შვილებს, ამ შემთხვევაში ვაჟს, რომელსაც უნევს ისეთ მამასთან ცხოვრება, რომლის არსებობის დედააზრი შვილებზე ზრუნვა და მათი აღზრდა კი არ არის, არამედ საკუთარი შემოქმედება: „ყმანვილი ხელისშემშლელია, მაგრამ მისგან მაინც რაღაც უნდა გამოვიდეს, რადგან განსაკუთრებული გვარისაა...“ ვაჟისადმი გოეთეს დამოკიდებულების ჩვენთვის თომას მანი მკაცრად განსჯის საკუთარ თავსაც, როგორც მამას.

მათ აერთიანებთ პოლიტიკური ვითარების შეფასებაც, ღრმა სკეფსისი ყოველგვარი ნაციონალური ალტყინების მიმართ. ადელ შოპენჰაუერის მონათხრობში ჩანს ის გაუცხოება პოლიტიკურ საკითხებში, რასაც განიცდიდა გოეთე თავისი დროის წამყვან გონთა მიმართ. მოპირისპირე მხარე მას საყვედურობს ეროვნული მოძრაობისადმი განურჩევლობის, ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო. ის უფრო მსოფლიო მოქალაქეობას ანიჭებს უპირატესობას.

გოეთეს საუბარში ებრაელთა დარბევის შესახებ იჭრება რეფლექსიები თომას მანის თანადროული გამოცდილებიდან: მან იცოდა ის, რაც მაშინ ვაიმარში ვერ წარმოედგინათ — მეზობლად ბუხენვალდია; სწორედ ამის შესხენება სურდა თომას მანს.

ერთ-ერთ წერილში თომას მანი პასუხობს მკითხველთა და თანამოქალაქეთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს იმის

თაობაზე, რეალობა თუ არა ფინალური დიალოგი გოეთესა და ლოტეს შორის კარეტაში, სპექტაკლის შემდეგ. თავის პასუხში თომას მანი არცერთ შესაძლებლობას არ გამოიციხავს.

„მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, — წერს იგი — უნდა ვალიართ, რომ სასწორი ოდნავ შესამჩნევად მაინც ირეალურობისკენ იხრება. ტექსტში ბევრი რამ მიანიშნებს გარკვევით იმაზე (თუკი საერთოდ შესაძლებელია რაიმე გარკვეულობაზე ლაპარაკი), რომ საქმე გვაქვს ნაოცნებარსა და ისეთ რალაცასთან, რაც ადამიანს არ აშინებს, რადგან ეს თვით მისგან მომდინარეობს. გოეთე სინამდვილეში ალბათ არ ახსენებდა ლოტეს თავის კანტურს; სინამდვილეში იგი ამდენს არ ილაპარაკებდა იამბებით — ეს იმით აიხსნება, რომ ლოტე თეატრიდან მოდის. ის გალექსილადაც ლაპარაკობს: „ო, მშვენიერია მსხვერპლის გაღება, მაგრამ“, და ა.შ. გოეთე ალბათ არ დაასრულებდა საუბარს არჩევითი ნათესაობის ბოლო ფრაზით, და ის რომ იქ ყოფილიყო, ალბათ მაგერი დაინახავდა მას, როცა ლოტეს კარეტიდან გადმოსვლისას შეეგება. ერთგან იგი მოხსენებულა, როგორც „ლაბადოსანი“, ეს კი მითოლოგიური სახელია, მგონი ვოტანს ერქვა ასე. მისი ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვებიც: „მშვიდობა შენს ჭაღარას“ — ეფემერულად ჟღერს. ვფიქრობ, ლოტე ისეთი თრთოლვით, მთელი არსებით მოელის საბოლოო საუბარს, რომელიც თავის ადგილს მიუჩინდა ყველაფერს, რომ ეს სცენა, უბრალოდ მისი წარმოსახვის ნაყოფია. თუმც ასეც რომ იყოს, მაინც ვერ ვიტყვით, რომ წმინდა ირეალურობასთან გვაქვს საქმე. აქ უფრო შეიძლება ვილაპარაკოთ სულთა გასაუბრებაზე, სადაც ის, რასაც გოეთე ამბობს, მისეულია, თუნდაც ფიზიკურად არც იჯდეს ლოტეს გვერდით; ეს კი, უფრო მაღალი ხარისხის სინამდვილეა“.

და მართლაც, როგორც კეტე ჰამბურგერი ამბობს, ობიექტური სინამდვილე მხოლოდ არის, მაგრამ არ ნიშნავს; მხატვრული სინამდვილე, მისგან განსხვავებით, კი არ არის, არამედ ნიშნავს. მხოლოდ მხატვრულ სინამდვილეს შესწევს ძალა, აზრად, მნიშვნელობად გარდაქმნას სინამდვილე.

ეს წარმოსახვითი შეხვედრა, წარმოსახვითი დიალოგი, და განსაკუთრებით ფრაზა „შერჩევითი ნათესაობიდან“: „...და რა ნეტარი იქნება ის წამი, როცა ჩვენ ოდესმე კვლავ ერთად გაგვეღვიძება“ — აერთიანებს, ამთლიანებს იმას, რაც უამისოდ რომანის სინამდვილეშიც სხვადასხვა ნაპირზე დარჩებოდა.

ნუ მოანატრებთ თავს მკითხველს

(ლია წერილი თემურ ქორიძეს)



ბატონო თემურ, მას შემდეგ რაც როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „შავი ჩოხა“ წავიკითხე, სულ მინდა დავწერო რალაც, თან ის წლები გაიხსენო, როცა კოლაუ ნადირაძემ პირველმა მანახა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ფოტო და გაკვირვებულმა, ცოტათი აღშფოთებულმაც, მკითხა — ნუთუ, არ იცით ვინ იყო ქაქუცა, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი და არც 24 წლის აგვისტოს აჯანყება გაგიგიათო?! და მაშინ 83 -ში, ჯერ კიდევ გაგანია კომუნისტური რეჟიმის დროს, ისე აღმაფრთოვანა ეს კომკავშირელი, ფრიადოსანი სტუდენტი, რომ მთლიანად შემიცვალა მსოფლმხედველობა...

მასხოვს, პირველად რომ გამოჩნდა ქალაქის ქუჩებში, იატაკქვეშეთიდან ეროვნული მოძრაობის

ამოსვლისას, ტრანსპარანტი ქაქუცას გამოსახულებით, როგორი ბედნიერი ვიყავი, რაკი ბევრმა გაიკვირვა: აი, ეს შავჩოხიანი კაცი ვინ არისო? მე კი ვიცოდი, ვინც იყო ქაქუცა! მას შემდეგ კარგა დრო გავიდა და მისი სახელი როსტომ ჩხეიძემ დააბრუნა ჩემს გულსა და მესხიერებაში... აი, რატომ მინდოდა დამეწერა რალაც, როცა ეს წიგნი წავიკითხე, მაგრამ მედღემეხვადიე კაცისა არ იყოს, ვერაფრით მოვაბი თავი...

ვკითხულობდი სხვათა გამომხაურებას ამ წიგნზე და ვფიქრობდი, უნდა დავწერო, რალაც უნდა დავწერო-მეთქი, მაგრამ მას შემდეგ რაც თქვენი „თურმე არც რამე დაკარგულიყო“ წავიკითხე, მივხვდი, დასაწერი ალარაფერია!.. ალარაფერია, რადგან თქვენეული ანალიტიკური მსჯელობისას წიგნიცა და მისი მთავარი პერსონაჟი, როგორც ცისფერყანწლები იტყოდნენ, მსოფლიო რადიუსით გამართეთ და ამით დავგანახეთ ის, რასაც ასე დანატრულნი ვართ ქართველები — მხოლოდ ახალ-ახალი ხიდებით, შენობების ფასადური შეღებვითა და საახალწლოდ უგემოვნოდ ახუცილებული მოედნებით კი არა, თურმე ნამდვილი გმირებითა და მოღვაწეებით, ნამდვილი ისტორიული ქართველებით გემართებს თავმონონება... თან ეს ყველაფერი როგორ ჩაატყობთ სულ რამდენიმე გვერდში! დიდი მადლობა ამისთვის, მაგრამ...

მაგრამ ერთ რამესაც გთხოვთ და ნუ მიწყენთ: ნუ მოანატრებთ თქვენს მკითხველს თავს! თქვენი კალამი დღეს განსაკუთრებით სჭირდება ქართველებს, იქნებ იმაზე უფრო მეტად, ვიდრე თავის დროზე. და თუ რატომ გახდა თქვენი დაბრუნება ასე აუცილებელი ქართულ ლიტერატურაში, ახლა ამაზე საუბარი რომ წამოვიწყო, მაშინ ეს წერილი ღია ბარათს კი არა, გამოკვლევას უფრო დაემგვანება და ამიტომაც მოკლედ მოგჭრი: თქვენ აუცილებლად უნდა დაუბრუნდეთ აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას! ნუ გაგელიმებათ, ნურც პირფერობაში ჩამომართმევთ, ეს ნამდვილად ასეა!

„ჩვენი მწერლობის“ მკითხველნი თქვენს წერილებს დიდი ინტერესით ველით!

პატივისცემით
ნიკო ჩხიკვიძი

გურამ ბათიაშვილი

ბაღმა ნაკირიდან მოსულნი

„ერთი, მხოლოდ ერთი!“

ზამთარმა მშვიდად ჩაიარა — ბაზნავში ისეთი არაფერი მომხდარა, ხალხს ავად, ან კარგად რომ დამახსოვრებოდა. ან ისეთი რა უნდა მომხდარიყო? ბაზნავს ყველაზე დიდ საფრთხეს პირყვითელნი უქმნიდნენ: ამ ზამთარს პირყვი-თელნი სოფელს არ შემოსევიათ და ამას ბაზნაველები ღვთის ნაბოძებ სიკეთედ მიიჩნევდნენ. ვაჟები ადრეც იზადებოდნენ და, ცხადია, ამ ზამთარსაც დაიზადნენ. თანოსა და თახოს კიდევ ერთი შვილი შეეძინათ, ამჯერად — გოგონა. ეს გოგონა ისე ჭყიოდა, ისეთი ამბავი ჰქონდა, სოფელში ხითხითებდნენ: „რა უნდა, რას გაჰკვივის, პირყვითელთ დავავინყდით და ახლა ჩვენს თავს ახსენებს?“ იქნება, არც თანოსა და თახოს გოგონას დაბადება და მისი ჭყივილი გახლდათ მოსაგონარი, მაშინ როცა პეტუას ტყუპი ბიჭი შეეძინა. სოფელს პირს ვინ აუკრავს: იმის გამო, რომ ტყუპები ერთობ ძვალმსხვილნი იყვნენ, დედაკაცები ორლობეში ჩურჩულებდნენ, ეგ ბალები პეტუასი კი არა, ჯვანშერის ნამუშავევიაო. ამის მთქმელ ქალებს, უსმენდნენ და იჭვით უქნევდნენ თავს: ამ სოფელში ისეთი კაცი არ მოიძებნებოდა, ენატრა: ნეტა, ერთი ღამე პეტუას ცოლთან მახუგნავა, იმის ძუძუებზე, მერე თეძოებზე შემავლებინა ხელიო. იმასაც კი ჰკვირობდნენ, ამ ქალთან პეტუა როგორ წვებო. ჯვანშერს კი რომ შეუტყვია — ეგ ბალები შენი ნამუშავეები უნდა იყვნენო, მთქმელისთვის შავი დღე დაუწევია: პეტუას ცოლი როგორ მაკადრეო. არადა, ბალებიც პეტუასი იყო და ცოლიც ერთობ ერთგული ჰყავდა.

ასე იყო თუ ისე, სოფელმა იმატა, ბავშვები მომრავლდნენ და ახლა ძალიან ბევრი სამოსახლოდან გაისმოდა:

**დაიძინე, გენაცვალე, იავ, ნანინა,
მზე დანვა და მთვარე შობა, იავნანინა!**

როცა ხეებმა სამოსი იცვალეს, ფოთლები მოისხეს და მდინარეშიც წყალმა იმატა, გაზაფხულს ერთი მზეთუნახავი მოჰყვა. მასზე ამბობდნენ ჩვენი ყვავილიაო, ეგ იყო, რომ ეგ ყვავილი დადიოდა, იცინოდა, წყაროდან წყალიც კი მოჰქონდა, სიტყვის სათქმელად პირს რომ გაალებდა, ეჩვენებოდათ, ვარდნი გაიფურჩქენო. პირისახე კი უჟუჟუნა წვიმით პირგაბადრულ მზეს მიუგავდა. გოგონას ნინათო ერქვა. აქამდე, ამ გაზაფხულამდე, მთელი სოფელი კალიას ეძახდა, რადგან ყოველ კუთხე-კუნჭულს დაუზარლად შემოირბენდა, ყველას შესძახებდა, ყველასთან გულგახსნილი

იყო. ამ გაზაფხულის პირზე, როცა ხეებმა სამოსი იცვალეს, ეგ ნინათო, თითქოს ხელახლა იშვა: მიმოხვრაც სხვაგვარი გაუხდა, გამოხედვაც, სიტყვა-პასუხიცა და რაც მთავარია, ჭაბუკებს მის დანახვაზე სუნთქვა ეკვროდათ. თუ ადრე სოფელი კალიას ეძახდა, ახლა ის პირმადლიანი ნინათო-ო, უბნობდნენ. ჩვილი ბავშვი რომ გაიღიმებდა, შესძახებდნენ: „შეხე, იმ პირმადლიან ნინათოს არა ჰგავს?!“ ხანჯალსროლია დიომ, ვაზაგის ყმანვილმა, ქვეყანა შეძრა, სულ მათრახს იქნევდა, კბილებს აკრაჭუნებდა და დამარცვლით ამბობდა, თითქოს ხელმწიფის ბრძანებას კითხულობსო: „ვინც ამ გოგოს მიეკარება, მამაჩემს ეგ ჩემი ხანჯალი მისი გულის ასაქნელად გაუჭედიაო“. ამის გამგონე ნინათოს პირზე ღიმილი ედებოდა. ერთ მზიან დილას კი, წყაროდან მომავალს დოქი რომ შეედგა მხარზე, ეგ დიო, ვაზაგის-ძე წინ გადადგომია და ისე მიუხლია, ცოლად უნდა გამომყვიო, როგორც მტერს შესძახებენ, „დამიდექ, შენი უკანასკნელი წუთები დადგაო“.



ამაზე ნინათოს ღიმილი მორევია: „ე რა ბრიყვი ყოფილა, ქალს ეგრე ვინა სთხოვს ცოლობასაო“. მისი ღიმილი კი, ვარდის კოკორის გაშლას ჰგავდა. ნინათოს ღიმილი დიოს თანხმობის ნიშნად გაუგია და სიხარულისაგან გული შეღონებია — ფეხებში ძალანაკლული ბერიკაცივით ჩაკეცილა საბრალო. ნინათოს კი გზა პირზე ღიმილმომდგარს გაუგრძელებია. ვაზაგს, დიოს, მამას, ეს ამბავი რომ შეუტყვია, ტუიასთვის ერთი ალიაქოთი აუტეხნია: ეგ გოგო დროულად გაათხოვე, თორემ სოფლის ყმანვილებს გულს დაუხეთქავსო. ტუიას კი კომბალი მხარზე გადაუდვია და მჭედელი ვაზაგისთვის არხეინად მიუგია: „ჩემი გოგო მაშინ გაათხოვდება, როცა ჯერი დაუდგება, მაგრამ იმგვარ ყმანვილზე არ გავათხოვებ, ქალის ღიმილზე რო გული უღონდება. ეგა ბალებს გაჩენასაც ვერ მოაბამს თავსა“. არადა, ამ დიოს მუშტიც ძლიერი ჰქონდა, ხმალსაც ხეირიანად იქნევდა და რაც მთავარია, ხანჯლის მისნაირი მტყორცნელი, ქართლში მეორე არ გაჩენილა: გაქცეულ მტერს ისე მიადევნებდა ხანჯალს, რომ იმ საბრალოს იმდენი ხნის სიცოცხლე დარჩენოდა, რა ხანსაც ხანჯალი გატყორცნიდან მტრის გულამდე მისალწვევად დაისაჭიროებდა.

ამ ზამთარს სოფელში ბარე ოთხი-ხუთი ქორწილი გადაიხადეს. ხალხმა კარგად მოილხინა, ღვინოც სვეს და სიმღერაც გულით თქვეს. არც მუსაიფი და ქვეყნის ამბების გაჩხრეკა დაუკლიათ. მთვარე რო სავანშმოდ გავიდოდა, ბაზნავის ატალახებულ ფოლორცებს ღიღინ-ღიღინით დაუყვებოდნენ. ნეფე-პატარძალს ამ სიმღერა-ღიღინითაც ლოცავდნენ.

ადამიანები ამ სოფელში დიდხანს ცოცხლობდნენ — ზამთარი ისე გაილია, ატალახებული ფოლორცები ისე დაშრა, ოთხმა კაცმა მხოლოდ ერთი ადამიანი შეიგდო

* ორი თავი რომანიდან

მხრებზე. იმ დედაბერს ფეხი დაცდენოდა, თავი ქვისთვის დაურტყამს და სული იქვე დაუბრუნებია, იმისთვის, ვინც იმ მომცრო ტანში ჩაუდგა: „აჰა, მიიღე, არც კი ვიცი რა ხნისა ვარ, რამდენი ხანი მედგა ტანშიო“. დედაბერი კი იყო, მაგრამ ის ქვა რომ იქ არ გდებულყო და თავი სწორედ მისთვის არ დაემიზნებინა, სასიკვდილო არაფერი სჭირდა.

ადრეული გაზაფხულის ერთ მზით გაჩირალდებულ დილას — კვირა დღე იყო, ბაბნაველები მინდვრებს ეშურებოდნენ, მინა მოსავლისათვის უნდა შეემზადებინათ, უჩვეულო სანახაობის მოწმენი შეიქნენ: გალმა ნაპირიდან მდინარეს ბარე 15-20 კაცი მოსდგომოდა. ყველა კარგად ხედავდა იქ მოფუსფუსე ადამიანებს: „რალაცას აკეთებენ“, — თქვა ვიღაცამ. „ნეტაი, რასა?“ — იკითხა ტუიამ. იმ დღის შემდეგ, რაც ტუიამ კომბალი არხეინად გადაიღო მხარზე, ვაზაგი ერთობ ახირებული იყო — ტუიას ირიბად გადმოხედა და თქვა: „იმას რატო არავინ კითხულობს, ვინ არიან, საიდან და რისთვის მოვიდნენ?“ ცოტა ხანს იყურა, მერე ეტყობა, იფიქრა, კარგად ვერ დაფულრინე ამ არხეინა კაცსაო და დამცინავად დასძინა: „თუმცა, შენ ამდენს ვერც მიხვდები“. ტუიამ კი უმალ მიუგო: „შენ რო მიხვდი, რატო არ იკითხე?“ ეს ღრენა-საყვედურები შესაძლოა, კიდევ გაგრძელებულიყო, თანოს ორივესათვის რომ არ დაებრიალებინა თვალები.

მინდვრებს ეშურებოდნენ-მეთქი, გითხარით. დიდხანს არც შეყოვნებულან. საღამო ხანს, ყანიდან რომ ბრუნდებოდნენ, გალმა ნაპირზე ორჯერ მეტი ხალხი დაინახეს. გაოცებული იქნევდნენ თავს: „ვინ არიან, საიდან და რისთვის მოსულან, ნეტაი, აქ რას აკეთებენ?“

მომდევნო დილას — ორშაბათი იყო, უქმე დღე. ეს დღე მთვარეს ეკუთვნოდა, ამიტომ გვიან წამოდგნენ. ღიღინ-ღიღინით ირგებდნენ კვართსა და ცას ევედრებოდნენ:

**ახ, ლაზარე, ლაზარე!
ლაზარ მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა,
ცხავი აცხავებულა,
დარიან აქქარებულა.
ახ, ლაზარე, ლაზარე!
ცას ღრუბლები აჰყარე!
აღარ გვინდა ცის ნამი,
ღმერთო, მოგვეც მზის თვალი,
აღარ გვინდა ტალახი,
ღმერთო მოგვეც გორახი!**

გითხარით უკვე: უქმე დღე იყო, ორშაბათი-მეთქი, ვაზაგი, შუკა-შუკა დარბოდა და გაიძახოდა: „გამოიხედეთ, გამოიხედეთ, ხალხნო, გალმა ნაპირიდან მოვიდნენ“. „გალმა ნაპირიდან მოსულნი, აგე, აქ არიან!“ ამის გაგონებაზე, ბაბნაველები უცებ გამოენთნენ, ზოგს სატყვარი ეჭირა, ზოგს — შუბი, ზოგსაც მშვილდი და ისარი, ვინაც რას ნაავლო ხელი, ის წამოეღო.

გალმა ნაპირიდან მოსული ხალხი კი იქ შეკრებილიყო, სადაც მდინარე, თითქოს წელზე ქამარი შემოიჭირაო, ყველაზე ვიწრო იყო. ქალებს სარეცხი სწორედ აქ გამოჰქონდათ, რადგან ბაბნავის მარჩენალი აქ ისე სულსწრაფად ვერ მოდგაფუნებდა.

გალმა ნაპირიდან მოსულთა შორიხლო თანო დამდგარიყო და ბაბნაველებს თავისკენ უხმობდა. აქ, ჩემ გვერდით მოიყარეთ თავიო. უცხოთ გალმა ნაპირიდან აქამდე — იმ მოფარებულ კუთხემდე — თანოს მაჯის სიმსხო თოკები გაებათ. თანოს კი, ალბათ, გახსოვთ, უფრო მსხვილი მაჯა ჰქონდა, ვიდრე ტუიას, პეტუას და ჯიკოს ერთად. უცხონი თოკს სჭიმავდნენ და მთელს სხეულზე ოფლი ჩასდიოდათ. გალმა ნაპირზე დარჩენილ თავისიანებს დროდადრო უცნაურ, ამათთვის გაუგებარ სიტყვებს გასძახოდნენ. ბაბნაველები რომ წელი ნაბიჯით, ფრთხილად მიუახლოვდნენ, არც მოხედეს. არარა ყურადღება არ მიაქციეს. არც ბაბნაველებს უკითხავთ, ვინ ხართ, საიდან მოსულხართ, ჩვენს სოფელში რასა იქმთო. იმით დაკმაყოფილდნენ, რაც დაინახეს: თოკის გადმომქაჩველთ ძარღვები როგორ დასჭიმვოდათ. იფიქრეს, სოფელს რალაცას უკეთებენ, ახლა ამათ შეკითხვებზე პასუხის გაცემის თავიც არა აქვთო. ცოტა ხანში ერთ-ერთმა იმათგანმა, საშუალო სიმაღლის, შავტუხა კაცი იყო, ბაბნაველებს რალაც შესძახა და ხელიც დაუქნია. რომ არავინ შეირხა, კვლავ შესძახა. ამ შეძახილში გაბრაზება, თუ გალიზიანება ხშიანობდა: „ხომ ხედავთ, გვიჭირს ხელი თქვენც გაანძირეთო“. ბაბნაველები კი თანოს მისჩერებოდნენ. რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო. თანო პასუხს აყოვნებდა. თოკს ჩაჭიდებულებს ყურადღებით შესცქეროდა, მერე გვერდით მდგომ ნიკოსა და პეტუას მიუბრუნდა: „თუ ხვდებით, ესენი რას აკეთებენ?“

პეტუამაც და ნიკომაც მხრები აიჩეჩეს — აბა, საიდან უნდა სცოდნოდათ, ისინი აი, იმ ბორცვს არ გასცილებიან, აქ დაიბადნენ, აქვე მოერიათ წვერ-ულვაში, არაფერი ამის მსგავსი არ ენახათ. „ამასა ხიდს ეძახიან“. კბილებს შორის გამოსცრა თანომ. ასეთი რამ სიჭაბუკეში ენახა, როცა ნოე-მთავარს გაჰყვა ლაშქარში. ასეთი ხიდი ორჯერ გადაიარეს. ორივე აკვანივით ორწეოდა.

ამასობაში გალმა ნაპირელებს ძარღვები ისე დაებერათ, იფიქრებდით, ეს-ესაა დასკვებათო. „რას უყურებთ, ხალხნო, მივეშველოთ!“ თქვა ჯიკომ და თანოს არ დაელოდა, თავადვე ნაავლო თოკს ხელი. ბაბნაველებიც მიჰყვნენ, ერთად ჩაავლეს ხელი თანოს მაჯის სიმსხო თოკს. იმათ გალმა ნაპირზე დარჩენილ თავისიანებს რალაც გადასძახეს, კიდევ უფრო გამოჰქაჩეს — ყველამ ერთად დაჭიმა. ახლა ძარღვები ამათაც დაებერათ — ბაბნაველებს და აჰა, თოკი ტოტებგაფარჩხულ მუხას შემოაკრეს. გალმა ნაპირიდან მოსულმა ადამიანებმა მუხასთან მიიბრინეს — თოკი კიდევ უფრო ძლიერ შემოაკრათ მუხასაო. კვლავაც დაჭიმეს, კვლავ შემოაკრეს, მერე დაეჭიდნენ, ზედ დაეკიდნენ კიდევ და რა დარწმუნდნენ, კარგად დაგვიჭიმა, საუკუნოდ შემოგვიკრავსო, ერთი ყიფინა ატეხეს: მდინარის ნაპირებს შორის სივრცე დავიმორჩილეთ, ჩვენს ხელთ არისო. ყიფინა გალმა ნაპირიდანაც მოისმა. უცხონი სიხარულმა ისე აიტაცა, ბაბნაველებსაც დაუწყეს ხვევნა. ესენი კი ვერაფრით ვერ მიმხვდარიყვნენ, ასეთი რა უნდა მომხდარიყო, ეს ხალხი რომ დღესასწაულობსო.

გალმა ნაპირიდან გადმოსულთ ერთი ყმანვილი კაცი გამოეყო და ახლად აბიბინებულ ბალახზე დაკოტრიალდა. ოფლი თავისივე კვართით შეინმინდა, ზურგზე დანვა, მკლავები გაშალა და ცას მიაცქერდა. იქ ღრუბლის ერთი თეთრი, ფუფქუნა ქულა ცაში უაზროდ დაეხეტებოდა. „ნე-

ტავ, სად მიდის, ჩვენკენ ხომ არა?“ გაიფიქრა ყმანვილმა და გადმოტრიალდა. ორიოდ ღერი ბალახი მონყვიტა, კბილებს შორის მოიქცია და ის იყო უნდა გაეჩინკნა, გოგონას მოჰკრა თვალი. გოგონა თოკის დამჭიმავი უცხო კაცების მომზირალ ქალთა შორის იდგა. ყმანვილს გოგონას მოულოდნელი ხილვის გამო, ბალახის ღეროები ტუჩებზე დაკვროდა, გოგონას ცქერად ქცეულიყო. გოგონა კი ზურგით იდგა, მაგრამ უკვე იმ ასაკისა გამხდარიყო, როცა ყმანვილთა დაჟინებული მზერა არა მხოლოდ გულს არ გამოეპარება, მთელ სხეულს... მობრუნდა, თავი ასწია, ყმანვილს თვალი შეავლო და ბაგეებზე ღიმილმა გადაურბინა. მერე უცებ შეტრიალდა და ყმანვილს ზურგი აქცია — სანახაობის მაცქერალ ქალთა გუნდს მიუტრიალდა. ამით ყმანვილს ის უთხრა, რასაც გოგონები უმეტესწილად ეუბნებიან ხოლმე ვაჟებს: „შენი ცქერა არ მნადია, ზურგი უნდა გაქციო“.

ყმანვილიც იმ ასაკში გადამდგარიყო, რომ უკვე იცოდა, ასე რა შემთხვევაში აქცევენ ზურგს გოგონები ყმანვილებს და ამგვარი თამაშის გაგრძელების ხერხსაც ფლობდა: კმაყოფილი კვლავ ზურგზე დანვა. ისევ ცას მიაცქერდა: ის ღრუბელი ახლახან რომ მის თავზე ტრიალებდა, იქაურობას გასცლოდა, ახლა აქედან შორს იყო. ყმანვილი თვალს ღრუბელს ადევნებდა, მაგრამ იმის გამოცნობასაც ლამობდა,

ის გოგონა ზურგმექცეული რამდენ ხანს იქნებოდა. სჯეროდა, სწამდა, რომ მობრუნდებოდა, ამიტომ იყურა, ერთხანს გარინდებული შესცქეროდა ღრუბლებს და იმის ამოცნობას ლამობდა, იქ, მის თავს უკან რა ხდებოდა.

„თუ წავიდა, აღარც უნდა ვეძებო, თუ მობრუნდა? არა, მობრუნდება“. მყის, მოულოდნელად ამოტრიალდა, თითქოს მინაზე კი არ იწვა, ჰაერში ეკიდა — გადმოტრიალდა და თვალი ჰკიდა, რომ გოგონა მას მისჩერებოდა. გოგონამ ყმანვილის მოძრაობა, ცხადია, დაინახა, მაგრამ არც შერხეულა — კვლავ ღიმილით შესცქეროდა და როცა გააცნობიერა, ყმანვილმა დამინახა, როგორი დაბეჯითებით ვუყურებო, გაბრაზებული მიტრიალდა.

გალმა ნაპირიდან გადმოსულნი და ქართველები ხვევანასა და ყიჟინას მორჩნენ და კიდევ ერთი თოკის დაჭიმვას შეუდგნენ. ყმანვილს მათი შეძახილები ესმოდა, მაგრამ აღარც თოკი აინტერესებდა, აღარც თავისიანნი, აღარც — ბაბნაველნი, ბალახში იწვა, გოგონას ზურგს თვალს არ ამორებდა და კვლავ იმაზე ფიქრობდა, როდის მოიხედავსო. ქალებმა კი, როგორც ჩანს, ირწმუნეს, არაფერი ფარსაგი ამბავი აქ არ ხდებოდა და იქაურობას ნელ-ნელა ეცლენ-



მხატვარი სოფო ელიაშვილი

ბოდნენ. გოგონაც ქალებს მიჰყვა. ბიჭმა მოტყუებულად იგრძნო თავი — ისე როგორ წავიდა, ერთხელაც არ მოიხედაო. წამოდგა, მიმავალთ გულნატკენი შესცქეროდა.

გოგონამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. იცოდა, გულით ხედავდა, ყმანვილი რომ მისჩერებოდა და ფიქრობდა: „ეგრე მოუხდება, ბალახში კოტრიალი ამჯობინა, არა, არ მივიხედავ, არ მივიხედავ“ და არა მხოლოდ მოიხედა, შედგა კიდევ, შედგა და ყმანვილს მიაცქერდა, უხმოდ, უსიტყვოდ ეუბნებოდა: „მე მივიხედავ, შენ?“ ყმანვილმა გოგონას ხელი დაუქნია და მისკენ გაემართა. გოგონამ კი გზა განაგრძო. ყმანვილი გრძელი, აჩქარებული ნაბიჯებით უახლოვდებოდა, გოგონა მის ყოველ ნაბიჯს გრძნობდა და გულისცემა უხშირდებოდა. უცებ მოტრიალდა, ყმანვილი ლამის შედნადგომოდა, მყის მიახალა:

„რა გინდა?“ გულში კი გაივლო: „რა ლამაზი თვალები ჰქონია!“ ყმანვილმა ვერაფერი გავიგეო, ღიმილით ანიშნა. ისეთი ანკარა, უშუალო, სიკეთით აღვსილი ღიმილი ჰქონდა, გოგონას ლამის სუნთქვა შეეკრა და მოალერსე ინტონაციით ჰკითხა: „რა გინდა, ბიჭო?“ ყმანვილმა ხელი მკერდთან მიიღო და თქვა: „ნათან, ანი ნათან“. გოგონა მიხვდა, სახელი მითხრაო და გაიღიმა. ყმანვილმა კი გოგონას მკერდზე მიადო თითი, იკითხა: „ათ?“ გოგონას სულაც არ გაჭირვებია იმის მიხედვით, რასაც ეკითხებოდა და სიხარულით მიუგო: „ნინათო, ნინათო!“

„ნათანი“ — გაიმეორა ყმანვილმა, გოგონას მკლავეში წაავლო ხელი, მაჯიდან სამაჯური მოიხსნა და ნინათოს გაუკეთა. ნინათო უხმოდ შესცქეროდა ყმანვილს, სამაჯურს ხელი მოჰხვია, თითქოს შიშობდა, არავინ მომხსნასო. „ნინათო“ ღიმილით გაიმეორა ყმანვილმა. ნინათო გაიქცა. სიხარული მთარბენინებდა და იმას არ დაგიდევდა ყმანვილი რომ გულნაკლული დატოვა, ამ წუთში ამას ვერც გრძნობდა. არც ის იცოდა, რომ ძალიან ძვირფასი საჩუქარი მიიღო. ეს 32 გრამიანი სამაჯური 32 სიკლს უდრიდა.

მეორე თოკი ნაკლები გარჯით შემოახვიეს მუხას. მომდევნო საღამომდე ხიდი გამართეს კიდევ. გალმა ნაპირიდან მოსული ადამიანები ხიდზე სიმღერით გადავიდნენ. ბაბნაველები ხიდს აქეთა მხარეს დარჩნენ და უხმოდ შესცქეროდნენ სიმღერით მიმავალ მეზობლებს. როცა არემარეს ბინდი დაედო, თავთავიან კერიას მიაშურეს. ზოგმა ცოლის ალერსში გალია ღამე, ზოგმაც ოხვრა-ხვრინვაში. სოფელში ორ ადამიანს არ ეძინა. ნინათოს მკლავეზე სამაჯურისთვის ჩაველო ხელი და იმ ყმანვილის ნაბიჯები ჩა-

ესმოდა ყურში, თითქოს აი, აგერ არის, უახლოვდებაო. ეს ნაბიჯები, ეს ხმა, იმდენად ახლოვლები გახდა, თუ მიწვევადებოდა, აფორიაქდებოდა, ბიჭი უკან ხომ არ გაბრუნდა, რატომ არ მიახლოვდებაო. განთიადისას ჩაეძინა, მარჯვენა ხელი, ცხადია, სამაჯურისთვის ჩაველო.

ჯიკოს არც გამთენიის ხანს ჩასძინებია. ფიქრები უნენავე და გულს. მზემ რომ ბაზნავის ყოველი კუთხე-კუნჭული გასხვიოსნა, წამოდგა, კერია დატოვა. თანოს კერიისაკენ აილო გეზი. წავიდა, თანოც იქვე ცხენს დასტრიალებდა თავს, ჯიკო რომ დაინახა, უხმოდ მიაცქერდა, მიხვდა, ამ დილა-ადრიან თუ რამ მოიყვანა. გულგრილად თქვა: „ჰო, რაო?“ „ხომ დაინახე, როგორ გადავიდნენ იმ ხიდზე?“ თანომ თავი დაუქნია. „გადმოსვლაც ხომ ეგრევე იოლად შეუძლიათ?“ თანომ ისევ დაუქნია თავი. „მერე? ეგ რასა ნიშნავს?“ თანოს თავი აღარ დაუქნევია. ჯიკოს მიაჩერდა. ხანი რომ გავიდა, ჯიკო ჩაეძია: „ჰა, რას იტყვი?“ თანო ბალახზე დაეშვა, „უნდა წავიდე, უთუოდ უნდა გაეუდგე მთავრისაკენ მიმავალ გზას“ გაიფიქრა. ჯიკოს კი მიუგო: „შეუძლიათ, კი“. „მერე?“ იკითხა ჯიკომ. „არა, უსათუოდ უნდა დაადგეს მთავრისაკენ მიმავალ გზას“. ჯიკოს კი მიუგო: „მოვლენ და ვნახავთ“.

„მშვიდობისა და სოციალიზმის“ დედაქალაქი

ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო: აბრიკოს ლექციებმა ებრაელობას ისრაელში წასვლის სურვილი კიდევ უფრო გაუძლიერა — ისრაელზე ლაპარაკი იმანაც კი დაიწყო, ვისაც აქამდე ამ საკითხზე არც უფიქრია, ხოლო დანიელის მიერ ხელისმოსანერად შერჩეულმა ადამიანებმა, წერილს სულ რამდენიმე დღეში მოაწერეს ხელი. ისე მოდიოდნენ დანიელთან, თითქოს წუხელის მთელი საღამო მასთან გაატარეს და აქ სათვალე, ან ქოლგა დარჩათო.

პირველი არონი მოვიდა. დილის „ელექტრიკას“ ჩამოჰყოლოდა ფოთიდან. დაგვიგვიანდა წერილის გაგზავნა, ხო უყურებ, რას შობა მთავრობა, იმ კვირამი აბრიკო გამოგვიგზავნა, ისრაელში წასვლას ნურც გაიფიქრებთ, თორემ ცუდი დღე დაგადგებათო, მწარე ლიმილით ამბობდა არონი.

— მერე, ხალხმა რა უპასუხა, რა არისო?

— მაგას აპყვებოდა ჩვენი ხალხი? — იმან ილაპარაკა, ხალხმა ტაშიც კი დაუკრა. მერე მკვდარიც უხსენეს და ცოცხალიც.

დანიელმა განცხადების ტექსტი ამოილო, წაუკითხა, არონმა კალამი რომ მოიმარჯვა, დანიელმა თავის და ბესას ხელმონწერებს ქალაქი დააფარა. „ნუ გენყინება, ჩემო არონ, ასე გადავწყვიტეთ, არავინ არ უნდა იცოდეს, მის გარდა, კილო ვინ აწერს ხელს.“ „ჩემ ბიჭსაც ხომ უნდა?“ „კი, ბატონო, მაგრამ შენი შვილი გეცოდინება, მეტი არავინ, ვინიცობაა, ეს ამბავი შეგვიტყონ...“ — „მაგას ნუ იტყვი, გამჩენს მიენდე და ის შეგვეწვევა, ეს საქმე შენი ჭკუით კი არ კეთდება, გამჩენმა ინება ასე, გამჩენმა ჩაგაგონა!“

ალბერტი — ასე ერქვა არონის ვაჟს — მომდევნო დღეს ჩამოვიდა.

ასე რომ, ერთი კვირის განმავლობაში წერილზე თვრამეტივე ოჯახის მეთაურის ხელმონერა იყო.

დანიელს მოსკოვის გზა ედო წინ. დაყოვნება არ ენადა, წერილი ნიუ-იორკში დროულად უნდა გაგზავნილიყო. ეს იყო მთავარი. მოლოდინი ათას ფიქრს გააჩენდა. ორშაბათს დილით რიბკას ისევ ის უთხრა, ზუგდიდს მივდივარ, ორისამი დღე იქ დავრჩები, ბევრი საქმე გვაქვსო და პირველივე რეისით მოსკოვს გაფრინდა. ბესაც მის გვერდით იყო.

ორიოდე წლის წინათ, ისრაელის არმიამ სინაის უდაბნოში საბჭოთა თვითმფრინავები ისე ჩამოყარა, თითქოს ჭოკით ხეჭეჭურის მსხალს ბერტყავდნენ, საბჭოთა ტანკები ამავე არმიამ ჯრათად აქცია. ასე დამარცხდა არაბული სამყარო ექვსდღიან ომში. ცხადია, დამარცხდა საბჭოთა კავშირიც, რადგან არაბული სამყარო ისრაელს არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის შეგულიანებით, ტანკებით, ინსტრუქტორებით და თვითმფრინავებითაც იბრძოდა. საბჭოთა კავშირმა კი სხვა ვერაფრი იღონა და ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობა განწყვიტა. დანიელმა იცოდა, დღეს საბჭოთა კავშირში ისრაელის წარმომადგენლობა ჰოლანდიის საელჩოს ჰქონდა დაკისრებული.

მოსკოვში ჩაფრინდნენ თუ არა, ჰოლანდიის საელჩოსაკენ გაეშურნენ. საელჩოს, რასაკვირველია, მილიციელები დარაჯობდნენ. მათი მთავარი ამოცანა იყო საბჭოთა მოსახლეობა საელჩოს არ გაკარებოდა. ბესა მეტროს გამოსასვლელთან დადგა, დანიელი — ქუჩის მეორე მხარეს, ავტობუსის გაჩერებასთან. მილიციელთა მოძრაობას, საელჩოში შესვლის წესს კარგა ხანს აკვირდებოდნენ. მილიციას აქ ერთი მისია ეკისრებოდა, სწორედ იმისთვის დაეყენებინათ, რისთვისაც დანიელი და ბესა მოსულიყვნენ: საბჭოთა მოქალაქეებს არარა კონტაქტი არ უნდა ჰქონოდათ უცხოელ დიპლომატებთან..

მოსკოვის ქუჩებს ბინდი დაედო და დანიელი და ბესა ნატალია მიხაილოვნას სახლისაკენ გაეშურნენ. ნატალია მიხაილოვნას კარზე ზარი რომ დარეკეს, მასპინელმა კარი ოდნავ გამოალო თუ არა, წამოიძახა:

— Нет, нет, ради бога уходите!

დანიელმა ბესას გადახედა, ფარსავი ამბავი უნდა იყო-სო და ლიფტისკენ მიტრიალდა. ნატალია მიხაილოვნამ ბინის კარი გამოალო:

— Данийль, это ты? — შესძახა, მერე მიიხედ-მოიხედა,

და ხმადაბლა თქვა — Уходите, всех арестовали эти подонки, оказывается; жидовский язык изучали, нелегально язык изучали, всех в Бутырке посадили.

ნატალია მიხაილოვნას წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა, დანიელი ლიფტის ამოსვლასაც არ დაელოდა, ბესას მკლავში ჩაავლო ხელი და აჩქარებული ნაბიჯებით დაეშვა კიბეზე. რამდენიმე საფეხური რომ ჩაირბინეს, მოტრიალდა და ნატალია მიხაილოვნას ასძახა:

— Спасибо, большое спасибо, увидимся!

ქუჩაში გამოვიდნენ. რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს და მესამე სადარბაზოსთან შედგნენ ხომ არავინ გვითვალთვალესო, მერე ფეხით დაუყვნენ გზას, სადაც კი მოსახვევი ნახეს, შეუხვიეს, ტაქსიში ჩასხდნენ და წავიდნენ. მოსკოვში თავისი ნატალია მიხაილოვნა ბესასაც ჰყავდა. მას ტატიანა მაქსიმოვნა ერქვა. იქ პირი დაიბანეს, შინიდან წამოღებული საგზლით დანაყრდნენ და ჩაიც დალიეს. სწორედ ჩაის სმისას იკითხა დანიელმა:

— რა გზას დავადგეთ, ბესა?

კარგა ხანს ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ შეეღწიათ სა-
ელჩოს ტერიტორიაზე, როგორ გადაეცათ წერილები ელ-
ჩისათვის. გვიან ღამე იყო დანიელმა რომ თქვა:

— კარგი, დავწვეთ, ვნახოთ, ხვალამდე კიდევ ვიფიქროთ.
დანვინ, მაგრამ ძილი არცერთს არ მიეკარა. გამთე-
ნიის ხანს ბესამ იკითხა:

— დანიელ, გძინავს?

— კი, რავა არა, მაგრამ!

— მოდი, ასე ვქნათ: დღეს მე წავალ, თუ მე არ გამომი-
ვიდა, მე თუ არ გამიმართლა, ხვალ შენ წადი. ხვალ დღე-
ვანდელ შეცდომას გავასწორებთ და გამჩენი შეგვეწვევა.

დანიელმა ერთხანს იფიქრა:

— კი, ბატონო, იქნება, მასე აჯობოს.

დილის ღოცვა რომ დაამთავრეს და გასასვლელად ემ-
ზადებოდნენ, ბესამ იკითხა:

— წერილები? წერილები სად არის?

დანიელმა პანია ჩემოდნიდან რვა კონვერტი ამოიღო.

— ესე იგი, ასე. ეს წერილი „ანა ფრანკის მეგობრებს“

— ეს შოლანდიის ელჩს, რომ დაგვეხმაროს, ეს გაერთიანე-
ბული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაც-
ვის კომიტეტს, ეს იოსებ ტეკოას — ამ ორგანიზაციაში ის-
რაელის წარმომადგენელს და ბოლოს, ა ბატონო, პრემი-
ერ-მინისტრ გოლდა მეირს. გამოდის ოთხ-ოთხი წერილი
მიგვაქვს, მეტროდან რომ გამოდიოდნენ, ბესამ იკითხა:

— ასე ხომ? დღეს მე მივდივარ.

— კი, შენ!

ბესა წავიდა. დანიელი ჯიხურებში გამოფენილ სათამა-
შოებს, ჟურნალ — გაზეთებს, თუ სპორტულ ტანსაცმელს,
რომელიღაც ჟურნალის გარეკანზე კომპარტიის პოლიტიკი-
ურს ნევრების სურათებს ათვალეებდა. შესცქეროდა ამ
სურათებს და თითქმის ეკამათებოდა: „რა გინდათ, რატო
არ მიშვებთ ჩემს ღმერთთან, მე ხო ის მინდა, ჩემს გამჩენს
ვემსახურო, თქვენ თქვენს კერძს — ლენინს ემსახურებით,
მე — ღმერთს უნდა ვემსახურო“. სწორედ ამ ფიქრში იყო,
ბესას რომ მოჰკრა თვალი. ხელში ტორტის დიდი კოლოფი,
შოკოლადები და ყვავილები ეჭირა. მილიციელი გამოზომი-
ლი ნაბიჯებით მიდიოდა საელჩოს შესასვლელისაკენ.

— Слушай брат, посоветуй чего-нибудь, там моя
женщина, она в постеле не женщина, а царица. У неё
день рождения, если я её не поздравлю, всё, баста!

— Да поздрав вечером, что там?

— Не могу брат, вечером у жены день рождения,
представляешь. Будь добр, возьми всё это, скажи Григо-
рий Михайлович поздравляет с днём рождения.

— Не положено!

— Ну я тебе прошу! Я тебе заплачу, вот десятка!

— Мне нельзя войти!

— Ну хрень с ним, я зайду на пару минут, вот тебе
два красненких...

მილიციელმა მიმოხედა:

— Нет, нет, не положено!

— Ну будь братом, дело мужское, понимаешь... вот
тебе пять красненких... пятьдесят рублей. Во, бери! Ну
бери чего ты!...

— А ты на долго?

— А что мне там делать, поздравлю, всё это
передам и баста! Вот тут пять красненких... бери, бери!

მილიციელმა ფული ორი თითით გამოართვა, ჯიბეში
ჩაიღო და იკითხა:

— А ты уверен, что это достаточно? Ведь женщина
красивая!

— Больше не осталось. На следующий раз!

ბესამ ჭიშკრისკენ ნაბიჯი გადადგა თუ არა, ვიღაცამ
იღრიალა:

— Ты куда, куда прёшься! — მეორე მილიციელი ყვი-
როდა.

— Назад, назад, я же тебе сказал — не положено!

— აყვირდა მილიციელი, რომელსაც ბესა ახლახან ესაუბ-
რებოდა.

მეტროს მხრიდან მოახლოებულმა მილიციელმა ბესას
გზა მოუჭრა:

— Назад, кому я говарю, назад! — მას ის მილიციე-
ლიც შეუერთდა, რომელსაც ბესას წითელი თუმბინაები
ჯიბეში ედო:

— А нука, марш! Назад!

სწორედ ამ დროს დაინახა ბესამ, რომ დანიელი მეტ-
როს მხრიდან გამოჰყოლოდა მილიციელს და ჩქარი ნაბი-
ჯით ჭიშკარს უახლოვდებოდა, თითქმის გარბოდა. ელდა
ეცა. მყის ადგილი იცვალა, ისე დადგა, მილიციელებს ჭიშ-
კრისკენ ზურგი ექციათ.

— Ну что, братья, ну что, день рождения! — ლულუ-
ლებდა ბესა, დანიელის ყოველი მოძრაობა სუნთქვას უკ-
რავდა: აი, დანიელმა ლამის მიაღწია ჭიშკარს, ჭიშკრიდან
კი ვიღაც გამოდის, დანიელმა გზა დაუთმო, რა დროს
გზის დათმობაა, რა დროს ზრდილობაა, შევარდი, შევარ-
დი, დანიელ, ეს დაფეხვილი ქალი როდის გამოეტევა!

აჰა, გამოვიდა, დანიელი ჭიშკარში შევარდა.

— Ну хорошо, братцы, не обижайтесь! — თქვა ბესამ
და მილიციელებს ზურგი აქცია.

ბესა რომ შოკოლადით, ტორტითა და ყვავილებით გა-
მოჩნდა, დანიელს გულსიცმება აუჩქარდა, „ოლონდ ღმერ-
თი შეენიოს“, „ოლონდ ღმერთი შეენიოს“ — ფიქრობდა.
მერე სუნთქვაშეკრული შესცქეროდა, ბესა როგორ ემუ-
საიფებოდა ჩასუქებულ, ლოყებლაჟღაჟა მილიციელს და
ღმერთს დახმარებას შესთხოვდა. მილიციელმა რომ ფუ-
ლი ჯიბეში ჩაიღო, დანიელს გულს მოეშვა, „რახან ფული
აიღო, ჩვენია“, „ფული ყველაფერს აწესრიგებს“. თითქოს
სულში მზე ჩაუდგა დანიელს, აი, ბესა ჭიშკრისკენ შებ-
რუნდა, ნაბიჯიც გადადგა და დანიელმა კარგად დაინახა,
თუ როგორ გამოენთო მეორე მილიციელი ბესასკენ. „ბე-
სას გლახა დღეში ჩააგდებენ, ბესას არაფერი სწიონ“. შემ-
ფოთდა დანიელი და რკინის დაბალ ლოხეს გადააღაჯა,
მილიციელის კვალში ჩადგა, მიდიოდა იმისთვის, რომ ბე-
სას მიშველებოდა, თუ ბესას რამეს დაუპირებდნენ, გვერ-
დში ამოდგომოდა, მაგრამ მილიციელს რომ წამოენია, ხუ-
თიოდე ნაბიჯით უკან რომ მიჰყვებოდა, მამინ გაუელვა
აზრმა, „ბესა თავს მოუვლის“, „ბესა ივარგებს, ეს კი ის
არი, რასაც ვფიქრობდი, გამჩენო შემენიე“, „ხუმა ლეყეზ-
რათი, აღონაი თეშუყათი, ხუშა...“ * მილიციელი ბესას მი-
ენტო, დანიელმა კი მარჯვნივ აიღო გეზი, ჭიშკრისაკენ,
რამდენი ნაბიჯი დარჩა ჭიშკრამდე?.. აჰა, კიდევ სამი ნა-

* გამოეშურე ჩემს საშველად ღმერთო!

ბიჯი გადადგა, რამდენილა დარჩა? იღბალი! საელჩოს ჭიშკრიდან მოხუცი ქალი გამოდის, ჯოხს დაყრდნობილი ძლივს მოაბიჯებს... დაეტიონ რა, სახლში, სად დადიან! სამი ნაბიჯი, ორი, აჰა, ეს ქალი კი ძლივს მოდის. დანიელი შედგა, ქალს გაულიმა („გამო, ქალო, გამო!“) ქალმა თავი დაუკრა და დააცქერდა, ნაცნობი მილიციელმა კიდევ დაინახოს, ველარაფერს მოასწრებს, დანიელი უცებ შევარდება ჭიშკარში. აჰა, ეს დედაკაცი გამოეცია, გამოვიდა, დანიელმა საელჩოს ჭიშკარი გაიარა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა თუ არა, მწვანედ შეღებილი სკამი დაინახა. სკამი ხის ჩრდილში იდგა. მივიდა და ზედ დაეშვა. აქედან კარგად ჩანდა: ტროტუარზე ბესა როგორ ელაპარაკებოდა მილიციელებს, ისიც დაინახა დანიელმა, როგორ გაეცალა ბესა მილიციელებს.

„ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა“, — გაიფიქრა თუ არა, თეთრი, ქათქათა მანქანა საელჩოს ეზოში შემოსვრილდა. დანიელი ფეხზე წამოიჭრა.

მანქანიდან ვილაც გადმოვიდა, სადარბაზოსაკენ გაემართა. დანიელი წამოენია.

— უკაცრავად, ელჩის ნახვა სად შეიძლება? — ჰკითხა დანიელმა.

იმ კაცმა თავიც არ მოატრიალა, დანიელს არც შემოხედა, ისე თქვა:

— აქ როგორ მოხვდით? ვინ ხართ?

— ებრაელი. გასაჭირში ჩავარდნილი ებრაელი.

დანიელს სათქმელი მომზადებული ჰქონდა: უნდა ეამბნა ქართველი ებრაელობის ისტორია, გაეცნო მისი დაუოკებელი სურვილი ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისა და თხოვნა, ეს წერილები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ისრაელში, პრემიერ-მინისტრ — გოლდა მეირთან გადაგზავნეთო, მაგრამ ეს უჟმური კაცი ვინ იყო, არ იცოდა და ფიქრობდა, ვუთხრა, თუ არაო. ელჩმა უცნაურ კაცს ყოყმანი რომ შეატყო, მოტრიალდა, სათვალე შეისწორა და იკითხა:

— საიდან ხართ?

— საქართველოდან. დახმარებას ვეძებთ.

— ელჩი მე ვარ, მომყევით!

სადარბაზოში შევიდნენ. კართან მდგომ ორ კაცს ელჩმა უთხრა, ეს კაცი ჩემთან მოიყვანეთო. ის კაცები დანიელს ეცნენ, მთელ სხეულზე ხელებს უფათურებდნენ, კარგად გასინჯეს და ელჩის კარებამდე მიაცილეს.

* * *

კარგა ხნის შემდეგ მეტროსთან მდგომი მოქანცული ბესას წინ ჰოლანდიის საელჩოს ლიმუზინი გაჩერდა. ბესამ კარგად გაიგონა ვილაცის დაძახილი „ბენციონ ბენ აბრამ!“ ბესამ მიმოიხედა, ნაცნობი ვერავინ დაინახა. „ბენციონ აბრამი“. ხმა ძალიან ნაცნობი იყო, დამძახებულს კი ვერ ხედავდა. „ბესა, მომხედე, შე კაცო!“ მანქანიდან ეძახდნენ. ბესამ თვალებს არ დაუჯერა: ლიმუზინიდან დანიელი ეძახდა: „ე, ბიჭო, დაჯექი, გაფრინდა თვითმფრინავი და ეს არი!“

— რა იყო დანიელ, ასე უცებ ნახვედი ისრაელში? — ბესას სიხარული დაეუფლა — აი, ასეთი იქნება ჩვენი ხვალის დელი დლეო, გაიფიქრა.

ბესა ჩაჯდა და მანქანა აეროპორტისაკენ გაემართა.



ვანო ჩხიკვაძე

მდინარეები

*ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტს
მეუფე თადეოზს*

ლიახვო, ვნახე შენი ძმა,
შენსავით ჰკებნდა ორგული —
რუხის ციხესთან ენგური —
სიმგანყვეტილი ჩონგური.

გულში გჭირს, გულში მდულარე,
ქსანო, გამშრალო დედილო,
მუხრანთან გავაკებულო,
ჯავრისგან ხმაგაკმენდილო.
არაგვო, ჰოი, არაგვო,
ცეცხლო, კალმახის ფრთიანო,
ბედნიერი ხარ,
ჯერ კიდევ
საქართველოსი გქვიანო.

სიონის ბაზრობა

*დამისხი, ფშავლის დედაკაცო, შენი არაყი.
ბესიკ ხარანაული*

აბა, უფასოდ, ჭიქა არაყს ვილა დაგისხამს,
ვინ მოგიქარგავს ლიმოლის მაქმანს.
კარგა ხანია აჰყვა ფეხის ხმას —
ევროპის გზები აქაურმა დიაცმაც დაქნა.

გულგანვრილებულს თვალი გზისკენ გაუშტერდება,
მატყლის ბულულში ჩამდგარ საჩეჩელს,
ამ სინამდვილეს,
დედაბოძად ნაკურთხ ბერდედას,
უცხო სიზმრები გადააჩვევენ.

მთვრალი ლუხუმი, ფეხიფეხზე გადადებული,
ცერად შეჰყურებს სერიალის ვნებიან ხარჭას.
ბინძურ დუქანში
ზის „ელემით“ დაელმებული
და დედაკაცის გამოგზავნილ ხელის ჭუჭყს ხარჯავს.

აჰკრავს აღმური ტყეს — ხვიარას დალაღებინას,
გაუტვინდება შემოდგომის აჩახჩახებას.
გავა ზაფხული.
ეს დახლებიც ალაგდებიან
და ყველაფერი წვიმებსა და ნისლებს დარჩებათ...

დამისხი! —
აღარც გვიანია,
აღარც ადრეა,
გაალიცლიცე
— კაცის თვალი იცი, ხარბია,
ოლონდ მითხარი,
ღვთის წყრომაა თუ ღვთის მადლია —
ღრუბლები მაინც საით გარბიან?

* * *
გაზაფხული რომ მახარე,
კუდმაკრატელა მერცხალო,
რა კარგად შემომჭყიპინე —
ამ ქვეყანაზე მეც ვარო.

დრო მოვა, მკერდზე დავიფენ
თეთრი არაგვის ყოილსა —
იმ გაზაფხულზე მოვკვდები
შენ რომ ჭიკჭიკით მოიყვან.

მზესუმზირა

მეგონა ჩიტმა გამომალვიძა,
თურმე აგვისტოს მზესუმზირა
მიხმობს ბალიდან.

დილის მზესავით მორცხვად მილიმის,
თანაც ისეთი საქორწინო
ადგას გვირგვინი.
ისე ნარნარებს ცისკრის ნიაგზე,
ფეხისწვერებზე როცა აინევს.
ვიცი, ამაღამ,
სოფლის ღარიბ ეკლესიაში
გავიპარებით და ჯვარს დავინერთ.

ნატირალი

მომკვდარა მიხა არაბული —
სანოლს მიჯაჭვული ამირანი.

ავი წუთისოფლის ქარაფიდან,
ბოლოს აინყვიტა, გადაფრინდა.

ვაჰმე, რამდენ ხანს იჭიდავა,
ცოდვით გულმოკლული იტირებდი.
ყურშავ, ეხლა ლოკე ეგ ჯაჭვი და,
ყორანო კორტნე კლდისპირები.
მაინც ერთგულებდა სალოცავ მთას,
ტანჯვით თანასწორი ამირანთან,
აქ თუ სამეგობრო დაცოტავდა,
საძმო იმ სოფელში გამიმრავლდა.

ძველი ალბომიდან შემომცინებს,
დღეები ფორიაქით ჩავლილი —
ხსოვნაში ჩარჩენილი სტუდენტობა —
რვეულში ჩამჭკნარი ყვავილი.

მომკვდარა მიხა არაბული...

* * *

საქართველოსთვის აღარ იდარა.
განყდა სიმები.
მოკვდა გიტარა.

ჩიხტიკოპიან დების სიმღერამ,
გედივით ყელი ვერ მოიღერა.

აკაკის ჩანგი.
კვნესის ჭაღარა.
გულმა ვარამი ველარ დამალა.

ნოემბრის მინდვრებს — შეჰკრა კამარა,
ქარმა ყვავები გადააყარა.

მხოლოდ მე ერთმა ვიცი, ვინა ხარ,
კვლავ აუხდენელ ნატვრად გინახავ.
ჩიტი ეკალზე გამობმულიყო,
და მაინც სტვენდა — სად ხარ, სულიყო.

ვაიმე, როგორ გამომილამდა.
აღარც კი მახსოვს, რატომ მიყვარდა.

სული თანდათან ამოიქარა,
განყდა სიმები.
მოკვდა გიტარა.

1991

მახსოვს ოცდაერთის ღამე,
ცივი დეკემბერის სუნთქვა,
როგორც ინფარქტიან დედის
ხელი მიტანილი გულთან.

მალე დაეთმოა სცენა
ტყვიის სერპანტინის ჭახჭახს,
მხოლოდ რეჟისორი არ ჩანს —
ვინც ეს ტრაგედია დადგა.

მორჩა, საქართველო „დადგა“,
მორჩა, „მოხსნილია ბანკი.“

ხალხი გატუტუცდა აბდალ,
მხატვარ კიტოვანის ჯანყით.
კალის თოჯინების ამქარს
ვილაც უხილავი მართავს.
სისხლში შეღებილი თოვა,
ბოლმით დაკოდილი ბულა —
ბოლოს პანაშვიდზე მოვა,
რა ქნას, პანაშვიდი უყვარს.

მახსოვს კინოს სახლთან ჯოგი
(ახლაც ცოცხალია ზოგი).

მწერალ-ხელოვანთა გუნდი
თანამგრძნობელია ბუნტის.

ბოლო საახალწლო დუბლი —
დათვი ჩვენს იმედებს ბუბნის.
უკვე არაფერი არ ღირს,
არ ღირს არც აკაკის ფურთხად.
ხალხი? სადღა არის ხალხი —
ლაფში გადაყრილი ხურდა.

რა ვქნათ, ასე არის პიპა,
ჩვენ თავს ჩვენი ხელით ვთიბავთ...

მახსოვს, იმ დეკემბრის ელდა
(ახლაც ნაცარტუტი მთუთქავს) —
როგორც ინფარქტიან დედის
ხელი მიტანილი გულთან.

იპოლი

იოსებ კეჭალმაძეს

დღეს ღვთის წყალობას კუპრში მიცვლიან,
ჩამქრალა სული ქედმოუხრელი,
აბა, სადღაა, ძმაო, ტიცვიან,
ან საქართველო, ანდა უღელი.

ვინ გადარჩება ძველი მოდგმიდან,
უცხო ყიჟინით როცა მოქრიაან —
ჩვენ ვართ ობლები.
ყველას მოგვიკლეს
დედა, რომელსაც სამშობლო ჰქვია.

* * *

ბალიშზე შენი თმის ხელეური
დაფენილია მზის ნამცეცეებად.
გარეთ კი, გარეთ წვეთი ხმაურობს,
წვეთი, რომელიც ჩემს გულს ეცემა.

ერთი ხარ, მაგრამ ბევრში დაგეძებ,
მთელი სიცოცხლე ვდგავარ ლადარში.
ნუ წამაქეზებ,
როცა ბაგეზე
ძილში ჩაყოლილ ღიმილს გადაშლი.
თავს შეაფარებს წვიმა აივნებს,
მეც მასთან ერთად შეგეხიზნები,

ფანჯრის რაფაზე როცა გავივლით,
ნუ შეკრთებიან შენი სიზმრები.
სიყვარულს გზა-კვალს ვერც მე ავურევ —
ვინ გაჰქცევია ფხიზელ მეძებარს...
არაფერია,
წვეთი ხმაურობს,
წვეთი, რომელიც ჩემს გულს ეცემა.

სახინკლე

რაფიელ მამულაშვილს

გახსნეს სახინკლე როცა „ელდეპო“,
ვისროლეთ რითმაც — დანიელ დეფო.

გარეთ ფიფქები ცერად მოჰქრიაან —
ჩვენც გამოვნახეთ დრო შესაფერი —
შიგნით სახინკლე საინს ორთქლიანს
ჭორფლავს პილპილის შავი ნამქერი.

კათხა პირველი,
კათხა მეორე,
გულის ჯიბეში მღერის „სტალიჩნი“,
მთვრალის ყაყანი, შფოთი, ღრეობა
და დახლიდარის დახლთან ჩალიჩი.

ამბობ —
ვინც ქვეყნად აღარ არიან,
არ დავამადლოთ პურზე წვეთები.
ამბობ —
ცხოვრება რომ ბორბალია,
გარბის, ტრიალებს და ვერ ვენევით.

მათლავას ცხიმი მოავარაყებს,
უკვე დრო არის, ავლაგდეთ, მოვრჩეთ —
გამოილევა ბოთლში არაყი
და დახლიდარიც ჩამოჰყრის კოჭებს.

წავედით, კარიც გავიჯახუნეთ
(ძირს დაენარცხა ლოლოს საყურე).

მივდივართ, ვანგლობთ —
ნეტავ „ელდეპო“,
მოენონება დანიელ დეფოს?

მოგვდევს სიანცე რალაც ბავშვური,
როცა ვაგონი ხიდზე დგანდგართ
მოდის, გავრბივართ თოვლის ხრაშუნით,
ცოტა შემთვრალი, ცოტა გამთბარი...

ვერ დავუფასე წარსულს ამაგი,
ველარ შევალე დღემდე ის კარი,
გახმა ლავაში „ლულა-ქაბაბით“,
ხელიდან გასხლტა ცხელი ხინკალი.
ჩამოიწურა ლუდის ქაფივით
ძუნწი ცხოვრება,
ეს სატიალე.
შენ აღარა ხარ, ჩემო რაფიელ,
მაგრამ ბორბალი ისევ ტრიალებს.

ბიჭები

*ჩვენა ვართ ძველი დროის ბიჭები.
გიზო თავაძე*

დიახ, ჩვენა ვართ ძველი ბიჭები,
მარადიული ჯავრის ხიჭვებით,

დაფლეთილია ჩვენი გულები,
დაღეჭილია ჩვენი ნერვები.
აქ თუ ვიღვეით,
გადარგულები,
სასაფლაოზე მაინც ვბევერდებით.

ჩვენ მეოცედან მოგვდევს ზურგქარი,
არც ვინმეს მონა,
არც ცხვრის ფარა ვართ.
მაინც მოვდივართ, თუმცა მუქარა,
გზის ყაჩაღივით მოსდევს ქარავანს.

ჩვენ ვართ ბიჭები ძველი დროიდან,
ისე სუფთები, ვით მთის ბროლი და,

ვინც დააჩოქა ხარი ნიქარა,
ვიციო, სუყველას თვალწინ მიჰქარა...

დიახ, ჩვენა ვართ ძველი ბიჭები,
მარადიული ჯავრის ხიჭვებით.

როგორც აქამდე, ისე ილოცებს,
გული ერთგული და უღალატო.
და მივაცილებთ ჩვენ წილ სიცოცხლეს —
ერთგულებაში დაღლილ ქალბატონს.

* * *

უძლებ, ჯერჯერობით უძლებ,
ათას გაღლეტილს და უძლებს.

უძლებ ნაირნაირ ურცხვებს,
უძლებ წითლებსა და ლურჯებს.

ზოგი ბარიკადის აქეთ,
ზოგიც ბარიკადის იქით.
ბოლმით გაგუდული ტიპი,
მოგვდევს კამეჩივით ჯიპით.

მოდის ახალი და ძველი
შენი იმედების მკვლელი.

ვითომ ბარიკადის აქეთ,
ვითომ ბარიკადის იქით,
კინძავს „დაუვიწყარ“ ლაქებს,
ჩვენი მახსოვრობის წიგნი.

როგორ ველოდებით იმ წელს...
თუკი გადავურჩით ამ წელს...

ვხედავ, სალიახვოს ხიზნებს —
შავად ჩამოძაძულ ანწლებს.

ვუძლებთ, ჯერჯერობით ვუძლებთ,
ცხვირმოუხოცავებს, წუნკებს.
გულში ჩაგიკრავდი, მაგრამ
ცრემლით ამევესება უბე...

კენესის მორღვეული ფუძე.
უძლებ, ჯერჯერობით უძლებ.

ბორის ციხე

*გამოვვარდები, ხარ თუ აღარა.
გიორგი ლეონიძე*

მოულოდნელად შემომეფეთე,
ამონვერილო ჩემი ფიქრიდან.
ჯავრი და სევდა ქართლის მეფეთა
ციხის აჩრდილზე ამოიტვიფრა.
ათასი წლის წინ აქ ჩავეკირე,
ათას წლის შემდეგ მაინც აქა ვარ,
ფერფლი და ჟანგი ჩემი მკერდიდან
დროის გრიგალმა ვერ გადაგავა.

ხარ თუ აღარა —
რომ არ ბერდება,
ჩემი თანმდევი, ძველი შიში მჭამს.
სათოფურებით დაჭრილ კედლებთან
დავიჩოქები და პულსს გისინჯავ.

გამოიღვიძე —
ნამზე აკოცა,
ფრთების შრიალმა, ბალახს, ბიბინას —
ნეტავ აღდგომის მახარობელმა
მერცხალმა ხომ არ გადაიფრინა?

ქველი მოტივი

ვაჟა ქაცანაშვილს

მე რალა მინდა ამ აჩრდილებთან,
დულს და გადმოდულს კვლავ კუპრის ქვაბი.
უფალმა, როგორც ერთხელ ინება,
იორი ისევ თავდაღმა გარბის.

გარბის იორი —
ამაყი ბალღი,
რომ წყალსაცავში თავი დაიხრჩოს.
გავუშლი მკლავებს ამღვრეულ ტალღებს,
თვითმკვლელობას რომ გადავარჩინო.

გესმის სიმღერა?
რით ვანუგეშო,
ეს მომაკვდავი მწუხრი — გედია.
როგორც გემები ნაცნობ ყურეში,
მთები საღამოს ჩრდილში შედიან.

მიშელ უელბეკი 1958 წელს დაიბადა ლა რეუნიონის ფრანგულ კუნძულზე, მადაგასკართან ახლოს. როგორც მისი ოფიციალური ვებსაიტიდან ვიგებთ, მშობლებმა „მალე დაივიწყეს მისი არსებობა“. ბავშვობის სურათები არ გააჩნია. ექვს წლამდე დედის მშობლებთან იზრდებოდა ალჟირში, მერე კი მამის მშობლებთან ცხოვრობდა ჩრდილოეთ საფრანგეთში. იყო პერიოდი, როდესაც უმუშევრობისა და დეპრესიის შედეგად უელბეკს რამდენჯერმე დასჭირდა ფსიქიატრთა დახმარება, მაგრამ ამის შემდეგ საფრანგეთის ეროვნულ ასამბლეაში დაიწყო მუშაობა ტექნიკურ მენეჯერად.

36 წლისა იყო, როდესაც მისი პირველი რომანი „ბრძოლის ველის განვრცობა“ გამოიცა (1994). შემდეგმა ნაწარმოებმა, „ელემენტარული ნაწილაკები“, რომელიც 1998 წელს გამოქვეყნდა, უელბეკს საყოველთაო აღიარება მოუტანა. მის გამოჩენას შედეგად ცხარე კამათი მოჰყვა: უელბეკი ქებას იმსახურებდა, როგორც ბალზაკის ტრადიციის მიმდევარი რეალისტი, თუ ძაგებას, როგორც უპასუხისმგებლო ნიჰილისტი?!

2001 წელს გამოდის მისი შემდეგი ნაწარმოები „პლატფორმა“. ამავე წელს უელბეკს ისლამის კრიტიკის გამო რასისტული სიძულვილის პროვოცირებაში სდებენ ბრალს. 2005 წელს გამოიცა „კუნძულის შესაძლებლობანი“, უელბეკის მომდევნო რომანი.

უამრავი ლიტერატურული პრიზი აქვს მიღებული. პროზასთან ერთად პოეზიისა და ესეების რამდენიმე ტომიც გამოაქვეყნა. მის პოეზიაზე მუსიკაც იწერება. უელბეკი ორჯერაა გაყრილი და პირველი ქორწინებიდან ვაჟი ჰყავს. 2000 წლიდან ირლანდიის დასავლეთ სანაპიროზე ცხოვრობს.

მიშელ უელბეკი

გამოგონების სელოვნება

— ვინ იყვნენ თქვენი ლიტერატურული წინამორბედები?

— ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ბოდლერმა, ნიცშემ და შოპენჰაუერმა, დოსტოევსკიმ, უფრო მოგვიანებით კი — ბალზაკმა. მაგრამ ხანდახან ვფიქრობ, ბავშვობაში წაკითხულმა ნაწარმოებებმა უფრო დიდი გავლენა ხომ არ იქონია-მეთქი.

— მაგალითად რამ?

— საფრანგეთში ორი ავტორი ითვლება საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსად: ჟიულ ვერნი და ალექსანდრე დიუმა. მე ყოველთვის ჟიულ ვერნს ვანიჭებდი უპირატესობას. სამყაროს მისეული ხედვა მომწონდა. მაშინ თითქოს ყველაფერი მიანტერვებდა ამქვეყნად. უცნაური, მაგრამ ბოდლერი ძალიან ადრე წავიკითხე, ცამეტი წლისამ. მაგრამ პასკალმა ნამდვილად შოკური გავლენა იქონია. თხუთმეტი წლისა ვიყავი, გერმანიაში რომ წაგვიყვანეს სკოლიდან. რატომღაც პასკალის „აზრები“ ვიყიდე. ერთმა ფრაზამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა: „წარმოიდგინეთ ჯაჭვებით შებოჭილი, სიკვდილიმსჯილი ადამიანები, რომლებსაც ყოველდღე, სათითაოდ ხოცავენ სხვების თვალწინ. დანარჩენები ხედავენ რა მოელოთ, მწუხარებით შეჰყურებენ ერთმანეთს და სასონარკვეთილი ელიან თავიანთ რიგს. ეს არის ადამიანის არსებობის სურათი“. ალბათ ამ სიტყვებმა ამხელა შთაბეჭდილება იმიტირებდა მოახდინა, რომ პაპა-ბებიასთან ვიზრდებოდი. უცებ გავაცნობიერე, რომ ისინი შეიძლება მალე მომკვდარიყვნენ. მაშინ აღმოვაჩინე პირველად სიკვდილი.

ხშირად ვკითხულობ სამეცნიერო ფანტასტიკას. ხანდახან მჭირდება რეალობას მოვწყდე. საერთოდ თავს რეალისტად აღვიქვამ, რომელიც ცოტას აზვიადებს. სამეცნიერო ფანტასტიკამ ნამდვილად დიდი გავლენა იქონია ჩემზე, ეს ჩემს ნაწარმოებებშიც იგრძნობა. მაგრამ ფანტასტიკა რომ არა, შთაგონების ყველაზე დიდი წყარო ჩემთვის XIX საუკუნე იქნებოდა.

— კალვინიზმზე ხშირად საუბრობთ. ამის მიზეზი რა არის?

— მგონია, რომ ყოველ ადამიანში არსებობს კეთილი და ბოროტი და ეს პროპორცია არასოდეს იცვლება. ადამიანის მორალური ხასიათი ერთხელ ყალიბდება და უცვლელი რჩება. ეს კალვინის პრედესტინაციას ჰგავს, რომლის მიხედვით ადამიანების ბედი წინასწარ განსაზღვრულია და ამას ვერაფერს მოუხერხებ. ჩემში ეს ერთგვარ დისკომფორტს იწვევს, რადგან არ მინდა სამეცნიერო მეტოდებს გავემიჯნო, მაგრამ არც იმის მჯერა, რომ მეცნიერების მიღმა სიმართლე იმალება.

— პოეზიაზე რას ფიქრობთ?

— ვფიქრობ, მხოლოდ პოეზიას შეუძლია მართლაც დიდი გავლენა იქონიოს ადამიანზე. ერთი ლექსი შეიძლება იმდენჯერ წაიკითხო, სანამ ბოლოს და ბოლოს თავში ჩაგებეჭდებოდეს.

— თქვენ ერთხელ ასეთი რამ თქვით: „ჩემს ცხოვრებაში მუდმივია პოეზიისა და პროზის ჭიდილი. თუკი პოეტურ იმპულსს დაემორჩილები, ჩნდება საშიშროება, რომ შენს ნაწარმოებს ველაროვინ წაიკითხავს. თუკი არ დაემორჩილები, მაშინ მზად ხარ პატიოსანი „მეზღაპორი“ კარიერისათვის“.

— ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თხრობის მიმართ „ზომიერი ზიზილი“ მაქვს, რაც ნაწილობრივ მართალიცაა. მაგალითად, მომწონს აგატა კრისტი. თავიდან ის ემორჩილება ჟანრის პრინციპებს, მაგრამ მერე თანდათან ახერხებს, რომ ძალიან ინდივიდუალური შტრიხები შემოიტანოს. ვფიქრობ, მე ამის საწინააღმდეგოდ ვმოქმედებ. ჯერ დაუმორჩილებლობით ვიწყებ, სიუჟეტი არ გამაჩნია, მაგრამ მერე ჩემ თავს ვეუბნები, საჭიროა ამბის მოყოლა-მეთქი. ვცდილობ თავი ვმართო, მაგრამ არასოდეს ავერიდები ლამაზ ფრაგმენტებს მხოლოდ იმიტომ, რომ ამბავს არ მიესადაგება.

— 1998 წელს თქვენი მეორე, ახლა უკვე ცნობილი ნაწარმოები გამოქვეყნდა. რამ განაპირობა მისი შექმნა?

— 1982 წელს ალან ასპექტმა ექსპერიმენტი ჩაატარა. ეს იყო ლ-ის პარადოქსის დემონსტრირება: როდესაც ნაწილაკები ურთიერთქმედებენ, მათი ბედი სამუდამოდ უკავშირდება ერთმანეთს. როდესაც ერთ ნაწილაკზე ზემოქმედებ, შედეგი მაშინვე ვრცელდება მეორეზე, მაშინაც კი, თუ ეს ორი ნაწილაკი დიდი მანძილითაა დაშორებული. ამან ჩემზე ნამდვილად იმოქმედა — იმის გააზრე-

ბამ, რომ თუკი ორი რამ ერთხელ დაუკავშირდა ერთმანეთს, სამუდამოდაც ასე იქნება. ეს ფუნდამენტურ ცვლილებაზე მიანიშნებს ფილოსოფიაში. თავის დროზე რელიგიური რწმენები მატერიალიზმმა ჩაანაცვლა, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ მარტონი ვართ ამქვეყნად. მატერიალიზმს ადამიანის მოდგმა მარტივ ბიოლოგიაზე დაჰყავს. ადამიანი წარმავალია, მისი მოქმედებანი კი ისეთივე განსაზღვრული, როგორც ბილიარდის ბურთები. ეს ხედვა უარყო ლ-ის პარადოქსმა. ჩემი რომანის შექმნაც იმის ინტერესმა განაპირობა, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო შემდეგი მეტაფიზიკური მუტაცია. ეს ნაკლებ დამთრგუნველია, ვიდრე მატერიალიზმი, რომელიც აშკარაა, ძალზე დამთრგუნველია.

— ყველაზე მეტად რის მიღწევას ცდილობდით ამ რომანით?

— მინდოდა, როგორც ინგლისელები ამბობენ, „გულის გამტეხი“ სცენები შემექმნა. ეს ისაა, რაც ყველაზე მეტად მიყვარს ლიტერატურაში. მაგალითად ძმები კარამაზოვების ბოლო გვერდები რომ ავილოთ: არათუ ვერ ვკითხულობ უცრემლოდ, ფიქრიც კი არ შემიძლია ამ მომენტებზე ისე, რომ არ ავტირდე. ლიტერატურაში ყველაზე მეტად ამას ვაფასებ, როცა ნაწარმოებს შეუძლია აგაქეთინოს. ჩემთვის ორი საუკეთესო კომპლიმენტი არსებობს: „ამატირა“ და „მთელი ღამე ვკითხულობდი, ვერ გავჩერდი“.

— ამბობენ, რომ მემარჯვენე ხართ, რადგან „ელემენტარულ ნაწილაკებში“ თითქოს 60-იანი წლების ლიბერალიზმის წინააღმდეგ გამოდიხართ. ასეთ ინტერპრეტაციაზე რას იტყვი?

— მთავარი ისაა, რომ ფუნდამენტურ სოციალურ ცვლილებებს ვერაფრით შევინააღმდეგები. სამწუხაროა, რომ ოჯახური ერთიანობა ქრება. ეს ადამიანის ტანჯვას კიდევ უფრო ამძაფრებს. მაგრამ ჩვენ აქ უძლურნი ვართ. ჩემსა და რეაქციონერს შორის განსხვავება ისაა, რომ მე არ ვცდილობ საათი უკუღმა დავატრიალო, რადგან ვიცი, რომ ეს შეუძლებელია. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ დავაკვირდეთ და განვსაჯოთ. ყოველთვის მომწონდა ბალზაკის ფრაზა, რომანის მთავარი მიზანია აჩვენოს ის საშინელებანი, რაც ღირებულებათა ცვლილებას შეიძლება მოჰყვესო. ბალზაკი აზვიადებს, მაგრამ ამას ძალიან შთამბეჭდავად აკეთებს. მე კი იმ კატასტროფის ჩვენებას ვცდილობ, რაც ღირებულებათა ლიბერალიზაციას მოჰყვა შედეგად.

— თქვენ წერთ, რომ „არა მარტო რელიგიური ათეისტი ხართ, არამედ პოლიტიკურიც“? რას გულისხმობთ?

— არა მგონია, რომ პოლიტიკა დიდ გავლენას ახდენდეს ისტორიის მსვლელობაზე. მგონია, რომ ძირითად როლს ტექნოლოგიები და ხანდახან, მაგრამ არა ხშირად, რელიგია ასრულებს. არა მჯერა, რომ პოლიტიკოსებს შეიძლება მართლა ჰქონდეთ ისტორიული მნიშვნელობა, გარდა ისეთი გამონაკლისებისა, როგორც, მაგალითად, ნაპოლეონის მიერ გამონეწეული ძვრები გახლდათ. არც იმის მჯერა, რომ ინდივიდუალურმა ფსიქოლოგიამ შეიძლება რაიმე გავლენა იქონიოს საზოგადოებრივ მოძრაობებზე. ამ რწმენის გამო-

ხატულებას ჩემს ყველა რომანში შეხვდებით. ამ დილით ვიღაცას ვესაუბრებოდი ბელგიაზე, ქვეყანაზე, რომელიც საერთოდ არ ფუნქციონირებს. ფსიქოლოგიური თვალთახედვიდან ვერც ვერავინ ხვდება ამის მიზეზს, რადგან ბელგიელებს თვითონ სურთ, რომ ქვეყანამ იარსებოს. მაგრამ ეს არაფერს ცვლის. ქვეყანა თანდათან გაქრება. ეს მაფიქრებინებს, რომ არსებობს ძლიერი სოციოლოგიური ძალები, რომელიც მოქმედებს, მაგრამ არ ჩანს და რომელიც ინდივიდუალური ფსიქოლოგიით ვერ აიხსნება.

— „ელემენტარული ნაწილაკები“ არის რომანი, რომელმაც აიძულა კრიტიკოსები ყურადღება გაემახვილებინათ თქვენს ბიოგრაფიაზე, რადგან პერსონაჟებს თქვენთან ბევრი საერთო აქვთ. თქვენ კი გაღიზიანებთ, რომ ყველაფერი მხოლოდ ბიოგრაფიამდე დაჰყავთ.

— ეს ნამდვილად გამაღიზიანებელია, რადგან უარყოფს მხატვრული ლიტერატურის მთავარ თვისებას, კერძოდ იმას, რომ პერსონაჟები თავისით ვითარდებიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მწერალი მხოლოდ იწყებს თხრობას გარკვეულ რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით, და შემდეგ ყველაფერი თავისით მიდის. რაც შორს მიდიხარ, მით უფრო შორს რჩება რეალობა. საკუთარ თავგადასავალს ვერ მოყვები, მხოლოდ მისი ელემენტები შეიძლება გამოიყენო, მაგრამ ნურც კი ეცდები იმის განსაზღვრას, რას მოიმოქმედებს პერსონაჟი 100 გვერდის შემდეგ. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგიძლია, ისაა, რომ, ვთქვათ, პერსონაჟები შენი ლიტერატურული გემოვნებით შექმნა.

„პარიზ რივიუ“ №194, 2010

ინტერვიუ
სუსანა ჰანევიტაი

ინგლისურიდან თარგმნა
ნინო ზუპაშვილი



მიხელ უელბეკი

მაია დიასამიძე

თომას მორი — პოლიტიკოსთა მფარველი წმინდანი

2000 წლის 4 ნოემბერს რომის პაპმა იოანე-პავლე მეორემ ცნობილი ინგლისელი მოაზროვნე — თომას მორი — პოლიტიკოსთა და სახელმწიფო მოღვაწეთა მფარველ წმინდანად გამოაცხადა.

კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარმა შემთხვევით როდი შეაჩერა არჩევანი XVI ს-ის ცნობილ ჰუმანისტსა და სახელმწიფო მოღვაწეზე, რომელმაც თავი შესწირა ღმერთისა და ხალხის სამსახურს. თომას მორის ცხოვრება ხომ წარმოადგენს მაგალითს იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს და იღვანოს პოლიტიკოსმა თავისი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

საქართველოს უახლეს ისტორიაში, სულ ათიოდე წლის წინათ, პოლიტიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის დანიშნულებაზე განსაკუთრებულად დამახინჯებული შეხედულება არსებობდა. პოლიტიკოსობა სურდა ყველას, რადგან ეს პროფესია მატერიალურ კეთილდღეობასთან იყო გაიგივებული. პოლიტიკაში დასაქმებულ ადამიანთა უმრავლესობა ფუფუნებასა და განცხრობაში ცხოვრობდა. პრივილეგიებითა და კეთილდღეობით მხოლოდ სახელმწიფოს სათავეში მოქცეული ადამიანები სარგებლობდნენ, რომლებიც არაფრად დაგიდევდნენ უბრალო მოკვდავთა გასაჭირსა და პრობლემებს. დეპუტატისა თუ თანამდებობის პირის სავარძლის ხელში ჩასაგდებად ყველა გზა იყო მისაღები. გაუგონარი კორუფცია და მექრთამეობა ქმნიდა ვითარებას, როდესაც ფულით ნებისმიერი უკანონო ქმედების გამართლება და დამკვიდრება იყო შესაძლებელი. სამწუხაროდ, არც ამჟამად შეცვლილა მდგომარეობა ამ თვალსაზრისით.

თუ გვინდა, რომ საქართველო სახელმწიფოდ იქცეს, ამგვარი მიდგომები ძირფესვიანად უნდა აღმოიფხვრას. უნდა შეიცვალოს პოლიტიკოსთა და სახელმწიფო მოღვაწეთა დამოკიდებულება საკუთარი უფლება-მოვალეობებისადმი, ახლებურად უნდა იქნეს გააზრებული ის მისია, რომელსაც ღმერთი სახელმწიფოს სათავეში მოსულ ადამიანებს აკისრებს.

ამ საკითხთა ახლებურ გააზრებას გვთავაზობს რომის პაპი იოანე-პავლე II თავის მიმართვაში პოლიტიკოსთა და სახელმწიფო მოღვაწეთა მიმართ, რომელიც წაკითხულ იქნა რომში 2000 წლის 4 ნოემბერს მსოფლიოს პოლიტიკოსთა შეკრებაზე.¹

მიმართვაში რომის პაპი პოლიტიკოსებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს მისაბამ მაგალითად სთავაზობს თომას მორს, უდიდეს მოაზროვნესა და მოღვაწეს, და სთხოვს თავიანთი პოლიტიკური საქმიანობა წარმართონ სხვებისადმი მსახურების სულისკვეთებით, ისე როგორც ამას აკეთებდა თავისი დროის ეს უდიდესი მოაზროვნე და ჰუმანისტი.

თომას მორის — მეცნიერის, იურისტის, პოეტისა და სახელმწიფო მოღვაწის — ცხოვრება არაერთხელ გამხდარა მეცნიერთა ინტერესის საგანი. ამჯერად გვსურს კიდევ ერთხელ წარმოვაჩინოთ ამ უდიდესი მოაზროვნისა და სახელმწიფო მოღვაწის პიროვნება, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა მაგალითად უნდა იქცეს პოლიტიკით დაკავებული თითოეული ადამიანისათვის.

თომას მორის პიროვნების ჩამოყალიბება ევროპული რენესანსის ეპოქაში მოხდა, მაშინ, როცა გაჩნდა ჰუმანისტური იდეები სამყაროს განვითარების შესახებ. სწორედ ეს იდეები იქცა მამოძრავებელ ძალად, რომელმაც ხელი შეუწყო თომას მორის ხასიათის ჩამოყალიბებას.²

თავის ნაწარმოებებში მან შექმნა სახელმწიფო ხელისუფლების სრულიად ახალი — დემოკრატიული სისტემა, რომელსაც საფუძვლად ედო ჰუმანისტურ სანციებზე დაფუძნებული სამართლებრივი საკითხები.

თომას მორი თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი პიროვნება გახლდათ, რომელსაც ღრმად ჰქონდა შესწავლილი ფილოსოფიური, პოლიტიკური, ისტორიული, სამართლებრივი და ანტიკური მეცნიერების მიღწევები. საგანგებოდ იკვლევდა მრავალი ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიასა და წყობას. განსაკუთრებული გულისყურით სწავლობდა თეოლოგიურ ლიტერატურასა და ქრისტიან მამათა ცხოვრებებს.

კრიტიკულ დამოკიდებულებას მის გარშემო არსებული სამყაროსადმი უკვე 25 წლისა გამოხატავდა.

პირველ ნაწარმოებებში — ეპიგრამებსა თუ ლექსებში — ოცნებობდა ადამიანთა შორის კეთილ დამოკიდებულებაზე, რაც იდეალური სახელმწიფოს საფუძველი უნდა გამხდარიყო.

მაგრამ მას შემდეგ, რაც მიხვდა, რომ მის მიერ წარმოსახულ სამყაროსა და არსებულ რეალობას შორის უდიდესი ზღვარი არსებობდა, გადანწყვიტა უარი ეთქვა ყველაფერზე და ეკლესიის სამსახურში ჩამდგარიყო. მაგრამ მამის დაჟინებული მოთხოვნით და სხვა გარემოებათა გამოც, იძულებული გახდა გაეგრძელებინა თავისი საქმიანობა იურისპრუდენციასა და პოლიტიკაში.

1504 წელს პირველად აირჩიეს თემთა პალატაში ჰენრი VII-ის დროს, მეორედ 1510 წელს ჰენრი VIII-ის დროს, მოგვიანებით ლონდონის შერიფის თანაშემწეა და მოსამართლე სამოქალაქო საქმეებში. ამ თანამდებობაზე შვიდი წელი დაჰყო და მოიხვეჭა სამართლიანი და ჰუმანური მოსამართლის სახელი. იგი ყოველთვის დაჩაგრულთა ინტერესებს იცავდა, რისთვისაც ერაზმ როტერდამელმა „ყველა გაჭირვებულის მფარველი“ უწოდა.³

იურიდიული პრაქტიკით მიღებული გამოცდილება და საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ღრმა ცოდნა დაეხმარა თომას მორს გარკვეულიყო იმ უსამართლობაში, რომელიც რეალურ სამყაროში არსებობდა, დაფიქრებულყო სახელმწიფოსა და საზოგადოების მოწყობაზე, იმაზე, თუ რა როლს უნდა ასრულებდეს სახელმწიფოს მმართველი ხალხის ცხოვრებაში, როგორი უნდა იყოს მისი დამოკიდებულება ხალხთან.

„მორს, როგორც პოლიტიკოსსა და ისტორიკოსს, დიდად აღეულებოდა საკითხი, როგორი უნდა იყოს სრულყოფილი მმართველი, რომელიც შესძლებს ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფას.“⁴

ეპიგრამაში „კარგი და ცუდი მმართველი“ თომას მორი განიხილავს ცუდ და კარგ მეფეს და მიიჩნევს, რომ მეფის პიროვნულ თვისებებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისთვის. მორის აზრით, კარგი მეფე მწყემსის ძალს ჰგავს, რომელიც იცავს თავის ფარას მგლებისაგან. ცუდი მეფე კი თვითონვეა მგელი, რომელიც საფრთხეს უქმნის მისსავე ფარას. **„იცით კეთილი მბრძანებელი როგორი არის? ნაგაზი გახლავთ ფარის დამცველი, განმდევნი მგლების. აბა, სიკეთეს მოკლებული მამ ვინღა არის? თავადვე მგელი.“**⁵

„ჰენრი VIII-ის გვირგვინეურთხევის დღისადმი მიძღვნილი მისალაოცი საგალობელი“⁶ განათლებული მონარქის მოქმედების პოლიტიკური პროგრამაა, რომელშიც განათლებული მონარქი ანუ ჰენრი VIII მორის ოპტიმისტურ იმედთა საფუძველია. სწორედ განსწავლული მონარქის მეშვეობით წარმოდგინა მას საზოგადოების გარდაქმნა ჰუმანისტური პრინციპების საფუძველზე.

ეპიგრამაში მორმა გააკრიტიკა მეფის განუზომელი ძალაუფლება და მის მიერ კანონთა უგულებელყოფა, ადამიანთა ჩაგვრა და დამცირება. ჰენრი VIII-ს გამეფების დროს მას ჯერ კიდევ სჯეროდა კეთილი მეფის, როგორც საყოველთაო სამართლიანობისა და ადამიანთა ინტერესების დამცველის.

მორის აზრით, მხოლოდ განსწავლულ მეფეს შეუძლია ჩამოიცილოს და დასაჯოს საძულველი მოხელეები და იზრუნოს საზოგადოების კეთილდღეობაზე.

თვითონ კი სახელმწიფო სამსახურში ჩადგა მხოლოდ ხალხის სამსახურისთვის. მოქალაქეობრივი თვითშეგნება აფიქრებინებდა, რომ სახელმწიფო მოღვაწის რანგში შეძლებდა ნაწილობრივ მაინც შეეცვალა სასიკეთოდ უბრალო ხალხის მდგომარეობა.⁷

მთავარი პრინციპი, რომლითაც ის თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა, იყო შემდეგი: „მოვალეობანი ღმერთის წინაშე, უფრო მაღლა დგას, ვიდრე მეფისადმი.“⁸

ეპიგრამაში „კეთილი მეფისა და ხალხის შესახებ“ მორი აღნიშნავს: **„მეფე თავია, ხოლო ხალხი კი — მისი სხვადასხვა ასო-ნაწილი. რამდენიცა ჰყავს მას მოქალაქე (ვინმეს მოკვეთა ხომ ძნელი არის), იმდენსვე ითვლის თავის სხეულზე გვირგვინოსანი ასოს და ნაწილს. მეფის ბრძანებას ემორჩილება ხალხი, რადგანაც მას მიაჩნია მეუფე თვისი, თავი და თავი, თავის სხეულზე აღმოცენებულ ყოველი ტანის.“**⁹

დიდ მოაზროვნეს გვირგვინოსანი მიაჩნდა სახელმწიფოს თითოეული მოქალაქის ჭკუა-გონების სიმბოლოდ, ხოლო ქვეშევრდომები კი მეფის სხეულის შემადგენელ ნაწილებად, რადგან ღრმად სწამდა, რომ მეფისა და ხალხის

ამგვარი ერთიანობა ქმნის ქვეყნის ნორმალური არსებობისთვის საჭირო პირობას.

„რიჩარდ III-ის ისტორიაში“ თომას მორი მსჯელობს კეთილი მეფის თაობაზე. რიჩარდ III-ის პიროვნების წარმოჩენით მორი გვიხატავს თუ როგორი არ უნდა იყოს ქვეყნის მმართველი.

მეფე-ტირანები, ხარბი ეკლესიის მსახურები, უპატიოსნო ადვოკატები და საზოგადოების სხვა წევრები მორისთვის ფეოდალური პოლიტიკური განუკითხაობის გამოხატულებაა.

რიჩარდ III-ის ისტორიაში მორი უპირისპირდება ტირანიას და მიაჩნია, რომ მხოლოდ მეფის კეთილი ნებით შეიძლება ამ მანკიერების აღმოფხვრა. მორიც, ისევე როგორც ერაზმ როტერდამელი, სრულყოფილი მეფის ჰუმანისტურ კონცეფციას ქადაგებდა.

ეპიგრამაში „როგორი სახელმწიფო მმართველობაა უკეთესი, „თომას მორი“ მეფის ერთპიროვნულ მმართველობასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს მმართველობის კოლექტიური ორგანოს — სენატს, რომელიც დამყარებულია დემოკრატიულ პრინციპებზე: **„გვირგვინოსნები იზადებიან, საბჭო კი არის ხალხის რჩეული. მეფე ბრმად მართავს, ხოლო სენატს კი აქვს საიმედო განსჯა, გაგება. სენატმა იცის რომ აწევს ვალი და ხალხისაგან არის წვეული მეფე კი ფიქრობს ქვეშევრდომებზე, რომ მისთვის შექმნა ხალხი განგება.“**¹⁰

მორის აზრით კეთილმა მმართველმა უპირველეს ყოვლისა თავის ქვეშევრდომთა კეთილდღეობისთვის უნდა იზრუნოს.

მორი თვლის რომ „ძალაუფლებას იძლევა ხალხი და მასვე ართმევს თავისი ნებით“. ამიტომ მეფე პასუხისმგებელი უნდა იყოს თავისი ხალხის წინაშე.

თომას მორი გამოირჩეოდა უდიდესი სიმპათიებით დემოკრატიული მმართველობისადმი. იგი პირუთვნელად აფასებდა ინგლისში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს მსიფლიოში მიმდინარე პროცესთა ფონზე.

1532 წლიდან დგება ტრაგიკული ხანა დიდი მოაზროვნის ცხოვრებაში. მკვეთრად შეიცვალა მეფის საეკლესიო პოლიტიკა. 1532-34 წლის საეკლესიო რეფორმით კათოლიკური ეკლესია მეფეს დაემორჩილა... თომას მორი არ შეეგუა მეფის ამ პოლიტიკას, რის გამოც ჰენრი VIII-მ იგი სიკვდილით დასაჯა.

1886 წელს ვატიკანმა იგი მოწამედ შერაცხა და გარდაცვალებიდან 400 წლის შემდეგ „კათოლიკური ეკლესიის წმინდანის“ სახელი მიაკუთვნა.

დასასრულ გთავაზობთ ჩვენს მიერ ინგლისურიდან თარგმნილ რომის პაპის იოანე-პავლე მეორის მიმართვას პოლიტიკოსებისადმი 2004 წლის 4 ნოემბერს რომში, რომელიც, ვიმედოვნებ, საგულისხმო გახდება პოლიტიკოსობის მსურველი ყველა ადამიანისათვის.



თომას მორი

მისი უწმინდესობის – რომის პაპის მიმართვა სახელმწიფოთა მეთაურების, პოლიტიკოსებისა და პარლამენტარებისადმი: 2000 წლის 4 ნოემბერი, რომი

1. უაღრესად მოხარული ვარ, მოგესალმოდეთ თქვენ, სახელოვანო სახელმწიფოთა მეთაურებო, პარლამენტის წევრებო და პოლიტიკოსებო, ქალბატონებო და ბატონებო, რომელნიც პასუხისმგებელნი ხართ ადამიანთა ცხოვრებაზე. მოგესალმებით და მადლობას ვუხდით სენატორ ნიკოლა მანჩინოს კეთილი სიტყვებისათვის, რომელიც მან ამ შეხვედრაზე თქვენი სახელით წარმოთქვა. უდიდეს მადლობას ვუხდით სენატორ ფრანსისკო კოსიგას, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი თომას მორის გამოცხადებას პოლიტიკოსთა და სახელმწიფო მოღვაწეთა მფარველ წმინდანად. მივესალმები სხვა გამორჩეულ მოღვაწეებსაც, მათ შორის მიხეილ გორბაჩოვს, რომელმაც მიმართა დღევანდელ შეკრებას. ჩემი განსაკუთრებული მოკითხვა აქ მყოფ სახელმწიფოთა მეთაურებს.

დღევანდელი შეხვედრა მაძლევს შესაძლებლობას თქვენთან ერთად ვიმსჯელო იმ მისიაზე, რომელიც ღმერთმა თავისი განგებით მოგანიჭათ თქვენ. ერთად ვიფიქროთ იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც ამ მისიას ახლავს თან. ის კი ითვალისწინებს ნამდვილ და ჭეშმარიტ მოწოდებას პოლიტიკოსადმი, რაც სინამდვილეში ნიშნავს ხალხის მართვას, კანონთა შექმნას და ხალხის საქმეების წარმართვას ყველა დონეზე. ყველა ერთად ვიფიქროთ პოლიტიკის არსზე, მის მიზნებსა და მოთხოვნებზე, რათა ვიმოქმედოთ როგორც ქრისტიანებმა, რომლებსაც გაცნობიერებული გვაქვს ჩვენი უპირატესობა და იმავდროულად შეგნებული გვაქვს ის რისკი და სიძნელეები, რომლებიც პოლიტიკას ახლავს თან.

2. პოლიტიკა ნიშნავს კანონიერ უფლებათა გამოყენებას **საყოველთაო კეთილდღეობის მისაღწევად**. საყოველთაო კეთილდღეობა კი ვატიკანის მეორე კრების მიხედვით ნიშნავს „ისეთი სოციალური პირობების შექმნას, როცა ცალკეულ ადამიანებს, ოჯახებს და ჯგუფებს შეეძლებათ მიაღწიონ სრულ წარმატებას“. (*Gaudium et Spes*, 74) აქედან გამომდინარე, პოლიტიკური საქმიანობა უნდა წარმოებდეს მსახურების სულისკვეთებით. ჩემი წინამორბედი პაპი პავლე VI სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „პოლიტიკა არის მოთხოვნილება იცხოვრო **ქრისტიანული განზრახვით ემსახურო სხვებს**“ (*Octagesima Adveniens*, 46).

ამიტომ ქრისტიანები, რომლებიც პოლიტიკაში ჩაერთვებიან, და ისინიც, ვისაც სურთ იმოქმედონ, როგორც ქრისტიანებმა, უნდა იღვანონ უანგაროდ. არ უნდა ეძიონ საკუთარი კეთილდღეობა, ან პირადი პარტიისა თუ პოლიტიკური ჯგუფისა, არამედ იზრუნონ ცალკეული და ყველა ადამიანის კეთილდღეობაზე, პირველ რიგში კი საზოგადოების ნაკლებად წარმატებულ წევრებზე.

ცხოვრებისეულ ბრძოლაში, რომელიც ხშირად სასტიკია და უღმობელი, არცთუ ისე ცოტანი არიან გათელილნი და გვერდზე გადაგდებულნი. მათ შორის არ უნდა დაგვაგინდეს ის პოლიტიკოსები, ვინც დღეს ციხეში არიან. მიმდინარე წლის 9 ივლისს ზოგიერთს ვესტუმრე საიუბილეო თარიღის მისალოცად. ამასთან დაკავშირებით, ვთხოვე ქვეყნების მეთაურებს, წინა წლების მსგავსად, იყონ გულისხმიერნი ციხეში მყოფთა მიმართ და გულთან მიიტანონ მათი გასაჭირი. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთ თხოვნით

მთელი მსოფლიოდან მომმართავენ, დღეს ხელმეორედ ვაყენებ ამ საკითხს თქვენს წინაშე და, დარწმუნებული ვარ, ეს სტიმულს მისცემს ციხეში მყოფთ განინმდნონ და გაითავისონ ჭეშმარიტი სამართლიანობის ღირებულებები.

სწორედ სამართლიანობა უნდა იყოს პოლიტიკურ ლიდერთა მთავარი საზრუნავი.

მაგრამ სამართლიანობა როდი მოიაზრებს იმას, რომ დავურიგოთ ყველას თანაბრად თავისი წილი, არამედ შევუქმნათ მოქალაქეებს საქმიანობის თანაბარი პირობები. მფარველობა გავუწიოთ მათ, ვინც სოციალური სტატუსის, განათლების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, შეიძლება აღმოჩნდეს საზოგადოების უმდაბლეს ფენებში ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის პერსპექტივის გარეშე.

დღეს მდიდარი საზოგადოება სამარცხვინო მდგომარეობაშია, სადაც მდიდარი კიდევ უფრო მდიდრდება (რადგან სიმდიდრე შობს კიდევ უფრო მეტ სიმდიდრეს) და ღარიბი კიდევ უფრო ღარიბდება (რადგან სიღარიბე შობს კიდევ უფრო მეტ სიღარიბეს).

მაგრამ ეს ცალკეული ერების სირცხვილი როდია. არის ასპექტები, რომლებიც სცილდება მათ სახელმწიფოთა ფარგლებს.

დღეს, როდესაც აშკარაა ბაზრების გლობალიზაცია, მდიდარ და განვითარებულ ქვეყნებს ეძლევათ შესაძლებლობა კიდევ უფრო გაიუფლებონ ეკონომიკური სტატუსი, მაშინ როცა ღარიბ ქვეყნებს (იმ ქვეყნების გამოკლებით, რომლებიც იმედის მომცემი განვითარების პროცესში არიან) ეშუქრებათ კიდევ უფრო დამთრგუნველ სიღარიბეში ჩაძირვა.

3. განსაკუთრებით მალელებს მსოფლიოს ის ტერიტორიები, სადაც მუდმივი ომები და დაპირისპირებაა, სადაც შიმშილი და ავადმყოფობაა.

ვფიქრობ, ბევრი თქვენგანი იზიარებს ჩემს წუხილს ამ მძიმე ვითარების გამო, რომელიც, როგორც ქრისტიანული, ისე ადამიანური თვალსაზრისით, თანამედროვე სამყაროში უსამართლობის უმძიმეს ცოდვას წარმოადგენს.

ეს გარემოება ღრმად უნდა ჩაიბეჭდოს ყველა ქრისტიანის ცნობიერებაში, განსაკუთრებით კი მათი, ვინც დღეს ფლობს მსოფლიოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ფინანსურ მექანიზმებს, და ამიტომაც ხელეწიფებათ წარმართონ ადამიანთა ბედი უარესობის ან უკეთესობისაკენ.

სინამდვილეში საჭიროა მსოფლიოში სუფევდეს სოლიდარობის უდიდესი სულისკვეთება, რაც უცილობლად იქნება ცალკეული ადამიანებისა თუ ერების პირადი ინტერესების დაძლევის საშუალება. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი პოლიტიკური ძალაუფლებისა და ეკონომიკური დოვლათის გაკონტროლება, რომ არაფერი ვთქვათ სხვა ღირებულებებზე.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, ბაზარი მართალია ხელს უწყობს ნებისმიერ ადამიანს გამოავლინოს თავისუფლება და შემოქმედებითი უნარი საბაზრო სექტორში (*Centesimus Annus*, 42), ამავე დროს იგი შორს დგას მორალური პრინციპებისგან, რადგან მას საფუძვლად უდევს მაქსიმალური მოგების მოპოვების კანონი.

ქრისტიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ პოლიტიკა მათი ღვთიური მოწოდებაა, მძიმე, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი მოვალეობის წინაშე დგანან: დაუქვემდებარონ ბაზრის „უმართავი“ კანონები სამართლიანობისა და სო-

ლიდარობის კანონებს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება უზრუნველყოთ ჩვენი მსოფლიოს მშვიდობიანი მომავალი, აღმოვფხვრათ კონფლიქტთა და ომების მიზეზები.

მშვიდობა ხომ სამართლიანობის ნაყოფია.

4. მინდა განსაკუთრებით მივიპყრო მათი ყურადღება, ვისაც აკისრია ძალიან ფაქიზი მოვალეობა — შექმნას და დაამტკიცოს კანონები. ეს ის მოვალეობაა, რომელსაც ადამიანი კიდევ უფრო ახლოს მიყავს ღმერთთან, როგორც უზენაეს შემოქმედთან, რადგანაც ღვთის მიერ შექმნილი მარადიული კანონიდან გამომდინარეობს საბოლოოდ ნებისმიერი სხვა კანონის ღირებულება და სავალდებულო შესრულება. ეს აზრი ზედმინევით არის გადმოცემული შემდეგ ფორმულირებაში: რეალური კანონი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბუნებრივ კანონს, რადგან ეს უკანასკნელი სხვა არაფერია, თუ არა უპირველესი და არსებითი ნორმა, რომელიც ანესრიგებს ადამიანის მორალურ ცხოვრებას და შესაბამისად მის ხასიათს, მის ძირითად მოთხოვნილებებს და აღმატებულ ღირებულებებს. ვინაიდან უკვე მქონდა შესაძლებლობა განმეცხადებინა ჩემს ენციკლიკაში „*Evangelium vitae*“, ამ ღირებულებათა საფუძველი ვერ გახდება ის ღირებულებანი, რომლებიც დროებითია ან ადამიანთა უმრავლესობაში სწრაფად იცვლება, არამედ მხოლოდ ბუნებრივი კანონი, რომელიც აღბეჭდილია ადამიანის გულში და სავალდებულო ამოსავალი წერტილია თვითონ სამოქალაქო კანონისათვის.

ეს კი ნიშნავს, რომ ნებისმიერი კანონი, რომელშიც კანონმდებელი ერევა ანდა იძულებულია ჩაერიოს, ყოველთვის უნდა ეხმარებოდეს ადამიანს და უნდა გულისხმობდეს მის მატერიალურ, პირად, ოჯახის და სოციალურ პრობლემებს.

ამგვარად, კანონი ვერ შეესაბამება ღვთიურ კანონს, თუ პატივს არ სცემს ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლის უფლებას ჩასახვიდან ბუნებრივ სიკვდილამდე. სულერთია რა მდგომარეობაშიც უნდა იყოს — ჯანმრთელი თუ ავადმყოფი, ემბრიონის მდგომარეობაში, მოხუცი თუ სიკვდილის პირას მდგომი. შესაბამისად, ქრისტიანმა კანონმდებელმა არ უნდა შეუწყოს ხელი ასეთი კანონის მიღებას და მითუმეტეს არ უნდა დაამტკიცოს იგი პარლამენტის სხდომაზე. იმ შემთხვევაში კი, თუ ასეთი კანონი უკვე არსებობს, პარლამენტარის ვალია შეიტანოს მასში შესწორება, რათა შეამციროს ამ კანონის უარყოფითი შედეგი.

იგივე შეიძლება ითქვას იმ კანონებზეც, რომლებიც ზიანს აყენებენ ოჯახს, მის ერთიანობასა და სიმტკიცეს. აქ იგულისხმება ის კანონებიც, იურიდიულ საფუძველს რომ უქმნიან ერთი და იმავე სქესის წარმომადგენლებს, რომლებიც მოითხოვენ იმავე უფლებებს, რაც გააჩნიათ ოჯახებს, დაფუძნებულთ ქალსა და მამაკაცს შორის ქორწინებაზე.

ცხადია, დღევანდელ პლურალისტურ საზოგადოებაში ქრისტიან კანონმდებელთა წინაშე წამოიჭრება ისეთი საკითხებიც, რომელთა შესახებაც კანონების მიღება ეწინააღმდეგება მათ სინდისს. ქრისტიანი პოლიტიკოსისთვის დამახასიათებელმა სიფხიზლემ და გამჭრიახობამ უნდა უკარნახოს მათ, თუ როგორ მოიქცნენ, რათა ერთი მხრივ არ უღალატონ სუფთა სინდისს და მეორე მხრივ კი დეპუტატის მოვალეობას.

ქრისტიანებმა, რომლებიც ღვთიური მოწოდებით აღმოჩნდნენ ამ სფეროში, როდი უნდა აარიდონ თავი პასუხისმგებლობას, არამედ განამტკიცონ თავიანთი რწმენა და

უერთგულონ საკუთარ პრინციპებს იმ ძნელ და გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რაც პოლიტიკურ ცხოვრებას ახასიათებს.

5. სახელოვანო ქალბატონებო და ბატონებო! ხანა, რომელშიც ღმერთმა სიცოცხლე გვიბოძა, არის გარკვეულნილად ბუნდოვანი და სიძნელეებით აღსავსე. ესაა ეპოქა, რომელშიც კაცობრიობის მომავალი საფრთხეშია მომდევნო ათასწლეულის მანძილზე. მამაკაცებსა და ქალებში შიში და გაურკვევლობა მძლავრობს: საით მივექანებით? როგორი იქნება კაცობრიობის ბედი მომავალ საუკუნეში? საით მივყავართ ბოლოდროინდელ არაორდინარულ აღმოჩენებს განსაკუთრებით ბიოლოგიისა და გენეტიკის დარგში? გაცნობიერებული გვაქვს, რომ ახალ გზას დავადექით, მაგრამ უცნობია, სად მიგვიყვანს ეს გზა. არც ის ვიცით, სარგებლობას მოუტანს თუ ზიანს კაცთა მოდგმას.

როგორც ქრისტიანები, რომლებიც ვცხოვრობთ ამ უჩვეულო და საოცრებებით აღსავსე დროს, ვიზიარებთ ჩვენს თანამედროვეთა შიშს, გაურკვეველობასა და ცნობისმოყვარეობას. მომავლის მიმართ პესიმისტურად არა ვართ განწყობილნი, რადგანაც იესო ქრისტეა ისტორიის მბრძანებელი, სახარებაში კი ვპოულობთ სინათლეს, რომელიც გვინათებს გზას სიბნელესა და გაჭირვებაში.

ერთ დღეს ქრისტესთან შეხვედრამ შეცვალა თქვენი ცხოვრება, ახლა კი გსურთ ამ შეხვედრის ხელახლა განცდა წმინდა მოციქულ პეტრესა და პავლეს საფლავთა მოლოცვით. თუკი თქვენ მუდმივად შეინარჩუნებთ უწყვეტ კავშირს ქრისტესთან ყოველდღიური ლოცვით, მიიღებთ მონანილებობას ეკლესიის ცხოვრებაში, სულიწმინდა კვლავ გადმოგა თქვენზე მაცხოვრის მეშვეობით. ეს იქნება სული სიმართლისა და სიყვარულისა, სიძლიერისა და სინათლისა, რაც თითოეულ ჩვენგანს ესაჭიროება.

მთელი გულით და მტკიცე რწმენით იყავით ერთგულნი მხსნელისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სახარება გაიხადეთ თქვენი ფიქრისა და ცხოვრების მეგზურად. ამ გზით თანამედროვე საზოგადოებაში თქვენ იქცევით საფუარად, რომელიც ახალ ცხოვრებას გააღვივებს. ცხოვრებას, რომელიც უზრუნველყოფს უფრო სამართლიან და ძმურ საზოგადოებას და დასაბამს დაუდებს სიყვარულის ცივილიზაციას.

1. მიმართვის სრული ტექსტი იხ: www.vatican.va/holy_father/john_paul_ii/
2. თ. მორის მოღვაწეობის შესახებ იხ: ნ. გომართელი, ისტორიული მოვლენების ასახვა და პოლიტიკური პორტრეტები თომას მორის პოეზიაში, თსუ, 1994;
- Bridgett, T.E., *Life and Writings of Sir Thomas More*, Ann Arbor-LL., 1962;
- გუგუშვილი პაატა, სოციოლოგიური ეტიუდები, ტ.1, თბ., 1970; თომას მორი, უტოპია (თარგმნა ნ.გომართელმა), 1962
3. Бонташ, П.К. Прозорова, Н.С. Томас Морр, Москва, 1983, стр. 13
4. ნ. გომართელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 5
5. იქვე, გვ.10
6. იქვე, გვ.14
7. Бонташ, П.К.,Прозорова, Н.С., Томас Морр, Москва, 1983, стр. 15-16
9. ნ. გომართელი, დასახ. ნაშრომი გვ. 20
10. იქვე, გვ. 21
11. იგულისხმება რომის პაპის იოანე-პავლე II-ის ენციკლიკა გამოქვეყნებული 1995 წლის 25 მარტს. პარაგრაფი 70

იოსებ ჭუმბურიძე

დიდი აფეთქება არაფერ შუაშია?!

ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოს კაცმაო...

ჩვენ წინასიტყვაობით დაიწყო (სტილი, ორთოგრაფიითურთ, ყველგან დაცულია. — ავტ.):

„დიდი აფეთქება არაფერ შუაშია. არადა, კითხვა „რისგან შედგება სამყარო?“, როგორც ჟურნალისტს, მეც არ მასვენებს. მიშელ უილბეკის ცნობილი ბესტსელერიც არაფერ შუაშია. უბრალოდ, უილბეკის „ელემენტარული ნაწილაკებიც“ წიგნის თაროზე მიდევს“ (გვ. 9).

აქ შევისვენოთ.

თაროზე წიგნის დადება მის წაკითხვას თავისთავად არ გულისხმობს, მაგრამ რალაცას უთუოდ ნიშნავს: მისი არსებობა ხომ მაინც ვიცით. სხვათა შორის, თსუ-ს პროფესორს არც იმის ცოდნა აწყენდა, თუ როგორ დაუკავშირა უილბეკის ხსენებული რომანი ცნობილმა მთარგმნელმა გიორგი ეკიზაშვილმა უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსის სახურავიდან სტუდენტის გადმოხტომას.

მაგრამ ამგვარი წინასიტყვაობის ავტორს ზედმეტსაც ნუ მოვთხოვთ — მისი გაჭირვებაც ეყოფა!

...მარიამ გერსამიას წიგნის თაროზე თავისი პირველი მონოგრაფიაც უდევს. მისი დასაწყისი იმდენად მოსწონს, რომ აქაც გვიმეორებს. მართლაც, შესაშური „სიბრძნეა“: „მას, ვინც ბევრი ინფორმაციის მოპოვებას ცდილობს — ცნობისმოყვარეს უწოდებენ. ვინც ძალიან ბევრ ინფორმაციას ერკინება — ჟურნალისტს“ (იქვე).

თურმე, ჟურნალისტი ინფორმაციას კი არ მოიპოვებს, ერკინება (!!).

განვავრძოთ წინასიტყვაობის გაცნობა:

„ჟურნალისტიკა ინფორმირების (ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, გადაცემის) ტექნოლოგიაა. როგორც აკადემიური სფერო, ჟურნალისტიკა აკვირდება და სწავლობს სამყაროს. მიუხედავად იმისა, რომ სფერო მეტწილად გამოყენებითია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, ფუნდამენტურ ანარეკლსაც ტოვებს“ (იქვე).

აქ რამდენი წინადადებაცაა, იმდენი შეცდომაა (უაზრობაზე, ანუ „ფუნდამენტურ ანარეკლზე“ რომ არაფერი ვთქვათ).

დავიწყოთ იმით, რომ **ინფორმირება** — ცნობის (შეტყობინების) მიწოდებას (გადაცემას) ნიშნავს, პროცესს გულისხმობს.

ჟურნალისტიკა სამყაროს კი არ აკვირდება და სწავლობს, თანამედროვე ცხოვრებას ასახავს.

ჟურნალისტიკა არ შეიძლება იყოს სამეცნიერო დისციპლინა. სამეცნიერო დისციპლინაა ის, რაც ჟურნალისტიკას შეისწავლის, ანუ მეცნიერება ჟურნალისტიკის შესახებ — ჟურნალისტიკისმცოდნეობა (მედიალოგია).

ისევ წიგნის თაროს მივუბრუნდეთ.

უილბეკის რომანი შესანიშნავია. წიგნის თაროზე საკუთარი მონოგრაფიის დადებასაც, რა თქმა უნდა, ვერავის დაუშლი, ის კი ძალიან ცუდია, რომ წიგნის თაროზე არ

უდევს იმათი ნაშრომები, ანალოგიური საკითხები (ცხადა, „ელემენტარულ ნაწილაკებს“ არ ვგულისხმობ — ავტ.) მასზე ადრე რომ უკვლევიათ.

არადა, უწინარესად, მისთვის აჯობებდა, თუ თაროზე **დინა ტყეშუჩავასა და მაია ნადარეიშვილის** წიგნებს დადებდა.

მართალია, ამ შემთხვევაში, პირველადმომჩენის მანტიას ველარ მოისხამდა, სამაგიეროდ, ბევრი უაზრო აზრის გამოთქმისგან იქნებოდა დაზღვეული.

რაც მთავარია, ავტორის თაროზე არ დევს **ბილ კოვაჩისა და ტომ როზენსტილის** „ჟურნალისტიკის ელემენტები“ — ნებისმიერი მედიალოგის სამაგიდო წიგნი, რომელიც ჩვენს მკვლევარს წაკითხული რომ ჰქონდეს, ერთი უბრალო რამ მაინც ეცოდინებოდა — ის, რომ ჟურნალისტიკას შეიძლება ჰქონდეს ელემენტები, მაგრამ არ შეიძლება ჰქონდეს ელემენტარული ნაწილაკები.

წინასიტყვაობიდან პირდაპირ „გლოსარიუმში“ გადავინაცვლოთ. იქ ასეთ განმარტებებს აღმოვაჩენთ:

„ელემენტარული ნაწილაკები — ფიზიკის მიმართულება, რომელიც სწავლობს მატერიის უმცირეს ფორმებს და მათ შორის ურთიერთქმედებებს;

ელემენტარული ნაწილაკები მედია-ტექსტში (აკი ჟურნალისტიკაში?! — ავტ.) — სწავლობს მედია-ტექსტში არსებული ინფორმაციის უმცირეს ფორმებს და მათ შორის ურთიერთქმედებებს“ (გვ. 93).

ევრიკა!

აი, აღმოჩენა!

ისევ წინასიტყვაობას დავუბრუნდეთ:

„მედია-ტექსტის ელემენტარულ ნაწილაკებზე ვწერ. რატომაც არა!“

მოდი, ერთად აღმოვაჩინოთ, ვიკამათოთ, დავასაბუთოთ“ (გვ. 9).

კი, ბატონო, აღმოჩენისა და დასაბუთებისა რა მოგახსენოთ, კამათით კი ვიკამათოთ, **რატომაც არა!**

მედია-ტექსტის ელემენტარულ ნაწილაკებზე ვწერო. და რაზე წერს?

დავასახელოთ წიგნის ცალკეული თავები:

1. ანალიზის ელემენტები მედია-ტექსტში;
2. თანამედროვე სტატიის სახეები;
3. საავტორო სვეტების შესახებ;
4. ლიტერატურული ჟურნალისტიკის განმარტებისათვის;
5. ჟურნალისტიკა მეცნიერების შესახებ: პროფესიული

ნერა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების შესახებ.

მედია-ტექსტის ელემენტარულ ნაწილაკებზე ვწერო?!

რა უნდა უთხრა მკვლევარს, რომელსაც სტატია, საავტორო სვეტი, ლიტერატურული ჟურნალისტიკა და ჟურნალისტიკა მეცნიერების შესახებ (თუ ასეთი ბუნებაში საერთოდ არსებობს) მედია-ტექსტის ელემენტარული ნაწილაკები ჰგონია?!

რაც მთავარია, რით ვანუგეშოთ სტუდენტები, რომელთაც ის ჟურნალისტიკას ასწავლის?

არადა, ეს „მკვლევარი“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი და ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელია და არა მხოლოდ სტუდენტებს ასწავლის, მათ ლექტორებსაც ასწავლის, თუ როგორ უნდა ასწავლონ. მეტიც, ის ექსპერტიცაა და სხვა უნივერსიტეტებში ჟურნალისტიკის სწავლების ხარისხს ამოწმებს (!!).

ვიღუპებით, თუ უკვე დავიღუპეთ? ბოლომდე ობიექტურნი და სამართლიანნი რომ ვიყოთ, მოდით, ვნახოთ, იქნებ ნიგნის საერთო სათაურს მისი პირველი თავი მაინც ამართლებს?

დასახელებას გავიმეორებ: „ანალიზის ელემენტები მედია-ტექსტში“.

და რაზე საუბრობს ავტორი?

ინფორმაციის მოპოვების ეტაპებზე, ინფორმაციის ორგანიზებაზე, მის სწორ სელექციასზე, ოპერატიულობაზე, მთავარ რჩევაზე („გახსოვდეს მკითხველი!“), მოკლედ, ყველაფერზე, „ელემენტარული ნაწილაკების“ გარდა.

რაც არ არსებობს, იმაზე ვერც იმსჯელებ.

არარსებულს ვერც აღმოაჩენ.

მაგრამ იქნებ მთავარი ის კი არ არის, რომ მკვლევარმა ნიგნს სათაური ვერ შეურჩია. მთავარია, რაზეც მსჯელობს, როგორ მსჯელობს.

ერთი მაგალითი:

„კრიტიკული ედიტორიალი. ასეთი ედიტორიალი კონსტრუქციულად აკრიტიკებს ქმედებებს, გადაწყვეტილებებს და სიტუაციებს და, ამავდროულად, მკითხველს სთავაზობს პრობლემის გადაჭრის გზებს. მიზანია მკითხველის პრობლემასთან დაახლოება/მიყვანა და არა პრობლემის გადაჭრა“ (გვ. 32).

როგორ მოგწონთ?

როგორი ექსპერტია?

მკითხველს სთავაზობს პრობლემის გადაჭრის გზებს, მაგრამ მიზანი არ არის პრობლემის გადაჭრა“ (!!).

მაგრამ ამას კიდევ არა უშავს. აქედან აზრს მაინც გამოიტან და მიხვდება, რომ ავტორი მეორე წინადადებით პირველში გამოთქმულ აზრს ანუ საკუთარ თავსვე ეწინააღმდეგება.

არსებობს უარესიც — როცა სრულ უაზრობასა და გაუგებრობას კითხულობ.

მაგალითი:

„ბექდურ მედიაში ნებისმიერ ადგილს თავისი „დაკვეთა“ და დატვირთვა“ აქვს, რომელიც გაზეთის ენაზე, თავისი გზავნილებით კონკრეტული აუდიტორიის სოციალურ დიალექტსაც აგნებს. თუ განხილვის საგანი სწორედ ეს სვეტებია, ეს არ უნდა ნიშნავდეს მის სრულ იზოლაციას ფორმობრივი სტატუსიდან, პირიქით, პუბლიცისტური სვეტი სასრულელია, ინარჩუნებდეს თავის ოპტიკურ, ვიზუალურ იერსახეს“ (გვ. 36).

დიდი აღმოჩენა არაფერ შუაშიაო.

არადა, მთლად ასეც ვერ ვიტყვით.


შესაძლოა, დიდი არა, მაგრამ აფეთქება ნამდვილად მოსალოდნელია. ის „მკვლევარის“ ერთ-ერთ მთავარ აღმოჩენაში იმალება. ამ აღმოჩენას ასე განგვიმარტავს:

„აბზაციდან აბზაცზე თემის შეცვლისას, რომელის დროსაც ტექსტის დეტონაცია არ იგრძნობა პუბლიცისტურ მოდულაცია ეწოდება“.

გავასწოროთ სტილისტურ-ორთოგრაფიული შეცდომები და იქნებ რაიმეს მივხვდეთ.

მიხვდით?

ვერაფრით განუგეშებთ.



ვნახოთ, როგორ განმარტავს „დეტონაციას“ უცხო სიტყვათა ლექსიკონი: „(ლათ. detono ვგრგვინავ) — ფეთქებადი ნივთიერების მეყვსეული აფეთქება, რაც გამონვეულია სხვა ნივთიერების აფეთქებით ან დარტყმით“ (1973, გვ. 103).

აკი გითხარით, აფეთქება მოსალოდნელია-მეთქი — „აბზაციდან აბზაცზე თემის შეცვლისას“.

ეტყობა „მკვლევარს“ ერთმანეთში აერია „დეტონაცია“ და „დეტონირება“.

მეორეს ლექსიკონი ასე განმარტავს: „(ფრანგ. detonner) — (მუს.) არაზუსტი, ყალბი შესრულება, ხმის უადგილოდ დადაბლება ან ამაღლება“.

ასეა, გლოსარიუმის საჭიროება ვიცით, ლექსიკონით სარგებლობა კი არ შეგვიძლია.

ძლია.

რა დავაშავეთ?

რაც მთავარია, რა დააშავეს სტუდენტებმა, რომელთაც ამის წაკითხვას და სწავლას ავალდებულებენ?

აბა, გაბედონ და რომელიმე უნივერსიტეტის, ჟურნალისტური დისციპლინების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის ნუსხაში არ შეიტანონ!

ეს ხომ ექსპერტის ნიგნია!

და ეს უაზრობა 14 ლარი ღირს (!!).

უხეირო ქართული ამ ნიგნის ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი მახასიათებელია.

მაგალითი:

„მედიამონიტორინგის წარმოების მიზანია საინფორმაციო ქსელში ორგანიზაციის/უწყების შესახებ შექმნილი სურათის შესახებ ოპერატიული ინფორმირება და ანალიზი“ (გვ. 86).

ქართულის ასე მცოდნეს ინგლისურის ბრწყინვალედ ფლობაზე აქვს პრეტენზია. სინამდვილეში აი, როგორ თარგმნის ინგლისურიდან:

„თუ შედინარ ოთახში, უნდა აღწერო რა ხდება იქ. თუ საუბრობ პიროვნებაზე, რაღაც კუთხით უნდა წარმოსახო პიროვნების პორტრეტი. როგორ გამოიყურება იგი? როგორია მისი ფიზიკური თვისებები, ტიკები? როგორ იცვამს? თუმცა, თქვენ ერთბაშად არ ჩაუგდებთ ყველა ამ დეტალს მკითხველს კალთაში“ (გვ. 63).

ამკარაა, რომ დიდი ბრძენი არც ციტირებული მოსაზრების ავტორია, მაგრამ მთარგმნელმა ანუ ნიგნის ავტორმა რომ ხეირიანად არც ქართული იცის და არც ინგლისური, ეს უდავოა.

იმედია, აქ მკითხველი მართლაც ტიკებს არ იგულისხმებს, მით უფრო ისეთ ახალ ტიკებს, ძველი ღვინით რომ აავსეს.

თვითონ ავტორი კი შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთ მედროვედ, რომელსაც, სრულიად დაუმსახურებლად, ტიკიც აუვსეს და კალთაშიც ბევრი სიკეთე ჩაუგდეს: აკადემიური საბჭოს წევრობა, სრული პროფესორობა, მიმართულების ხელმძღვანელობა და თვით ექსპერტობაც კი.

თუ მკითხველს არ დავზოგავთ, ნიგნის კურონოზებზე კიდევ დიდხანს შეიძლება საუბარი. მაგალითად, თურმე არსებობს ჟურნალისტიკა მეცნიერების შესახებ. მაშინ

რატომ არ არსებობს ჟურნალისტიკა მედიცინის ან რელიგიის შესახებ?!

თურმე, არსებობს ანალიტიკური სტატია (!!).

არსებობს ინფორმაციული, ანალიტიკური და მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრები.

სტატია პუბლიცისტის ანალიტიკური ჟანრია.

არაანალიტიკური სტატია არ არსებობს. დანერო და თქვა „ანალიტიკური სტატია“, ეს იგივეა, დანერო და თქვა „დედალი ძროხა“ (ან უკვე ყოფილი მინისტრის „შედევერი“).

ნიგნის ავტორი ერთგან იმონმებს თანამედროვე ქართველი მხატვრისგან მოსმენილ ორ ცნობილ გამონათქ-

ვამს, რომელთაგან ერთი პიკასოს ეკუთვნის, ხოლო მეორე — თენგიზ მირზაშვილს და დასძენს:

„იმავეს ვიტყვდი საავტორო სვეტებზე. ტექსტში ფერი უფრო მეტად იკითხება, თუ: 1. იცი, როგორ არ უნდა ნერო; 2. იცი, რაზე თქვა უარი და გადაშალო“ (გვ. 45).

არ ვიცი, ფერი აქ რა შუაშია, ის კი ბედნიერება იქნებოდა, ავტორს მეორე მაინც რომ სცოდნოდა.

დიდი აფეთქება კი ნამდვილად არაფერ შუაშია!

არც დეტონაცია!

სხვათა შორის, არც დეტონირება!

არც უილბეკი!

არც ელემენტარული ნაწილაკები!..

მურმან ჯგუბურია

რა არის პოეზია?..

აქ, უცხოეთში უფრო გრძნობ მშობლიური ენის ძალას, მაღლსა და ბუნებას, რაც უახლოვდება პოეზიას, თუმცა, რა არის პოეზია, ძალზე რთული გასარკვევია. საქართველოში ლექსს თითქმის ყველა წერს, პოეტი კი თითებზე ჩამოსათვლელია.

ერთხელაც აქ, დილა-უთენია მომიწია მეტროთი მგზავრობა. ავიღე ბილეთი, ჩავედი მეტროში (ცხონებული ოთარ მამფორიას გამონათქვამია: „ქურთი სახლში ჩავიდა“. და არა — შევიდა, რასაც განმარტება არ სჭირდება) — ჩავედი მეტროში, შევედი ხალხით სავსე ვაგონში. და გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მომეყურა, — ყველანი ქართულად ლაპარაკობდნენ. კი არ მომეყურა, მთელი ვაგონი ქართულად ლაპარაკობდა. დიდ-პატარა, ახალგაზრდა და მოხუცებული. ხომ არ გავაფრინე? „ღმერთო, გამაგიჟე და შენვე დამიკავ“ (გრანელი). გავიარეთ ერთი სადგური, მეორე, ხალხი გადის ვაგონიდან, შემოდის, და ყველა ქართულად საუბრობს. მეხუთე თუ მეექვსე სადგური რომ გავიარეთ, როგორც იქნა, გამოვერკვიე და დავადგიინე, სად ვიყავი და საით მივდიოდი, და რუსულად ალაპარაკდნენ ნელ-ნელა გარშემო ყველანი.

რა არის პოეზია?

ლორკა მიგვითითებს რაღაც „დეუნდეზე“, ჯადოზე, რაც უნდა ახლდეს ნამდვილ ლექსს, ნამდვილ პოეზიას, მაგრამ თუ რა არის ეს „დეუნდე“, მაინც მეტად ბუნდოვანია და ძნელად მისახვედრი.

ჰესე ამბობს, თუ გვინდა გავიგოთ, რა არის პოეზია, უხეირო, უღიმღამო ლექსის მწერლის გუნება-განწყობა უნდა გავიზიაროთ, ანუ — მისი სიხარული.

სამაგალითოდ ვამბობ: ცხონებული შოთა ნიშნიანიძე თითქმის მთელ საქართველოში აღიარებული პოეტი იყო. ერთხელაც ცხონებულმა თამაზ ჩხენკელმა, ლექსის გემოვნება რომ არ დაეუნებოდა, შინაურ გარემოსა და საუბარში, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ შოთა ნიშნიანიძე არ იყო პოეტი. და იქვე დასძინა:

„ვიქტორ გაბესკირია, აი, ვინ იყო პოეტი.“

ნუ მალღებთ, ტალღებო, გხედავთ.

ამ ერთ სტრიქონში მთელი ჩვენი ადათ-წესი იგულისხმებო, — ვიქტორი ზღვის სანახავად მიდის, ზღვას მიუახლოვდა, ტალღებმა კაცი დაინახეს და წამოიშალნენ, სტუმარს გაეგებნენ, სტუმარმა, ნუ შენუხდებითო, ბრძანდებოდეთო, მე ისედაც კარგად გხედავთო.

სარზე მამალმა ხმა ჩაინმინდა, მზე გადაყლაპა თოხლო კვერცხივით.

(შოთა ნიშნიანიძე)

ხშირ-ხშირად მაგონდება, მახსოვს, და მაინც, არის თუ არა ეს პოეზია?

ყველა „იზმი“ რეალიზმზეა მიფაციცებული, ანუ სიზუსტეზე, სიმართლეზე, უტყუარობაზე. მწერალი ბუნდოვნად გვესაუბრება ხოლმე იმის თაობაზე, რაც მას უნდა, რომ ჩვენ რეალურად აღვიქვათ, სხვაფრივ ნებისმიერ მიმართლებას (იზმს) აზრი ეკარგება.

გავარჩიოთ, როგორც სკოლაში გვასწავლიდნენ, ამ კუთხით, თუ რას წარმოადგენს აქ მოხმობილი ნიშნიანიძის ლექსი.

მე ვამბობ: ამ ლექსში არც ერთი სიტყვა არაა თავის ალაგას, ანუ — ყველა მათგანი მცდარია.

მამალი სარზე არ შეფრინდება, ღობეზე შეფრინდება. მზე უკვე ამოსულია და ხმის ჩანმენდა მამალს უკვე მოთავებული აქვს. არის მამლის პირველი ყვილი, მეორე და ა. შ. მამალი მზეს ველარ გადაყლაპავს, თანაც, თოხლო კვერცხივით, კვერცხის პატრონი თვით მამალია, მანვე შექმნა, და მის მიერვე კვერცხის გადაყლაპვა უამურ ასოციაციას იწვევს. თანაც, ესეც არ იყოს, „მზე — დედაა ჩვენი“, როგორც გვეუბნება დაუვიწყარი ხალხური ლექსი, და რა გამოვიდა!

პოეტი გატაცებულია ეგრეთწოდებული სახეობრივი აზროვნებით, შედარებებით, რამაც მეტად ცუდი სამსახური გაუწია, და იმგვარი რაღაცეები ათქმევინა, რაც არ უნდა ეთქვა. საიდან სადაო, წმინდაო საბაო, მაგრამ ამ წუთას მაგონდება და უნდა ვთქვა, სტალინს ეკუთვნის ასეთი გამონათქვამი: „ადამიანი უნდა მართავდეს ენას. რადეკს — ენა მართავს.“ სალექსო კომპონენტებით „ღარიბია“, სამაგალითოდ ვამბობ, პუშკინისა და აკაკის პოეზია. მაგრამ

ნამდვილი პოეტები სწორედ რომ ისინი არიან. სახალხო და საყოველთაო მათი „გაუგონარი უბრალოება“ და სისადავე. „უტყუარია, რაც სახალხოა“ (გალაკტიონი). მაშინ რატომ მაგონდება, თანაც, ხშირ-ხშირად, როგორც ვთქვი, ნიშნისა და სტრიქონები? იმიტომ ხომ არა, რომ ადამიანი კარგსა და ცუდს თანაბრად იმახსოვრებს?

გემოვნებაზე არ კამათობენო, საკამათო კი, სწორედ რომ გემოვნებაა.

თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი.

სხვა პერიფრაზით: ლექსია, მაგრამ არ არის პოეზია.

ლექსია წყობით: მეტრით, რიტმით, რითმით, მაგრამ მაინც არ არის ლექსი, არ არის პოეზია.

А поэзия, она, пресволочнейшая штуковина, Существует, и ни в зуб ногой.

(მაიაკოვსკი)

ერთია სიტყვა, როგორც ასეთი, და მეორეა, მხატვრული სიტყვა. ამიტომაც იმ ყველაფერმა, რაც ლექსად ჩამოინერება, იშვიათად რომ შეადგინოს პოეზია. ლექსის მწერალი გვიამბობს იმაზე, რაც იცის, ხოლო პოეტი ქმნის ახალს, ნაწინათგარძნობს, მინიშნებით არსებულს. ისეთს, რაც არის და არც არის, ანუ — არის ის, რაც არ არის.

ბეკეტი წერს: „პრუსტს სუსტი მესხიერება ჰქონდა. კარგი მესხიერების მქონე ადამიანი მოგონებასთან მწყარაღადაა, რადგან მას არაფერი არა აქვს დავიწყებული.“

როგორც ვხედავთ, მეტად საპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავი აზრია გამოთქმული. არარეალური, მაგრამ რეალური, რაც გამაგრებულია მხატვრული სიტყვით. და სწორედ ამ თავისი მხატვრულობით უახლოვდება პოეზიას.

კამიუ წერს: „დღის სინათლეზე ფრინველები თითქოს უმიზნოდ, უმისამართოდ დაფრენენ, ხოლო საღამოობით მათ გარკვეული მიზან-დასახულება უჩნდებათ.“

ესეც პოეზიაა.

მოსამსახურეს ვაზა დაჰქონდა, სად ვნახე, როდის, რა ეს გრძნობა, არ მახსოვს, მაგრამ კი მომაგონდა.

(გალაკტიონი)

და კიდევ უნდა ვიკითხოთ, თუ რა არის პოეზია?

პოეზია მითითება-მინიშნებაა. „აი, ის“, ამბობს ბავშვი, მიგვანიშნებს, რაც უნდა, მაგრამ იცის, რაც უნდა, ჩვენ კი ვერ ვხვდებით, რა უნდა, და შესაძლოა, იმ მითითებულის ნაცვლად სხვა მრავალი ნივთის (სათამაშოს) მოჩხრეკა-მოძიება მოგვინიოს, ვიდრე მივაგნებდეთ დაუსახულებლად მონიშნულს.

და კიდევ უნდა ვიკითხოთ, თუ რა არის პოეზია?

რომ მზე მზეა, ტყე ტყეა, ხე ხეა და რუ რუა, რა მტკიცება სჭირდება, ამხანაგო რურუა.

(გალაკტიონი)

პოეტის უბის წიგნაკიდანაა ეს ამოღებული. გალაკტიონს თავისი ნახელავი მოართვა საჭაშნიკოდ ერთმა მოლექ-

სემ, პოეტმა ნაიკიტხა ნანერი, კარგიაო, მოუწონა ავტორს, მერე ფურცელი გადააბრუნა და უთხრა. ეს უკეთესიაო. ანუ — რაც მანდ არ ეწერა. ცარიელი ფურცელი. ნურაფერს ნუ დანერო, ესე იგი, ნამეტანი მკაცრი იყო ჩვენი გენიოსი პოეტი.

„უპოეზიო, უჰარმონიო“, ამბობს სხვაგან გალაკტიონი, და, ჩემი გაგებით, ფორმისა და შინაარსის ურთიერთობას გულისხმობს.

„ფორმა თუ შინაარსი? რომელია მთავარი?“ — შემეკითხა ერთხელ ცხონებული ნოდარ დუმბაძე, და მაგიდაზე წამოდგა არაჩვეულებრივი ფორმის მქონე, თხილის ტკეჩებით მოწნულ-მოხვეულ-მოლამაზებული ალექსანდროულით სავსე პატარა დოქი. მე ვუპასუხე: ორივე ერთადაამეთქი სასურველი და კარგი. დიდი ხანი ვსაუბრობდით, ბინდ-ბუნდამდე, ვიდრე მდინარე ვერეზე გადმომდგარი სახლები ხომალდებს დაემგვანებოდნენ. ის პატარა თიხის დოქი გამოცვალეთ, გადააბრუნ-გადმოაბრუნა ის დოქი მასპინძელმა, წვეთი ღვინო არ ჩამოვიდა, „ფაფუ!“ თქვა, გათავდა შინაარსი, ახლა, ახლა როგორ მიპასუხებო, გამომიშორა შეკითხვა. რა უნდა მეპასუხა? ერთი უკრაინელი პოეტის (ივან დრეაჩის) სტრიქონი მომაგონდა და ვთქვი: „ბოთლი რომ ცარიელია, ცითაა სავსე.“ ეს პასუხი არ არიო, — მითხრა ნოდარმა და სქელი, დაფანჩული წარბებიდან გამომხედა.

ახლა ვფიქრობ, შინაარსი მაინც უმთავრესია, თუმცა, ცხადია, შინაარსს მოაქვს თავად ფორმაც. ჩვენს დღევანდებლობაში რომ გადმოვიხედოთ, ლექსის ფორმის ოსტატია ჩვენი თანამედროვე პოეტი, გივი ალხაზიშვილი, სამაგალითოდ ვამბობ, ხოლო შინაარსის ოსტატია ჩვენი თანამედროვე პოეტი მანანა ჩიტინილი. რომელი უფროა ამათგან პოეტი, შენ თვითონ იცი, ძვირფასო მკითხველო, ხოლო მე თავად კიდევ ერთი ჩვენი თანამედროვე პოეტის, ბესიკ ხარანაულის მიმართულებით (პრუსტი რომ მოვიგონოთ) ნავალ, რადგან ხარანაული ის პოეტია, რომლითაც შეუძლია იამაყოს ნებისმიერმა ერმა, რის შესახებაც მე ცალკე ესეი მაქვს გამოქვეყნებული, რაც ან იცის მკითხველმა, ან არ იცის, ან არცაა აუცილებელი მისი ცოდნა-წაკითხვა, რადგან მთავარია თვითონ ბესიკ ხარანაულის ცოდნა-წაკითხვა, და არა იმისი, რაც მასზე ითქვა, ან კიდევ მომავალში გამოითქმება, რამეთუ ნათქვამია, რამდენი კაციცაა, იმდენი ხასიათია (ცხვირია), იმდენი ბუნებაა, და ერთი კაცი როგორ გასწვდება მრავალი ადამიანის ბუნება-ხასიათს, ანუ ნაწილი — მთელს. ჩვენი ცხოვრება საზღვრულია და საზღვრული ვერ მისწვდება მთელი სიგრძე-სიგანით უსაზღვროს. ეგაა მხოლოდ, რომ ერთმანეთს ემატება, უერთდება ყოველი ადამიანის ნაფიქრალ-ნააზრევი, რითაც ჩვენ ყველა ცოტ-ცოტა ვუახლოვდებით მარადიულის (უსაზღვროს) აღქმა-გაგება-გათვითცნობიერებას. დაო უთქმელია, — ამბობს ლაო ძი, უთქმელია იმიტომ, რომ მიუწვდომელია, და რაკილა მიუწვდომელია, სახელიც არ გააჩნია.

რა არის პოეზია?

პოეზიაც ერთგვარი დაოა, და მიუწვდომელი, „ყოვლის მთქმელი, მაგრამ, ყოვლის არმთქმელი“, მისაწვდომი რო იყოს, თითებზე ჩამოსათვლელი პოეტები კი არ გვეყოლებოდნენ, არამედ თმასავით ხშირი. ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდებაო, ინატრა ტიცთან ტაბიქემ. მოხვდებაო, ესე

იგი, მერე, მომავალში, როცა მე არ ვიქნებიო, და ეს ყყოფაო გამოსარჩლება. კაკალი კაცი არ ეგულეობდა, ესე იგი, გამგები და წამკითხველი.

ან კი, ვის გინდა რომ გაუზიარო და გააგებინო ეს?

„ხელის განძრევა რომ გეზარება და განცხრომით გაქვს ფეხი განვდილი“.

ლაო ძი სხვაგან ამბობს, სიცოცხლეს დახარბებულნი ადამიანი ნაკლებ ხანს ცოცხლობსო.

აღმოსავლეთი პოეზიის აკვანია.

„ცა და მიწა მარადია იმიტომ, რომ მათ თავიანთი თავისათვის არაფერი არ უნდათ.“

ამრიგი არაფრის-ქონა ყველაფრის ქონას მოიცავს.

ჩვილი რომ იბადება მშობელმა დედამ იცის, რომ მას უკვე ყველაფერი გააჩნია, ანუ — ადამიანი იბადება მდიდარი და ყველაფრის მექონი, კმაყოფილი. უქონელმა (უკმაყოფილო) ადამიანმაც შესაძლოა დროთა განმავლობაში მოიხვეჭოს დიდძალი ქონება, მაგრამ გული კი მაინც მუდამ ნაკლული ექნება, რადგან მას ეს ქონება მემკვიდრეობით (დაბადებისთანავე) კი არ ერგო, არამედ მოსახვეჭი შეექნა.

კმაყოფა — არკმაყოფაზეა საუბარი. ერთს ყველაფერი დაებედა, მეორეს — ყველაფერი მოსახვეჭი აქვს. ჩვილი კი მდიდარი იბადება, და ერთი მისი სათამაშო ნივთი მთელ ქვეყნიერებას მოიცავს. მეტი არაფერი უნდა.

პოეზია — ბავშვობაა?

ბავშვები შემოუშვითო, თქვა მაცხოვარმა.

**ქუჩაში, მტვერში წაიქცა ბავშვი,
ნუკრის თვალებით, თმით-მიმოზვებით,
და მწუხარების მალე-ნიავეში
მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები.**

(გალაკტიონი)

და კიდევ უნდა ვიკითხოთ, თუ რა არის პოეზია?

**Всё же жаль мне вас немножко,
Потому что, здесь порой
Ходит маленькая ножка,
Вьётся локон золотой.**

(პუშკინი)

ამ ოთხად-ოთხ სტრიქონზე ოთხ-ათეულზე მეტი წერილი-ესეა გამოქვეყნებული, მაგრამ რა?!

**თბილ ლოგინებში პატარებს სძინავთ,
შემოჭვანტვიათ ხუჭუჭა თმები...**

(ვიქტორ გაბესკირია)

გოია რამ მომავონა?..

ან კი ეს რა არის?

**და ახლა, როცა ასე დაღამდა,
სად გადაფრინდა ეს ტყის ქათამი?**

(ვიქტორ გაბესკირია)

სამწუხაროდ, ერთმა დიდად გახმაურებულმა პოეტმა ვიქტორ გაბესკირიას (გურულმა — გურულს!) უნიჭო პოეტი უწოდა.

რალაც ძალზე სასწრაფო და გადაუდებელი საქმე გაუჩნდა, როგორც ჩანს, იმ ბეჩავ ტყის ქათამს, რასაც ჩვენ ვერასოდეს ვერ გავიგებთ. რა ძალაა ის, რამაც ვერ დააყენა თავის ჭანჭრობაში ღამის ფრინველი?

გაუგებარია.

და სწორედ ეს გაუგებრობა-უცოდინრობა ქმნის პოეზიას. შეკითხვა, პასუხი რომ ვერ მოეძებნება. „მე ვიქნები დედა შენი“, — დაამშვიდა პანია ასულმა თავისი გამზრდელი, როცა მას (დედას) საკუთარი მშობელი-დედა გარდაეცვალა.

მოზარდისთვის დრო-ჟამი არ არსებობს. მისთვის ერთია წარსული, აწმყო, მომავალი. უკეთ: მან (ბაღდაძე იცის, გრძნობს, რომ იგი აწმყოსა და წარსულზე მეტია. ხანიერია, იმიტომ, რომ მომავალია, და უცებ ეტყვის საკუთარ მშობელს, „მე ვიქნები დედა შენი, ნურას იდარდებო.“ ამგვარია უცოდნელი ცოდნა, რომ არ იცის, მაგრამ იცის. ასევე შეიძლება ითქვას, რომ ცხონებული ანა კალანდაძე იყო უღამაზოდ ღამაში. და კიდევ ათასი სხვა რამე. „ფეხმოტეხილი შენ ხარ ღრუბელი“, — თქვა პოეტმა. ღრუბელს ფეხები არა აქვს, მაგრამ დადის. ფეხები არა აქვს, მაგრამ ქვა დგას. ადამიანს ფეხები აქვს და ერთი მისი ფეხის დადგმა ადგილი — მთელი დედამიწაა, მთელი სამყარო. ჰომეროსმა ცხენის ნაბიჯით გაზომა სივრცე და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს, კიდევ ერთი ნაბიჯი და ზღვას გადალახავდა, თვალსაწიერს გასცდებოდა.

**ჭიანჭველაში მოათავსე სამყარო მთელი,
მაგრამ სამყარო მისხლითაც არ გამხდარა კნინი.**

ამას სპარსი პოეტი ამბობს.

„ხევით ესმა ჩხაპუნება,“ — ამბობს რუსთაველი, — მთვარე წყალზე გადმოვიდაო, და ამის შემსწრენი დაფრთხნენ და უკუიქცნენო.

მისტიკა!

ჩვენი უპირველესი გენიოსი ჯერ კიდევ წაუკითხავია. „ვეფხისტყაოსანი“ ზღვაა და ჩვენ მისი მკითხველები სანაპიროზე ვტყეუნით მინას, ამბობს ბესიკ ხარანაული.

საყოველთაოდ გასმენილი „წყლით ქვანიცა გამოხსნიან“ ყველას გვახსოვს, ყველამ ვიცით, მაგრამ არ ვიცით, პოემის უხილავი და ფარული. გასაღები არა გვაქვს. ამიტომაც შეიქმნა „რუსთაველოლოგია“, უფრო აქეთ — „გალაკტიონოლოგია“, შესაძლოა აუცილებელი შეიქმნას „გრანელოლოგიის“ დაარსებაც.

მაგრამ მოვიდეთ პირველ სიტყვას.

რა არის პოეზია?

„პირს რომ გახსნიან, ალბათ გაგვცემენ ბრონეულები“ (ანა კალანდაძე). ახალგაზრდა პოეტმა, ქალიშვილმა მენყვილესთან ერთად გაიარა მინდვრის მონაკვეთი, სადაც იდნენ ბრონეულები. ქალ-ვაჟი რალაც-რალაცებს ეუბნებოდნენ გზა-გზა ერთმანეთს, შეიძლება კიდევაც ეამბორნენ ერთმანეთს. ბრონეულის ხეებმა იმათ თვალი შეასწრეს და ყველაფერი დაიმახსოვრეს, ეგაა ოლონდაც, რომ ჯერ-ჯერობით პირი არა აქვთ გახსნილი და ამბის მიტან-მოტანა არ ძალუძთ და შეყვარებული ქალ-ვაჟის სითამამეც აქედან გამომდინარეობს.

მაგრამ ჩაიდინეს თუ არა მათ ისეთი რამ, რაც უკადრის

საქციელად ჩაითვლებოდა, არ ვიცით. ეს იციან მხოლოდ ბრონეულემა.

პირს რომ გახსნიან, ალბათ, გაგვცემენ ბრონეულეები.

გაგვცემენ იმიტომ, რომ რალაც დაინახეს. და ნურაფერს აქ ნუ ჩავიდნენ, იმიტომ, რომ როცა პირს გახსნიან ბრონეულეები, არაფერი დარჩენილი სალაპარაკო-საჭოროა.

კიდევ ერთი ნიუანსი: „ალბათ“, — ამბობს პოეტი, ესე იგი, იქნება არც გაგვცენო, იგულისხმება, არც გაგვამხილონო, რაც ამ სტრიქონის სხვა ნაკითხვა-გაგებისკენ მიგვანიშნებს (პოეზია მინიშნებაა?), თუმცა ამ „ალბათ“-ში შიში მეტია ნავარაუდევით, ვიდრე ნდობა.

რალაც მენყინა შენგან, შროშანავ.

(ანა კალანდაძე)

ეს არის პოეზია. მაგრამ მწარე პოეზია.

ანა კალანდაძეს, მიუხედავად საყოველთაო სიყვარულისა და აღიარებისა, მწარე ცხოვრება ჰქონდა. უშვილძიროდ გადაეგო. პოეზია იშვილა. ლექსები იშვილა და ყველას თავთავისი სახელი დაარქვა: მარგალიტი, ძონი, ბივრიტი, ალმასი, ოქრო, ვერცხლი, ბრილიანტი, და როგორც გობსეკმა, მთვარის შუქზე დაიწყო მათი მოხილვა, მოფერება, სხვათა თვალისგან მიმაღულად.

წყენის მწვერვალად:

გულთამხილავს ეუბნება, ნება შენიაო, მაგრამ რამ მოგაფიქრო „ვარდის ფურცლებზე ნისქვილის ქვების ჩამოკიდება“, რაც მარტოობიდან იღებს სათავეს, ბერ-ქალობიდან, გაუხარებლობიდან, უშვილძირობიდან.

ერთი მაგალითიც:

ტერენტი გრანელის მარტოობა სხვა მარტოობაა, სხვა უცოლშვილობა, სხვა უოჯახობა.

და მე ისევ მიხარია

სიჩუმე და სიმარტოვე

(ტერენტი გრანელი)

ანა კალანდაძის სიმარტოვე შიშთანაა დაკავშირებული.

ტერენტი გრანელის სიჩუმე — სიხარულთან.

გრანელს ხის (ყვავილის) ნათქვამი არა სწყინს.

„შენ მოგეყრდნობი, ძვირფასო ხეო,“ — ამბობს.

„მიახლოვდება ძვირფასი ჩიტი“, — წერს.

„მესმის ჟივჟივი ძვირფასი ჩიტების“, და მისთანანი და მისთანანი. და გული მისი საესეა რწმენით, ღვთისადმი სიყვარულით.

წმინდაო ღმერთო, შენ მაპატიე,

ეს აღტაცება და სიხარული

(ტერენტი გრანელი)

გრანელი ადრე დაობლდა. მოკლე ხანში უსახლკაროდ დარჩა. „და მესიზმრება ის ჩვენი სახლი, რომელიც უკვე გაყიდულია.“ გამზრდელი დედა გარდაეცვალა და დედინაცვალზე წერს სიყვარულით აღსავსე ლექსს. არ იცის, რა არის შური.

ანა კალანდაძე ბოლო ხანებში წერდა მონაზვნის ლექსებს, მაგრამ არ იყო მონაზონი.

ტერენტი გრანელი წერდა ეკლესიურ ლექსებს და ცხოვრობდა ეკლესიის ეზოში. „და ტაძრის ახლოს ნაძვის ჩრდილია.“ ჩრდილივით, ლანდივით.

რალაც მენყინა შენგან, შროშანავ.

ვინც წყენას ეურჩება, მონყენას (წყენას) ვერ გაექცევა.

მე ლექსების სიხარული მომკლავს,

მე ლექსები გამაფრენენ ცაზე

(ტერენტი გრანელი)

ანა კალანდაძე უკმაყოფილო გარდაიცვალა.

ტერენტი გრანელი — კმაყოფილი.

ანა კალანდაძე მთანმინდაზე დავაბინავებ.

ტერენტი გრანელი პეტრე-პავლეს მიკარგულ სასაფლაოზე, რაც თვითონ იწინასწარა, ბედნიერი ვიქნებო, თუკი სადმე, თბილისის ახლოს სამარე ვიმოვო.

ერთიც და მეორეც ჭეშმარიტი პოეტი იყო.

ხოლო რომელი მათგანი იყო მეტი ღვთისმომში, მორწმუნე და ქრისტიანი, სხვა საკითხავია. პოეზია და ცხოვრების წესი ხშირად ერთმანეთისგან განსხვავდება. ორიოდ მაგალითს მოვიყვან მხოლოდ: ანა ახმატოვას კლემენტინა სჭირდა. ფრანსუა ვიიონი ქურდი და ყაჩაღი იყო, ანუ დიდებული პოეტი შეიძლება იყოს არა-დიდებული ადამიანი. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, ჩვენი „მაესტროსი“ არ იყოს, უნაკლო ადამიანების მოძიება არც ისე იოლია. ბევრი ქართველი მკითხველისათვის უპირველესი მესიტყვე და სხვათაგან განსხვავებით მეტი ჰონორარისა და ქონების მექონი ცხოვრებული კონსტანტინე გამსახურდია უბრალო ტაქსის შოფრების თვალში თურმე დიდად ხელმომწვარი კაცი იყო...

ახლა კი ისეთ გუნებაზე ვარ, რომ ცოტათი თავი უნდა „მოვიწონო.“

ამ წუთას ერთი ჩემი ლექსი მაგონდება, რაც აქ, ამ პერედელკინოს 17 საავადმყოფოში დავწერე. პერედელკინოს სიტყვაში მოხმობა, როგორც წესი, პასტერნაკის გამომძახებას იწვევს თანაც პასტერნაკს აქვს ერთი შესანიშნავი ლექსი („საავადმყოფოში“), რაც, გინდა თუ არა, თუკი, ცხადია, ნაკითხული გაქვს, არ იქნება საავადმყოფოში წოლისას მანც არ მოგაგონდეს. მაჰათმა განდის „ჩემი ცხოვრება“ დამაქვს თან და საავადმყოფოს ბალ-ხეივანში დავდივარ ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით, ნაოპერაციევზე. ლექსის სათაურია:

პასტერნაკი და განდი, ანუ პოეტი და მოძღვარი

აქ მაგონდება ცნობილი ლექსი, მაგრამ იმ ლექსზე ათასგზის მეტად სხვა შინაარსის სიტყვები მესმის და ვით დაფაზე მინაწერს ვხედავ.

პოეტი უფლის იმედით არის, ითხოვს საშველს და გაძლების უნარს,

მოძღვარს თავისი არ ახსოვს თავი და დღენიადაგ მოძმეზე ზრუნავს.

რეცხავს იატაკს, აპურებს მშვიერს, ვით მაცხოვარი უვლის კეთროვანს და ვინრო გულმკერდს უმარჯვებს ტყვიებს, — შემთხვევით სხვებს რომ არ მოხვედროდათ.

ეს ლექსი ალბათ პოეზიის ნიმუშად არ ჩაითვლება, მაგრამ ჩემი განვალღებული ცხოვრების ამ ბოლო მონაკვეთში გულზე სალბუნად მეცხება.

პოეზია და ცხოვრების წესი.

სიტყვა და საქმე.

განდის „ჩემი ცხოვრება“ და სხვა მისი ნიგნები მისივე საქმის ძმა და ამხანაგია. მოძღვარი მთელი თავისი დღე და მოსწრება რასაც ამბობდა, რასაც ქადაგებდა, იმას იქმნოდა. ერთი იყო მისთვის სიტყვა და საქმე. და იშვიათია ქრისტეს აქეთ სხვა ადამიანი, რომლის სიტყვა და საქმე ასე ერთიანი და ჰარმონიული ყოფილიყო. აინშტაინი ამბობს, მომავალ საუკუნეებში არ დაიჯერებენ ალბათ დედამიწაზე ასეთი ადამიანი რომ დადიოდაო. მაგრამ ქართველებს უფალმა მოწყალე თვალთ გადმოგვხედა და ილია მართალი გვებოძა.

ჩემი ლექსის მიხედვით კი, როგორც ალბათ მკითხველიც ამჩნევს, ავტორი უფრო მოძღვრისკენ იხრება, მის მხარესაა. მაგრამ პოეზიაზე საუბარი მაინც უნდა გავაგრძელო.

ჯიბეს მონტუ ჭიჭე ფარა, დიაჩქიმიში ნაცხვებარა...

წლების განმავლობაში დამყვება ეს ორად-ორი სტრიქონი, რომლის გამომთქმელია პოეტის გულად ფეტელავა (გულად ფეტელავა უნდა ითქვას თუ გულადი ფეტელავა? — მეგრულს არ უყვარს ხმოვნის შეკვეცა) და ჩვენც ასე ვთქვათ — პოეტი გულადი ფეტელავა. ამ ორად-ორ სტრიქონში მთელი ჩვენი ყოფა-ცხოვრების ავან-ჩავანია გამოფენილი, ავ-კარგი, დარ-ავდარი. ცუდია ის, რომ უკვე მონიფულ კაცს (პოეტს) არ შეუძლია საკუთარი თავის რჩენა. და, როგორც თვითონ ამბობს, ჯიბეში მცირე თანხა (ფული) უჭყავის, მაგრამ არა-საკუთარი შრომა-ოფლით მოპოვებული („უშრომელი ქონა დაღუპავს მსოფლიოს“, განდი), პოეტს ჯიბეში უდევს (ენვის) გამზრდელი დედის მიერ მონაფხეკი — მონაფრჩხილი — მონახვეჭი-ნაცხვებარა ფული, რაც „ჯიბეს მინვავსო“, — ამბობს პოეტი, არამიათ ჩემთვის და იმიტომ, ის მცირე თანხა, რაც მშობელმა დედამ მოუცხვებარა, მთვარი სიტყვა კი არის „მონტუ“, — მენვის, მინვავს, ცეცხლი მიკიღია და მისთანანი. დუნდე!

გარს ლერნამია. დღე ინურება. და მე რატომღაც ფედერიკო მქვია სახელად.

(ლორკა)

ვინ არ დაფიქრებულა მსგავს რამეზე, მაგრამ თქვა პოეტმა, ლორკამ, და ყველას სათქმელი ითქვა, მოიცვა. და მაინც ვერ ითქვა, კიდევაც ითქვა და კიდევაც ვერ ითქვა, ვერ

ამოიხსნა ის, რისი ამოხსნა-გაგებაც ენადა პოეტს. „რატომღაცო“ ამბობს, არ იცის, რატომ.

მისტიკა!

რატომ მართლაცდა მაინც და მაინც ფედერიკო და არა სხვა რამე სახელი. რას ნიშნავს ეს? რას მიგვანიშნებს? სხვა სახელი რომ ერქვას და არა ფედერიკო, ვინ იქნებოდა? სხვა იქნებოდა?

რატომ ფედერიკო?

რატომ მურმანი?

ამაზე ღრმად დაფიქრება კარგ რამემდე არ მიგვიყვანს, ზარდამცემია და იმიტომ. და ისევ ის სჯობია, გამოვერიდოთ.

გალაკტიონმა აკოცა მზის სხივს (ათინათს), ჭყვიშში, ოდა-სახლის რაფაზე რომ დაივანა ერთ-ერთი დილით, და დედამისმა რომ შეასწრო თვალი, პოეტი შიშმა აიტანა, ვაითუ გამზრდელ დედას შემლილად მოვეჩვენეო. უბის ნიგნაკიდანაა. ლექსის ჩარჩოში ჩაუსმელი, მაგრამ ნამდვილი ლექსი, — შემზარავი, ტრაგიკული, მისტიკური, ნამდვილი პოეზია.

გალაკტიონის ჩანანერმა მომაგონა:

სახალისს მიმავალმა ჩეხოვმა მცირე ხნით თავისი მეეტლის სახლში გადაიყურდა, რასაც გვიდასტურებს მისი მცირე ჩანანერი:

„აქ დულს შრომა-საქმიანობა. ოჯახის დიასახლისი, და-ახლოებით ასე 25-ოდე წლის ქალი, მოსული, ტანმალალი, სანდომიანი პირი-სახით მკობილი, მაგიდაზე ზელს ცომს. დილის მზე ეღვრება პირი-სახეზე, გულ-მკერდზე, ხელებში, და, გეგონება, გეჩვენება, თითქოსდა ცომში ურევსო მზის შუქს.“

ლექსის ჩარჩოში რომ ჩავსვათ, პოეზიის ნიმუშია, შინა-არსით — პოეზია, ფორმით — პროზა. მაგრამ ფორმისა და შინაარსის ურთიერთობა-თანხმობაზე ხომ ვილაპარაკეთ?

მაგრამ პურის ცომზე რომ არაფერი გვითქვამს? პური კი ის არის, ერთი თანამედროვე რუსი პოეტის (რუბცოვის) სიტყვებით რომ ვთქვათ, რასაც წონა არ გააჩნია, და საცა გინდა მიდიოდეს, თავისი თავი თვითონ მიაქვს.

ფოთოლიც კი აღარ არხევს ტყეში ნიავს, დათვის თავისი თავის ეშინია...

(გალაკტიონი)

ტყეა ვეებერთელა, უღრანი, გაუვალი, და უკიდევანო სიჩუმე, საძრაობა არაა. დათვი გაება პლანეტარულ სიჩუმეში, სიყრუეში, და შიშმა აიტანა. დათვის სუნი ეცა?

და კიდევ უნდა ვიკითხოთ, თუ რა არის პოეზია?

დათვი რომ თოფოსან კაცს შეეშინებინა, მოთხრობას დაემგვანებოდა, ცხადია.

ჯიბეში დედაჩემის გამოტანილი ფული მიდევსო, რომ ეთქვა პოეტს, მოთხრობას დაემგვანებოდა, მაგრამ ჯიბეს მინვავსო რომ ითქვა, პოეზია დაიბადა. ერთადერთმა სიტყვამ „მონტუ“ ქვეყნის მასშტაბი მოიცვა.

ვატყობ, რომ ამ ესეიში უმთავრესად გალაკტიონის პოეზიაზე მინვავსო საუბარი, თუმცა ეს ჩემი ბრალი არაა, აქ „ბრალი“ ისევ და ისევ გალაკტიონის პოეზიაზე მოდის.

კარგი მიდამო, აღმართ-დაღმართი. ვინმე იმდაგვარს ვერ ნახავს ეზოს,

რომ ხე არ ედგეს და ია-ვარდი და სილაჟვარდე გარს არ ეთესოს.

ამ სტროფის პირველი სამი ბნკარი მოთხრობაა, პროზა, რაც მეოთხე ბნკარის მეშვეობით პოეზიაში გადაიზარდა.

„და სილაჟვარდე გარს არ ეთესოს.“

რა მიწაზე გვიდგას ფეხი, ქართველებო, ნუ დავი-ვინწყებთ!

„შევარდენმა შეისროლა ცაში ოქროს ნკეპლა,“ - ამბობს მეორე დიდი ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე, რომლის ქართული, რა გინდა საგან-მოვლენას აღწერდეს, თავად არის პოეზია.

მე დამესიზმრა ნუხელ სიზმარი, მაგრამ მთლად როდი იყო სიზმარი (გალაკტიონი)

ამ სტრიქონების წინაპირობას სხვა გამონათქვამიც ამაგრებს:

„მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურს.“

პოეტი ჩვენგან განსხვავებულად აღიქვამს გარემო-ბუ-ნებას, დილა-სალამოს, სიჩუმეს, პეიზაჟს, შადრევანს, რაც ყველას გვინახავს, მაგრამ ისე არ გვინახავს, როგორც და-ინახა პოეტმა.

ცაში ალბათ ბევრგზის ადის შადრევნების ვედრება, დამტვრეული სიფერადის ირგვლივ შემოთეთრება, ვარდთა კონებს, ველად რონინს, ჟამთა ავთა სიოხრეს იგი ისე ვერ იგონებს, რომ არ ამოიოხროს.

რეზო ინანიშვილის ერთ-ერთი მოთხრობა „განთავი-სუფლებული წყალი“ ალბათ ამ ლექსიდან გამომდინარე-ობს.

რა გზები გამოიარა ამ პატიმარმა წყალმა, რა ხატ-სუ-რათები, და სად უყელეს, დაიჭირეს და დაატყვევეს და რკი-ნის მილში, ჯურღმულში უკრეს თავი, დაუცეს პირი და რო-დის-როდის გამოაცალეს პირიდან ჩვარი...

ამოიოხრა შადრევნის წყალმა და ამოაყოლა ამოოხვრას მთელი თავისი თავგადასავალი.

უცხო ქვეყნად მარტოობას გრძნობდე, ნეტარება არის რალაცვარი.

მწუხარება არისო, იტყოდა ნებისმიერი სხვა ერის მე-სიტყვე, რადგან ქართველი პოეტის აღქმა-გაგება სხვათა-გან განსხვავებულია.

ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს, ის პოეზიას ჩემსას გაიგებს.

(გალაკტიონი)

და კიდევ უნდა ვიკითხოთ, თუ რა არის პოეზია?

არსად, არცერთ ენაზე არ მოიპოვება სიტყვათა ისეთი თანაწყობა-თანაარსებობა, როგორიც მოეპოვება ქარ-თულს.

ღ მ ე რ თ ი — ე რ თ ი .

ამ ესეიში უხილავსა და ფარულზე იმიტომაც ვისაუბ-

რე, რომ ყველაზე ძვირფასი თვლები ზღვის ფსკერზე მოი-პოვება, ნაპირზე არ გამოირიყება.

შენი სიყვარულის პატრონს რა სინდისით მელუპები.

(ელა გოჩიაშვილი)

ასე მიმართავს თავის საყვარელ საქართველოს მისი თანამედროვე პოეტი. გადაფურცლე ფიქრებში რაც კი ნა-მიკითხავს და რაც კი გამოთქმულა სიყვარულზე, უკეთესი ვერა ვპოვე, თუმცაღა კარგა ხანი ამეკვიატა კიდევ ერთი გამონათქვამი, რაც გაუმჟღავნებლად ვერ მოვიშორე:

რამდენიც მატირე, იმდენი გეცინოს.

ასე ეუბნება ქალიშვილი თავის შეყვარებულს.

ლოცავს თუ წყევლის?

დაფარულია და გამოუფენელი.

იქნება ლოცავს?

იქნება წყევლის?

ლორკა რომ ხელს მოანერდა, არ მეეჭვება.

ხოლო მარადი სიცილი, მუდამ სიცილი სიგიჟის ტოლ-სწორია.

და მაინც უნდა ვიკითხოთ, თუ რა არის პოეზია?

ანკი ვინ ვარ მე თვითონ, მსგავს შეკითხვას რომ ნათე-ლი მოვფინო და ამაოდ არ ვუკირკიტო?

ქალაქელი ფუტკარი, რომელიც დაბზუის ქალაქის ყვავილებს, — საკუთარ თავზე გაბრაზებული.

P.S.

ნისლო, რას ფიქრობ, ნეტავი, შამჯდარო გორის ფხაზედა, ნუთუ შენც რამე გალონებს ამ ტიალ ქვეყანაზედა!

არჩილ კიტოშვილის ეს ლექსი, და რაც მთავარია, მისი ც-ნაწილაკი ამ ესეის დასაწყისში რომ გამხსენებოდა, პოე-ზიაზე საუბარს ხომ იმთავითვე გავასრულებდი!

პერედელკინო



გრიგოლ ღვინია ნატვრის ხე

ეკა ბუჯიაშვილი

პიტერ ვიერეკის კვალდაკვალ... „ცოტაოდენი განდაგანათი“

„ამ ყაიდის წიგნები, სადაც წარმოსახული იქნება ამა თუ იმ მსოფლმხედველობრივი მიმართულების ან პოლიტიკური დოქტრინის სრული სურათი, ძალიან სჭირდება ჩვენს საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებას. სრული და მიუკერძოებელი, გარიდებული პოლემიკურ ჩანართებსა და სიმძაფრეს და შემოსაზღვრული მარტოდენ იმ იდეათა და პიროვნებათა წარმოჩენით, ამ მიმართულებისა თუ პოლიტიკური მოძღვრების საფუძვლებსა და თავისებურებებს რომ განსაზღვრავენ“, — გვამცნობს წინასიტყვაობა წიგნისა „კონსერვატიზმის ისტორია პიტერ ვიერეკის თარგმნილი როსტომ და პაატა ჩხეიძეების მიერ — რომლის წარდგინებაც შურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში გაიმართა.

— აქ ძირისძირობამდეა გაჩხრეკილი და გაანალიზებული კონსერვატიზმის ფენომენი და ძალიან მალე იქცევა სამაგიდო წიგნად მათთვის, ვინც დაინტერესებულია პოლიტიკური მეცნიერებებითა თუ, უბრალოდ, საზოგადოებრივი ცხოვრებით.

— ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ახლა ერთგვარი თავგზაბუნელობაა პოლიტიკაში, ხშირად ცნებებიც არ არის გამიჯნული ერთმანეთისგან. არასწორადაა გააზრებული კონსერვატიზმის ფენომენიც, ამიტომაც ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ყველასთვის გასაგები იქნება, რა ღირებულებებს ეყრდნობა ეს დოქტრინა.

ამავე დროს, ძალიან თავისებური ნაშრომია — ეს არის არა მხოლოდ თარგმანი პიტერ ვიერეკის წიგნისა, აქ წარმოდგენილია ქართული კონსერვატიზმის ისტორიაც, რაც მთლიანად მთარგმნელების დამსახურებაა.

კარგია რომ როსტომ და პაატა ჩხეიძეები აგრძელებენ ერთად მოღვაწეობას. მათი საქმიანობა სწორედაც რომ ღვაწლია, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, — ასე გახსნის საღამოს **მაია ჯალიაშვილი**. ვრცლად კი წიგნის მნიშვნელობას შეკრებაზე **ნინო ვახანია** წარმოაჩენს საინტერესო მოხსენებით, კონსერვატიზმის არსსაც რომ ჩაუღრმავდება და ნაშრომის თავისებურ ფორმასაც — მისი თქმით, ვიერეკის თარგმე მოწოდებულ ამ სახელმძღვანელოს მთარგმნელთა მიერ შემატებული მასალის გარეშე შესაძლოა სიღრმე და ძალა არ მოკლებოდა, მაგრამ მკითხველის ინტერესს სრულად მაინც ვერ დააკმაყოფილებდა და მხოლოდ სპეციალისტთა, პოლიტიკოსთა ვინრო წრისათვის იქნებოდა საინტერესო და საგულისხმო. ახლა კი წიგნი მიმზიდველია მკითხველთა ფართო წრისათვის, მათთვისაც კი, ვისაც იქნებ კონსერვატიზმის მამამთავარი ედმუნდ ბერკი და მისი თანამოაზრეები ქართული სინამდვილის გარეშე არც აინტერესებს. ...და პაატა და როსტომ ჩხეიძეებიც ვიერეკს მისდევენ „ცოტაოდენი განდაგანათი“ (დავით წერეთლის ცნობილი სტრიქონიდან: „ვარ მინდობილი კლასიკურ მუხას, მცირეოდენი განდაგანათი“).

აი, ამონარიდებიც — საგულისხმო დაკვირვებანი — ამ მოხსენებიდან:

„ის, რაც ლიბერალებს ადამიანისათვის ბორკილად მიაჩნიათ (ტრადიცია, წარსული...), კონსერვატორთათვის ნამდვილი თავისუფლების საყრდენი და საფუძველია. ერთი შეხედვით ძალზე მომხიბვლელია ლიბერალთა შეხედულება ადამიანზე — ადამიანი ბუნებით კეთილია და თავისუფალი! მაგრამ თუ რეალობას (სიმართლეს) გავუსწორებთ თვალს, ადამიანი გაჩენისთანავე ცოდვილია და მხოლოდ ტრადიციას შეუძლია მისი გაკეთილშობილება. თუ ქრისტიანულ დოქტრინას არ მოვიხმობთ პირველცოდვის შესახებ (რასაც შეგნებულად თუ შეუგნებლად ყველა კონსერვატორი მიმართავს და ვიერეკი შეგვახსენებს), ისე იქნებ შეურაცხყოფილიც კი იყოს უნდობლობა კაცობრიობისადმი და ემოციურად ლიბერალთა შეფასება უფრო საამაყო და კმაყოფილების მომგვრელი ჩანდეს... მაგრამ ჭეშმარიტება ხომ ყოველგვარ გარეგნულ ეფექტურობასა თუ მიმზიდველობაზე მნიშვნელოვანია. უნდა შევინახოთ კერძო საკუთრება, არისტოკრატია, მონარქია, ეკლესია... რათა ადამიანურ ბუნებას შევუნარჩუნოთ ზნეობა და თავისუფლებაო, — მიიჩნევენ კონსერვატორები“.

არისტოკრატის ბერკისეულ განმარტებას რომ მოიხმობს ქალბატონი ნინო და წიგნის ავტორთა მსჯელობას ამ ფენის რაობისა, ქვეყნისა და ერის წინაშე მისი როლის შესახებ, იტყვის:

„ბერკივით მემკვიდრეობით, ტიტულოვან არისტოკრატიაზე ვისაუბრებთ თუ ადამიანით — „ბუნებრივ“, უტიტულო არისტოკრატიაზე, ორივე შემთხვევაში ვგულისხმობთ, რომ მათ თავიანთი, ერთნაირი იდეალები აქვთ — ღირსება, ტრადიცია, თვითდისციპლინა და სხვა.

აქვს თუ არა არისტოკრატის პრივილეგია სხვა ფენებთან შედარებით?

რა თქმა უნდა, აქვს, — გვიპასუხებენ კონსერვატორები და იგულისხმებენ მეტ პასუხისმგებლობას, მეტ მოვალეობას ხალხისა და ქვეყნის წინაშე“.

ქალბატონი ნინო საგანგებოდ აღნიშნავს რუსული კონსერვატიზმის მამამთავრის კონსტანტინე პობედონოსცევის, აგრეთვე ფიოდორ დოსტოევსკის, ლევ ტოლსტოის და სხვათა რელიგიური, პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი შეხედულებების შესახებაც, რომლებიც, მისი თქმით, წიგნში ძალიან ფხიზელი და ყოვლისგანმჭვრეტი თვალთაა დანახული. აქვე მთარგმნელთა საინტერესო დაკვირვებასაც მოიყვანს ნიმუშად:

„არ ვიცი, ამერიკელი ავტორისაა თუ ქართველი მთარგმნელების ეს დაკვირვება ტოლსტოის შესახებ, კარგი კია: „...ველარ ნაიკითხავდა აუღელვებლად ბიბლიური წინასწარმეტყველის სიტყვებს: ვინც ქარს დათესავს, ქარიშხალს მოიმკისო. უთუოდ ამ განცხადამ, მტანჯველმაში გადაზრდილმა, აუფორიაქა ისე სული, რომ ბერიკაცი გარეთ გამოიყვანა და სადღაც გააქცია უგზოუკვლოდ, როგორც საზოგადოებას ეგონა, თორემ თვითონ უთუოდ უფალთან შესახვედრად მისწრაფოდა სააღსარებოდ და მოსანანიებლად, ქრისტიანულ მოძღვრებას მისი სექტან-



როსტომ ჩხეიძე, მაია ჯალიაშვილი, პაატა ჩხეიძე

ტური განშტოება რომ დაუპირისპირა.

და ლევ ტოლსტოის ეს საეციელი მხოლოდ ასე შეიძლება გავიზნოთ და შევაფასოთ, როგორც ფრიდრიხ ნიცშეს ფსიქოლოგიურ პორტრეტზე დაკვირვება მიგვახვედრებს მისი სულის დაფარულ შრეს, ივლიანე განდგომილის სიკვდილისწინა წამოძახილის თავისებურ განმეორებად რომ ჩაგვესმის: — შენ გაიმარჯვე, გალილეველო!

მომხსენებელი საგანგებო ყურადღებას გაამახვილებს წიგნის მცირე ნაწილზე, რომელიც ქართულ კონსერვატიზმს მოიცავს, ალექსანდრე ორბელიანისაგან რომ მოდის და შეკრებილებს ამასაც გაუზიარებს:

„უნდა ვალიარო, რომ წლების წინათ ალექსანდრე ორბელიანს ლიბერალი მოღვაწე ვუნოდე. გამოგიტყდებით, მაშინ ხეირიანად არც მესმოდა განსხვავება ლიბერალიზმსა და კონსერვატიზმს შორის. ამ ტერმინს — „კონსერვატორი“ — როგორც წესი, ალექსანდრე ორბელიანის განსაკუთრებულად იყენებდნენ ხოლმე. საწინააღმდეგო ცნების მოშველიება ამ მოღვაწის დასახასიათებლად ჩემი მხრიდან იყო გულწრფელი სურვილი მისი „დაცვისა“ ვიეთთავან. ლიბერალიზმში კი, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობდი პოლიტიკურ მიმდინარეობას, არამედ ამით ხაზს ვუსვამდი ალექსანდრე ორბელიანის შემწყნარებლურ დამოკიდებულებას განსხვავებული აზრის მიმართ“.

ქალბატონი ნინო ბევრ სხვა საინტერესო დაკვირვებასაც გააცნობს შეკრებილებს და უხვად მოიხმობს ცალკეულ საგულისხმო პასაჟებს წიგნიდან, თუმცა ამჯერად იმ ამონარიდს გთავაზობთ, საქართველოს ისტორიაში პარლამენტური მონარქიზმის საფუძვლების ძიებას რომ ეხება:

„ვინ არ აღფრთოვანებულვართ ორი ქართველი მანდილოსნის — კრავაი ჯაველისა და ხვაშაქ ცოქალის დიპლომატიური ნიჭითა და უნარით, მაგრამ სწორედ ყუთლუ არსლანის კარავი მოჩანს პარლამენტური მონარქიის სათავეში. არადა, მოვლენათა როგორი ზედმიწევნითი ცოდნა, სწორი ანალიზის უნარი და ერთგვარი გაბედულება ცაა საჭირო იმისათვის, ყუთლუ არსლანი — რომელსაც მემატინანე დამამცირებელი ეპითეტებით იხსენიებს — სოლომონ დოდაშვილის, ქართველი ეროვნული გმირის სულიერ

წინამორბედად გამოაცხადო. მაგრამ თუკი ერთიცა და მეორეც პარლამენტური მონარქიზმის მომხრე იყო, მაშინ დასკვნა სავსებით ლოგიკური და კანონზომიერია. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია — იმ ორი მშვენიერი მანდილოსნის ნიჭს, უნარს, მოხერხებას საუკუნეობით შეუფერხებია ჩვენს ქვეყანაში საუკეთესო პოლიტიკური წყობის დამკვიდრება“.

ქალბატონი ნინოს თქმით, ეს წიგნი უთუოდ მისცემს კვლევის სტიმულს მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს, ალბათ ქართველ კონსერვატორთა რიგებიც შეივსება, მანამდე კი ისლა დაგვრჩენია, წავიკითხოთ, შევისწავლოთ, გავითვალისწინოთ, უბრალოდ, ვისიამოვნოთ პაატა და როსტომ ჩხეიძეების „კონსერვა-

ტიზმის ისტორიით“.

არსებობს ასეთი ოფიციალური დოკუმენტი: ერთ-ერთი აჯანყებისას საქართველოში ქართველ თავადებს რუსეთის მეფისათვის მიუწერიათ:

— ჩვენ არ ვართ ფრანგები. ჩვენ არ გადაგვიგდია მეფე. რა უფლების ძალით შლით საქართველოში ამ ყველაფერსო.

XIX საუკუნის დასაწყისში ნათქვამი ფრაზა: „მე არ ვარ ფრანგი!“ ნიშნავდა ამას: „მე ვარ კონსერვატორი!“

ამას შეკრებაზე ნიკა საწვლიძე იტყვის და წიგნის მრავალმხრივ მნიშვნელობას გამოკვეთს:

— მას აქვს როგორც პოლიტიკური, ისე ლიტერატურული ღირებულება. საერთოდ, სიტყვა კონსერვატორი, ტრადიციული გაგებით, რაღაც დრომოჭმულთან, მოძველებულთან, ჩამორჩენილთან არის გაიგივებული და ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, მიხვდება, რომ ასე არ არის.

კონსერვატიზმს აქვს ერთი ასეთი პრობლემა: სხვადასხვა ქვეყნის კონსერვატორები ერთმანეთს ვერ უგებენ... და ეს მაშინ, როცა სხვადასხვა ქვეყნის ლიბერალებს შესაშური ურთიერთგაგება აქვთ. რატომ? იმიტომ, რომ ყველა კონსერვატორი თავის ტრადიციასა და თვითმყოფლობას იცავს. ქართული და, ვთქვათ, ამერიკული ტრადიცია და თვითმყოფადობა კი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. ამიტომ ქართველი და ამერიკელი კონსერვატორებიც სხვადასხვა პოზიციაზე დგანან. შესაბამისად, კონსერვატორებთან მოლაპარაკება უფრო რთულია, ვიდრე ლიბერალებთან. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, წიგნში არის ცალკე თავი „ქართული კონსერვატიზმი“, რომელიც განხილულია არა როგორც უცხო სხეული, არამედ როგორც შესაძლო განშტოება მსოფლიო კონსერვატიზმისა.

ბატონი ნიკას აზრით, პოლიტიკური კონსერვატიზმი სხვა რამაა და მსოფლმხედველობრივი — სხვა. პირველი პოლიტიკურ-იდეოლოგიური მიმართულებაა, რომელსაც ადამიანი იყენებს გარკვეული პოლიტიკური მიზნებით. მეორე კი გულისხმობს კონსერვატორობას ამა თუ იმ ხალხის,

ერის შვილობის ნიშნით. ეს წიგნი პოლიტიკური კონსერვატიზმის ისტორია არ არის, რადგან ასეთ შემთხვევაში აქ უნდა თქმულიყო ისიც, რომ კონსერვატორებმა ბევრი რამ აიღეს ლიბერალებისგან.

ვერავინ უარყოფს იმას, რომ ლიბერალური ღირებულებანი — უფრო სწორად, ის ღირებულებანი, რომლებიც ლიბერალებმა მიიწერეს — აუცილებელია. მაგალითად, რატომღაც ყველას ჰგონია, რომ ადამიანის უფლებები რუსოს, რობესპიერისა და მათ თანამოაზრეთა სახელებს უკავშირდება, სინამდვილეში კი ამ ყველაფერს რელიგიური საფუძველი აქვს და ადამიანის უფლებათა პირველი დამცველები პირველი კათოლიკეები იყვნენ.

ბატონი ნიკა იზიარებს მთარგმნელთა აზრს, რომ ის, ვინც კონსერვატორია საქართველოში, კონსერვატორი ვერ იქნება გერმანიაში. მისი თქმით, ილიას რომ ბისმარკის გერმანიაში ეცხოვრა, უთუოდ ლიბერალი იქნებოდა, საქართველოში კი ის კონსერვატორად ჩამოყალიბდა.

— კონსერვატორი სხვადასხვანაირია სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა დროსა და ეპოქაში. მაგალითად, კომუნისტების რეჟიმისას კონსერვატორად ითვლებოდა მიხაილ სუსლოვი. ის ყველაზე დიდი კომუნისტი კონსერვატორი იყო. იმის თქმა მინდა, რომ ღირებულებები იცვლება, კონსერვატიზმის მიზანი კი ისაა საკუთარი ერისა და ქვეყნის გამოცდილება ისე მიუსადაგო თანამედროვეობას, რომ არ დაკარგო ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის ასე საჭირო და აუცილებელი ფასეულობანი.

კონსერვატიზმს აქვს კიდევ ერთი პრობლემა:

საფრანგეთის რევოლუცია მოხდა იმიტომ, რომ ფრანგი არისტოკრატია საკუთარ თავში ჩაიკეტა. აი, ინგლისის არისტოკრატია კი ასე არ მოქცეულა — მან თავის რიგებში მიიღო, მაგალითად, ჯონ მილტონი და პოლ მაკარტნი. მათ გააფართოვეს საკუთარი გზა ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად.

საუბრისას ბატონი ნიკა მეფის ინსტიტუტის აღდგენის დღესდღეობით აქტუალურ საკითხსაც შეეხო და გაისხენა, როგორ გვითხრა ქართველებს ერთ-ერთმა ცნობილმა ამერიკელმა ტელევიზიით: იმედი მაქვს, ამ სისულელეს სერიოზულად არ განიხილავენ.

— არადა, არსებობს XX საუკუნეში სამეფო ინსტიტუტის აღდგენის შესანიშნავი მაგალითი ესპანეთის სახით. მეფე ხუან კარლოსს აქვს დიდი უფლებები — უმაღლესი მთავარსარდლის უფლებაც კი — განსხვავებით დანიის დედოფლისაგან. სწორედ ამ ინსტიტუტის საშუალებით მან მოახერხა ესპანეთი ერთ-ერთ ნამყვან ქვეყნად ექცია ევროპაში.

ეს წიგნი ძალიან ბევრ საინტერესო თემას წამოწევს მსჯელობისათვის, ამიტომ მეტად საგულისხმობა მათთვის, ვისაც კონსერვატიზმი აინტერესებს და ამ საკითხებში გარკვევა სურს. ამისთვის მინდა მადლობა ვუთხრა მთარგმნელებს.

დავით წერეთლიანი კი, თვითონაც შესანიშნავი პოეტი და მთარგმნელი, რომელიც ერთ-ერთია მათ შორის, დღევანდელ ლიტერატურულ დონეს რომ განსაზღვრავს საქართველოში, და აინტერესებს კიდევ ეს საკითხები, დასძენს:

— წიგნს ჯერ არ გავცნობივარ, მაგრამ რაც აქ ითქვა, ყველაფერში ამკარად და წყაღგაუვალად ვეთანხმები ბატონ პაატას და ბატონ როსტომს. დარწმუნებული ვარ, ამ სახელმძღვანელოშიც ღრმა და მნიშვნელოვანი ანალიზი

იქნება, რადგან უკვე მივეჩვიე, რასაც ისინი ხელს მოკიდებენ, ყველაფერი საინტერესო გამოდის.

კონსერვატიზმი დიდი სამყაროა, რომლის ირგვლივაც პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა უამრავი მასალა მოიძიეს და ქართული პოლიტოლოგიური კვლევის სივრცეში ჭეშმარიტად „ზაპადნიკური“ იმპულსი შემოიტანეს და მთლიანად გადააფასეს კონსერვატიზმის მნიშვნელობა, საბჭოთა ეპოქაში, მოდერნიზმთან ერთად, სალანძღავ სიტყვად რომ მიიჩნეოდა, — ასე ფიქრობს **ვახტანგ ბახტაძე**, შეკრებაზე იმ წლებსაც რომ გაისხენებს, სუკელი პოლიტიმიომხილველები პოლიტიკურად ტვინგანყალბებულ საბჭოთა ადამიანებს რომ „ანათლებდნენ“, თითქოს კრემლის 1 ბინადარი, გენსეკი ლეონიდ ბრეჟნევი „დიდად პროგრესული და ჰუმანისტი ადამიანი იყო, ხოლო პოლიტიკურს 2 ბინადარი და მთავარი იდეოლოგი მისხილ სუსლოვი „ყეყეჩი“ და „რეტროგრადი კონსერვატორი“.

— დღეს კრემლის მიერ არაერთი თავსმოხვეული საბჭოური იდეოლოგიზებული კლიშეები, ტერმინები და გააზრებანი გადაფასდა. პაატა ჩხეიძეს, როსტომ ჩხეიძესთან ერთად, ამ ყველაფერში ფასდაუდებელი წვლილი აქვს, რაც, ჩემი აზრით, ცალკე საუბრის თემააო.

ბატონი ვახტანგი ამ ოცი წლის წინანდელ ვიზიტსაც გაიხსენებს ვაშინგტონში, სადაც ბუკინისტურ მალაზიაში შემთხვევით შეუძენია ერთი მომცრო წიგნაკი, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისშია გამოცემული აშშ-ში და მთლიანად კონსერვატიზმს ეხება.

რამდენიმე ხნის წინათ ამ წიგნაკს კვლავ დაბრუნება და თარგმნა დაუწყია. შეკრებილებს მან მოკლე ფრაგმენტებიც შესთავაზა ამ წიგნიდან, თან დასძინა:

— ამ თარგმანს დიდი პატივისცემით ვუძღვნი ჩემს მეგობრებს: პაატა და როსტომ ჩხეიძეებს, მათი ღვაწლისათვის კონსერვატიზმის გააზრებაში და ამ საინტერესო და საჭირო წიგნისათვის, ასე აუცილებელი რომ არის დღევანდელი საზოგადოებისთვისო.

სწორედ ამ თემაზე გაამახვილებს ყურადღებას **ქეთევან შენგელია**: მისი თქმით, ეს წიგნი იმ პერიოდში ჩნდება სალიტერატურო (თუ პოლიტიკურ) სივრცეში, როცა, ერთი შეხედვით, ძალიან ნამგებია ასეთ საკითხებზე საუბარი. მით უფრო, რომ დღესდღეობით მუშაობს გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც ძალიან ცდილობენ ნაშალონ და ახლით შეცვალონ ის სულიერი საზრდო, რაზედაც ამოზრდილია ჩვენი კულტურული ცხოვრება. ამ დროს გამოდის ასეთი ნაშრომი კონსერვატიზმის შესახებ, გამოდის იმიტომ, რომ დაამსხვრიოს ის არასწორი შეხედულებანი, დღეს თავს რომ ახვევენ ახალგაზრდებს.

ერთად თავმოყრა კი ამ მასალისა — ვიერეკით დაწყებული, ქართული კონსერვატიზმით დამთავრებული — იმი-თაცაა კარგი, რომ კიდევ ერთხელ ადასტურებს:

საქართველო მსოფლიო კულტურისა და სააზროვნო სივრცის ერთი ღირსეული და მნიშვნელოვანი ნაწილია.

საერთოდ, ფილოსოფოსებს არ ჰყვარებიათ, როცა მათ რომელიღაც მსოფლმხედველობის ჩარჩოში ჩაკეტავენ ხოლმე. ერთხელ, გერმანული წარმოშობის ამერიკელი ფილო-

სოფლისთვის, ერიკ ვოგელისათვის, შეუთავაზებიათ: თქვენს ერთ-ერთ ნაშრომს კონსერვატორთა ჟურნალში გამოქვეყნებო, მას უპასუხია:

— არც ისეთი სულელი ვარ, კონსერვატორი გახლდეთ, და არც ისეთი ბრიყვი, ლიბერალი ვიყო, — ასე დაუყენებია საკუთარი თავი ორივე მსოფლმხედველობაზე მალა.

არა, არ ჰყვარებიათ ფილოსოფოსებს რომელიმე მსოფლმხედველობის ჩარჩოებში ჩაკეტვა და იქნებ არც ილიას მოსწონებოდა კონსერვატორებში ადგილის მიჩენა, მითუმეტეს, რომ სხვადასხვა ქვეყნის კონსერვატორებს თავთავიანთი „ახირებანი“ ჰქონიათ — მაგალითად, კონსტანტინ პობედონოსცევი მიიჩნევდა, რომ რუსეთს უნდა დაეპყრო მთელი მსოფლიო და რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას ემართა მთელი საკაცობრიო აზროვნება. ისიც კონსერვატორი იყო და ილიაც, ვინც ამბობდა: „რაც კარგი ექნას იმ რუსის შტიკსა, თვითონ იმ რუსს ასკეცად მიეცეს“.

პიტერ ვიერეკი კი — ამერიკელი მოაზროვნე, რომელმაც ჰარვარდში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ცოტა ხანს იქ მუშაობდა, ვიდრე მათუნ ჰოლიოკის კოლეჯში (მა-საჩუსეტსი) მიიღებდა კათედრას. ორჯერ მიენიჭა პულიცერის პრემია — ერთხელ პოეზიაში, მოგვიანებით კი ისტორიაში, რაც იშვიათი გამონაკლისია — თავისი ჩამოყალიბებული მსოფლმხედვეთი გამოსულიყო ასპარეზზე.

აკი ესეიც გამოუქვეყნებია 23 წლისას სათაურით: „მაგრამ მე კონსერვატორი ვარ“, საუკეთესოდ რომ ამჟღავნებს კრედოს, რომელსაც მთელი ცხოვრება ერთგულედა.

პიტერ ვიერეკის ნაზრევი, ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ ჯერ საბჭოთა, შემდეგ კი პოსტსაბჭოურ სივრცეშიც, უცნობი და ხელმოუწვდომელი იყო. პაატა ჩხეიძესაც — ვისი წერილებიც ხშირად იბეჭდება ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე, სრულიად დამოუკიდებელი წერილები, რომლებიც ამ სახელმძღვანელოში არ შესულა და თავისი ლიტერატურული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, სულ მალე კი ცალკე წიგნად მოიყრის თავს, ისევე, როგორც მის მიერ თარგმნილი ესეები — პიტერ ვიერეკის ეს ნაშრომი ოკეანისგალმა სამყაროში აღმოუჩენია ამ რამდენიმე წლის წინათ.

მის ცხოვრებაში იყო ორი მძიმე წელიწადი... და როგორც ხდება ხოლმე ასეთ დროს, უფალმა მასაც მოჰკიდა ხელი, მისცა შანსი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გაცვლითი პროგრამით — ფულბრაიტის პროგრამით — აშშ-ში მოხვედრილიყო, სადაც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა ხუთი დიდი ბიბლიოთეკა.

ასე აღმოაჩინა ბევრი საინტერესო რამ. მათ შორის პიტერ ვიერეკის „კონსერვატიზმის ისტორია“ და გადანყვიტა ამ ლიბერალურ ღირებულებათა ეპოქაში ეს ყველაფერი ქართულ სააზროვნო სივრცეში შემოეტანა.

— ისეთი დიდი ლიბერალიც კი, როგორც აბრაამ ლინკოლნი იყო, ამბობდა: რითია კონსერვატიზმი ცუდი, თუკი ნიშნავს იმას, რომ ძველი და ნაცადი ამჯობინო ახალსა და გამოუცდელსო.

ყველაზე დიდ კონსერვატორს აშშ-ში, ქვეყნის მეორე პრეზიდენტს ჯონ ადამსს და მის თანამოაზრეებს კი ძალიან ეშინოდათ იმისა, რაც ამერიკელებმა დამართეს ქვეყანას, ეშინოდათ დემოკრატიისა. სწორედ ამიტომ შემოიღეს ამერიკის კონსტიტუცია, რომელსაც უმცირესობის კონსტიტუციას უწოდებდნენ. მათ ეშინოდათ უმრავლესობისა, რადგან ფიქრობდნენ, რომ უმრავლესობა ნალეკავდა ყველაფერს და ბევ-

რნაირი ჯებირი აღუმართეს მას. დღეს აშშ-ში ძალიან ცდილობენ, რომ არჩევნები პირდაპირი და საყოველთაო იყოს, ინგლისელები კი იმდენად ჭკვიანები არიან, მეტად რთული საარჩევნო სისტემა აქვთ. ასე ირჩევენ თავიანთ პარლამენტსა და პრემიერ-მინისტრს და როგორც დღემდე ახერხებენ საკუთარი ქვეყნის გადარჩენას დემოკრატიის სენისაგან.

როცა „კონსერვატიზმის ისტორიის“ თარგმნას ვინწყებდი, ჩემი სურვილი იყო ამ ყველაფრის შემოტანა ქართულ სივრცეში. იქიდან ვგზავნიდი პირველ ნაწილებს. მუშაობის პროცესში აღმოვაჩინეთ, რომ როგორც ამერიკულ, ისე ევროპულ კონსერვატიზმში იყო დეტალები, რომლებიც ძალიან ნააგავდა ქართულს. მაგალითად, კონსერვატიზმის ჩასახვა ევროპაში იყო რეაქცია საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ, საქართველოში კი — რეაქცია რუსეთთან შეერთებაზე. ასე გაჩნდა იდეა — ეს უკვე მთლიანად როსტომ ჩხეიძის დამსახურებაა — კომპარატივისტული ნაშრომის შექმნისა. გვინდოდა შეგვედარებინა, როგორ მოხდა მაგალითად ის, რომ ლიბერალი ედმუნდ ბერკი ხდება იმდენად დიდი კონსერვატორი, რომ მოუწოდებს ინგლისის მთავრობას: ახლავე შეკრიბეთ ჯარი და სისხლში ჩაახშეთ საფრანგეთის რევოლუცია... თქვენ იმ ავაზაკებთან დებთ ზავს, რომლებმაც მეფეს და დედოფალს თავი მოჰკვეთათ.

სამწუხაროდ, ჩვენ იოლად ვეჭიდებით ხოლმე ათასგვარ ახალშემოსულ „იზმებსა“ და „კრატებს“, რასაც ხშირად სავალალო შედეგებამდე მივყავართ... და თუ არსამდეც ჩახვალთ და იკითხავთ:

— მამ თუ დემოკრატია არ ვარგა, რა არის კარგი?

მე გიპასუხებთ:

— კონსტიტუციონალიზმი!

უნდა გვქონდეს კონსტიტუცია, მასში წარმოჩენილი ტრადიციითა და ისტორიით, და ეს კონსტიტუცია უნდა დავიცვაო.

აი, ეს იყო ჩვენი მიზანიც — ამ ყველაფრის გაცნობა ქართული სააზროვნო სივრცისათვის, თანაც ისე, რომ არა უბრალოდ თარგმნილიყო პიტერ ვიერეკის ეს წიგნი, არამედ ვრცელი ექსკურსები დართოდა და ქართული კონსერვატიზმიც წარმოჩენილიყო მსოფლიო პროცესების ფონზე.

მერე კი...

მერე ყველაფერი გაიოლდა, რადგან როცა როსტომ ჩხეიძე მოკიდებს ხელს რამეს, ყველაფერი იოლია ხოლმე.

ის კი... ამოდენა ბერძნული სამყაროს წინაშე იდგა მარტოკაცი და უნდოდა ეს ყველაფერი ქართულად ეთარგმნა. ის — ექვთიმე მთაწმინდელი.

საზოგადოება არ იყო მზად იმ ყველაფრისთვის, რაც მას ქართულ ცნობიერებაში შემოჰქონდა, ამიტომ გადაენწყვიტა, თავისებურად შემოეტანა — რალაც ადგილები გამოეტოვებინა, ტექსტშივე დაერთო კომენტარები, გარკვეული პასაჟები განეგრძო, თავისი ანალიზი დაემატებინა... ერთი სიტყვით, ყოფილიყო თარგმანსა და ორიგინალურ ნაშრომს შორის. ასე შექმნა საფუძველი მთარგმნელობითი მეთოდისათვის და ახალმა თაობამ უკვე ნამდვილი თარგმანები დააღაგა.

ეს მეთოდი კი დავინწყებას არ უნდა მისცემოდა და პიტერ ვიერეკის წიგნისა და მსოფლიო კონსერვატიზმის პირისპირ მდგარ მთარგმნელებსაც სწორედ ექვთიმე მთაწმინდელის სტილისტიკა გახსენებიათ და ასე შეიქმნა მეტად

ორიგინალური ნიგნი, რომელსაც სამი ავტორი ჰყავს.

— ცალკე თავის სახით მომზადდა ქართული კონსერვატიზმი, რაც მთლიანად პაატა ჩხეიძის დამსახურებაა, რადგან როცა იგი კითხულობდა ჩემს ნაშრომებს, ალექსანდრე ორბელიანზე იქნებოდა, ილია ჭავჭავაძეზე, არჩილ ჯორჯაძეზე, მიხაკო წერეთელსა თუ სხვებზე და სხვებზე, მეუბნებოდა: აი, ამ ნაწილს ხაზი გავეუსვათ, რადგან ეს სწორედ ქართული კონსერვატიზმი.

ასე მოგვევლინენ ქართველ კონსერვატორებად ეს პიროვნებანი... ქართული კონსერვატიზმის მამად კი ალექსანდრე ორბელიანი... და თუ შევადარებთ ერთმანეთს ედმუნდ ბერკსა და ალექსანდრე ორბელიანს — ან, ვთქვათ, ილიას — განსხვავებას ვერ იპოვნი, გეგონებათ ბერკი ქართველია, ილია ჭავჭავაძე და სხვა ქართველი მოღვაწენი კი ინგლისელები.

აქ ტერმინები ახსენეს. მათ თავიანთი მნიშვნელობა აქვთ, რომელიც სამუდამოდ დადგენილი არ არის. თუნდაც: როცა ვამბობთ, „რესპუბლიკა“, წარმოგვიდგენია გარკვეული სახელმწიფოებრივი სისტემა, სადაც მონარქიის ნასახი არ არის, მაგრამ სოლომონ დოდაშვილი რომ ამბობდა: საქართველო უნდა იყოს რესპუბლიკაო, გულისხმობდა პარლამენტურ მონარქიას, ამ ცნების დღევანდელი გაგებისგან განსხვავებით, საპირისპიროს რომ ნიშნავს.

როცა პაატა ჩხეიძემ რამდენიმე წლის წინათ ქუთაისში წაიკითხა მოსვენება: „უილიამ ფოლკენერი, როგორც რეაქციონერი“, მართლაც დიდი რეაქცია გამოიწვია:

— ფოლკენერი რეაქციონერი როგორ არის, პროგრესისტია?!

რეაქციონერობა, თავისთავად, არც კარგია და არც ცუდი. ეს არის ფაქტი, გარკვეული მსოფლხედვა — ისევე, როგორც კონსერვატორობა — და არა შეფასება. გააჩნია, რის წინააღმდეგ იჩენ რეაქციონერობას.

ილია ჭავჭავაძე ჩამოყალიბებულ ლიბერალად გამოვიდა ასპარეზზე, მაგრამ დაამთავრა როგორც კონსერვატორმა. სხვათა შორის, ეს ორი რამ — კონსერვატიზმი და ლიბერალიზმი — ძალიან ახლოა ერთმანეთთან, ხშირად კონსერვატორები ისე გადადიან ლიბერალიზმში, ლიბერალები კი კონსერვატიზმში, დაბეჯითებით თვითონაც ვერ აცნობიერებენ.

რაც შეეხება ნიგნის კიდევ ერთ თავისებურებას:

მთარგმნელებმა არამარტო ქართული კონსერვატიზმი შემოიტანეს, თვითონ პიტერ ვიერეკთანაც შეავსეს ის, რასაც იგი წერდა დასავლელ მოაზროვნეებზე. ბატონი როსტომის თქმით, ვიერეკს ნაკლებად ჰქონდა განხილული ფრიდრიხ ნიცშე, ხოსე ორტეგა ი გასეტი, უილიამ ფოლკენერი, დევიდ ლორენსი, ტომას ელიოტი, ირვინგ ბებიტი, პერსი ბიში შელ... მეტის თქმა შეიძლებოდა ბაირონზე, უფრო სწორად, იმ ლიბერალურ ნაკადზე ბაირონის შემოქმედებაში, სიახლოვეს რომ იჩენს კონსერვატიზმთან.

საგულისხმო კი ნიგნის ბოლო თავიც არის.

რამდენიმე წლის წინათ აშშ-ში გამოქვეყნებულა ნაშრომები სრულიად ახალი თეორიის — საერთო ნიადაგის თეორიის — შესახებ და ირწმუნებოდნენ: ამ გზაზე უნდა დადგეს აზროვნებაო. უხაროდათ ამერიკელებს: ჩვენ და სწორედ ჩვენ მივაგენით იმას, რაც უნდა იყოს ნამდვილი მამოძრავებელი და აქამდე არსებული ყალბი დოქტრინები ხელს ვეღარ შეუშლის ამ ყველაფერსო.

არადა, მათ მიერ ჩამოთვლილ ნიშანთაგან ხუთივე განხილული ჰქონია არჩილ ჯორჯაძეს, ვინც ილია ჭავჭავაძესა და ალექსანდრე ორბელიანს ეყრდნობოდა. რაც ამერიკელებს თავიანთი მონაპოვარი ჰგონიათ, საუკუნის წინათ ჩვენ უკვე გვქონდა ამავე სახელწოდებითა და გააზრებით.

— ეს ნიგნი კი არავის ებრძვის და არაფერს უპირისპირდება, — დასძინა შეკრების დასასრულს ბატონმა როსტომმა, — ის, უბრალოდ, გვიჩვენებს, რა არის კონსერვატიზმი. პირადად მე ვისურვებდი, ასეთი ნაშრომი ლიბერალიზმის შესახებაც ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, რომ ეს მსოფლმხედველობა ჩემთვის სრულიად მიუღებელია.

პიტერ ვიერეკს კოლოსალური ერუდიცია ჰქონდა და ამ სახელმძღვანელოში ყველაფერი დანურულადაა წარმოდგენილი, გზას რომ გვიჩვენებს და ათასგვარად განიტოტება. ჩვენც შევეცადეთ, ამ თარგმანის მოგვეზოგო ჩვენი მსჯელობა და ერთგვარი თეზისური მონახაზი შეგვეთავაზებინა

ლელა ხაჩიძე

„წინამძღვარი გზისაჲ და მასწავლებელი კეთილი“

ქართულმა ფილოლოგიურმა მეცნიერებამ კარგი შენაძენი მიიღო. გამოქვეყნდა პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის მონოგრაფია — „წმიდა გრიგოლ ნოსელი. ქალწულებისათვის და საღმრთოესა მოქალაქობისა“ (თბ., 2011).

წმ. გრიგოლ ნოსელის უნივერსალური მემკვიდრეობა, რომელიც აღბეჭდილია დიდი სულიერებითა და განსწავლულობით, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაწილობრივად შესწავლილი. პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის ნაშრომი პირველ ყოვლისა ყურადღებას იმსახურებს ამ დიდი მოაზროვნისა და საეკლესიო მოღვაწის მემკვიდრეობის შემდგომი შესწავლის თვალსაზრისით. იგი ასახავს ავტორის მიერ წლების მანძილზე წარმართულ კვლევას წმ. გიორგი ნოსელის ამ ნაშრომის ძირითადი პრობლემეტიკის შესახებ.

წმ. გრიგოლ ნოსელის „ქალწულებისათვის და საღმრთოესა მოქალაქობისა“ ეხება ასკეტური მოძღვრების, ასკეტიზმის არსსა და დანიშნულებას. ის ერთგვარი თეორიული საფუძველია ქრისტიანულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში გავრცელებული ბერ-მონაზვნობისა.

ნაშრომის დასაწყისში ავტორი ზედმიწევნით განმარტავს წმ. გრიგოლ ნოსელის ამ თხზულების ხასიათს: „იგი უმნიშვნელოვანეს საეკლესიო სწავლებას გვანჯდის არა იმდენად შეგონებითი, დამოძღვრითი, მქადაგებლური სტილით (რასაც უდავოდ თავისი ღირსება აქვს), არამედ გაცილებით მეტად — თანმიმდევრული განხილვის წესით, ანუ სისტემური მოძღვრების სახით. შეიძლება ითქვას, რომ წმ. გრიგოლ ნოსელი ფილოსოფიურ-თეოლოგიური კუთხით ჭვრეტს ქალწულებითი ცხოვრების რაობას და, ამდენად, მის მიერ გადმოცემული სწავლება უარსებითეს მნიშვნელობას იძენს ასკეტური ცხოვრების წესის შესამეცნებლად“.

წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულების მრავალმხრივ ანალიზს ერთვის ყველა ძირითადი ხელნაწერის გათვალისწინებით აკადემიურად დადგენილი ტექსტი. არანაკლებ საყურადღებოა ავტორისეული ვრცელი კომენტარები წმ. გრიგოლ ნოსელის ამ ნაშრომის ცალკეული მონაკვეთების შესახებ.

ნაშრომი მოიცავს ვრცელ ლექსიკონსაც, სადაც თითოეულ ლექსიკურ ერთეულთან მითითებულია ბერძნული შესატყვისი.

ნაშრომს ერთვის 3 რეზიუმე — ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, აგრეთვე გამოყენებული და საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის ნუსხა.

ამრიგად, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის ნაშრომი ზედმინევენით შეესაბამება თანამედროვე მეცნიერების უმაღლეს სტანდარტებს.

ნაშრომის უმთავრეს ღირსებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მასში შერწყმულია პროფესიონალი ფილოლოგისა და თვალსაჩინო ღვთისმეტყველის ცოდნა, რაც საუკეთესო საფუძველია ქრისტიანული მწერლობის ამა თუ იმ ნიმუშის კვლევისათვის.


ნაშრომის I თავში ავტორი განიხილავს ძეგლის საღვთისმეტყველო რაობას და წარმოაჩენს ასკეტური ღვანლის უპირატესობას. ავტორის დასკვნით „ჩვენ წინაშეა უაღრესად მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაშრომი ქალწულებითი ღვანლის შესახებ, რომლის თითოეული სიტყვა საეკლესიო აზროვნების სინატიფითა და სიღრმით არის აღბეჭდილი“. ნაშრომში საფუძვლიანადაა განხილული თხზულებასთან დაკავშირებული ფილოლოგიური საკითხებიც.

ავტორი, პირველ ყოვლისა, მიმოიხილავს საკითხის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, საიდანაც ნათელი ხდება, რომ ძეგლის კვლევა დაიწყო ძალიან ადრე — ჯერ კიდევ XVI საუკუნეში. აქვე ხაზგასმულია მ. ობინოსა და ფ. პ. კავარნოსის დამსახურება წმ. გრიგოლ ნოსელის ამ თხზულების შესწავლაში.

ევროპული მეცნიერებისა და ენების ცოდნა ავტორს საშუალებას აძლევს მოგვცეს საკითხის პროფესიული ანალიზი.

ნაშრომის II თავში წარმოდგენილია წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულების შემცველი ხელნაწერების განხილვა. კვლევა ძირითადად ემყარება სამ ქართულ ხელნაწერს — ანთოქიაში, კალიპოსში 1040 წელს გადაწერილ ნუსხას — 3, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ხელნაწერს 108, რომელიც XII საუკუნით თარიღდება და ათონის მთაზე დაცულ XI საუკუნის ხელნაწერს — Ath. 39, რომლის დასაწყისი ფურცლები (1-24) წმ. გიორგი მთაწმიდელის მიერაა გადაწერილი (გვ. 16).

ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას ზრდის ავტორის მიერ გამოყენებული ხელნაწერების ქრონოლოგია და ხასიათი. კიდევ ერთხელ იკვეთება ანტიოქიური ტრადი-



ციის, კერძოდ, კალიპოსის მონასტრის მნიშვნელობა. არანაკლებ საინტერესოა გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული ნაწილის შემცველი ხელნაწერის განხილვაც.

წმ. გიორგი ნოსელის „ქალწულებითა და საღვთო მამისათვის“ ქართულ ენაზე წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის მიერაა თარგმნილი. ბუნებრივია, ეს გარემოება დიდად ზრდის ქართული თარგმანის მნიშვნელობას.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებანი. ამ მხრივ ზუსტი შეფასება ჯერ კიდევ დიდმა ქართველმა სწავლულმა — წმ. ეფრემ მცირემ, XX საუკუნის ქართულ ფილოლოგიაში კი აკად. კ. კეკელიძემ და მისი სკოლის სხვა წარმომადგენლებმა მოგვცეს. პროტოპ-

რესვიტერ გიორგი ზვიადაძის ნაშრომიც ამ სკოლის დიდ მეცნიერულ ტრადიციებს აგრძელებს. ავტორის დასკვნით „ეფთვიმე ათონელისეული თავისუფალი თარგმნის მეთოდი განსახილველი თხზულების თითქმის ყოველ ნიშნადადგებში გარკვეული მოცულობით იჩენს თავს, ამიტომ შეუძლებელია უკლებლივ ყველა ნიმუშის წარმოდგენა, თუმცა თუნდაც ჩვენ მიერ დამონმებული მაგალითებიც კი მთელი სისავსით ცხადყოფს მთარგმნელის წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის, შემოქმედებით თანამონაწილეობას ავტორთან, წმ. გრიგოლ ნოსელთან“. სწორედ ამ „შემოქმედებითი თანამონაწილეობის“ თვალსაზრისითაა განხილული ნაშრომში წმ. ეფთვიმეს მიერ შეტანილი ცვლილებები — ტექსტის გავრცობის და შემოკლების, აგრეთვე წმ. ეფთვიმეს მიერ ბერძნული ტექსტის გაქართულების შემთხვევები.

ბუნებრივია, საუბარი ისეთ დიდ საეკლესიო მოაზროვნესა და ღვთისმეტყველზე, როგორცაა წმ. ეფთვიმე ათონელი — „ივირონის“ წინამძღვარი და ათონის დიდი ლავრის ეპიტროპი — განსაკუთრებული თეოლოგიურ და ფილოლოგიურ მომზადებას მოითხოვს. სწორედ ამის ნიმუშია ანალიზი პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის მიერ წმ. ეფთვიმეს მიერ ორიგინალთან მიმართებით შეტანილი ცვლილებებისა. ავტორი ზედმინევენით იცნობს და იმონმებს წმ. გრიგოლ ნოსელის ამ თხზულების ბერძნულ ორიგინალს. ავტორის დასკვნით „წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი ხშირ შემთხვევაში ძეგლის თანავტორადაც გვევლინება“.

ნაშრომში საგანგებოდაა შესწავლილი თხზულებაში დამონმებული ციტატები წმიდა წერილიდან და წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის „როგორც ღვთისმეტყველისა და მთარგმნელის დამოკიდებულება ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან ციტირებულ სიტყვებთან“.

წმიდა წერილთან მიმართებით ძველი ქართული მწერლობის მეცნიერულ შესწავლას გარკვეული ისტორია აქვს, თუმცა ბევრი რამ შემდგომ კვლევას საჭიროებს. ამ პირობებში, ვფიქრობთ, აქტუალურია განსახილველი ნაშრომის შესაბამისი მონაკვეთიც. ავტორი შედარები-

სათვის იყენებს წმიდა წერილის არაერთ მეცნიერულ გამოცემას. მრავალი საინტერესო მაგალითის გამოვლენისა და სკრუპულოზური ანალიზის შედეგად იკვებება საინტერესო დასკვნა ამ შემთხვევაშიც წმ. ეფთვიმე ათონელის მიერ თავისუფალი, შემოქმედებითი მეთოდის გამოყენების შესახებ.

ინტერესს იმსახურებს ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულების წმ. ეფთვიმეს მიერ თარგმნილი ტექსტი რედაქტირებას განიცდის წმ. გიორგი მთაწმიდელის მიერ, რაც ასახულია Ath. 39 ხელნაწერში: „ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ის უაღრესად კვალიფიციური ჩარევა ეფთვიმე ათონელის თარგმანში, რომელიც ტპ. 39-ის ტექსტის ნაწილებს ნაწილშია. გარდა ამისა, ვფიქრობთ, ეფთვიმისეული თარგმანის სწორებას ძნელად გაბედავდა რომელიმე უსახელო რედაქტორი“.

ავტორი საგანგებოდ განიხილავს შესაბამის მაგალითებს და დაასკვნის: „წმ. გიორგი მთაწმიდელმა, ბერძნული ორიგინალიდან ხელმეორედ შედარების გზით, შეასწორა ეფთვიმესეული თარგმანის ზოგიერთი ადგილი, რომლებიც, შესაძლოა, მკითხველის მიერ არაერთმნიშვნელოვნად ყოფილიყო გაგებულნი“.

უნდა ითქვას, რომ ავტორის მიერ განხილული მაგალითები ემთხვევა ქრისტიანული ეკლესიის უდიდესი მოღვაწის — წმ. გიორგი მთაწმიდელის მუშაობის თავისებურებებს (ლ. ხაჩიძე, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი, იოანე მინჩხის პოეზია, თბ., 1987, გვ. 59 - 74; ლ. ჯღამაია, გიორგი მთაწმიდელის თუნი, თბ., 2007). წმ. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული „მარხვანის“ გამოვლენისა და შესწავლის შემდეგ (ლ. ხაჩიძე, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი), ვფიქრობთ, ზუსტადაა შესაძლებელი Ath. 39-ში შესული წმ. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული ნაწილის განსაზღვრაც.

ამრიგად, პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის ნაშრომის ეს მონაკვეთი ყურადღებას იმსახურებს საქართველოს ეკლესიის უპირველესი ავტორიტეტის — წმ. გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობითი მეთოდის კვლევის თვალსაზრისითაც. ნაშრომის ერთ-ერთ ღირსებად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ წმ. გიორგი მთაწმიდელის მიერ შეტანილი სწორებანი ასახულია წმ. გიორგი ნოსელის ამ თხზულების პუბლიკაციაში. საქართველოში ხომ კანონიკურად იქცეოდა ყველაფერი, რაც წმ. გიორგი მთაწმიდელის ხელიდან იყო გამოსული!

ნაშრომის მეტად საყურადღებო ნაწილს წარმოადგენს ვრცელი თეოლოგიური კომენტარები წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულების ძნელად განსამარტავი მონაკვეთების შესახებ. ავტორის მიერ კომენტარებულია 148 ასეთი მონაკვეთი წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებიდან. შეიძლება ითქვას, რომ ამ ვრცელი და ამომწურავი კომენტარების სახით ჩვენ თვალწინა დამოუკიდებელი ნაშრომი, რომელიც მოიცავს თეოლოგიურ, ფილოსოფიურ, ტერმინოლოგიურ კვლევას და ყურადღებას იმსახურებს ქრისტიანული მწერლობის სხვა ძეგლების შესწავლის თვალსაზრისითაც.

ეს შეფასება შეიძლება განზოგადდეს პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის მთელ ნაშრომზე, რომელიც სამაგალითო ნიმუშია რწმენისა და ცოდნის ერთიანობისა.

ნანა კუცია

„რაც უცვლელი რჩება“

(ნათია მეგრელიშვილი, „+5,0“)

ყოველი ცვლილების სარგებლიანობა იზომება არა იმით, რა იცვლება, არამედ იმით, რაც უცვლელი რჩება.

ერლომ ახვლედიანი

„რატომ ვართ უკვე 20 წელია სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე? იმიტომ, რომ მღვდელი დაეხვრიტეთ და არც მოვინანიეთ...“

სხვა დრო იყო, იტყვიან.

ქართველისათვის ეკლესია სინამდვილე იყო ყველა დროში. ქართველებს დროის ფაქტორები რომ გაეთვალისწინებინათ, არც ერთი გმირი არ გვეყოლებოდა.

ცოტნე დადიანის დროც „სხვა“ იყო და ქუჯი ერისთავიც... და ვით აღმაშენებლისაც და თამარისაც...

უკანასკნელი წლების დრამები ჩვენი ბრალია და, ვიდრე არ ვალიარებთ და სინანული არ შეგვიპყრობს, არაფერი შეიცვლება“ — ციტატა ნათია მეგრელიშვილი ნიგნიდან „+5,0“ (2010, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, რედაქტორი — როსტომ ჩხეიძე).

მეწამული, სისხლისფერი ნიგნი — ტკივილით დატენილი გული — თითქოს მზა სცენარითა კრებული (ზოგ ესეინოველს ახლავს კიდეც მინანური — „კინოსცენარი“).

ნიგნი — „მაჯამისა შემტყვებარი.“

დოკუმენტალისტიკა და მხატვრული შრე-პასაჟები დახვეწილად

ერწყმიან ერთურთს და იქსოვება უკანასკნელი ოცნლელის (და არამხოლოდ) — ტრაგიკული, იმავდროულად, საქართველოს ისტორიისათვის ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ეპოქა-ეპიზოდის გულის, გრძნობისა და გონისმიერი ტილო-სურათი.

ნათია მეგრელიშვილის სევდიანი და ნათელი ნიგნის კითხვისას, ალბათ, შემთხვევით როდი მომგონებია რუსთველისეული „გული, გრძნობა და გონება“ — სწორედ გული, გრძნობა და გონება თხზავს ესეინოველათა კრებულს (და არა უემოციო, გულგრილი ქრონოგრაფოსის მშრალი რაციო).

ჭირისუფლის, თანამლობის მთრთოლ რეფლექსიებს ანალიტიკურ-რაციონალისტური ნიაღვრეები (სანათასეული „სულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვამი?!“) ენაცვლება, რათა ტექსტმა ჟამის ოქსიმორონი აირეკლოს უზუსტესად, მათიანის პირუთვნელობით („ქართლის ცხოვრების“ ანალებიც ფაქტთა მშრალი კონსტატირება კი არა, „ნატყეხებია დიდი ეპოსის“ (გრიგოლ რობაქიძე)).

„+5,0“ — ტკივილი და ირონია ერთდროულად ჟონავს სათაურიდან. ეპოქა გულით მოაზროვნეს იდუმალ უკარნახებს მხატვრულ ფორმას სათქმელის დასაუნჯებლად, მაგრამ რაკი საქართველოში ყოველ ეპოქას სხვა ჟამთა (მრავალთა) ტრადიცია ესაძირკვლება, „სმენად განმარტებული ყურის“, თუ —

საბანისის ანალოგიით — ხედვად განმარტებული თვალის პარადიგმაც უნებლიეთ ჩნდება, სახარებით ნაკარნახევი.

ეკოსეული უილიამ ბასკერვილელის სათვალეც წამოგვაგონდეს იქნებ (გულით (და ისეც) ბრმათ რომ „ემმაკის მანქანები“ ეგონათ).

უბრალოდ, სადად, დაოკებული ტკივილით ჰყვება ნათია მეგრულიშვილი, ირონიის სანელებლით შეზავებს უგემურ-ტრაგიკული ყვამის სამსალას, წარმოსახულ მკითხველს გაენდობა და ენდობა (იქნებ, ილიასეული, ქრესტომათიული „იცი, მკითხველოს“ მაგიით შთაგონებულ-ლიც) და ნარატივი ცოცხლდება, მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმის კინოკადრებივით ჩაივლის თვალწინ განვლილ-განცდილი განსაცდელი.

მკითხველიც თითქოს თანაშემოქმედად ექცევა მწერალს, მთხრობლის შინაგანი შუქითა და სიმართლით, ნდობით მონიბლული, იქნებ, იმაც, რომ „მხოლოდ ერთნაირჭირგამოვლილთ შუქლიათ, გაუგონ ერთმანეთს“ (მაკა ჯოხაძე, ნილბი — თავშესაფარი, მზერის გადანაცვლება, 1988).

მთხრობელ-მკითხველი ერთი განსაცდელის განმცდელია — არა მხოლოდ უკანასკნელი ოცნლეულის „აბსურდის თეატრისა“, არამედ ეგზისტენციური ვარამისაც, მხოლოდ ფიქრით და რწმენით რომ გაინელებ და გადარჩები.

რასაც უნდა კითხულობდე ქართულს (ფოლკლორიდან, ჰაგიოგრაფიიდან ვიდრე უახლესი ქართული მწერლობის ფსეულ, მაღალმხატვრულ ნიმუშებამდის), ეგზისტენციური ვარამის ყოფის სიხარულით განელებს სწორედ ის უცნაურ-საცნაური ნიჭი მოგხიბლავს, უფლისაგან უხვად რომ მოჰმადლებია ქართველს.

ნათია მეგრულიშვილისეულ ტექსტშიც ყოფის სიხარულით ნელდება ეგზისტენციური ვარამი, სივრცესაც ქართული მზერით იუნჯებს და, როცა საშველი არ არის (ელა გოჩიაშვილს ლექსის მშვენიერ პასაჟს დავესესხები), „გამოიხსნის დიდებულ სიტყვას „ჩვენ“, შეგყვანს და შემოგყვება სიტყვაში“

(სიტყვაში ყველაზე დიდი სიმშვიდე და სიმყუდროვეა — სიტყვა-ლოგოსის უცხო, უჩვეუ ნათელში).

სიუჟეტურ ჩარჩოდ (პირობითად) შატო დე ლევილის ბიბლიოთეკაში რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის ორმოცდაათწლიანი არქივის შესწავლას აირჩევს, მოისაბაბებს. „გარიყული და განწირული ქართველების სივრცეს“ იმისთვის მიუახლოვდება და მიეახლება, შორეული და უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს ჩაულრმავდეს, კიდევ ერთხელ დაინამდვილოს, რომ არაფერია ახალი ცისქვეშეთში და ისტორიის ტრაგიკულ გაკვეთილებს, სამწუხაროდ, კვლავაც არავინ ითვალისწინებს.

ფრანგულ-ქართული შთაბეჭდილებებიც საიმისოა, კიდევ ერთხელ გაცნობიერდეს: «В большом и радостном Париже вся та же тайная тоска» (მარინა ცვეტაევა).

თუმცა გალაკტიონთან „საქართველო-პარიზი სხვადასხვა ქნარებია“, აქაც და იქაც „ცხოვრების კლასიკური, მკაცრი კანონები ბატონობს“.

„სხვისი“ ქალაქის — მარადიული დღესასწაულის — პოეზია ყველასია, საყოველთაო. „ფერადი ფოთლები გამჭვირვალე მდინარის ტალღებზე ჩამოსკუპებულან და ლივლივებენ, ჰაერში კი შემწვარი ნაბლის სუნი ტრიალებს, სანაპიროზე ფოთლები ცვივა, რატომღაც ძალიან სიმეტრიულად, თითქოს ვიღაც მართავს და ლამაზად ალაგებს მინაზე“.

სნობებმა შეაძულეს ინგლისური და კომპიუტერი, ამიტომ ფრანგული ვისწავლე და მორზეს ანბანით, ტკივილიანი იუმორით დასცდება მწერალს. თან პარიზის ქუჩები ისე ჰგავს პლენანოვს...

პარიზში მოინატრებს „საყვარელ და სასაცილო ქალაქს. პანანუნა სივრცეში მარტო ელიტა გვყავს რამდენიმე: პოლიტიკური, პოლიტოპოზიციური, მდიდრების, ძველი ნომენკლატურა, ბიზნესელიტა, კულტურა და შოუბიზნესი, ძველი ნითელი ელიტა, ყოფილი ანტი-საბჭოთა ელიტა, ბურჟუაზიული ელიტა, ცოლების ელიტა, პოპშილების ელიტა, კიდევ — რა მოთვლის: სამედიცინო, სამეცნიერო, ჭკვიანების, ფსევდოჭკვიანების, სნობების, ტალანტების... და ეს ყველაფერი — ერთბენო ტერიტორიაზე.“

და ჩინებული რემარკა (სასაცილო, სატირალი რომ არ იყოს): „წარმომიგენია, რა ხდება რიოში, სტამბულში, ნიუ-იორკში, პარიზში“.

მხოლოდ ფაქტთა კონსტატირება:

„დღევანდელი თბილისის მოკლე შინაარსი“: „გაზაფხულის საღამოა მშვიდი და კაფებიც გადაელიტოვებულია... ალუბლის შამპანური, ლოქოს ყელე, მანგუსტის პაპატელო, ავსტრალიური სიმინდის პური“...

ლირიკული ინტერმეცო: „ძველი პარიზული კაფე მაგონდება, სადაც გენიოსები იყრიდნენ თავს, თითო ჭიქა ღვინოს ძლივს უმკლავდებოდნენ. არც ფული ჰქონდათ, არც სტატუსი, მხოლოდ ბევრი ვალი და ნესტიანი სარდაფები, ცივი მანსარდები და ბევრი შედევი“.

„გენიოსები ეძებდნენ ჭეშმარიტებას და ცდილობდნენ, სამყაროს უღირსობა მშვენიერებით გადაეფარათ“.

ახლა „თბილისის ლიტკაფეებში მარტინის სვამენ და ანა გავალდას ახალ რომანს აკრიტიკებენ, იქვე, სალონში, შუშის მძივებს ცეცხლის ფასად ჰყიდიან.“

კვლავ ლირიკული ინტერმეცო: ერთ დროს აქ საკონცერტო დარბაზი იყო, სადაც მწერალმა (თუ მისმა ლიტერატურულმა ორეულმა) პირველად მოისმინა სტანისლავ ნეიგაუზის შოპენი, ემილ გილელის რახმანინოვი, ვირსალაძის ბეთჰოვენი.

„ძვირფასი ადგილები სახინკლეებით გადაივსო“.

„ფიქრნი მტკვრის პირზედ შეუძლებელია — ან პატრული მოგადგება, ან სუტენიორი“.



მხატვარი თინათინ ჩხეიძე

კითხულობს ესეი-ნოველებს (ალბათ, ასე განისაზღვრება ნარატივის ჟანრი) და, უხილავი რეჟისორის ძალისხმევით, კინოკადრებით ჩაგირბენს თვალწინ ჟამი, ჯერაც იმდენად ახლო, რომ ბევრს რასმე სახელი არც დარქმევია.

გუშინდელი სისხლიანი მბრძანებლები, ქართულ მიწათა გამწუქებლები, ქართველი ახალგაზრდებისათვის („თვითმფრინავის ბიჭებად“ თუ „ჯინსების თაობად“ რომ მონათლეს) ფრენის ამკრძალველი მეგუარებს წერენ ამო იმედით, „არ მისცენ წყევად თვის სახელი შთამომავლობას.“

მაგრამ „+5,0“ არ არის შურისძიების პრიმიტიულ-ბანალური სურვილით ნაკარნახევ-დანერძილი წიგნი, არც ყურნალისტური ოპუსი — ფაქტთა მშრალი კონსტატაცია. ეს განსჯაა (გავიგორებ — „გულისმიერ-გრძნობისმიერ-გონისმიერ“) — ზნეობრივი, განათლებული ადამიანის მტანჯველი თვითჩაღრმავება იმის გასაცნობიერებლად, როგორ და რატომ დაუშვა საზოგადოებამ (ანუ ყოველმა კონკრეტულმა პიროვნებამ) ის, რაც ხდებოდა „ჩვეულებისა-ებრ მამულისა სლვისა“ დამვიწყებელ, იმპერიის პროვინციად დაკნინებულ ქვეყანაში ათწლეულთა მანძილზე.

შურისძიება პრიმიტიული გონის სურვილია. ნათია მეგრელიშვილის განმსჯელი გონი, მოაზროვნე გულის მხედველი თვალი ზნეობის პირუთენელი ლუპის ქვეშ გაისიგრძეგანებს საზარ ფაქტებს — ვითომც „თვითმფრინავის ბიჭების“ „დამკვლავიანებელი“ მღვდლის დახვერტისა, ქართული მიწა-წყლის „უზომოდ, უანგარიშოდ, ულევად“ გაცემისა, ზვიად გამსახურდიას დაღუპვისა... ათასწლეულთა მიჯნის ტრაგიკულ მოვლენათა კრიალოსნად რომ ასხმულა — როგორც სირცხვილს და სახსოვარს, დასაფიქრებელსა და გასაცნობიერებელს.

მწერალი არავის ვადანცემს ანათემას. არც სიძულვილია, არც ბოღმა, არც განრისხება უმშვიდეს ნარატივში. ბოროტების უარსობის არეობაგელისეული აღქმა-გააზრება ნიშნულია ზნეობრივ-ნიგნიერ ქართველთათვის და ნათია მეგრელიშვილიც ამ დასისაა.

„ამა ქვეყნის ძლიერთა“ ნათია მეგრელიშვილისეულ აბრისებში ჟამიერ ალღალებულთა გალაკტიონისეული უზუსტესი დეფინიციაც ილანდება:

„იარე! კაცო შენ აღარ გქვია. შენთვის არასდროს არ გათენდება!“

გაკრთება ბიბლიურ რემინისცენციაც — კაენის დამკვიდრება „ქუეყანასა ნაიდს.“

მთხრობლის მშვიდი ნარატივი მით უფრო ფასეულია, რომ ნათია მეგრელიშვილის ოჯახი ეპოქის „საქაჯავის“ უშუალო მსხვერპლია, გეგა კობახიძე კი — თაობის ერთი უკეთეს წარმომადგენელთაგანი (ობივატელმა რომ „გარენარ, საზიზარ და უნამუსო ბავშვად“ მონათლა უახლოესი ნათესავი.

„ჯინსების თაობა — უკანასკნელი ოცნლეული პოპთემა“ — ნათია მეგრელიშვილისათვის (საერთოდ, მოაზროვნე ქართველთათვის) „პოპთემა“ როდი, ტრაგედიაა (ტრაგედია, რომელიც იმთავითვე გამორიცხავს შოუს და ქილიკს).

ნათობრივი განზოგადების უმძაფრესი ძალას იძენს და ტრაგედიამდე მალდება. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ესეი-ნოველა „გახსოვდეთ ციცერონი“ თავისი შემადრწუნებელი, თავზარდამცემი (რა უცნაურიც არ უნდა იყოს, იმავდროულად, დახვეწილი) მხატვრული ნატურალიზმით (!) ისეთსავე შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, როგორსაც „მონანიების“ ცნობილი სცენა — ხის გადანაჭრებზე სამუდამოდ დაკარგულ უახლოეს, უძვირფასეს

ადამიანთა მინანქრებს რომ ეძებენ სასონარკვეთილი, ჯერ-ჯერობით, დროებით გადარჩენილი უახლოესი ნათესავები.

ესეი-ნოველაში ახლობლები „თვითმფრინავის ბიჭების“ ცხედრებს, საფლავებს ეძებენ. „კეთილისმყოფელი“ („ასაკოვანს არ ჰქონდა პროფილი, ახალგაზრდას კი სახე არ გააჩნდა — ბოსხის პერსონაჟები“ — უზუსტესი და ტევადია ავტორისეული მონასმები — ნ.კ.) დახმარებას აღუთქვამენ. სიმბოლური თანხა, რომელსაც მოითხოვენ, ადასტურებს, რომ ისინი მხოლოდ „ისპალნიტელები“ არიან, მოკარნახე და რეჟისორი კი კვლავ ბნელი ძალაა, ტრაგედიის მარადი „შემოქმედი.“

ციტატა: „გეზი ქვემო ქართლისაკენ ავიღეთ. იქ, სადაც ძალიან იცვლება ქართული ბუნება და სიმწვანეს ყავისფერი და მშრალი მთები ცვლის. თითქოს ვილაცას გადაუწვავს ეს მხარე და ხეც აღარ ხარობს. ტრიალი ფერდობები და სუსხი.“

რემარკით დასრულებული, მოსხეპილი თხრობა — ტრაგედიისთვის უპრიანი, მრავალსიტყვაობის იმთავითვე გამომრიცხავი.

ბენუელის კადრები: „შიშველ ფერდობებზე შეფენილი, მოწყენილი საბჭოთა მანქანები და აქეთ-იქით ნერვიულად მოსიარულე მშობლები, მიწიდან საკუთარ შეილებს რომ ელოდებიან.“

მერე — „კუბო და მის ირგვლივ გაყინული ადამიანები. ყველას უნდა, რომ მისი შვილი იყოს და, ამავე დროს, არც უნდა... შავი და დამწვარი ჩონჩხი, რომელსაც სოსო წერეთლის სახე აქვს“ (სოსო ყველამ იცნო. ცნობილი იყო მისი ცხედრის მუყავში განადგურების ვერსია)...

„უცებ მოღრუბლულ ცაზე მზე გამოჩნდა. მახსოვს დედუს სიტყვები: „ნახე, ჩვიდმეტი წლის შემდეგ ისევ დაინახა მზე!“ დედუ პატარა იყო ოთხმოცდასამში და არა მგონია, სცოდნოდა, რომ სოსოს განსაკუთრებით უყვარდა მზე და თმაც მზისფერი ჰქონდა...“

მერე სოსო ზარ-ზეიმით დაკრძალა პუბლიკამ, რომელიც ბიჭებს მოღალატეებად მოიხსენიებდა. მშობლები ღია საფლავებთან მიაგდეს და შევარდნაძემ ისევ გვირგვინი დაიდგა.“

კვლავაც შემზარავად ზუსტია რემარკა: „ტრაგედიამი ლირიკა შემოიჭრა.“

ნარატივის მშვიდ (მშვიდად სასონარკვეთილ) ტონს, იქნებ, იმ ტრაგიკული ფაქტის ვაცნობიერებაც განსაზღვრავდეს, რომ „**შეუძლებელია პრობლემის გადაჭრა აზროვნების იმავე ტიპით, რამაც ეს პრობლემა შექმნა**“ (ანიშტაინის დაიმონწებს მთხრობელი) და დასკვნას მკითხველს მიანდობს — თავის თანამედროვეს, ტრაგიკულ ამბავთა მოწმეს და განმცდელს, მიენდობა მის მეხსიერებასა და ზნეობას („ადამიანი ხსოვნაა და რეაქცია“ (მაკა ჯოხაძე).

მეხსიერება და ზნეობა ისტორიის სპირალურობას კიდევ ერთხელ გაიცნობიერებს, იქნებ, ის საზარი „მისამართიც“ ნამოავონდეს — თბილისიდან მე-18 კილომეტრზე, სოლანლულთან 37-ში გაჭრილი უსახელო სამარების, სადაც ქერი დათესეს — არ მოვიდა, ხეები დარგეს — არ იხარა. მხოლოდ ყაყაჩო მოსდებია ტრამალს მენამული სისხლის წვეთებად.

ტრაგედიის მზა სცენარია ესეი-ნოველა, ისტორიის ერთი საზარი პასაჟის ანარეკლი.

უახლესი ისტორიის სხვა რეფლექსიაც, ფიქრისა და სინანულისთვის განმანყობელი (ესეი-ნოველა „ზვიადი“):

„მთავარმა მონმებმა კვდომა დაიწყეს და ცოცხლად დარჩენილი ათას მითს თხზავენ, ოლონდაც თავი იმართლონ და სისხლი ჩამოირეცხონ.“

დავეყურებ ზვიადის საფლავს და ვგრძნობ, როგორ მე-
ცოდება.

მოკლეს თუ თავი მოიკლა? მე მგონი, ორივე ერთად.

ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ მოეკლათ და ყველა-
ფერი იღონეს იმისთვის, რომ თავი მოეკლა...

იქნებ, იქ მიხვდა, ტყეში, რომ ზუსტად ის ხალხი, რომე-
ლიც მთავრობის სახლის წინ არ იდგა და საკუთარ სახლებ-
ში ასკდებოდა გულს, სწორედ ის იყო მისი ხალხი.

არ გვესმოდა, რომ შეზღუდული დემოკრატიის პოლიტი-
კური სისტემის დამყარება ზვიადის პატივმოყვრული კაპრი-
ზი კი არა, მოვლენათა მსვლელობის ლოგიკური შედეგი იყო.

გარდამავალი პერიოდისაგან სასწაულს ველოდით,
ზვიადისაგან კი — ჯადოქრობას.

მართალია, ყველაფერი ზვიადს დაბრალდა, მაგრამ მის-
დამი ანტიპათიის დათესვაც და შემდგომი მოვლენებიც ერთი
დრამატურგის დაწერილი პიესა იყო... არც კი შეგვცოდებია.

თითქოს მისი სიკვდილი ახალი სიცოცხლის დასაწყისი იყო.

ციცერონმა კეისრის მკვლელობაზე თქვა: „საქმე ალეს-
რულა ზრდასრულ ადამიანთა სიმამაცით, მაგრამ გეგმა
შედგენილი ყოფილა ჩვილ ყრმათა ჭკუით.“

ზვიადის სიკვდილი „ზრდასრულ ადამიანთა სიმამაცის“
შედეგი არ ყოფილა და არც „ჩვილ ყრმებს“ ვუნდებ რუ-
სული იარაღით გათამამებულ ქართველ მარეკებს (ბაზ-
გასმა ავტორისეულია და კვლავ — უზუსტესი — ნ.კ.),
რომლებმაც რამდენიმე თვეში მილიონები დააგროვეს და
საკუთარი ერი მრავალწლიანი დეპრესიისათვის განირეს...

დღესაც არ განელებულა ზვიადის სიყვარული-არსიყ-
ვარული, მაგრამ ვის უყვარს მისი უკანასკნელი წუთები?
ვის რცხვენია ამ წუთების? ვინ ამაყობს ამ წუთებით?!

კითხვა რიტორიკულია, მაგრამ გარდაუვალი, ბიბლიუ-
რი წინასწარმეტყველის სიმკაცრისა და განმწმედი პირდა-
პირობის დამმარხველი.

შორეულ ლანდებსაც მიელაციცება ხედვად განმარტე-
ბული გული მთხრობლისა (ნარატივში ქართულ ამბებს პა-
რიზული ჩაენაცვლება — სულის მოსათქმელად, თუ სუნთ-
ქვის შესაკრავად?!

ან, იქნებ, ეს სულაც ერთი და იგივე ამბებია?!).

„უცხო ქვეყანაში ცხოვრება იმ ხეს მაგონებს, რომელ-
საც ფესვები სტიკვა და წყალს არავინ უსხამს, არც ჩიტები
სხდებიან ტოტებზე და არც სტიქია ინდობს. ხე ნაადრევად
ბერდება, ხმება, გული უსკდება. ადრე მსგავსი გამონათქ-
ვამები პათეტიკურად მეჩვენებოდა, მაგრამ სინამდვილე
ყოფილა. თანაც — ძალიან მწარე.“

ტექსტის დასაწყისშივე კონსტატირებული მწარე სი-
მართლე:

„რა გეჭირს?! ძალიან ვამაყობთ იმით, რომ ძველ ცივი-
ლიზაციათაგან ერთ-ერთი ჩვენ შემოვრჩით სამყაროს,
მაგრამ რის ხარჯზე?! ალბათ, გარეშე მტრის დაუსრულე-
ბელი შემოსევით, როცა ქართველი თავგანწირული ხდება.
აბა, წყნარი ცხოვრება რომ ყოფილიყო, ერთმანეთს ჯერ
კიდევ ადრეულ საუკუნეებში დაგვფლეთდით. გაგვიმართ-
ლა, რომ მუდმივად გვყავს რეალური მტერი. ომი როგორ
უნდა ინატრო კაცმა, რომ შენი თანამემამულეების ერთია-
ნობითა და ვაჟკაცობით ისიამოვნო!...“

ლევლის სასაფლაოზე ერთმანეთის მეზობლად განის-
ვენებენ დაუძინებელი მტრები, დღეს კი ყველას ერთი სა-
ზომით ვაფასებთ და ერთნაირად გვიყვარს... ლევლიშიც

გამიჭირდა, სადაც მეზობლები ერთმანეთს არ ელაპარაკე-
ბოდნენ და ჩემგანაც ითხოვდნენ მხარდაჭერას. ერთი თუ
დამპატიჟებდა სადილზე, მეორე ბრაზობდა და პირიქით“.

მთანინდა და ლევილი სახსოვარია და საფიქრალი.

მთანინდის ქვემოთ — ქალაქი, ჭრელი და გულისმომ-
წყველი.

მხოლოდ ფაქტები (კვლავ — პირუთენელი მემატანი-
საგან აღნუსხული): დევიანტების ქვეყანაში „კადრები და-
კომპლექტებულია ალიასკისა და ჯაკარტას უნივერსიტე-
ტების კურსდამთავრებულებით“ — „პოლინეზიურ-ასმა-
ტურ-მიკრონეზიულ-ტფილისური გილდია“ კრიტიკული
ასაკის გამო იწუნებს სივის წარმდგენთ, სამუშაოს მძებ-
ნელთ — საკუთარ ქვეყანაში დევიანტებად აღქმულთ. უნი-
ვერსიტეტის, სამხატვრო აკადემიის, კონსერვატორიის
დიპლომებს „ვენის, სინგაპურის, კადმანდუს, ტრინიდადი-
სა და ტობაგოს კონვენცია“ არ ცნობს, მოაზროვნეებს „რა-
დიოში მეტისმეტად აკადემიურებად, უნივერსიტეტში —
რომანტიკოსებად“ უხმობენ, დევიანტობისათვის წირავენ.

ნუგეზად ესეი-ნოველათა პალიტრაზე მშვენიერ პორტ-
რეტებად ჩნდებიან ანდრეი ტარკოვსკისა და ერლომ ახვ-
ლედიანის აბრისებები.

ბრწყინვალე რუსი რეჟისორის ნააზრევი მხოლოდ მას ვერ
შეუძრავს გულს, „ვისაც არასოდეს დასცემია თავზე სამყა-
რო, არასდროს უნახავს შვილის ტკივილი, არასდროს უგრძე-
ნია მარტოობა და არ შეშინებია გათენების“, რადგან ტარკოვ-
სკის „შვიდი ფილმი ადამიანის ცხოვრების გზაა, სადაც კვან-
ძი იხსნება და ითქმის ერთი დიდი სიმართლე — რომ ცხოვრე-
ბის აზრი სიყვარულია, რომელიც მსხვერპლს ითხოვს“.

ერლომი — „იშვიათი ტიპი ადამიანისა — მოკრძალებული,
თავაზიანი, თავმდაბალი, კეთილი, ნიჭიერი და ძალიან სვედი-
ანი... არავის მოუსურვებია, სწორედ ასეთი ადამიანები მოე-
ძებნა და მათი ენით დალაპარაკებოდა საქართველოს. ალბათ,
გაუჭირდება თანამედროვე მაყურებელსა და მსმენელს მისი
საუბრისა და აზროვნების არისტოკრატიზმის აღქმა — იგი არ
ილანძლება, არა აქვს ლექსიკონში მწარე სიტყვები და თავი არ
ჰგონია ილია ჭავჭავაძე... მოაზროვნეთა იმ კატეგორიას განე-
კუთვნება, რომელსაც შეუძლია, ერის ტკივილი საკუთარ ბა-
ლიშივე გამოიტყოს და ცრემლი დამალოს... შეუძლია დიდ
გზას დაადგეს, ხრიოკსა და მზიანს, წვიმიანსა და თოვლიანს,
მთის წვერზე მდგარ ეკლესიაში სანთელი სამშობლოს დაუნ-
თოს ისე, რომ ვერც ერთი ტელევიზია ამას ვერ გადაიღებს...“

და — ფრაზა-ნუგეზი: „კეთილშობილი ადამიანი მითი
არ არის — ისინი უმცირესობაში არიან, მაგრამ — დიდე-
ბულ უმცირესობაში, სადაც ვერც არჩვენებით მოხვდები
და ვერც ფულით“.

„ხროვის ხალისობაში“ (ოთარ ჩხეიძე) რაინდს მონატრ-
რებს მოაზროვნე გული.

მწერლის მაღალი დარდი აბსოლუტურად გამართლე-
ბულია: „ზღაპრული რაინდების ეპოქა ოფიციალურად დი-
დი ხანია დასრულდა, მაგრამ რაინდმა არ იცის არც ისტო-
რია, არც ეროვნება და არც დრო — ის ყოველთვის არსე-
ბობს სივრცეში და ადამიანის წინაშე ქედს იხრის. დღეს ხე-
ლოვნებაშიც აღარ ცხოვრობენ რაინდები. ისინი ფლეგმა
ნიჰილისტებმა, სექსუალურად დაუკმაყოფილებელმა და
ინტელექტუალურმა სნობებმა შეცვალეს (ინტელექტუა-
ლურობაც დღეს სოციალური სტატუსია და არა გონებრივი
და სულიერი მდგომარეობა“.

არადა, რაინდთა ტიპური წარმომადგენელი შინ ჰყავდა მწერალს — „ბაბუა, გერმანე კობახიძე, ადვოკატი, ბრწყინვალედ რომ იცოდა საქართველოსა და ანტიკური ხანის ისტორია, ფილოსოფია, პოლიტიკის ისტორია, იყო დიდი თეატრალი და მეგურული სიმღერების ცრემლიანი მოტრფიალე, უბადლო თამადა და ლექსთა მთქმელი, მეომარი და უშიშარი. 70 წელი ელოდა რუსების წასვლას და სამშობლოს დამოუკიდებლობას. არც ციხე დაჰკლებია და არც ბერიას განაჩენი, არც შვილის დამცირება და არც კომუნისტების მიერ დახვრეტილი შვილიშვილი“.

ლაკონური და ტევადია მიძღვნა-ეპიგრაფი: „ნიგნი ეძღვნება ჩემს „კონტრეველუციონერ“ ბაბუას, გერმანე კობახიძეს, რომელიც მთელი ცხოვრება ელოდა სსრკ-ს დაშლას, სიცოცხლის ბოლოს კი თქვა: „ესენი აღარასოდეს წავლენ“ და თავად წავიდა... თუმცა მალე „ესენი“ წავიდნენ და „ისინი“ მოვიდნენ, მერე ისევ „ესენი“ დაბრუნდნენ და ცხოვრება სრულიად შეიცვალა.

1981 წელს ბაბუამ მოგონებები დაწერა და ის მიაშობო, რაც არ მინახავს, მე კი სამყაროს +5,0 სათვალთ ვუყუარებ და იმას ვუბამობ, რაც მას არ უნახავს.“

ტარკოვსკისა და ერლომისაგან, ბაბუასა და არისტოკრატ დევიანტთაგან აბსოლუტურად განსხვავებულ ტიპაჟებსაც მზერს მთხრობლის მხედველი გული:

„ჩვენს ქალაქში ძალიან უცნაური მდიდრები ცხოვრობენ. ფული როგორც კი იშოვებს, შვილები თავიდან მოიშორებს და განათლების მიღების მიზნით შორეულ მატერიკებზე გადაისროლეს. მე მგონია, რომ ადამიანი ცხოვრებაში ერთხელ მდიდრდება, ერთი სიცოცხლე აქვს, და მხოლოდ ახლობელთა გვერდით უნდა გაატაროს...“

ფული თუ გაქვს, იყიდე მიწა, მარცვალი ჩაყარე და მოსავალს დაელოდე. მაშინ იგრძნობ თავს კაცად, როცა შენს დაწურულ ღვინოს დალევი და შვილების დარგულ ხეზე ატამს დაკრეფ.

ღმერთმა ყველას საკუთარი მიწა გამოგვიყო და აქ დაგვასახლა. საჭირო რომ ყოფილიყო, ახალ გვინეში, ასმატებთან ვიცხოვრებდით და კაზუარზე ვინადირებდით. რატომ სწყევტ პირმშოს მისტიკურ კოდს და აიძულებ, სამხრეთ აფრიკის სამშენებლო კომპანიის თანამშრომელი იყოს?! საკუთარ მიწაზე სასტუმროში ცხოვრობ და ჩინურ კერძებს მიირთმევ. არასოდეს გაგხსენებია სოფლის სახლი, ისე დაინგრა და გაქრა, არც შენუხებულხარ“. სამწუხაროდ, სტრიქონთა ადრესატი დევიანტთა ქვეყანაშიც კი უამრავია...

„ნუთუ ასე რთულია, გიყვარდეს სამშობლო დროებითი სახელების გარეშე?!“ — როგორც მრავალი სხვა, ეს კითხვაც რიტორიკულია ნათია მეგრელიშვილთან.

„ერთი და იგივე ტიპები ხან წითლები იყვნენ, ხან ეროვნულები, ხან მეომრები, ხან მოქალაქეები, ხან ნაციონალები, ხან ოპოზიციონერები, ხან რევოლუციონერები ისე, რომ არავის დაჰკლებია კეთილდღეობა და პრივილეგიები, ჩვენ კი ისევ მოვალენი ვართ, ქუჩაში გავცვივდეთ და მათ მომავალ წარმატებებზე დავდოთ ფსონი იმ „პერსპექტივით“, რომ ისევ აუტსაიდერები ვიქნებით. არც მიტინგზე მივალ, არც ვიშიმშილებ, არც არავის დავამზობ — დამზობილი და გათელილი საკუთარი თაობაც მეყოფა“ — დიდი სასონარკვეთის დიდ სიმშვიდეს დაიმარხავს ციტატა, ტკივილიან გამოცდილებას.

ტკივილი სხვაც ბევრი გამჯდარა სულში, მაგალითად — მოგონება სკოლისა. კვლავ — მხოლოდ ციტატები, კომენტარს რომ არ საჭიროებს:

„მძულდა ცივი და უაზრო სივრცე, სადაც არ არის სიმყუდროვე და განწყობა, სადაც ყოველთვის მზარავდა ყვირილი, შეურაცხყოფა, ანგარება, ნიჭიერების უგულუბელყოფა, ინდივიდუალიზმის ჩახშობა, ფსიქოლოგიის გაუთვალისწინებლობა, კონსერვატიზმი, ფავორიტებზე გათვლილი ღიმილი, დოგმები, პათოსი, პროფესიის არსიყვარული, საგნის უცოდინრობა, ფსევდო-პედაგოგიური ამპარტავნება“.

სკოლა, „სადაც გრიგოლ რობაქიძე არ იყო მწერალი, სადაც ადამიანი მაიმუნისაგან წარმოიშვა, სადაც რსდმპ ყრილობები უფრო აქტუალური იყო, ვიდრე გიორგი ბრწყინვალეს ცხოვრება ან „შენ ხარ ვენახი“.

გურამიშვილის „მთავარი სლოგანი — „ისმინე, სწავლის მძებნელო!“ — სწავლისაკენ საყოველთაო მოწოდება კი არ არის, მძებნელზე, დამფასებელსა და გონიერზე გათვლილი. „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“ — აქ პოეზიას კი არა, ადამიანის ტრაგედიას ვხედავ და არა მგონია, გურამიშვილი ინგლისურის ან კომპიუტერის ცოდნას გულისხმობდეს“.

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ „ერთ ბავშვს მამა თვალწინ დაუხვრიტეს, მეორეს წამალმა მოუკლა, მესამეს დედა ესპანეთში გაექცა, მეოთხეს საბერძნეთში ჰყავს და „შმოტკვებს“ უგზავნის, მაგრამ ბავშვს დედა უნდა და არა ბოტასი, მეხუთე მთელი დღე მარტოა და დალილ მშობლებს მხოლოდ საღამოს თუ მოჰკრავს თვალს, მეექვსეს მხოლოდ ბებია ჰყავს და, თუ მისთვის წამალს ვერ იშოვის, იქურდებს...“

სწორედ მათ შეკითხვებს უნდა გაუძღონ მასწავლებლებმა, რომელთაც ამერიკელი ფსიქოლოგი ურთიერთობის ანაბანას ასწავლის, რაც ქართველს გენეტიკურად შესისხლხორცებული აქვს: დაბადებიდან უყვარს მშობელი, ჰყავს მეგობრები, იცნობს მეზობლებს, რაც ხშირად დასავლურ სივრცეში გაუგებარია“.

მოაზროვნე გულს მთხრობლისა აძრწუნებს ეპოქა, როცა „პიანისტები და მევიოლინეები დიჯეებმა შეცვალეს“.

„კლასები ერთმანეთისაგან ქალაქებივით განსხვავდება, წარმოიდგინეთ, ერთ დღეში იმოგზაურო მოსკოვში, სამტრედიამში, ბრატისლავაში, მადრიდში, რეიკიავიკსა და ბეირუთში... მრავალფეროვნებისთვის კვირაში ორჯერ ღაზას სექტორში მაქვს ხოლმე საქმე“.

სამწუხაროდ, აკლია სკოლას გულით მოაზროვნე მასწავლებლები, რომლებიც მოსწავლეებს გააცნობიერებინებენ, რომ „ნამდვილი წარმატება არის სიმშვიდე, სიყვარული, სიხარული, რაც არაა მატერიალური, სულისმიერი მდგომარეობაა“... ცოტანი არიან, მაგრამ არიან...

კრებულის უმშვენიერესი ნოველა — „დეჟავუც“ სევდიანი იუმორითაა გაჯერებული. პარიზიდან თბილისისაკენ, თვითმფრინავში აღსარებას მოისმენს მთხრობელი-პერსონაჟი (ეს ესე-ნოველაც მზა კინოსცენარია — პერსონაჟთა უზუსტესი პორტრეტებითა და ავტორისული კომენტარ-რემარკებით).

გურამიშვილი შემოდგომისპირს (ფიქრისთვის განმანყოფილ ფამს) ბუბიას ბავშვობის მეგობრებთან ერთად რამდენიმე დღით გამგზავრებული ახალგაზრდა ქალი (ავტორის თანამგზავრი თუ სულაც ლირიკული ორანი), ბოსტონში ორუნივერსიტეტდამთავრებული, ყოფიერების იდუმალ საზრისზე დაფიქრდება („წყევლაკრულვიანი საფიქრალი“ იუმორის უნაზეს, უფაქიზეს ბლონდებში გაეხვევა და ესე-ნოველას უაღრესად სასიამოვნო საკითხავად აქცევს. მხოლოდ ეგზისტენციურს დავიდასტურებ, რადგან იუმორი

ციტირებისთვის იდუმალ-მოუხელთებელია და მისი რეფლექსიისთვის მთელი ნოველის გადმონერა იქნებოდა უპრობანო): „პირველად მიყვარდა ბებია ასე ძლიერად. ყოველი საღამო კათარზისი იყო... მიხვდები, რაც ხდება: ბავშვობიდან ცხოვრება გამოცდას გვინყობს და ბებიას და ბაბუას ერთგულ მასპინძლებად მოგვივლენს სასტიკ სამყაროში... სამყარო ჩემს მომავალს მახვედრებს და ცდილობს, მითხრას, რომ მოხუცები მსახურები კი არა, შენი სახეა დასასრულის წინ და, თუ იცნობ და შეიყვარებ, გაუფრთხილდები და იზრუნებ მათზე, ასევე ტკბილად დაგისრულდება სიცოცხლე, რომელიც არც შენი მონაპოვარია და არც შენი უკვდავება. ბებიასთვის მე მისი წარსული ვარ, ის კი ჩემი მომავალია, ჩვენ ვერთიანდებით ანშოში და ყველაზე დიდებული „დეჟავუ“ ხორციელდება, რომელიც საკრალურ ემოციებს ბადებს.“

ის საოცარი სიტბო, რითაც ბებიას მეგობრებთან რამდენიმე დღიანი ბედნიერი განმარტოება აღინერება, მხოლოდ ტექსტთან მიახლებსასაა საცნაური, ავტორის დახვეწილ ბუნებას, ნატიფ იუმორსა და უდიდეს სიყვარულს იმარხავს. ნამდვილი ლიტერატურაა, კლდიაშვილისებრი — „რბილი, ნათელი და გულმემატიკივარი იუმორით“ (მ. ჯოხაძე) გამთბარი.

რაზეც არ უნდა წერდეს ნათია მეგრელიშვილი, გემოვნება, ტაქტი და აზროვნების სიღრმეა მისი სტილის უარსებობის ნიშანი.

ეპოქის ერთი უდიდეს ტკივილთაგანიც უდიდესი ტაქტით, ბრძენი, მამულზე უზომოდ შეყვარებული ადამიანის პოზიციიდან აღინერება, დოკუმენტალისტიკას ბელეტრისტული ნარატივი შეეღვრება — იმპრესიონისტული ფერები და სურნელება:

„ზღვა იყო წითელი და ძალიან ქაფიანი, ბათუმი კი — ცისფერი და ძალიან უცხო. ლამაზი ქალაქია, მაგრამ სუნი არა აქვს, აი, ისეთი, სოხუმში რომ იყო. კელასურის სადგურზე ევკალიპტის, კვიპაროსის, ახალიის, გლიცინიის, მაგნოლიის, კამელიის, ცაცხვის, ნაძვის, სველი კენჭების, ლოკოკინების, რელსებისა და ზღვის სურნელება ერთმანეთში იხლართებოდა და ადამიანებს სულსა და გონებას უმღვრევდა“ (თუნდაც მხოლოდ ამ პასაჟისთვის სამუდამოდ შემეყვარდებოდა ნათია მეგრელიშვილი — ის ჩემი ბავშვობის ულამაზეს ლანდშაფტს აღწერს და ლოკალის ფერსა და სურნელს აფხაზეთის მკვიდრი იუმორით უზუსტესად აღიქვამს — ნ.კ.).

საქართველოს ყოველ კუთხეს ელაციცება, ეფერება მხედველი გული...

აზიელი ტურისტების ავტობუსს გაჰყვება სამცხეში მთხრობელი-პერსონაჟი, რათა ერთხელაც „დაეუფლოს ისტორიასთან შეხების შეგრძნება“, არადა, სომხები ეტყვიან, „ჯავახები ჩვენა ვართ და ქართული სოფლები აქ არ არისო“.

ხომ არ იკარგება „მევახშეთა ქალაქად“ ქცეული მთავარი ქალაქი საქართველოსი, „მოქეიფე იმერეთმა, მეღვინე კახეთმა, ხუმარა გურიამ, კონცეპტუალურმა სამეგრელომ, მეომარმა ხევსურეთმა, ტრადიციულმა სვანეთმა“ დედაქალაქად რომ ირჩია?!

თბილისური ნოსტალგია ფაქტია და ქალაქი „სევდიანი და გულმავინყი ადამიანებითაა სავსე“.

„უკანასკნელი წლების დრამები ჩვენი ბრალია და, სანამ სინანული არ შეგვიპყრობს, არაფერი შეიცვლება“, გავიმეორებთ ზემოთ დადასტურებულ ციტატას.

აზრის გაგრძელება: „სინანული ჩვენთან პოპულარული

მდგომარეობა არ არის, თუმცა ჩვენი რელიგია ამას გვასწავლის“.

ციტატა-კადრები უახლესი ისტორიიდან, ნათია მეგრელიშვილის წიგნში გადმოღვრილი — მასალა ფიქრის, განსჯისა და სინანულისათვის:

„ზვიადისტები პატრიარქის გადახაზული ფოტოებით დარბოდნენ, ყოფილი ზვიადისტები კი მათ იარაღითა და ქვებით უსწორდებოდნენ. ღმერთის არც ერთ მხარეს არ შეშინებია. მალე მივიღეთ პასუხი აფხაზეთის ომის სახით. პუტჩისტები ომის წაგებას ზვიადისტებს აბრალებდნენ და (მერამდინე!) — ნ.კ.) რისხვასავით დაეცნენ სამეგრელოს, ცეცხლის ალში გაახვიეს, ზვიადისტები კი 27 სექტემბერს სუფრას შლიდნენ და ომის წაგებას დიმიტრაურით აღნიშნავდნენ.“

აბსოლუტურად გასაგებია და გამართლებული ავტორის პროვიდენციალიზმი. მემატანისეული ობიექტურობაც.

კავკასიის ტრაგედიაზე წერისასაც სუბიექტურ-ობიექტური (აბსოლუტურად ადამიანური) დამოკიდებულება თითქოს წამიერად პიროვნულად ბზარავს და ეს ნაბზარი ტექსტს მალაღმბრულ ღირებულებას ანიჭებს: ჩვენს სტუდენტებს მხოლოდ ქართულად ესაუბრება ლექტორი — ავტორი-პერსონაჟი. „გროზნოში ნაომარი თაობა იყო, ცხოვრება ისევე დაეგრავა, როგორც ჩვენ, მაგრამ სოხუმს ვერ ვპატიობდი, ვერ მოვერიე სოხუმის სისხლიანი ტალღების, დამწვარი გაგრისა და გათელილი ბიჭვინთის კადრებს. გრძობდნენ, რომ პირადად არაფერს ვერჩოდი და მხოლოდ ისტორიული მესხიერება მტანჯავდა, ცდილობდნენ, აეხსნათ, რომ აფხაზეთში ჩეჩენი კრიმინალები იბრძოდნენ, რომელთაც არავითარი კავშირი ჩეჩენეთის სამოქალაქო საზოგადოებასთან არ ჰქონდათ. აგრავებმა ჩეჩენეთიც კი დამპატიჟა, ნახეთ, როგორია მიწასთან გასწორებული გროზნო, იქნებ, გული მოგიბრუნდეთ, მერე აულში აგიყვანთ, ბებია და ბაბუა უნდა გაგაცნოთ.“

„რეალური საფრთხეები დავასახელებ, მაგრამ პასუხი იმდენად რომანტიკული იყო, სუნთქვა შემეკრა: „თხუთმეტი შეიარაღებული ჩეჩენი მეომარი დაგხვდებოდა აზერბაიჯანში, უსაფრთხოდ ჩაგიყვანენ, უიმათოდ არსად წახვალთ, რიგრიგობით დაიძინებენ და თქვენი მტრის სისხლს დალევენ. თქვენს სიცოცხლეზე თითოეული აგებს პასუხს.“

ალექსანდრე ყაზბეგის რომანის გმირად წარმოვიდგინეთ თავი“ — კვლავ უზუსტესია ავტორისეული რემარკა. იცვლება დრო, მაგრამ მკვიდრი (!) კავკასიელის ფსიქოტიპია უცვლელი (თუმცა რომანტიკულ ნიაღვრებში მაინც საფრთხედ აღიქმება (და აბსოლუტურად გამართლებულად) უცხოთა მომრავლება, უცხო ენაზე მეტყველება ქართულ მიწაზე).

„როცა ქართულ ცეკვას ვუმზერ ან ქართული სიმღერა მესმის, ქართულ ფრესკას ვხედავ ან ქართულ ლექსს ვკითხულობ, ძალიან ამაყი და ბედნიერი ვარ, მაგრამ, როცა ქართველ პოლიტიკოსებს (ორივე მხარეს!) ვუსმენ, გული მისკდება და ზუსტად ვიცი, რატომ სცემს სულხან-საბა, რატომ გაიქცა სააკაძე, რატომ არა გვაქვს თამარის საფლავი, რატომ მოკლეს ილია, რატომ არ უხდინდნენ პენსიას აკაკის, რატომ განირეს დიმიტრი ყიფიანი, რატომ წავიდა ნიკო ნიკოლაძე, რატომ აგდებდნენ უნივერსიტეტიდან ივანე ჯავახიშვილს, რატომ გაიქცა კოტე მარჯანიშვილი, რატომ დახვრიტეს ევგენი მიქელაძე და სანდრო ახმე-

ტელი, რატომ არ მივიდა ქართველობა ექვთიმეს დასაფლავებაზე, რატომ გაიქცნენ მენშევიკები, რატომ გვყავდა ნითელი ინტელიგენცია, რატომ მოკლეს ნაზი შამანაური, რატომ ამოხდა სული გოდერძი ჩოხელს, რატომ გაუსკდა გული მერაბ მამარდაშვილს, რატომ არ კითხულობენ აკაკი ბაქრაძის წიგნებს, რატომ გვყავს ამდენი ემიგრანტი“...

მკაცრია და მართალი დასკვნა (კვლავ — მხოლოდ ციტატები):

„შერჩევითი დამოკიდებულება, ფარისევლობა, სნობიზმი, ნეპოტიზმი მოუშორებელ ჭირად გვჭირს და ამას ვერც ერთი კანონმდებლობით ვერ მოვერევით, ეს ჩვენი ეროვნული სენია, ისეთივე, როგორც გაპათოლოგებული ტოლერანტიზმი“.

„ბედნიერი ხანა მაშინ დაგვიდგება, როცა სამშობლოს ცნება გაცდება გვარებსა და სახელებს და პასუხისმგებლობას არა პარტიებისა და ჩინების, არამედ სამყაროს წინაშე ვიგრძნობთ, ჩვენთვის გამოყოფილ პანანუნა ნაწილს მოვუვლით და არ გავაცამტვერებთ.“

აფხაზეთში დახვრეტილი ქართველი ბერი — მამა ანდრია მაგონდება. „ეს ვისი მინაა, რუსეთის თუ ქართველებისო“, — ჰკითხა რუსმა ჯარისკაცმა. „ეს ღმერთის მინაა!“ — არ დააყოვნა პასუხმა და დახვრიტეს.

ეს ულამაზესი მინის ნატეხი არც ერთი ჩვენგანის მონაპოვარი არ არის. ის არაა ჩვენი საკუთრება, არაა ნივთი. ის სამყაროა, რომელიც გ ა ო გ ე ბ უ ლ ი ა ჩვენი სიძულვილით“.

ქვემოთ დადასტურებული აზრი მთხრობლისა პუბლიცისტურ-ბელეტრისტული ნარატივის აუცილებლობის უკეთესი განმარტებაა:

„არავინ ცდილობს, მიუკერძოებლად განიხილოს ქვეყნის ჭირ-ვარამი, მეცნიერული კვლევა ჩაუტაროს არსებულ დაპირისპირებებს.“

ჟურნალისტები, პუბლიცისტები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, ანალიტიკოსები და ექსპერტთა მთელი არმია მხოლოდ შოუს მონაწილენი არიან და ერთადერთი იარაღი სხვისი კრიტიკა და ქილიკია, საკუთარ თავს კი არავინ იდანაშაულებს. არადა, „სამშობლო ყოველმა ჩვენგანმა უნდა იხსნას, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავში“.

ვერ ველევი გონიერი და ზნეობრივი ავტორის ციტატებს. ფორმულის ლაკონურობითაა განმარტებული „წყევლაკრულვიანი საკითხავის“ არსი და მიზეზი, ჭრილობაში „ჩასაფევი“ ბრძამიც მრავალგზის გაილანდება.

„ემიგრანტებზე ვაპირებდი წიგნის დაწერას, მაგრამ ახლა გამიჩნდა ვკარგავ და თემასაცო“, იტყვის ავტორი და ტკივილით დასცდება მთავარი: „გაიდევალეული წარსულიც არ ყოფილა შვება — იქაც დაჩეხილი სულების სამყარო დამხვდა“.

ლოგიკურად იკვრება წრე — წიგნის სიუჟეტური ქარგა — ლევილი მხოლოდ საბაბი იყო. „შინდაბრუნება ყველაზე სწორი და მართალი საქციელია დედამინაზე — სამყაროს ჰარმონია გამოთლიანებაშია, რაც სანყისთან დაბრუნებას ნიშნავს“.

ერთდროულად მწარეა და ტკბილი გაცნობიერება იმისა, რაზეც წლები გიფიქრია, ახსნა გინატრია: „რადიო „თავისუფლების“ არქივი შევისწავლე და მივხვდი, რომ სსრკ-ს მოქალაქისათვის ის რომანტიკა უფრო იყო, ვიდრე თავისუფლების არსის შეცნობა.“

ჩვენ არ ვიცოდით, რა იყო თავისუფლება. პიროვნულ და სახელმწიფოებრივ თავისუფლებას შორის უზარმა-

ზარი სხვაობაა, ჩვენ კი ერთ კონტექსტში აღვიქვამდით — იქნებ, სწორედ ეს იყოს წიგნის მთავარი ციტატა, მთავარი სათქმელიც...

„დამაფიქრელი“, მრავალგზის გადასაკითხავი წიგნის ბოლოს — ერთი შეხედვით უცნაური, მაგრამ აბსოლუტურად გამართლებული ქმედება, ესეისტურ კრებულს რომ მაღალმხატვრული ბელეტრისტული თხზულების ბრწყინვალეობას ანიჭებს, კრავს კვანძს და ნათხრობს დასრულებული ტექსტის ხიბლით აღბეჭდავს — ავტორი-პერსონაჟი არქივს მინას მიანდობს, დამარხავს (დაიმარხავს!) წერილებს, გაშიფრულ ტექსტებს, ფოტოებს...

ერთ ბარათს ქარი მოსტაცებს, ძლივს დაენევა, თვალს გადაავლებს და ერთხელ კიდევ დარწმუნდება, რომ სწორად იქცევა (სხვისი ნაწერი მისივე გულისთქმის ანარეკლია):

„ვგრძნობ სიმსუბუქეს, სიხარულსა და ვარსკვლავებს. მივცურავ ქარში და მივფრინავ ზღვაში, ისევ გზაში ვარ. მარადისობაში არის რალაც შემზარავი“...

ეს ბარათიც მინას მიეზარება, როგორც ოდესმე ყველანი მივეზარებით.

რა არის ის, რაც უცვლელი რჩება?! საერთოდ, რჩება?! ნათია მეგრელიშვილმა, რასაკვირველია, იცის პასუხი — სამყაროსავით ძველი და ნათელი: „მე ჩვეულებრივი მორწმუნე ვარ, რომელმაც არაფერი იცის, უბრალოდ, სწამს“ და „ლოცვის დროს ღმერთს ჩემი ოცნების ხმა ესმის“. კვლავ ციტატა:

„70-იან წლებში, ისრაელის ომის დროს, ებრაელთა არმია დანალმულ მინდორზე გადადიოდა. არაფერი ჩანდა. ღამე გრიგალი ამოვარდა და ყველაფერი სიღამ დაფარა. ქარი რომ მიწელდა, ჯარისკაცებმა დაინახეს, რომ ქარიშხალს მიწიდან ნაღმები ამოეწვერა. თავისუფალი გზა გამოჩნდა. ამ ამბის მონაწილე ამბობს: მე არაფერი ვიცი, რა მოხდა, უბრალოდ, რწმენა მაქვს“.

მწერლისეული კომენტარი — უკომენტაროდ: „უბრალოდ გწამდეს — ადვილიცაა და ძნელიც. ამას ვერ ასწავლი. ეს უნდა იგრძნო...“

გულით საგრძნობი და გონით გასაცნობიერებელი წიგნია ნათია მეგრელიშვილის „+5,0“, ტკივილიანი სიმშვიდით რომ გვიყვება მთავარზე, დავინყებულსა და მშვენიერზე: „არსებობის იდეა ძალიან მარტივია და არ არის საჭირო ამდენი თავისმტკრევა. ჩვენი პასუხისმგებლობა დროებითი და ენერგიულია, დრო ცოტა გვაქვს, შესაძლებლობა კი — ძალიან ბევრი და ჩვენს არჩევანზეა დამოკიდებული, როგორი ვიქნებით.“

თუ სამყაროს დაწერილ და დაუნერგლ კანონებს შევაჯერებთ ისე, რომ აგრესია არ გავგიჩნდება, არის შანსი, სამყაროს მთლიანობა ვიგრძნოთ და საკუთარი პორტრეტი დავინახოთ მასში“. რაც აქ ხდება, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული და არა ზონაზე (ტარაკოვსკი).

ავტორი-პერსონაჟის სწორედ ეს პიროვნული პასუხისმგებლობა და შინაგანი თავისუფლება („ზონაშიც“ კი!) მოხიბლავს მკითხველს, ასე რომ ენდობა ნათია მეგრელიშვილი („მაყურებელი (მკითხველიც — ნ. კ.) ყოველთვის გულწრფელია და თავად აირჩევს, ვის ეკუთვნის აპლოდისმეტები“).

პიროვნული თავისუფლებისაა ოცნებაც — „ჰორიზონტზე მხოლოდ ზღვას ვხედავდე“, ოცნება, რომელიც ასე რეალურია და ახდენადი...

ივანე ამირხანაშვილი

ბედისწერა და მოვალეობა

ქეთევან შენგელია. ნაცნობი სახელი. ნაცნობი სახე. განსაზღვრული ადგილი მკითხველის წარმოსახვაში. სმენას შეჩვეული ხმა. მაგრამ მაინც რაღაცნაირად იდუმალი და უცნობი, უცხო და შეუსწავლელი პოეტური ინდივიდუალობა.

„ოთხმოციანელთა“ წარმომადგენელია და არის მასში რაღაც, რაც ამ თაობის ნიშნით განისაზღვრება. ტრადიციის ერთგულება, ეთიკური აკადემიზმი და სკეფსისი როგორც შინაგანი წინააღმდეგობის გამოხატულება. „ოთხმოციანელთა“ ლიტერატურული ცნობიერება ძველისა და ახლის, კონსერვატიულისა და მოდერნულის დაპირისპირებათა ფონზე ჩამოყალიბდა და ამიტომ სკეპტიციზმის მოტივები მათში ბუნებრივად განვითარდა, თუმცა არ გართულებულა, დესტრუქციის ძალა არ შეუძენია. მათში ყოველთვის იყო ეპატაჟის მარცვალი, მაგრამ ეს გამოხატვის ფორმად არ უქცევიათ.

ქეთევან შენგელიას აქვს ერთი ასეთი ოთხსტრიქონედი:

**მიუგდე ყური ჭოროხს და რიონს,
ზოგჯერ გაიღე, რაც გაბადია...
ედემის ბაღში ჩურჩულებს სიო.
ისვენებს ღმერთი, დღეს შაბათია.**

ეს არის კონვენციონალური ხასიათის ზღვრული მდგომარეობა, საიდანაც ერთი ნაბიჯია ეპატაჟამდე, მაგრამ სწორედ ეს ნაბიჯი არ გადაუდგამს პოეტს, ვინაიდან ბუნებით ტრადიციონალისტია, კულტურული ყოფიერების ტყვეობაში მყოფი შემოქმედი, რომლისთვისაც სულ ერთი არ არის, თუ რას იტყვის, როგორ იტყვის, ვისთვის იტყვის და როგორ ჩაენერება მისი ნათქვამი საზოგადოებრივი საჭიროების კონტექსტში.

ქეთევან შენგელიას სწამს, რომ შემოქმედება სიკეთის ერთ-ერთი ფორმაა და ეს ფორმა მით უფრო სრულყოფილია, რაც უფრო ნათლად წარმოადგენს ყოფიერების სისავსეს.

პოეზია არ არსებობს ღვთის რწმენის გარეშე. ხელოვნება და მორალი განუყოფელი ცნებებია. პოეტი მარტო ხელოვანი არ არის, ის, პირველ რიგში, ადამიანია და მას აქვს ეთიკური ვალდებულება, რომლის შესრულების ხარისხი დამოკიდებულია ფასეულობათა ხედვასა და არჩევანზე.

უკ მარიტენის ფილოსოფიურ განაზრებებში ხშირად გვხვდება რეფლექსიები ხელოვნებისა და მორალის თემებზე.

საყურადღებოა მისი მსჯელობა შემოქმედის პასუხისმგებლობის შესახებ. ნეოთომიზმის ამ უდიდესი წარმომადგენლის აზრით, ხელოვნება და მორალი წარმოადგენს ორ სხვადასხვა სამყაროს, რომელთაგან თითოეული სუვერენულია თავის საზღვრებში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ შეუძლიათ ერთმანეთის იგნორირება, ვინაიდან ადამიანი ორივე სამყაროში ერთდროულად მონაწილეობს როგორც ინტელექტუალური შემოქმედი და მორალური სუბიექტი.

ქეთევან შენგელიას ლექსებში ეს ჭეშმარიტება კარგად არის გამოკვეთილი. მას სწამს, რომ პოეტი უპირველეს ყოვლისა ადამიანია და შემდეგ შემოქმედი, ხელოვნება, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მორალს ექვემდებარება.

მისი ლირიკული გმირი არის განსაცდელის წინაშე მდგარი ადამიანი, რომელსაც თვითგადარჩენის ინსტინქტი ჰკარნახობს იყოს იქ, სადაც ჯერ კიდევ არსებობს ჰარმონია, სადაც სუფევს უფლის ნება და სასოება. მისთვის ყველაფერი რეალური ყოფიერებიდან იწყება და მიემართება მეტაფიზიკური სამყაროსაკენ.

ეს არის გზა, გამუდმებული მოძრაობა, სწრაფვა სიბნელიდან სინათლისაკენ, ქაოსიდან ჰარმონიისაკენ, მწუხარებიდან ბედნიერებისაკენ.

პოეტის ცხოვრებაც ამ დიალექტიკაზეა აგებული. „სხვა გზა, სხვა ხსნა არ გააჩნია“, რადგან ეს არის ბედისწერაც და მოვალეობაც. ეთიკური მთლიანობა, როგორც სიცოცხლის უმაღლესი ფორმა, მასში უპირობო განცდის სახით არის მოცემული და ამ განცდას სულიერი თავისუფლებისათვის ბრძოლის ენერგიად გარდაქმნის. თუმცა ბრძოლა, როგორც ასეთი, მისთვის არც თვითმიზანია, არც პოზა. უბრალოდ, ის ქმნის გრძობად სახეებს და სათქმელს საგნები გამოხატავენ, როგორც ამ ლექსში: „**ნითელი ფარდები დათოვლილ აფექსი — მაგიდის კუთხესთან პრიალა საფერფლე, სურათზე — პეპელა გაბმული ბადეში, ბუხართან პატარა ბარათი დაფერფლეს...**“

საგნისა და მიზნის ერთიანობა თუ სადმე ვლინდება, პირველ რიგში ალბათ პოეზიაში.

ადრე ვწერდი და ახლაც გავიმეორებ. ქეთევან შენგელიას აქვს გამოკვეთილი პრინციპები, რომლებსაც არასოდეს ჰღალატობს.

პოეზია თუ კულტურის ფენომენია, მაშინ პოეტს ევალება კულტურის დაცვა ყველა დონეზე — ეთიკური იქნება ეს, ეროვნული, პოლიტიკური თუ ესთეტიკური. ლექსი მარტო „ტკბილ ხმათათვის“ რომ არ იწერება, ეს ყველამ იცის, მაგრამ მის სოციალურად აქტიურ ფაზაში გადაყვანას სხვა ნებელობა სჭირდება. ამ ნებელობას ვხედავთ ქეთევან შენგელიას ლექსებში და ამიტომაც არის სანდო, სარწმუნო, დამაჯერებელი.

გულწრფელობა, უშუალოება, უბრალოება. ამ ცნებების გარეშე პოეზია არ არსებობს, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ხშირ შემთხვევაში ნამდვილი გრძობების ნაცვლად იმიტაციებს გვთავაზობენ ხოლმე. ჩვენც მივეჩვიეთ წარმოდგენებით ცხოვრებას და ნამდვილი არსი მაშინდა გვახსენდება, როცა იმიტაციის ნაცვლად მართლა გულწრფელ, უშუალო, უბრალო სტრიქონებს ვკითხულობთ. ქეთევან შენგელიას ლექსებში არის ალტაცება და არის ალტაცების საგანი, არსებობს სიხარული და არსებობს სიხარულის საგანი. ყველაფერი არის ნამდვილი, მყარი, ადამიანური.



თამარ ყალიჩავა

„ვიდრე აქ ვდგავარ ბოლო მლოცველად“

ტარიელ ხარხელაურის პოეზია განსაკუთრებულად უბრალოა. შემაცბუნებელად უბრალოც კი. უფლისმიერი სიხარულისა და კეთილზმოდან ბგერათა მაძიებელი შემოქმედის სახელი ისეთივე გამჭვირვალეა, როგორც ჩვენი დიდი წინაპრებისა. მათი ხატება კი ყველაზე ნათლად ირეკლავს დღევანდელობას. მსოფლიო ძალიან სწრაფად იცვლება, ამ ცვლილებებში ადამიანები გამუდმებით ვკარგავთ სულიერებას. მიუხედავად ტექნიკური პროგრესისა, უნდა ვალიაროთ, რომ ადამიანი ძველებურად ცხოვრობს — ბრმად. სწორედ გარშემო გამეფებული ეს წყვილია პოეტის უმთავრესი სატკივარი. მისი ლექსები ერთიმეორეზე დგას და თვით ტარიელ ხარხელაურია ყველა ეს ლექსი ერთად. მას იმ სამყაროსთვის სწავია ხმის მიწვდენა, რომელიც გაბზარული, ცენტრს მიღმა დარჩენილი ადამიანებისაგან შედგება. ნაიარევია, მაგრამ ოპტიმიზმით გაჟღერებული მისი სტრიქონები. პოეტის ტვირთის სიმძიმეს მხოლოდ ცალკეული სტრიქონები თუ აირეკლავენ:

**ასე სურთ ქარებს, უნდა ვენამო,
ვიდრე აქ ვდგავარ ბოლო**

**მლოცველად,
მე უნდა შევძლო, უნდა ვისწავლო
შენი ლამაზი ფიქრის მოსმენა.**

**როცა ვმალდები, ცას მხრებით ვზარავ,
შუბლით ვეხები სამყაროს სარტყელს,
მე უფლისაგან მეძლევა ძალა,
შენი ლამაზი სიზმრები ვხატო.**

მაია და აცტეკები პოეზიას ღმერთების მაგიას ეძახდნენ, მიანდათ რა ყოველივე არსებულის გაღმერთებად. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ პოეტის სიტყვები ღვთაებრივია და წარმოითქმის ძილ-ღვიძილის ზღვარზე — ჯადოსნურ ქვად, ჯადოსნურ ხედ, ჯადოსნურ ცხოველად გარდასახვისას: „**ნუ შემადარებთ ყვავილის ფოთლებს, ნურც მთვარეს ცაზე დადებულს ზურგით, მე უფრო ვგავარ ნიადაგ მზრუნავს მათაა ნვერებზე მიფენილ ღრუბელს. მე ბილიკი ვარ, რომელზეც მგზავრი რალაც ფარული სიმშვიდით მიდის. ლანდი ვარ მიწის, არ ვგავარ არვის — უზომოდ მცირე, საშინლად დიდი...**“

სენტ-ბეეს, XIX საუკუნის ფრანგ კრიტიკოსს, მიაჩნდა, რომ მწერლის გასაგებად აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი ვიცოდეთ მის გარეგნულ სახესა და ცხოვრების დეტალებზე. ტარიელ



ტარიელ ხარხელაური
ვაჟა-ფშაველას ეზოში (ჩარგალი)

ხარხელაურის გასაცნობად უნდა ვცადოთ საკუთარ გულს ჩავენდე და მაშინ შევძლებთ მასაც მივუახლოვდეთ. მისი პოეზიის სამყარო ჩვენი შერყვნილი ყოფიდან გარიდებისა და უჩვეულოდ გამჭვირვალე სივრცეში ნუგეშის პოვნის შესაძლებლობას გვაძლევს: „**თუკი მნადია, ვიტყვებ, ვინ რა დამიშლის ტირილსა?! ცრემლია — მადლი უფლისა, განმზანი ჩვენი ჭირისა. მადლობა დამბადებელო, რომ გვილამაზებ ტკივილსა**“.

მაშინ, როდესაც უნარსულობის, უფესვობის ჩაგონება ასე დამთრგუნველია და გახშირებული, მამულის უკეთესი შვილი ერის უშორეს ძირებს ეძებს, ეძებს და სწვდება — საუკუნეთა სიღრმეში გადაამქრალ არაგველთა ვაჟკაცობისა რომ გვიტხრას, სინათლეზე რომ ამოზიდოს ქართული გენის გადარჩენისათვის მლოცველმა.

**არაგველებო! რად გვირდა სისხლი —
თუ არ ბორგავს და შიშმა დანისლა,
თუ არ იქნება სამშობლოს ღირსი
რომ საქართველოდ იქცეს
კრწანისთან.**

უმთავრესი სამსახური, რასაც ტარიელ ხარხელაურის ლექსები გაუწევს მკითხველს, უბრალოდ ინტელექტის დაკმაყოფილება არ გახლავთ, ან რაიმე საგულისხმოს შეტყობინება, არამედ მათი ავსება ვაჟკაცობით, რელიგიურობით, მინიჭება მითთვის წრფელი გულით. მით უფრო, როცა ყოველდღე ვრწმუნდებით, როგორ იბყრობს მონყენილობის საშინელი სენი განათლებულ მსოფლიოს. ბედნიერებაა, როცა აცნობიერებ, რომ ქართველებს გვაქვს პირველყოფილი სიცოცხლის ამოუნურავი სიყვარული, ასე ბუნებრივად რომ ახასიათებს ჩვენს ერს და ასე ხელშესახებად გაცხადდა ტარიელ ხარხელაურის პოეზიაში: „**ცა სული არის ჩემი, ვარსკვლავანი ფიქრნი ჩემი, მზე გული არის ჩემი, მთვარე გონება ჩემი, მიწა სხეული ჩემი, ქარს რომ ღრუბელი აკრავს, ტკივილებია ჩემი, ვავსებ სამყაროს ნაწილს, ვარ სამყაროთა ფერი...**“

შერდერი ყმანვილ გოეთეს ასწავლიდა, რომ ჭეშმარიტად დიდ პოეზიას მუდამ ეროვნული სული წარმოშობს და რომ იგი სულაც არ არის ორიოდ რჩეული და დახვეწილი კაცის უპირატესობა; ჩვენთვის ეს სიბრძნე საუკუნეთა მანძილზე მრავალგზის გაცხადებულა. გილოცავთ, XXI საუკუნის სინამდვილეში ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, ვაჟა-ფშაველას გზის გამგრძელებელი „კაი ყმის“ — ტარიელ ხარხელაურის ყოფნას ჩვენს შორის. მჯერა, მრავალგზის გამოგვიწვდის ხელს (ჯერ ჩვენს თაობას და მერე ძალიან მრავალს) ამ მშვენიერსა და ნათელ-ჩაღვენილ პოეზიაში დამზრალი სულის მოსაბრუნებლად, ერის, ადამიანისა და მშვენიერების სიყვარულის შესამეცნებლად — „**დრომ რომ თავისი არ გაიტანოს**“. და ადამიანებისათვის ნათლის მოსაგვრელად, ზნეობრივი სიმაღლის შესანარჩუნებლად შექმნილ ამ ულამაზეს პოეზიას რამდენჯერაც უმასპინძლებს ჩვენი გული და გონება, იმდენჯერ ხელახლა შობის სიხარულს ვიგრძნობთ ჩვენცა და ჩვენი დიდი მგოსანიც.

წნორის მონოლოგი

მირაყია თუ? „იქნება თვალი მატყუებს. ზეცა მამრ-
მავებს კრიალა?“ ნუთუ ჩემი ტკივილებით ვინმე დაორ-
სულდა? არა, მეჩვენება, ნამდვილად ჰალუცინაციები
მემართება. ოჰ, არა ჩემი დაობებული გულისთვის ამდე-
ნი ბავშვი ჟრიამულური სუნთქვის ჩატარებას ნუთუ
მართლა ცდილობს? რა უჩვეულო შემოდგომის მიწურუ-
ლი მაქვს.

თვალებიდან ყველას ქარვისფერი ვარსკვლავები
სცვივა და შემოდგომური სითბოსავით გასიყვარულებუ-
ლები დადიან, გული კი მოლოდინით უცემთ. მიკვირს,
ჩვეულებრივ ოცდაათ ოქტომბერს რა უნდა მოხდეს? მე
ხომ ის ქალაქი ვარ, სადაც ყველა დღე, როგორც ტყუპები,
ისე ჰგვანან ერთმანეთს და სადაც თითოეული დღე ნაც-
რისფერია. მე ხომ ის ქალაქი ვარ, სადაც იმდენად არაფე-
რი არ არის, რომ არც არაფერი გინდება და ადამიანებიც
იმდენად „განიკურნენ“ აქტიური ცხოვრებისგან, რომ
უმოქმედობის მძიმე ფორმებით დასწეულდნენ. თუმცა ამ
ბოლო დროს ვითარების შესაცვლელად და ჩემს გამო-
საფხიზლებლად იდეებით დახუნძლული და ენთუზიაზ-
მით გულდათბილული სტუდენტები გაერთიანდნენ, რაც
მთავარია, ყოველი მათგანი ქრისტეს წიაღიდან არის,
წნორის ილია მართლის სახელობის ტაძრის მრევლია და
მათი საქმიანობა მოძღვრისაგან არის ნაკურთხი. ცარიე-
ლი ხელებისა და სტუდენტური ქისის გამო არ შეშინდნენ,
სიყვარულით დაპურდნენ და დაინყეს ჩემთვის სასი-
ცოცხლო აბების მომზადება.

პირველი აბები 15 ივლისს ჩამაყლაპეს და მას „დანაგ-
ვიანების წინააღმდეგ“ ერქვა. სული სიხარულით მენამე-
ბა, იმ დღეს რომ ვისხენებ წნორელთა გარდა მეზობელი
სოფლებიდანაც მრავალი მოხალისე მოვიდა, რომ გადა-
ვერჩინე ამ მძიმე სნეულებისაგან. ახლაც მგონია, სიზ-
მარში ვცხოვრობდი იმ წუთებში, როცა ბავშვების თეორ-
ხელთათმანიანი ხელებით ვსუფთავდებოდი სიგარეტის
ნამწვის, ლუდის ქილების, პოლიეთილენის პარკებისა თუ
სხვა „სამკაულთაგან“.

იმის აღნიშვნა დამავინყდა, რომ აქაური სტუდენტე-
ბი გაერთიანდნენ „წნორის საინიციატივო ჯგუფის“ სა-
ხელქვეშ. როგორ ამბიციურად ჟღერს ხომ? გაამართლეს
კიდევ. ასე მაგალითად, პირველ ჯერზევე დასუფთავე-
ბის აქციით მაგრძნობინეს, რომ მეც მქონია ძარღვებში
სისხლი და მეც შეიძლება მქონდეს პრეტენზია სისუფ-
თავეზე, მქონდეს იმედი სხვა წყლულთა მოშუშებისა. ამ
აქციაზე გამოფინეს გამოუყენებელი ნივთებისგან დამ-
ზადებული გამოსაყენებელი ნივთები. დასასრულს კი
იყო მცირე კონცერტი, რამაც დიდი ინტერესი გამოიწ-
ვია, იმდენი ხალხი შეიკრიბა, გამიკვირდა, მერე დაფიქ-
რდი და მივხვდი, რა სწყუროდათ — ეს ერთად ყოფნის
სიხარული იყო.

ხომ გითხარით „წნორის საინიციატივო ჯგუფის“ წევ-
რები როგორი სიცოცხლისუნარიანები არიან? ჰოდა, რო-
ცა შეამჩნიეს, რომ მათი თანამოქალაქენი უღიმელობით
დალლილან, არ დააყოვნეს და „ლიმილის დღე“ მოაწყვეს.

15 ოქტომბერს, დილა სარეცელიდან რომ დგებოდა,
ხუთი სკოლის ოცამდე მოსწავლეს შორის, ღია ცის ქვეშ,
შემოდგომის მინაზებული ფერებით ნაქსოვ სკვერში და-
ინყო კონკურსი ესეების წერაში სათაურით „მე რომ ვიყო
ლიმილი“.

წერის დამთავრების შემდეგ, შუადღის ჟამს, იმდენი
მოზარდი თუ მოზრდილი შეიკრიბა, გაკვირვებაში ჩავი-
მარცვლე. ახალგაზრდებმა დაარჩვეს ბარათები, რომელ-
ზეც გამოსახული იყო ლიმილი, ინფორმაცია ლიმილის სა-
ჭიროებაზე და მსოფლიო ლიმილის დღის ლოზუნგი; „გაა-
კეთე სიკეთე — დაეხმარე ერთ ადამიანს მაინც გალიმება-
ში“. ბავშვებმა ასფალტზე ფერადი ცარცით დახატეს უამ-
რავი ლიმილი.

ველარ ვითმენ, ერთი სული მაქვს 30 ოქტომბერზეც
მოგიყვეთ. „წნორის საინიციატივო ჯგუფმა“ „ლიმილის
დღის“ შემდეგ ვიტამინად „თათარაობა წნორში-2011“ და-
მინიშნა.

ეს ღონისძიება შემდეგში მდგომარეობდა:

სკვერში, სადაც არის წმ. ილია მართლის სახელობის
ტაძარი, ხუთმა სკოლამ მოაწყო თავიანთი კუთხე. თითო-
ეული ცდილობდა გამორჩეულად და ორიგინალურად, შე-
მოდგომასავით ბარაქიანად წარმოედგინა მისთვის გამო-
ყოფილი კუთხე; საწინააღმდეგო ჩასაწურად გამზადებული
ლალისფერი ყურძენი, ბებიას ხელების მომლოდინე მატყ-
ლი საჩეჩელზე, ხინკლისა და მწვადის სურნელი, მანონი
თიხის ქილებში, ყმანვილები ეროვნული სამოსით, ფარ-
დაგები, მოსწავლეთა ნახატები და ხელნაკეთი ნივთები,
მოთუხთუხე თათარა და ამოსავლებად გამზადებული
ჩურჩხელა — ბავშვებს ერთი სული აქვთ პირს როდის ჩა-
იკოკოზინებენ, და არამარტო ბავშვებს.

საგანგებოდ მოწყობილ სცენაზე გაიმართა სკოლებს
შორის კონკურსი ხალხურ ცეკვასა და სიმღერაში, ლექ-
სის კითხვაში. ჟიურის მიერ გამოვლენილი გამარჯვებუ-
ლები დაჯილდოვდნენ პრიზებით. საჩუქრები გადაეცათ
აგრეთვე „ლიმილის დღეს“ ჩატარებული ესეების კონკურ-
სის მონაწილეებსა და გამარჯვებულებს. პრიზები იმდე-
ნად შთამბეჭდავი იყო, რომ დასაჩუქრებულებს თვალები
სიხარულის ვარსკვლავებით ევსებოდათ. ეს იყო წიგნები
საპატრიარქოს გამომცემლობა „მაღლისგან“, როსტომ
ჩხეიძისგან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისგან,
მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძისა და გამომცემლობა
„ინტელექტისაგან“. ამ ძვირფასმა შემოწირულობებმა კი-
დევე უფრო დასამახსოვრებელი გახადა ეს დღე ჩემთვისაც
და ბავშვებისთვისაც.

იმედი მაქვს, „წნორის საინიციატივო ჯგუფის“ ახალ-
გაზრდები კიდევ არაერთ ასეთ ღონისძიებას გამართავენ,
რათა ჩემი ცხოვრება უფრო საინტერესო და სახალისო
გახადონ.

გივი ალხაზიშვილი

შთაბეჭდილებათა ნაკვალევი

ფრაგმენტი კულუარული საუბრიდან

თუ განსხვავებული სტილისტიკა, მსოფლმხედველობა ვინმეს ააგრესიულებს და ტლინკების ყრას იწყებს, ეს უკვე იმ ვინმეს ბრალია და არა ავტორის. რაც არ მოგონს ან რაც კატეგორიულად მიუღებელია შენთვის, ნუ ნაიკითხავ; ეს ყველაზე იოლი გზაა. უარყოფს განსხვავებული ესთეტიკა ერთმანეთს თუ ამდიდრებს ლიტერატურულ პროცესს? ამ უმარტივესი კითხვით მინდა მივმართო ადამიანებს, რომლებსაც ყველგან და ყოველ ნაბიჯზე შეთქმულება ეჩვენებათ, არა მხოლოდ პოლიტიკასა და ქვეყნის უსაფრთხოებაში, არამედ ყოველდღიურ ლიტერატურულ პროცესის ბუნებრივი დინებისას. შეპყრობილობისა და უვიციობისგან შემდგარი სუბიექტი ძნელად საურთიერთოა და შეუძლებელია რაიმე გააგებინო, მაგრამ როცა ამ ტიპის მოლიტერატორო ფსიქოტიკს მხარდამჭერებიც გამოუჩნდებიან და თუთიყუშებივით გაიმეორებენ იმავეს, რომ ვითომ ვილაც ცდილობს შეაფერხოს ან სულაც დაამუხრუჭოს ესა თუ ის ლიტერატურული სკოლა/ რომელიც არც არსებობს ჩვენში/, ესა თუ ის ესთეტიკა, პოეტიკა, კონვენციურობა თუ ანტიკონვენციურობის წყალუხვი დინება, რიტორიკული მონოლოგები თუ ათასი სხვა რამ, მაშინ გვმართებს ჩაფიქრება კოლექტიურ უვიციობაზე და დადარდინება ამგვარი შეხედულების გამო, ისეთივე სისულელე იქნება, როგორც ეს შეხედულება, რომელსაც ისევე აქვს არსებობის უფლება, როგორც ნებისმიერ სისულელეს, რომლისგანაც არავითარ ვნებას არ ელის საზოგადოება, რადგან გარკვეული წრის პრიმიტიულ ხედვას წარმოაჩენს, რითაც ახასიათებს კიდევ იმ ფენას, რომელიც შეერთა თავის კერპის კი არა, საკუთარი უსუსურობის გამო.

გააუქმა თუ არა გალაკტიონმა გიორგი ლეონიძის პოეტიკა ანდა პირიქით? არა. უფრო სწორად, ვერ გააუქმა.

გააუქმა თუ არა ბარათაშვილმა ბესიკის ესთეტიკა? არა. ვერც გააუქმებდა.

ჩამოთვლას აღარ გავაგრძელებ, მაგალითისთვის ესეც საკმარისია.

მიზეზი მარტივია, რაც მრავალფეროვანია ლიტერატურული პროცესი, მით უფრო საინტერესო და უკეთესია. ჩვენში კი პირიქით ჰგონიათ...

დღესდღეობით ზოგიერთს მიაჩნია, რომ უნდა დომინირებდეს ორი აკვიატებული სტილისტიკა და თუ სხვა რამ გამოჩნდა, იწყებენ ძრწოლას ან წუნუნს, აქაოდა აღიარებულ ესთეტიკას ებრძვიანო. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა ასეთ სისულელეზე თუ მომიწევდა რეაგირება, მაგრამ საქმეში ჩაუხედავ ზოგიერთ ტიპს უნდა შევასხენო: ესა თუ ის ესთეტიკა ბუნებრივად იმკვიდრებს ადგილს ლიტერატურულ სივრცეში და ყველანაირი ნახმარება ან პროპაგანდა ფუჭია და უძლური თუკი ნახალისებული პოეტიკა დღენაკლულია. აქვე სინანულით იმასაც ვიტყვი, რომ ლიტერატურული სივრცე პირობითად არსებობს გუტენბერგულ და ვირტუალურ სივრცეში და ავტორები ალემატებიან მკითხველებს, უფრო სწორად, მკითხველთა უმრავლესობა ჩამოყალიბებული ავტორი თუ არა, პოეტნიკური ავტორია.

როცა ამ რეალობას ვაცნობიერებ, საუბრის ხალისი მეკარგება, მაგრამ ჩვენი ხვედრი, რადგან პოეზიაში და პოეზიით არსებობაა, უნდა ვისულდგმულოთ კიდევ ამ გადამდები “აკვიატებით” და ვისაუბროთ კიდევ ლიტერატურაში არსებულ საინტერესო პრობლემებზე, ზოგჯერ კი პრიმიტიული მოსაზრებების არაპროფესიულობაზეც მივუთითოთ, რაზეც ახლა მინეცს საუბარ.

...
კარგა ხანს მალავდენ გალაკტიონს მისივე თანამედროვენი, საკუთარი ბიძაშვილიც და სხვებიც. თითქოს ვერ ამჩნევდენ, თვალს არიდებდენ, საქართველოში ჩამოსულ მთარგმნელებსაც არ აცნობდენ, თვითონ კი უხვად ითარგმნებოდნენ რუსულ, უკრაინულ და სხვა ენებზე. იგი კი თითქოს არც არსებობდა. ეს გახლდათ გალაკტიონის, როგორც პოეტის მიზანმიმართული იგნორირება, მრავალ წელს რომ გასტანა. კოლაუ ნადირაძე ვიდრე პირში სული ედგა, მოურიდებლად ლანძღავდა გალაკტიონს. მიუხედავად ამისა, ყველასათვის ცნობილია, როგორ დაიმკვიდრა გალაკტიონის პოეტიკამ თავისი ადგილი და როგორ აღიზარდა მასზე ახალი თაობები. შეუძლებელია შეებრძოლო ამა თუ იმ ესთეტიკას ან ხელი შეუშალო მის განვითარებას. შესაძლოა არ მიიღო, არ გაიზიარო და შენ სხვაგვარად წერო, მაგრამ ეს ხომ შეებრძოლება არ არის და საცესებით ნორმალური პროცესია.

ზოგიერთებს არ სჯერათ, მაგრამ დღესაც გრძელდება გადაფასების პროცესი და ამ პროცესის ავტორი დროა, რადგან აქსეოლოგია არ არის გაქვავებულ ლირებულებათა შემსწავლელი და არც ესთეტიკას და არც მსოფლმხედველობას შეუწყვეტია გადასხვაფერების, შეცვლის პროცესი. რადგან სულიერი ზრდა მუდმივი პროცესია, შესაბამისად ჩნდება ყურადღების გამახვილების მიმართულებათა დაზუსტება ან სულაც გაფართოება, შესაძლოა სრული მეტამორფოზაც კი.

გამოხდა ხანი და ცალკეულმა ავტორებმა დაიწყეს გალაკტიონის ჩრდილიდან გასვლა და ქართულმა პოეზიამ გალაკტიონის მიღწევებზე დაყრდნობით სრულიად სხვა გზები აღმოაჩინა და ეს გალაკტიონის გამოცდილების გაუთვალისწინებლად, მისი შემოქმედების აუთვისებლად შეუძლებელი იქნებოდა. ვგულისხმობ კონვენციური ლექსის ახალ პოეტიკას და ვერლიბრის საუკეთესო ნიმუშებს.

ფორმალისტური თანაარსებობა მანამ გავრძელდება ვიდრე პოეზია იარსებებს, ხოლო ვისაც პოეზია გარდაეცვალა, პოეზიის ძებნას სიტყვის გარეშე შეძლებს პერფომანსში და არც ეს მიკვირს, რადგან პერფორმანსის ენა ისევე ძველია, როგორც ადამიანი.

სამწუხარო ფაქტია, რომ კანონიკური ფორმების ვერფლობა ნოვაციად მოინათლა, აუთვისებლობას კი “რუტინის” უარყოფა დაარქვეს და ასე გაიითლეს საქმე. არადა არც ერთ მუსიკოსს არ უთქვამს, რომ სანოტო სისტემა, მუსიკის ენა რუტინაა და მისი ათვისება არ არის სავალდებულო. არც მხატვრებს უქცევიათ ზურგი და უარი არ უთქვამთ იმის შესწავლასა და სავალდებულო დაოსტატების ვრცელ პერიოდზე, რაც აუცილებელი პირობაა მხატვრობის ენის შესასწავლად. როგორც ჩანს, მხოლოდ პოეზიაა ის სივრცე, სადაც არაფრის სწავლა აღარაა საჭირო და ნაივური გამოვ-

ლინებანი და მიაბიტობამდე მისული გულწრფელობანი საკმარისია საკუთარი თავის გამოსახატად და სენტიმენტალურად გადამდები ინფანტილური განწყობის მოსახელთებლად. თუმცა ესეც სრულფუნქციანი მიმართულებაა თანამედროვე ლიტერატურაში, მაგრამ ერთ-ერთი და არა ერთადერთი, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. თუმცა უკლასობა ამ ტიპის შემოქმედებას ბეჭედივით რომ აზის, მყისვე გვაფიქრებინებს მის ნაივურ მიმართულებაზე, ზოგჯერ კი თვითნასწავლობის პრიორიტეტზე, რაც ააშკარავებს კანონიკური ფორმების აუთენტიკულობას მათ უარყოფას, “ერთგვარი” სიბზლის მახასიათებელად რომ ქცეულა და თავმომწონეობაც სწორედ რუტინის “უარყოფაშია” მოკალათებული, რასაც სინამდვილეში ვერფლობა ჰქვია და საიდანაც ისმის ურთიერთმამებელი და კმაყოფილი კრუტუნის.

პოსტმოდერნული, ავანგარდული, მოდერნისტული, ტრადიციულად მონათლული კანონიკური ფორმები, სხვანი და სხვანი — პარალელურად იარსებებენ და არსებობენ კიდევ თავის მრავალფეროვნებით. ერთმანეთზეც მოახდენენ გარკვეულ გავლენას, როგორც ვიცით ლიტერატურის ისტორიიდან, თუმცა ყურადღების გამახვილება ცალკე აღებულ, მხოლოდ ფორმალისტურ ძიებებზე თავისთავად საინტერესოა, მაგრამ არასაკმარისი.

სამივე დროის სუნთქვა შესაძლოა ნებისმიერ სალექსო ფორმაში განხორციელდეს, ამიტომაც, ბოლო დროს ძალიან მხიბლავს კანონიკურ ფორმებში ინდივიდუალურ შესაძლებლობათა წარმოჩენის პროცესი. “განსაკუთრებულ ვითარებაში წარმოაჩენს თავს ოსტატი”/გოეთე/. და თუნდაც იმიტომ, რომ განსაკუთრებულ ვითარებებისგან შედგება კანონიკური სივრცე და უაღრესად მიმზიდველია იქ მოპოვებული და განხორციელებული თავისუფლება.

როცა კანონიკურ ფორმებს ვახსენებ, ლამის მივათვალო კიდევ თანამედროვე ქართული ვერლიბრის არსებული გზა, რომლის გამრავალფეროვნება და ხანგრძლივი ინერციიდან გამოყვანა მხოლოდ ძლიერ ინდივიდუალურ ნიჭს შეუძლია და გვაქვს კიდევ ამის ცალკეული წარმატებული მცდელობები, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გადასავსებელი და მისაგნები.

პირველი

რა აზრი აქვს სიმართლის დამალვას, ის მაინც არსებობს, რაც უნდა თავს არ გაუმხილო და სახელი არ დაარქვა. მაინც არის და დროდადრო წამოგტკივდება, ხან ყრუდ, ხანაც შემანუხებლად, ისე რომ ადგილსაც ვეღარ იპოვი.

უმიზეზო დარდი სხვა რამეა, ამას კი მგონი თავის მიზეზი აქვს... დროდადრო წამოგვივლის გამოჩინების თუ აღიარების სურვილი და უფრო და უფრო გინდება წარმატება, ყურადღება, გულგრილობაც მეტად გაღიზიანებს. დროდადრო გეჩვენება, რომ არასაკმარისად გაღიარებენ და გული გტკივა არცთუ უმიზეზოდ, თუმცა ღირს ამ თემაზე ჩაფიქრება, საკითხის გაანალიზება, თავისუფლად სუნთქვა რომ შეძლო და გულზე დანოლილი მაჯლაჯუნა როგორმე მოიცილო.

უაღრესად საინტერესოა სახელის მოხვეჭის ტექნოლოგიები, ასე კარგად რომ აითვისეს ზოგიერთებმა, მათი წიგნების ახალგაზრდა გამომცემლებმა და ასე მარჯვედ მოაპოვეს ძირითადად თინეიჯერული ასაკის მკითხველი და პრეზენტა-

ციებზე ზედახორას გადადიან წარმატებით თავბრუდახვეულები. ეს მათი არჩევანია; შენ ხომ უარი თქვი ისეთი წიგნების წერაზე და შესაბამისად კი მრავალათასიან აუდიტორიაზე?!.. რადგან უარი თქვი სახელის მოხვეჭის გზით სიარულზე, ე.ი. შენ მომავალში მოელი მკითხველს, რომელიც ან იქნება ან არა. შენ არჩევანი გააკეთე და ახლა უკვე შენი წუნწინი და დარდი იმაზე, რატომ არ გაქვს ის, რაზეც უარი თქვი, სრულიად გაუგებარია ან უბრალოდ გაეჭვება შენი გადაწყვეტილების სისწორე და მყისიერი წარმატება სხვებისა ამიტომაც გაღიზიანებს. მომავალი მკითხველის რომანტიკულ მოლოდინში თანდათან კარგავ რეალობის შეგრძნებას და მხოლოდ საკუთარი თავისთვის წერ, და ფიქრობ, რომ ოდესმე მაინც დაინტერესებს ვინმეს შენი ლიტერატურული მიღწევები. სანუგეშოდ და იმედის გასაცოცხლებლად — მკვდრეთით აღმდგარ წიგნებს და მათ ავტორებს იხსენებ და თვალანთებული ჩამოთვლი: კატულუსი ათასი წელი დუმდა და მეორე ათასწლეულის დასაწყისში მისი ხელნაწერი იპოვეს პარმის მონასტერში და ხელახლა დაიბადა მკითხველისთვის. მსგავსი ამბების ჩამოთვლას რომ იწყებ, გახსენდება გონგორას, ჰოლდერლინის, გურამიშვილის, დიკინსონის და სხვათა ბედი. ზოგჯერ ფიქრობ, რომ ესეც მხოლოდ ნუგეშია მწერლისთვის, ვინც თანაზიარების მადლს ეძებს მკითხველში და იქნებ ჰპოვოს კიდევ მომავალში, ვინ იცის?!

რატომ ებლაუჭები ასე მძლავრად სიცოცხლეს და უფრო მეტად კი ტექსტში სიცოცხლის გაგრძელების ალბათობას? თუმცა, როცა ასეთ თემებზე ვსაუბრობთ, ამ ფონზე “ტექსტი” პოსტმოდერნულ შინაარსს ავლენს და დისონანსივით ჩაგვისის.

როგორ გაჩნდა შენში მსგავსი გულისთქმა, ნუთუ საკმარისი არ არის ის, რაც ღვთისგან გეძლევა და დამატებით რატომ ზრუნავ სიკვდილის შემდგომ მომავალზე; ეს ხომ წყლის ნაყვანა?! რამდენი, რა და როგორც უნდა გამოსცე, მნიშვნელობა არ აქვს, რადგან შესაძლოა გამოუქვეყნებელი ხელნაწერი უფრო გადარჩეს მომავალში, ვიდრე მრავალტომულში თავმოყრილი მცდელობანი. ერთადერთი რეალური დრო ანმყოფა და ახლა შეგიძლია მიაგნო, რასაც მთელი ცხოვრება ეძებ. ანმყოფი არის შანსი ერთხელაც მიაგნო იმას, რაც საშუალებას მისცემს შენს წიგნს — ან იქნებ სტრიქონს, ლექსს, სტროფს — მომავალშიც გააგრძელოს ცხოვრება, თანაც მხოლოდ დროის რომელიღაც მონაკვეთამდე. იქით აღარავინ იცის, ვერც გავიგებთ, ეგ არის და ეგრად არ გინდა ღვთის ანაბარა დატოვო საკუთარი პერსონა და თვითონვე რად ფუსფუსებ, ზრუნავ, ცდილობ როგორმე განკარგო მომავალი, უშენოდ რომ დადგება?! აღიარებისკენ დაუოკებელი სწრაფვა ხომ ბოლოს სიმლეგემდე მიდის?!

...ბალახივითაა კაცის დღეები, ქარი დაჰბერავს და აღარ არის... ყველა, ვინც ეკლესიასტე სწორად ვერ ნაიკითხა და ამოკებაში ჩადებული იმედი ვერ დაინახა, საბრალოა.

ამაოება მეორე სიცოცხლის იმედია.

რადგან ამ იმედით საზრდოობ და იზიარებ საწუთროს მსწრაფლწარმავლობას და უარს ამბობ ამსოფლიურ წარმატებასა და აღზევებაზე, იცოცხლე სულისთვის და გულისთქმას ანებე თავი, ნუ შეენიერები ამქვეყნიურ დიდებისთვის გაბმულ ფორიაქს, მირაჟივით რომ არსებობს სიხარბით და შურიტ მოხრიოკებულ და გაუდაბურებულ ჩვენი სულის უდაბნოში, მილიარდობით თვალსა და გულს რომ იზიდავს, ისრუტავს, იწოვს და შთანთქავს სამარადისოდ.

* * *

ბოლო დროს, ქართულ პოეზიაში ცდილობენ დააკანონონ თვითნასწავლობა, ნაივურობის მსგავსი ერთგვარი პრიმიტივიზმი ან მისი ნაირსახეობა, რომელიც წერის ავტომატიზმიდან იღებს სათავეს, რასაც სიურრეალისტი პოეტები ამკვიდრებდნენ საუკუნის წინათ. თუმცა ჩვენებური ნაივი, პრიმიტივიზმი და ავტომატური წერა (სიურრეალიზმი) ერთგვარი სიმბიოზია და ყურადღებით ვაკვირდები, საით და როგორ განვითარდება. აქ თავს იჩენს ერთი მეტად უცნაური ტენდენცია, ისინი ან უარს ამბობენ პროფესიულ მკითხველზე, ან არ გააჩნიათ არავითარი პასუხისმგებლობა ამგვარი მკითხველის წინაშე, ან უბრალოდ „აყალიბებენ ახალ მკითხველს“, რომელიც ყურადღებას არც კი აქცევს ეკლექტურ სტილს, ვერფლობის სიძაბუნეს, წვრილთემიანობას, უსათქმელობას და მხოლოდ იმპულსების გაფეტიშების აკვიატებულ სურვილს ემორჩილება.

ჩვენ შემსწრენი ვართ პოეზიაში პროფესიონალიზმის მოყვარულთა საექტო დონითა და შესაბამისი გემოვნებით ჩანაცვლების. ამ პროცესს ველარაფერი შეაჩერებს. მაგრამ ახალ თაობებშიც არიან საუკეთესო გამონაკლისები, რაც დიდად მახარებს და მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ ნებისმიერ დროს ასეთი ვითარება იყო და ახლაც იგივე მეორდება. საიტებზე არსებული დაუსაბამო სივრცეები ივსება სრულიად უკონტროლო ტექსტებით და ძველებურ გრაფომანიას უალრესად მძლავრი მემკვიდრე გამოუჩნდა ინტერნეტის სახით. კონტროლში, ცხადია, არ ვგულისხმობ პოლიტიკურ ცენზურას, არამედ სულ სხვა რამეს, რისგანაც არასდროს არის თავისუფალი ნიჭიერი მწერალი. ამიტომაც ჩვენში ლიტერატურულ პროცესს ჯერ კიდევ განსაზღვრავს ბექტური ჟურნალები, რადგანაც არ არსებობს მაღალი დონის ელექტრონული გამოცემები.

„დიდი ანდერძი“ და „პინდისფერია“...

სოფლის სამღურავს ვერც ვიიონმა აურა გვერდი.

„დიდი ანდერძის“ ოცდამეორე თავში. „ვიიონი ხატავს თავისთავს, ზუსტად ისე, როგორც რემბრანდტი ხატავდა ტილოებზე თავის სახეს... ვიიონის ლექსები ერთმანეთს შეერთვის და კრავს ერთ პოემას“... ვიიონი არაფერში იდანაშაულებს თავს, არ ადანაშაულებს ღმერთს, იგი არ ყვედრის განგებას, რადგან კანონი, ქვეყანას რომ მართავს, ასეთია და ყველას თავისი მიეზღვება სრულად, და რომ ვიიონი არ არის გამონაკლისი. შესაძლოა ვიიონის ყველზე მწარე ამოკვნესას და სინანულს ვკითხულობთ „დიდი ანდერძის“ შემდეგ სტრიქონებში“ (ეზრა პაუნდი).

ახალგაზრდობის წასვლასაც ვტირი, ვეძებ, ვერ ვაგნებ კვალს ვერავითარს. არც ნისლი იდგა... არც ზამთრის პირი... როგორ წავიდა... საით წავიდა... ქვეითად? ცხენით? არ გაკრთა ჩრდილიც? ვერც რამ წაფხურს დავადგი თვალი? უეცრად გაქრა სისხამი დილით... პირველმა თოვლმა წაშალა კვალი...

(თარგმნა დავით წერეთლიანმა)

ახალგაზრდობის გაქრობას, თვალწინ გაფრენას, ჟამთა სრბოლას ასე აღწერს ფრანსუა ვიიონი. მხიარულად ვცხოვრობდი, ვიდრე სიბერე არ წამომენია... და ახალგაზრდობა უეცრად გამიფრინდა... რუსულ თარგმანში მართლაც ასე წერია: „მოულოდნელად გამიფრინდა“; როგორც დათო წერედიანთან დავაზუსტე ორიგინალში მართლაც ასეა — „გამიფრინდა“. ქართულ თარგმანში „გამიფრინდა“-ს მნიშვნელობის სიტყვა „გამიქრა“ ჩნდება და ამით დედნისეული სიზუსტე არ იცვლება.

სრულიად ლოგიკურად გამახსენდა: „რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტვით გაგვიფრინდება, ჩვენს ნასახლარზე ოდესმე ბალახი აბიბინდება“...

ვიიონის „დიდი ანდერძის“ ოცდამეორე თავში, ფრანგულ დედანში ვკითხულობთ: „ახალგაზრდობა „უეცრად გამიფრინდა“... ე.ი. გამიქრა, და იქ არაა ნათქვამი, ჩიტვით გამიფრინდაო, მაგრამ „გამიფრინდა“, ცხადია, ფრინველის გაფრენას გულისხმობს თავისთავად. საინტერესოა, როგორ ჩნდება მსგავსი ხატოვანი სიტყვა-თქმანი სხვადასხვა ენებში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად?!

ამის ძიებას ვერ ვაყვებები, რადგან ეს თემა და ხატოვანი სიტყვათა მსგავსება სხვადასხვა ენებში კაცობრიული ცხოვრების თანატოლია და საერთო ფესვები შეიძლება დაიძებნოს ბიბლიაში, უფრო ძველ წიგნებსა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში... და საერთოდ, დასაბამიდან დღემდე ადამიანები ჩნდებიან და ქრებიან, ეს ხომ საერთოა ამ ყოფიერებაში და პოეტების და არაპოეტების რეაქცია მონათესავეა და სინანულით გაჯერებული.

ორივე ტექსტში წუთისოფლის წარმავლობას უეცარ გაფრენად, გაქრობად აღიქვამენ ავტორები ორ სხვადასხვა საუკუნეში შექმნილ მხატვრულ ტექსტებში — ვიიონი მე 15-ე საუკუნეში, ხოლო „ბინდისფერია“-ს ავტორი/სათაური პირობითია/ უფრო ახალია, მიუხედავად იმისა, რომ პირველი სტროფის პირველი ორი სტრიქონი მთლიანად რუსთველური ვარიაციაა და ამდენად მეთორმეტე საუკუნიდან იღებს სათავეს, ხოლო მომდევნო სტროფის სტილისტიკა, ფორმალისტური მხარე, ლამის მოდერნისტულია და თავს იჩენს ლექსის „შესრულებასა“ და სარიტმო წყვილში — „იარაღს“ და „წაულია რა“ — და ამ ნიუანსზე ადრეც ვწერდი. ეს ლექსი, როგორც გაირკვა, არსად არ არის ჩანეწრილი და პირველად ჩნდება გრიგოლ აბაშიძის რომანში „ლაშარელა“. თვითონ ბატონი გრიგოლი გამომიტყდა 90-იანი წლების დასაწყისში: ეს ლექსი ჩემია, მაგრამ ისე გახალხურდა, ნამდვილ ავტორს აღარც კითხულობენო.

„ზახილი“ „ქველი წარწერებიდან“

ამ ლექსებში სუფევს არქაული სულისკვეთება. ერთი შეხედვით თანამედროვეობასთან თითქოს არავითარი კავშირი არა აქვს, გარდა უმთავრესი პრინციპისა – რაც იმაში მდგომარეობს, რომ **დავით წერეთლიანის** ლექსების კრებული „**ორიონი**“ იკითხება, როგორც დღეს არსებული პოეტური დინებების ალტერნატივა: პოეზიის მრწამსით განსხვავებული, უჩვეულო სტილისტიკა, მხოლოდ ამ ავტორს რომ ეკუთვნის, და რაც მთავარია მითოლოგიური შრეების სული, მთლიანად გაუთავისებია ენობრივ, სტილისტურ

მრავალფეროვანებას და მშვენიერ ლექსებად გადაურჩენია მკითხველისთვის, რაც, ალბათ დამეთანხმებით, თითო-ოროლა პოეტს თუ ძალუძს, ე.ი. მასობრივად შეუძლებელია.

თემების ჩამოთვლას არ შეეუდგები, მთავარია მხოლოდ იმის აღმოჩენა, რომ ჩვენ ვკითხულობთ მარადი მგზავრის ლექსების კრებულს, განრიდებული რომ არის თანამედროვეობის ამჩატებულ ზედაპირულობას და მისი შემოქმედება გამსჭვალულია ერთი შეხედვით უჩვეულო, ოდინდელი სულისკვეთებით და ავტორის შეფარული ნაღველი ეკლესიასტეს ამაოებასთან არის წილნაყარი და არაფერი აქვს საერთო სოლიძისიზმთან.

მარადიულობის განცდა იგრძნობა ნებისმიერ მის ლექსში და შესრულების მანერაც, პროსოდიული თუ ტროპული სიახლე, საგულისხმოა, თუმცა ისევ უნდა გავიმეორო, რომ ყველა პოეტური მიგნება, ცალკეული სტილისტური დეტალი თუ მთლიანობა მიმართულია იმ სამყაროს, იმ დროის აღდგენისკენ, რომელიც იყო და ახლაც არსებობს, როგორც მუდმივი ოპოზიცია.

ამკარაა, რომ დავით წერედიანის მთელი ძალისხმევა აქეთკენ არის მიმართული, დავაზუსტებ: იგი წარმატებულად ცდილობს გადაარჩინოს, ააღორძინოს ისეთი პოეზია, როგორც ნაკლებად ან საერთოდ არ, ან ვერ იწერება დღეს.

ეს არ არის დავით წერედიანის თვითმყოფადობისთვის ბრძოლა ან თავგანწირვა, უფრო მისი, როგორც პოეტის, მრწამსია, მსოფლმხედველობაა; იგი უბრალოდ ასეთია — სხვებისგან განსხვავებული /დავით წერედიანი — ორიონი, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება. რედაქტორი და წინათქმის ავტორი — როსტომ ჩხეიძე/; მისი ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილი ამოზრდილია ხალხური პოეზიის სიღრმეებიდან და ერწყმის რელიგიური შეგრძნებებით გამსჭვალულ შრეებს და ამ გზით აღწევს მკითხველამდე, როგორც თანამედროვე მკითხველისთვის უჩვეულო, მაგრამ მრავალი ნიშნით აუცილებელი და უაღრესად საინტერესო პოეტური კრებული.

ხალხურ პოეზიასთან წილნაყარობა მკაფიოდ იგრძნობა მის არაერთ ლექსში, ეპიკისთვის დამახასიათებელი

თხრობითი ტონალობა ივსება, გაჯერებულია არქეტიპური ხასიათებით, ინტონაციებითა და შესაბამისი ტროპული სტრუქტურით.

დავით წერედიანის ლექსებში არ არსებობს თვითმიზნური ლექსიკური გატაცება, რადგან ყოველი სიტყვა ფუნქციურია და მხოლოდ ზედაპირულ ორნამენტულობას არ ემსახურება და მთავარ ყურადღებას უთმობს სემანტიკურ და პროსოდიულ თანაარსებობას და არა გარეგნულ ელვარებას.

უმთავრესია მის ლექსებში ის სულისკვეთება, რაც ავტორმა შემოინახა, როგორც სულიერი კავშირი ტრადიციულ ქართულ ლექსთან და შეგნებულად უერთგულა ამ უმთავრეს დინებას, ოღონდ სახეცვლილსა და ავტორისეულ თარგზე მოჭრილს და არა სხვათაგან ნასესხებს.

ამაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ არსებობს საპირისპირო გამოცდილება ანუ უარის თქმა იმ ტრადიციანზე, რომელიც აუთვისებელი და მიუწვდომელი აღმოჩნდა მრავალათვის და ამიტომ განუდგა იმ გზას, რაც წერედიანმა ასე მკაფიოდ და სიღრმისეულად აითვისა და განავითარა...

ამ კრებულში მთავარია ის სულისკვეთება, ის გარემო, ის თემატიკა, რომელსაც ამთლიანებს მდიდარი სინტაქსი და ავტორისეული ჰაბიტუსი /სულიერი სახე/, რაც განსაზღვრავს მთელ მის მოღვაწეობას, და არა მარტო ამ უაღრესად მნიშვნელოვან კრებულს, არამედ მთელ მის შემოქმედებას — ვიონის ქართული ვერსიიდან დაწყებული, რაც მრავალი მკითხველისთვის სამაგიდო წიგნად იქცა პირველი გამოცემისთანავე, გაგრძელებული ესეისტიკით და უწინარესად, რა თქმა უნდა, იმ ლექსებით, რომელზეც ძალიან ლაკონურად ვისაუბრე და გაგიმზილეთ ჩემი მოკრძალებული შთაბეჭდილება.

დავით წერედიანის პოეზიის კრებული „ორიონი“ არის „ზახილი“ „ძველი წარწერებიდან“ ჩვენს გასაგონად. ეს „ზახილი“ ტრადიციული პოეზიის ერთგულებასა და ამავე დროს ახალი სტილისტიკის დამკვიდრებას სთავაზობს, ურჩევს ნებისმიერ მკითხველს თუ პოეტს.

ქრისტიანული პოეზიის II ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“

ფესტივალი ჩატარდება 2012 წლის ივნისს — თბილისში. თითოეული ავტორისაგან მიიღება ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი 2012 წლის 31 მარტის ჩათვლით ელექტრონულ მისამართზე:

festivali2011@mail.ru

ლექსს თან უნდა ერთვოდეს ავტორის ტელეფონის ნომერი.

საფესტივალოდ დაიბეჭდება საუკეთესო 50 ლექსისგან შედგენილი კრებული.

3 გამარჯვებულს გადაეცემა ფესტივალის მთავარი პრიზი — წმინდა ნინოს ჯვარი.

ფესტივალის 5 მონაწილე დაჯილდოვდება წმინდა ნინოს ჯვრის გამოსახულებიანი მედალიონით.

ქრისტიანული პოეზიის II ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია ლექსების კრებულის — „წმინდა ნინო ქართულ პოეზიაში“ გამოცემა.

ავტორებმა წმინდა ნინოზე დაწერილი ლექსები უნდა გამოგზავნონ 31 მარტის ჩათვლით ელექტრონულ მისამართზე: cmindanino@mail.ru

ტელეფონი: 595 19 40 24

გისურვებთ წარმატებებს!

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი

ნინო დეკანოიძე

ელვარა მოციქულები

თამამად შეიძლება დაერქვას დევიზით. რადგან შარშანდელი, 9 დეკემბრის სუსხიანი საღამო, დამაბრკოლებელ გარემოებად ვერ ექცა მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან აუდიტორიას, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო ეროვნული უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში რომ შეიკრიბა.

მივიწყებული პოეტების გახმაურებამ, ზოგადად ლექსის სიყვარულმა და მადლმა, აგრეთვე რწმენამ, რომ „ამ ქვეყანაზე არ არსებობს ცუდი პოეტი“ გააერთიანა ეს ხალხი, მიუხედავად დარბაისლური თუ ახალგაზრდული ასაკისა.

რა თქმა უნდა, ორიოდე სიტყვა მასპინძლებზე და მათ მიერ შექმნილ სანიმუშო გარემოზე: ჩინებული ბიბლიოთეკა, განკრძალული და ნათელი აუდიტორიები... ყოველივე ის, რასაც ჰქვია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სათანადო სიმაღლეზეა.

და რაც მთავარია სტუდენტობა — ყოველთვის, ყველგან და აქაც საკუთარი ოჯახების სოციალურ სიჭრელეს მუდამ მსუბუქად, ირონიული დაუდევრობით რომ დაატარებს — ჩანდა შესანატრებელი; თუნდაც თავდაჯერებულობის, თუნდაც ურთიერთმოსიყვარულე გრძნობის მიუჩუმებლად გამოსატყის გამო.

დრომდე — ამონებდნენ სინათლის ხარისხს, ხმას მიკროფონებიდან დარბაზში, სცენის სიახლოვეს, შუაში, მაღალ სასანთლეზე ანთეს კელაპტარი. თანდათანობით შემოკრებილთა ხმაურის მიუხედავად, გრძელდებოდა სახელდახელო რეპეტიცია გულისდასაჯერებლად.

დათქმულ დროს ორგანიზატორებმა, სასულიერო აკადემიის სტუდენტებმა **ოთარ ფალიანმა** და **ჯარჯი შუქიაურმა**, სამასპინძლოდ დათმობილ დარბაზში, მადლობა მოახსენეს მინვეულთ. ორმა მეგობარმა გაამხილა უპირველესად: საზაფხულო არდადეგების დროს, სვანეთში, ერთ საღამოს კოცონთან სამო ტრაპეზი რომ გამართეს და ცეცხლთან ერთად ლექსიც ააგიზგიზეს, გასჩენიათ სურვილი, მივიწყებული პოეტებზე, მკითხველთან მისვლა რომ დაავიანეს, ეზრუნათ. მითუმეტეს, ამ საქმეში ჰყავდათ გზის გამკვალავი უფროსი მეგობარი **იკა ქადაგიძე** — მწერალი, ახალგაზრდა ლიტერატორებში ჟანა დარკად მიჩნეული, მწვავე და მამხილებელი სიტყვის ქალი, ოლონდ მეოცნებე.

ასე რომ მთაში დათქმული — დედაქალაქში საქმედ განმტკიცდა. თანამდგომნიც რომ შემოიკრიბეს, ცხადყო იმ სანაქებო საღამომაც.

სტუდენტების თაოსნობა და მხარდამჭერ-გულშემოტივარნი დალოცეს **მეუფე თადეოზმა** და მამა **პეტრე კვარაცხელიამ**.

საღამოს პირველი ნაწილი გახლდათ ზეიმური სხვადასხვა თაობის პოეტების: **გოგიტა არაბულის**, **შალვა კარმელის**, **დავით მჭედლურის**, **ვალერიან სალიანის**, **შოთა ჩანტლაძის**, **ალექსანდრე საჯიას**, **შალვა მჭედლიშვილის**, **ნუგზარ ბერაძის**, **ტატო ნინუასა** და **არჩილ ფირცხალავას** ლექსებს აგებებდნენ დარბაზს ახალგაზრდა ქომაგები: **რუსუდან ხოშარაული**, **ქეთი ნათელაძე**, **იოსებ ტაოხი**, **კახა ჭლიკაძე**, **გიორგი მოსაშვილი**, **ოთარ ფალიანი** და **ჯარჯი შუქიაური**. უფროს მეგობრებს ქართული ლექსის სიყვარულში მხარი აუბა 51-ე საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლემ **შალვა მეტონიძემ**.

პოეზიის მოტრფიალე ახალგაზრდების კვალდაკვალ ხალხური სიმღერები დააგუგუნა ანსამბლმა **„კვირიამ“**, ხოლო **„დები ზვიადაურების“** დუეტმა, მათი კრიალა ხმის სიტკბოებამ, მოლოდინს გადააჭარბა.

ლონისძიების მეორე ნაწილი სიტყვით გამომსვლელებს დაეთმო, გულითადად და სევდიანად ითქვა მრავალი მოსაგონარი, გაიხმაურა მამულიშვილურმა სიტყვამაც, აღინიშნა რომ პოეტი უნდა იყოს უპირველესად მოქალაქე და არა პოლიტიზირებული სუბიექტი; რომ ფასეულობათა გადაფასება ჯერ კიდევ დაუსრულებელი და ხანგრძლივი პროცესია; საქართველოში რომ უყვართ პოეზია და სამწუხაროდ, პოეტებს შურთ ერთმანეთისა...

მიკროფონთან ერთმანეთს ენაცვლებოდნენ: **ერეკლე სალიანი**, **რამაზ ბერაძე**, **იკა ქადაგიძე**, **შოთა ტოგონიძე**, **ლალი აბშილავა**. მათ შეუქმნეს სტუდენტებს ენთუზიაზმი და საქმის კეთილად გაგრძელებაც უწინამძღვრეს, ხოლო **შოთა ნიშნიანიძის** ფრაზა-რიტორიკა — „ჰეი ვინ მოდის მანდ მომავლიდან“ დაისახეს იმედება.

ლონისძიების დასასრულ, ოთარ ფალიანმა და ჯარჯი შუქიაურმა უდიდესი პატივისცემა გამოხატეს რექტორის **გია კავთელიშვილის** მისამართით. ვინც შემოიპატიჟა თავისი უნივერსიტეტის ჭერქვეშ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, რათა მათ მინიჭებოდათ შესაძლებლობა, მადლიანი საქმის წამოწყებისა.



მარსიანი, ქეთი დოლიძე, იკა ქადაგიძე, ოთარ ფალიანი, ჯარჯი შუქიაური, იოსებ ასიტაშვილი

აღმოჩნდა, რომ ერთი ჩემი შვედი სტუდენტი ქართულად წერს ლექსებს. ძალიან მინდა, რომ ქართველ მკითხველამდე მივიტანოთ ეს ამბავი.

ლინნეა განათლებით ელექტრიკოსია, მაგრამ ახლა დროებით ისევ სტუდენტობას დაუბრუნდა. სწავლობს რუსულ ენას დალარნას უნივერსიტეტში და ქართულ ენას მალმოს უნივერსიტეტში. განსაკუთრებით უყვარს ქართული პოეზია.

გიგზავნიოთ მის ლექსებს და მისსავე დაწერილ შესავალ წერილს. მის ფოტოებსაც დავურთავ. არაფერს არ ვასწორებ. პირდაპირ ასე გიგზავნი, როგორც თვითონ დაწერა. მხოლოდ სახელზე ვთხოვე, რომ მარტო ერთი ნ-თი დაგვეწერა, მაგრამ ძალიან მთხოვა, რომ ლინნეა დავეწროთ და არა ლინეა.

ძალიან მინდა, რომ ლინნეას ლექსები მივანვდინოთ მკითხველს საქართველოში.

პატივისცემით,

მანანა კობაიძე



ძვირფასო საქართველო, მე მქვია ლინნეა კარლსონი. და შვედეთიდან გახლავართ. მას შემდეგ, რაც საქართველოში მოხალისედ ვიმუშავე ელექტრიკოსად ერთი წელი, ჩემში სიყვარულმა ამ საუცხოო ქვეყნისადმი გაიღვიძა, სადაც თბილი ხალხი ცხოვრობს და საინტერესო კულტურა არის.

პოეზიას დიდი ადგილი ჰქონდა ყოველთვის ჩემს ცხოვრებაში. ეს საუკეთესო იარაღი არის, რომ გამოხატო გრძნობები, რომლებიც სხვანაირად შეუძლებელია აჩვენო. იმედი მაქვს ჩემი ქართული ლექსი, რომელიც შვედური კალმით არის დაწერილი, სიხარულს მოჰგვრის ქართველ მკითხველს.

ლინნეა კარლსონი

* * *

სიმშვიდის სუნთქვაა ჩემზე,
როცა სიზმარი იღვიძებს.
შენი სიმშვიდე,
ჩემი სიმშვიდე.
ჩვენი სიმშვიდე.
ფიქრი ეფინება მწვანე ბალახს
და სიმშვიდე ღებულობს ჰაერს.
მე მიყვარს ჩემი სიმშვიდე,
შენი სიმშვიდე.
ჩვენი სიმშვიდე.

დავიწყება არის დაცემა.
დაცემა არის სიზმარი.
დაცემული ფიქრი გაღვიძებს რეალობისგან.
ხელახლა გამოღვიძება და სიმყიფე,
იფიქრე მის სიმშვილეზე.
გაჭირვებული გულმავიწყობა
კვლავაც არასოდეს დააძინებს.

დრო, რომელსაც არ ეძინება.
ფიქრი, რომელიც ყოყმანობს ძილზე.
დიდხანს სიფხიზლე გინმობს თვლემისკენ,
თვლემ უდარდელად.
გამომალვიძე ჩაძინებამდე.
ამოისუნთქე, სანამ მივხვდები.
იძინე ჩემთან, რომ შემეძლოს გამოგალვიძო...

შიშველი გულები,
შიშველი გრძნობები,
შიშველი იმედი.
მე ვიღებ შხაპს გონებაში,

რომელიც თხლად ჩაცმულია.

დაავიწყდა მომავალი,
გაიხსენა მომავალი...
წარსული იცვამს მაჯისცემის ჩრდილში,
სინჯავ გულისცემის გემოს.
ეს თბილია.

* * *

მთა აშიშვლებს ჩემს გულს,
გემოს უგებს გრძნობებს.
და ეს ტკბილია.
ვერავინ გაიგებს შენს ფიქრებს ნისლში,
მარტო ჩურჩულით გამოდის.
შიშველი გაეღვიძება ელოდება მომავალში.
ფიქრები იფანტება.
გრძნობა კიდია თვალის საცრემლე კუთხეზე.
დაკიდებულია მაგრად, მაგრამ მსხრევადია.
ფიქრი უნდა დაახრჩო, სანამ აზრები გადმოვა.
ცრემლების ჩაყლაპვა შეუძლებელია,
რადგან გული ძლიერად ფეთქავს
და ფანტავს მათ.
როგორ შეიძლება, რომ წყალი ნემსივით გჩხვლეთდეს?
გრძნობა დაეცა.

* * *

მე ვუსმენ წვიმას
რომელიც ეხუტება
ჩემს სხეულს.
იღვრება როგორც ცრემლები
გადავსებული გულიდან.
წვეთები ეფერებიან ფიქრებს
და სიცოცხლე იღვიძებს.
სიძველე კი ქრება.



ლია სტურუა

*...დგანან კაცები, ხინკლებს ელიან,
ერთმანეთს ერთითად ხედავენ
და არყის სუნი საკმეველივით
ედება დაბალ დაკანრულ კედლებს.*

დგანან ქალები, კლიენტს ელიან
და ყველას მუშტრის თვალით ზომავენ,
და ყველის სუნი სანელებლივით
ედება დაბალ დახლების კედლებს;
და ჭორაობენ ხმადაბლა, მალვით,
იმის ცოლსა და მისს საყვარლებზე,
და არ არსებობს ამქვეყნად ქალი,
უმამაკაცოდ დიდხანს რომ ძლებდეს!
სალამოს ზღაზღნით დგებიან ფეხზე
მშიერ-მწყურვალი, კერპი ქალები,
ლარების შოვნას ალევენ მთელ დღეს,
ლამით ანგარიშს ქმრებს აბარებენ.



ჯანსუღ ჩარკვიანი


*მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი,
მევალისათვის მიმატანინე ვალი!*

მოშურნესათვის დამავსებინე თვალი,
მსტოვარისათვის ამაბნევიანე კვალი,
მომხვდურისათვის გამაკვრევიანე ბრჭყალი,
იმისი სისხლით გამაფერიანე ხმალი,
დაცამლენვინე მისი ხორცი და ძვალი!
დამაბრუნებინე ყველა ლაზი თუ გურჯი,
ყოველ მათგანში გამალვიძებინე ქუჯი,
მოდავესათვის დამაბრუნებინე ხურდა!
მერე მობძანდეს, მობძანდეს, ვისაც უნდა!

ტარიელ ჭანტურია

*მეცხრამეტე დასრულდა — ჯერი დადგა მეოცის,
ალარც გიჟი ტრისტანი, არც — სევდა რომეოსი!*

ავგისრულდა ოცნება — ლოცვამ გაჭრა მეოხის:
შენ ჩვიდმეტის გაგხადა, შენ ჩვიდმეტის, მე — ოცის!
მიჯნურობა ის იყო, მე და შენ რო ვიცოდით!
ერთად თვალს რო მოგვკრავდნენ, სირცხვილისგან ვინვოდით.
ახლა ისე დადიან დაუკრეფავ ბაღჩაში,
სინდისი და ნამუსი, გეგონებათ, დარჩათ შინ.
სულ ერთია, სად ზიან: კაფეში თუ კინოში,
ვითომ ეჩურჩულება, შეხედავ და... კი ლოშნის!
ალარც აბესალომის, არც ეთერის არია,
ავთანდილ-თინათინი, ნესტანი თუ ტარია
ალარავის ალარ რევს, მიჯნურობა მკვდარია!..
მაგრამ ვართ ხომ ისევე, შენ — ჩვიდმეტის, მე — ოცის,
მაგრამ დგას ხომ ისევე პირამიდა ხეოპსის!
თფუი ეშმას — ანმყოს! — და კვლავ დავინწყოთ თავიდან:
„შუა ზღვაში, ძვირფასო, გადამაგდე ნავიდან“.





ალექსი ჭინჭარაული

კაფია-დიპლოგი ლექსო ჭინჭარაულთან

— პრედსტავი სეზე, ლექსოსა ჭორი დაგიგდეს, ვერ სომსა!
 — პოსმოტრიმ, ტოლკო სტაქანსა, თუკი დამიდგამთ ვესომსა!
 — ლექსო, ხომ იცი, მე შენთან
 ჭუკჭუკი არ მომწყინდების:
 ზოგი კოკით სვამს, იმასთან
 შეჯიბრი არ მოგინდების!
 — იყურე, ბალო, ე მაგით
 მსმელობა ვერ დადგინდების:
 კოკასა შიგან თუ მთხლე დგა,
 იგივე წარმოინდების!

ბესიკ ხარანაული

პოეტმა ბესიკ ხარანაულმა დატოვა
დედაქალაქი და ლიშოში დასახლდა.
„ლიტერატურული გაზეთი“



— სულ არ შეგვევლო ლიშოსა, ბესიკი აღარ გვიშობსა!
 თანაც, არაფრად დაგიდევთ, ვინ ახლოს ცხოვრობს, ვინ — შორსა!
 — იქნებ იმიტომ არ გვიშვებს, ნაღდად რაღაცას შიშობსა, —
 არ დაგვილამდეს გზაშია და მგლებმა არ დაგვეგლიჯოსა!
 ზეზვამ სწორი თქვა: „ბარემლა გამგებლად დაინიშნოსა!“
 — რად მიგიტოვავ თბილისი, ქალაქ სისხლ ხო არ გიშრობსა?
 ვერ გარკვეულხარ, ძმისაო, ვინ მართალ ამბობს, ვინ ჭორსა?!
 გვეტყვის: მე მოგცემთ გონების სულ მცირე სავარჯიშოსა:
 (მაშ ისე ხო არ გაგვიშვებს, ქულა არ ჩაიჯიბოსა!)
 თურქულს შევთქვლევთ თუ ლიშოურს, კარტოფილს, რომელ გვიჯობსა?

პასტანგ ჯაჰანაძე

... მაგრამ, როცა იმ ლამაზთან ვცეკვავ დარდიმანდულად,
ანდა, როცა იმ მდიდრების ზმა მესმის და სხარტულა,—
მენატრები, მელანდები, მედარდები ქართულად.



აქეთ ჩვენი „დინამო“-ა, იქით — მათი „სპარტაკი“,
 მიშა მესხი ფინტებს ახვევს — მესხი ჩვენი „ატაკის“,
 მასლანკო ქშენს, თითქოსდა არაყი აქ ნათაქი.
 თუმცა, როცა ლატიშევი გვემსაჯება დაბდურად,
 ოფსაიდებს ვერ ამჩნევს და პენალტს ნიშნავს ქაჯურად, —
 კოტრიკაძე მედარდება, მებრალეა კაცურად.

P.S.

გვნამს, არ იკადრებთ, არ გვეკითხავთ: რატომ, მე რატომ ბოლოში?
 ან: როგორ, მე ამის შემდეგ?! ო, მანყენინეთ ძალიან!
 რა გაენყობა, კარგებო, ასეა საქართველოში,
 ანბანმა ასე ინება, რა ვქნათ, რა ჩვენი ბრალია?!

გიგო ხარანაძე

1925 წელს უილიამ ფოლკნერმა, ნიუ-იორკის ფრანგულ რაიონში ცხოვრებისას, დაიწყო წერა როგორც პროფესიულმა მწერალმა. მისი პირველი წიგნი იყო ლექსების კრებული „მარმარილოს ფავნი“, ამას მოჰყვა რამდენიმე მიმოხილვითი წიგნი და აგრეთვე „ნიუ ორლეანური სკეჩები“, რომელსაც მისი სიხშირის უნივერსიტეტის სტუდენტური გაზეთისათვის წერდა. ნიუ ჰევენის წიგნის მაღაზიაში მუშაობისას ფოლკნერი გაეცნო შერვუდ ანდერსონის მეუღლეს და დაუახლოვდა მათ ოჯახს, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მის — როგორც მწერლის — ჩამოყალიბებაზე. სწორედ იქ, ნიუ ორლეანში ექვსი თვის ყოფნისას, სადაც ანდერსონებიც ცხოვრობდნენ, ფოლკნერმა სერიოზულად მიჰყო ხელი პროზაულ ნაწარმოებთა შექმნას. „ნიუ ორლეანურ სკეჩებში“ ის პირველი მარცვალა ჩადებული, ფესვებს მის მომდევნო ნაწარმოებებში რომ გაიდგამს. „ნიუ ორლეანური სკეჩების“ შეფასებისას ალფრედ კაზინი წერდა „ნიუ იორკ ტაიმსში“ წიგნების მიმოხილვაში, რომ „ახლა ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ წიგნში დავინახოთ მის მომავალ ნაწარმოებთათვის განსაზღვრული მთავარი თემები და მოტივები“.

კარელ კოლინზი, რომელსაც ფოლკნერის თხზულებათა საუკეთესო კრიტიკოსს უწოდებენ, სკეჩებს მიიჩნევს იმ მნიშვნელოვან ეტაპად, რომლის შექმნის შემდგომაც პოეტი ფოლკნერი ჯერ პროზაიკოსად იქცა და საბოლოოდ კი ჩვენი დროის უდიდეს მწერლად.

უილიამ ფოლკნერი


ნიუ ორლეანის სკეჩებიდან

მდიდარი ახრიალი

„სამი რამ მიყვარს: ოქრო, მარმარილო და ძონეული; ბრწყინვალეობა, სიმდიდრე, ფერი“. აღმოსავლეთში დაირწა ადამიანთა მოდგმის აკვანი. იქიდან წამოვიდა აქაფებული ტალღა ბედისწერისა და დედამიწის პირს აბობოქრებული მოედო. დაე იმძვინვაროს ბედისწერის ამ ტალღამ. ჩემმა ერმა გადალახა ეს ბედისწერა. ჩემი ერი, შესაძლოა განუხჯვლად, მაგრამ მუდამ მამაცურად გაჰყოლია ისტორიის ტალღებს, ისევე, როგორც ჩემი ძველი ფინიკიელი წინაპრები, რომლებიც არ ეპუებოდნენ და სავაჭრო ორჩხომელებით გადიოდნენ ჯერ კიდევ რუკაზე აღუნიშნავ ზღაპრულ ზღვებში და ეძებდნენ იმას, რაც მეც მიყვარს. მზე ამოდის და ჩადის; კაცობრიობის ეპოქები იზადებიან, განიცდიან სიხარულს, იბრძვიან, სტიციან და ქრებიან. და ასე იყოს: ღმერთის წინაშე მეც მხოლოდ სველი მიწის კოშტი ვარ. თუმც ბებერი, მაგრამ ჩემს გულში მოქცეულია ადამის მოდგმის ყოველგვარი ტკივილი, ვნება და მწუხარება; ჩემშია სიხარული, რომელიც სულს აღანთებს, და მწუხარება, რომელიც სულს ამოსწავს.

მაგრამ მე მწვავე ფერფლი ვარ, რომლიდანაც ჩემი სიამოვნებისა და ტკივილის მემკვიდრენი ფენიქსის მსგავსად აღმოცენდებიან, რადგან ჩემი სისხლი ძველია, მაგრამ გამძლე. ო, თქვენ შერეული ერებო, თქვენი ფერფლები, განყალბებული და დაკარგული სისხლით; თქვენი ოცნებით, რომელიც შელახულა და უმიზნო გამხდარა. თქვენ ისიც კი არ იცით, რას ესწრაფით! ჩემმა ხალხმა თქვენ შემოგთავაზათ ოცნება მშვიდობისა, რომელიც ვერ აღიქვით, და სირიის უნაყოფო უდაბნომ შეინოვა თქვენი ჭაბუკების სისხლი; მე გადმოგივდეთ ოქროს ფული და თქვენ კი ამით სიკვდილის მონამეობა იყიდეთ აჰენობარბუსის ბაღებში. თქვენი ბედისწერა ჩემი ხახის ხელიდან მიიღეთ და თქვენი და ჩვენი შვილები ერთად იწუნენ პაშენდელის ტალახში, ახლაც სძინავთ მათ ერთმანეთის გვერდით უცხო მიწის ქვეშ. უცხო? რომელი მიწაა ჩემთვის უცხო? თქვენი ალექსანდრეები, კეისრები და ნა-

პოლეონები იბადებიან სისხლსა და ოქროსი; ისინი გაჰკვივიან სამშობლოზე, მაგრამ ხანმოკლეა მათი ყიჟინა. შემდეგ კვდებიან, როგორც ტალღები, რომლებიც სისინით იკლავნიან ნაპირზე და ქრებიან. არცერთი მინა არ არის უცხო ჩემი ხალხისათვის, რადგან განა ყველა ქვეყანა ჩვენ არ დავიპყართ ჩვენი ქრისტიანობის იგავით? ბედისწერის აქაფებული ტალღები გვერდს მივლიან. დაე ჩამიარონ! ჩემი ხალხი ტალღების თხემზე მოექცევა და შესაძლოა ამ ტალღებმა ისე გასტყორცნონ, როგორც საყვირთა ხმები იტყორცნება ცივ ვარსკვლავეთში. „სამი რამ მიყვარს: ოქრო, მარმარილო და ძონეული; ბრწყინვალეობა, სიმტკიცე, ფერი“.



მღვდელი

საღამო ჰგავს მდუმარებით მოცულ მონაზონს, საღამო ქალწულსა ჰგავს, რომელიც კედელ-კედელ მიიპარება სატრფოს შესახვედრად... შებინდება ჰგავს მძლარი ნახირის სუნთქვას, რომელიც არხევს იასამნებს, ყვავილთა ქაცვებს და თან სუმბულის უხმო ზარებს რეკავს, ოცნებობს ლესბოსის კუნძულზე და პალმის ფერგამქრალ, ფართე ფოთლებს შორის ჩურჩულებს.

ოჰ, ღმერთო, ოჰ, ღმერთო! მთვარე ვერცხლისფერი ნამგალია, რომელიც დასავლეთის ციდან ვარდისფერი შეღამების მოცელვას აპირებს. მთვარე ვერცხლის პატარა ნაწია მწვანე და უნაპირო ზღვაზე.

ავე, მარია, იოცნებე... ზარების მწყობრი ჰანგების ხმა რარიგ ჰგავს ოქროსფრთიანი ჩიტების ფრენას, რომლებიც ნათელი და მკრთალი სინანულით ჩაუქროლებენ ხოლმე ზეატყორცნილ ჯვარსა და ეკლესიის წერწეტა ნვეტს და ზარების ექო სიმღერით ეცემა, როგორც ზეციდან შურდულივით დაშვებული ტოროლა.

ავე, მარია... ოჰ, ღმერთო, ოჰ, ღმერთო, ასე მალე რატომ უნდა ღამდებოდეს. ორიონი ვარსკვლავებით მოფენილ მინ-

დვრებში დაეხეტება, მოჭრიალე „ეტლი“ ძნელად მიიკვლევს გზას „ირმის ნახტომის“ უფერულ, ნამიან ბალახზე. მწუხარება და ნარმავალი სიყვარული... ავე, მარია! პატარა, ვერცხლისფერი ქალწული, — გულნატკენი, მწუხარე და საბრალო, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვს იესოს ბაგეთა შეხება მკერდზე; გვემა და ხორცი, რომელიც იმ ჩვილი ბავშვის ხორცსა ჰგავს, ბნელ ხეებს შორის რომ სტირის. მაგრად ჩამავლე თმაში ხელი და მემბოროე... ოჰ, ღმერთო, ოჰ, ღმერთო, ოჰ, ღმერთო, ნეტავი მალე დადგებოდეს დღე!

ავე, მარია, ღმერთო დიდებული... სპილოს ძვლის კოშკი...ლიბანის ვარდი.

ფრენი და ჯონი


მისმინე, ბები, ვიდრე გნახავდი, ერთ-ერთი იმათგანი ვიყავი, ბორნით მარტოდმარტო რომ გადადის და გადმოდის ბნელ მდინარეზე; გაღმა რომ გავა და გზა საბოლოოდ არსაით მიდის, არც არაფერი გაეგება და ფიქრობს, რომ მთელი ეს დრო მხოლოდ არსებობდა და მეტი არაფერი. იცი, — ადამიანთა და საგნების სახელებით მქონდა თავი გამოტენილი, რომლებსაც მხოლოდ თავისი საქმე აინტერესებდათ და ფიქრობდნენ, რომ მთელი ეს ხანი მხოლოდ დოლარების ქისა ვიყავი. მისმინე, აი, რას ვამბობ:

როცა პირველად დაგიხანხე ქუჩაზე ჩამომავალი, ორ ბორანს ვგავდით, აქამოდე რომ არ უნახავთ ერთმანეთი და, როცა შეხვდნენ, იმის მაგივრად, რომ ერთმანეთისთვის გვერდი აეველოთ, შეჩერდნენ, შემობრუნდნენ და გვერდისგვერდ განაგრძეს სვლა იქითკენ, სადაც მათ გარდა არავინ იქნებოდა. მისმინე, ბები: ვიდრე გნახავდი, მე უბრალოდ თავზეხელაღებული ბიჭი ვიყავი, როგორც ძველი პოლიციელი რიანი ამბობდა ჩემზე, ერთი უქნარა და უვარგისია, არაფერი რომ არ ადარდებს ძველი ჯონის გარდაო. მაგრამ როცა ვალეშილმა მანანალამ გაგაჩერა და, რაც არ უნდა ეთქვა, ის გითხრა, მივედი და ერთი კარგად ვუთავაზე. ეს ჩემთვის კი არა, შენთვის ჩავივინე; მაშინ თითქოს ქარმა დაუბერა და ნაყარ-ნუყარი და ნაგავი ახვეტა ქუჩიდან.

და როცა ხელი მოგხვიე, როცა შენც ჩამეხუტე და ატირდი, მივხვდი, რომ თუმცა ადრე არასოდეს მენახე, ჩემი ბედისწერა იყავი და სადღაც გაქრა ის თავზეხელაღებული ბიჭი, ძველი პოლიციელი რიანი რომ მიწოდებდა. მერე, როცა მაკოცე, ისეთი გრძობა გამიჩნდა, თითქოს

ერთ დილას, ძველი ეტლით მივიკვლევდით გზას ქალაქისკენ, როცა ძაღლები³ თავს დაგვეხსნენ, შემოგვებრუნეს და სადღაც ისეთ ადგილას აღმოვჩნდით, სადაც უკვე დღე იწყებოდა და ყვითელი და ოქროსფერი ნავეები ჯერაც კიდევ წყალზე იდგნენ. მერე ქარმა დაუბერა და ოდნავი შხაპუნი გაისმა. ეს იმას ჰგავდა, ბნელ ოთახში რომ ხარ და უცებ ვილაცა სინათლეს აგინებებს. ასე იყო, როცა შენი ქერა თმა და რუხი თვალები დავინახე, თითქოს სუფთა ქარი ჩასახლდა ჩემში და ჩიტებიც აჭიკჭიკდნენ; და მერე უკვე ვიცოდი, რომ ჩემთვის ყველაფერი დამთავრებული იყო.

ოჰ, ჯონი!
ბები!



მეზღვაური

აჰ, ისევ ქვაფენილის შეგრძნება ფეხქვეშ, წყნარი, უძრავი გემბანის ნაცვლად, — ისეთი უძრავისა, როგორც ზღვის ფსკერიდან ამოშვერილი კლდეა, რომელსაც უქარო შუადლისას ცხვირით შეხეთქებია გემი და ზედ შერჩენილა ვანტები, ნაფლეთები და მძიმე და უსიცოცხლო იალქნები. ან ისევ ისმის საყვირის გამწარებული ხმა, რომელიც ჩაძირვას ან გზიდან აცდენას გვაუწყებს! გაყინული და გაშუმებული აღჭურვილობა, წყლის ზედაპირის ცივი ბუბურები, როგორც კაცის ხელზე ამოყრილი ფურუწკულები. აქ კი ურყევი სამყაროა: ის

მხატვარი ირაკლი ფაჩულია

არც ყირავდება, არც გმინავს და არც გუგუნებს! არც წყალი ამოჟონავს ფსკერიდან, არც მსრბოლი ქარიშხალი ყმუის!

აჰ, ყმანვილებო, მხოლოდ ბრიყვები თუ ნავლენ ზღვაში და თუ ნავლენ, მხოლოდ იმისთვის, რომ ხანდახან ქალები გამოიცვალონ. კაცებს ერთიდაიგივე რამ ნამდვილად არ აკმაყოფილებთ. აი, ის შენი გავაგანიერი ესპანელი ქალი მანდოლინებს შორის, დაბოლილ ფუნდუკში, შენი ქერა ექთანის, შენი ფერმკრთალი, ცივი ანგლო-საქსები და ისიც მახსოვს, იემენის კედლების ქვეშ ერთი ჟღალთმიანი რომ გავიცანა და ერთიც ჩინეთის ოკეანეში: სამი კაცი რომ მოკლა დანით. მაინც სად უნდა ჰპოვოს კაცმა თავისი ბოლო ნავსაყუდელი, რომელი უნდა აირჩიოს?

სამაოა ფენის ნაბიჯების ხმა, ღვინო, ქალები და აყალმყალი; მაგრამ მალე ბრძოლის ჟინი ცხრება, ღვინო ილევა და, კაცს რომ ჰგონია, ქალის ტურებს ისეთი სიტკბო აღარა აქვთ. და მერე ისევ მოენატრება ზვირთები, ზღვის ხმაური და მარილის სუნი.

მენაღა

ჩემი ცხოვრება სახლია: ტყავის სუნით გაჟღენთილი ჩემი სახლის კედლები. სამი მხარე ბნელია, მაგრამ ერთი მხრიდან კი სუსტი სინათლე შემოდის დაბინდული, გაურეცხავი ფანჯრებიდან. ამ ფანჯრების იქით სამყარო ხმაურობს და სადღაც მიემართება. ოდესღაც მეც ამ სამყაროს ნაწილი ვიყავი, კაცობრიობის სწრაფადმსრბოლი მდინარის ნაწილი; მაგრამ ახლა უკვე ბერიკაცი ვარ, უცხო მინის დამყავებულ გუბეში გადატყორცნილი და მდინარემ უკან ჩამომიტოვა. ის მდინარე, რომლის ნაწილიც ოდესღაც ვიყავი, კარგად არ მახსოვს, რადგან დაებერდი: ბევრი რამ გადაამავინყდა.

სიხარული და მწუხარება, — რას ნიშნავს ეს ყველაფერი? ნუთუ ოდესმე ვიცოდი? მაგრამ სიხარული და მწუხარება ის ჩიტები არიან, რომლებიც კივილით ტრიალებენ სწრაფადმსრბოლ მღელვარე ნიაღვრის თავზე: გუბეებისთვის კი თავს არ იწუხებენ. ჩემთვის სიმშვიდის შეგრძნება ლურსმნის სწორად ჩაჭედებაა, ლანჩის მოხერხებულად მორგება და ცოლის შინ ყოფნა. ჩემი ცოლი? ჩემი ცოლი ოქროსფერი ვარდის ბუჩქია. შეხედე, ნლებმა როგორ დაგრიხა და გააუხეშა მისი ძველთაძველი ტოტები, სწორედ ისე, ჩემი ხელებივით დაგრეხილი და დაკოჟრებული. და მაინც, ყოველ წელიწადს ჩემთვის ამოყრის ხოლმე ნახ ყვაილებს, თუმცა ისიც ისეთივე ხანდაზმულია, როგორც მე.

აჰ! ტასკანია! როდესაც ხეობას ჩრდილი მოეფინებოდა, მაშინ გამოჩნდებოდნენ ხოლმე ზინზილაკებიანი ფარები მზიან ბორცვებზე! დღისით ნადიმობდნენ და მწვანე მოლზე ცეკვავდნენ, ისიც იქ იყო თავისი აღისფერი ხილაბანდით, ღრუბლისფერი, მოფრიალე თმითა და ჩამოშლილ თმას შუა შეხიზნული საამო, ველური მკერდით; და იცი, ჩვენ დანიშნულები ვიყავით.

ჩემი დანიშნული, ეს ვარდი და მე, — სამივენი ახალგაზრდები ვიყავით; მე და ჩემმა დანიშნულმა ვარდი მწუხრის ვარსკვლავის ბრწყინვისას მტკვერში მოვისროლეთ. მაგრამ ახლა ვარდი დაბერდა ქოთანში, მეც დავბერდი და ტყავის სუნით ვარ გაჟღენთილი. და ის — და ის... მე მიგრძენია სიხარული და მწუხარება, მაგრამ ახლა აღარაფერი მახსოვს. უკვე ბერიკაცი ვარ; ბევრი რამ დავინყებას მიეცა.

ინგლისურიდან თარგმანა
მელაა ზაალიშვილია

1. ლუციუს დომიტიუს აჰენომარმუსი (დაიბადა 98 წ. და გარდაიცვალა 48 წ. ქრისტესშობამდე. ოპტიმატების (კონსერვატიული სერატორიალის არისტოკრატიის) ბელადი. იბრძოდა იულიუს კეისრის, პომპეუსისა და მარკუს კრასუსის (ე.წ. ტრიუმვირატის) წინააღმდეგ. დამარცხდა ფასალუსში.

2. პაშენდელის ბრძოლა 1917 წელს ე.წ. ტალახის ბრძოლა.

3. bulls — ამერ. სალ. პოლიციელები.

შხამიანი ფქვილი

„მოტმასნილი ტანგო“ ნობელიანტი მწერლის ჰერტა მიულერის მეორე ნოველაა, რომელსაც „ჩვენს მწერლობაში“ (№12, 2011) დაბეჭდილი „დამპალი მსხლების“ (მთარგმნელი ნინო ტოფაძე-შტოკერი) შემდეგ გაეცნობა მკითხველი.

ლერწმიაში ტანმსხვილი გველი ბუდობს, რომელიც წისქვილში გადასრიალდება, ფქვილს და ქატოს ანადგურებს, რაც გადაურჩება — ნერწყვით ასველებს. ეს ფქვილი შხამიანია, მას მენისქვილე გუბურაში ყრის, რომ არავინ მოინამლოს. ასეთი მკრთალი მინინებით იწყება ჰერტა მიულერის ნოველა „დამპალი მსხლები“. უწმინდურის, უხსენებლის ამ ნერწყვით დასველებულ შხამს შეუძლია მოწამლოს და მოაკვდინოს ნოველის გმირის, პატარა გოგონას უმანკო და პოეტური სული, რომლის წიაღიც, იმის ნაცვლად, რომ ნაკადულივით მხიარულ, რაკრაკა ხმებ გამოსცემდეს, ტკივილიანად იმეორებს: „მე უწმინდურება ჩავიდინე... დავინახე, მოვუსმინე, ნავიკითხე.“ ეს უწმინდურება და შხამია ქვრივი დეიდას ბარძაყი მამის შარვალთან, დეიდას ხელი მამის ყურთან, ხმები, რომელსაც უკადრის გულისთქმებს აყლილინ გამოსცემენ. მხოლოდ ჩიტებს, ტოტებს, ბალახებს შერჩენიათ თავდაპირველი პოეტური სინმიდე, დანარჩენს ყველაფერს, დეიდის ნაჯდომი სავარძლისა და მამის ნაბიჯების ჩათვლით, დამპალი მსხლების სუნი უდის.

იქნებ სულაც არ სურს მწერალს ნოველისთვის ასეთი მორალური საფანჯელის მკვეთრად ამოგება? მე, მკითხველი ხომ არ ვამძაფრებ რაიმეს?

მაშინ რატომ ჰკივია გოგონას საწოლი ცაში კლაპოტდამშრალ მდინარესა და ტყეების დაღლილ ფოთლებში, სხვა შავ საწოლებსა და დამპალ მსხლებს შორის?

ეს განწყობა გრძელდება მეორე ნოველაშიც, „მოტმასნილი ტანგო“.

აქ უკვე სხვა მხრიდან იშხამება იფქლი—ღვთაებრივი ხორბალი პატარა გოგონას წრფელი სულის სახით და ყველაფერი პირდაპირ და ირიბად მის სასიცოცხლო სივრცეს უჭერს, ეტმასნება. აქ ყველაფერი მოჭერილი და მოტმასნილია, დაწყებული დედის აჭიმებიანი საცვლიდან, შავი წინდებიდან, ფეხსაცმელებიდან, ტანგოს ცეკვისას დედისა და ბიძის ერთმანეთზე მიტმასნილი ბარძაყებიდან...

მაშა და ქვრივი დეიდა, ქვრივი დეიდა და მამის ძმა, ხომ არ არის ეს პატარა გოგონას ავადმყოფური, შიშნული აკვიტება? მაშინ რატომ აქვს ასეთი რეალისტური ელფერი აღწერილ გარემოს რატომ აქვს ასეთი სიმყიფე შუშისგან, მინისგან ჩამოსხმულ დედის კანჭებს და შავი ქვის კოჭებს, შიშში რომ გამყოფებს მკითხველს: სულ ცოტაც და... დაიმსხვრევა ეს ფეხები, საფლავებს შორის მოცუნცულე; ეს ბზარიც, გარდაცვლილი მამის თვალი რომ მიბჯენია გოგონას დედის ფეხზე, შავი წინდის გაქცეული, ნასული თვალი კიარა, ბზარია ჰარმონიაში, ოჯახურ იდილიაში, მორალში. რასაც გოგონას მთრთოლვარე სულში ყრუ ტკივილი შეაქვს და როგორადაც უნდა გაპოეტურდეს, მწერლისა და მხატვრის ჯადოსნური ფუნჯით დაიხატოს გარემო, აქ იდილია ვერ იზეიმებს, ვერ გაიფურჩქნება.

რადგან თუ ღვთის ხელიდან ნათეს ხორბალს, იფქლს უხსენებელი გადაუვლის, მას მარადიული მორალური საზღვრებიდან ამოადგებს, შხამიან ფქვილად აქცევს. ამიტომ აქვთ ამ ფქვილით დამზადებულ საქორწინო ტორტის წვეროზე დასკუპებულ მტრედებს ასეთი ავისმომასწავებელი სახეები.

ძალიან ხომ არ ჩავამუქე? არადა რა მსუბუქი, რა ჰაეროვანი და რა პოეტური ნოველებია.

ჰერტა მიულერი საჩემო მწერალი ყოფილა. ეს პოეტური ნოველები ძალიან მომეწონა, დანარჩენი რომანებიც ვნახოთ...

ცირა ჟურაშვილი

ჰერტა მიულერი

მოტმასნილი ტანგო

დედაჩემს აჭიმები ღრმად უსერავენ თეძოებს, აჭერენ კუჭზე, როცა წინ გამოზნექილ მუცელს ეტმასნებიან.

დედის აჭიმები ფერმკრთალი ტიტებით დაფარული ხალასი ცისფერი ფარჩის ქსოვილისგანაა და მათ რეზინის ორ კერტი და ორიც უფანგავი მავთულის აბზინდა აქვთ.

დედაჩემი მაგიდაზე აწყობს შავი აბრეშუმის წინდებს. ისინი ორი გამჭვირვალე, სქელი სანვივებია. სანვივები შავი შუშისგანაა. შავი აბრეშუმის წინდებს მრგვალი, გაუმჭვირვალე ქუსლები და ნანვეტილი, გაუმჭვირვალე ფეხის წვეროკინები აქვთ. ესენი შავი ქვებია.

დედაჩემი შავი აბრეშუმის წინდებს თავის ფეხებს აცმევს. გაფითრებული ტიტები თეძოებიდან მუცლისკენ მისრიალებენ. რეზინის კერტები შავდება, რკინის აბზინდები იხურება.

დედა შავ ფეხსაცმელში ქვის ტერფებს აცურებს და ქვის ქუსლებს აჭერს. მისი ორი კოჭი პატარა შავი ქვებია. ესენი ქვის კისრებია.

ეკლესიის ზარი მკაცრ და მოგუდულ ხმას გამოსცემს. ეს ხმა სოფლის სასაფლაოდან მოდის.

ზარი რეკავს.

დედას თეთრ ქრიზანთემებიანი, მუქი კედრის გვირგვინი უჭირავს ხელში, ბებიას ჟღარუნა, თეთრკენჭებჩამოკიდებული გვირგვინი მოაქვს. შიგ მომღიმარი ღვთისმშობლის მრგვალი სურათია, რომელსაც უნგრული მონარქის თითქმის გადაშლილი შრიფტით აწერია: Szűz Maria Könzönöm.

მე ცალი ხელით წვრილად დაღარული, აბურძგნული გვიმრის კონა მიმაქვს. მეორე ხელი კი სავსე მაქვს ჩემი თითებივით თეთრი და ცივი სანთლებით.

დედაჩემის შავი კაბა ნაკეცებს ისვრის, მისი ფეხსაცმელები მოკლე ნაბიჯებში მოწკაპუნებენ. გაფითრებული ტიტები დედის მუცლის გარშემო დაცურავენ.

ზარი ყოველ ჩამოკვრახე ერთსა და იმავე სიტყვას იმეორებს. ამ ჩამოკვრასა და ჩამოკვრას შორის ექო ჩნდება და განუწყვეტილ ხმინაობს. ამ სიტყვების ექოში, ზარის გაბმულ გუგუნში მიცუნცულებს დედაჩემი თავისი ქვის კოჭებითა და მინის კანჭებით.

პატარა იოსები კედრისა და თეთრი ქრიზანთემების გვირგვინით ხელში დედის ნაბიჯებს წინ უსწრებს.

მე კი მუქი კედრისა და ჟღარუნა გვირგვინებს შორის მივაბიჯებ და ჩემს აბურძგნულ გვიმრას მივყვები უკან.

დიდი ჭიშკრის გავლით სასაფლაოს ეზოში შევდივარ. ზარი ახლა ჩემს თვალწინაა, ჩემი თვალების მიღმა, ჩემს თმებს შორის, გაჩეჩილი გვიმრის ქვეშ, ჩემს უღონო ხელის მტვენებში.

ზარის თოკის ნასკვი ჩემს საყლაპავშია გაჩხერილი.

ბებიჩემის საჩვენებელ თითზე ფრჩხილის ძირი მუქადაა ჩალურჯებული და მკვდარი. მამაჩემის საფლავის ქვაზე, პირდაპირ მის სახეზე ჰკიდებს ბებია თავის ჟღარუნა გვირგვინს.

მამაჩემის ღრმა თვალებს ახლა მომღიმარი ღვთისმშობლის სისხლისფრად ხორცშესხმული გული ფარავს. ხოლო პირქუშ ტუჩებს — უნგრული მონარქის შრიფტი.

დედა მოხრილი ადგას მუქი კედრის გვირგვინს. მას კუჭი ეკუმშება და მუცელზე აჭერს. თეთრი ქრიზანთემები მოგორავენ დედის ლოყებზე, მის შავ კაბას საფლავეებზე მოცაცუნე ქარი აფრიალებს.

დედის შავ მინიან ფეხს ერთი ბზარი აქვს, რომელიც მუხლიდან ზემოთ, აჭიმების გავლით მუცლისაკენ მიცოცავს, სადაც დედის ტიტები დაცურავენ.

ბებია თავისი მკვდარი საჩვენებელი თითით საფლავის კიდეზე დადებულ აბურძგნულ გვიმრას ძიძგნის. მე გვიმრის ნეკნებში სანთლებს ვარჭობ და გაციებული ხელის თითებით მინას ვბურღავ.

ასანთი ცისფრად ბუჟტავს დედის ხელში. მისი თითები ცახცახებენ და ალიც ცახცახებს. მინა ჩემს ხელებს სახსრებამდე ყლაპავს.

დედა ცეცხლის ალს დაატარებს საფლავის გარშემო და ამბობს: „საფლავეებზე თხრა არ შეიძლება!“

ბებიჩემი თავის გამხმარ საჩვენებელ თითს მუქარის ნიშნად მიქნევს და ღიმილით ღვთისმშობლის სისხლისფრად შეხორცებულ გულზე მიმანიშნებს.

სამლოცველოს კიბეებზე მღვდელი დგას. მისი ანაფორის შავი ნაკეცები ფეხსაცმლის ზემოთ ჰკიდია. ეს ნაკეცები მუცლის გავლით მისი ნიკაპისკენ მიცოცავენ. უკან, მღვდლის კეფასთან ჩამოკიდებული ზარის თოკი თავისავე მსხვილ ნასკვს არწევს.

მღვდელი ამბობს: „გარდაცვლილი და ცოცხალი სულებისათვის ვილოცოთ...“

და თავის გაძვალტყავებულ ხელებს მუცელზე იწყობს.

კედარი წინებს კეცავს, გვიმრა თავის გაპუტულ ნეკნებში იკაკვება, ქრიზანთემებს თოვლის სუნი ასდით, სანთლებს ყინვის სურნელი დაჰკრავთ, სასაფლაოს თავზე ჰაერი შედგა და აღარ იძვრის. ლოცვა კი ზუზუნებს: „ღმერთო, ზეციური სასუფევის განმგებლო, გვიხსენი მოკვეთისაგან.“

სანთლები კი წრიალებენ დედის ხელებში და იმათი გამდნარი წვეთები თეთრ აბლაბუდებად იღვენთება, ჰაერშივე შემდება და ისეთივე უსიცოცხლო ხდება, როგორც ჩემი აბურძგნული გვიმრა. სანთლების ფითილები



დანახშირებულია და ალიც აღარა აქვთ. დაგრეხილ სანთლებს შორის ერთი ბელტი ეცემა .

დედას დახვეული ქრიზანთემები აქვს შუბლზე და ამბობს:

„საფლავებზე ჯდომა არ შეიძლება.“

ბებიაც მიფშეკს გამხმარ საჩვენებელ თითს...

დედის მინის ფეხზე ბზარი ახლა ბებიაჩემის საჩვენებელი თითივით ფართოა.

მღვდელი ისევ განაგრძობს:

„ჩემო ძვირფასო მორწმუნენო, დღეს ყოვლად წმინდა

დღესასწაული აქვთ ჩვენს მიცვალებულებს, დღეს ჩვენი ეკლესიის კურთხევის დღეა...“

პატარა იოსები, კედრის გვირგვინზე ხელებდანყობილი, მეზობელ საფლავზე დგას.

„ღმერთო, გვიხსენი ამ მოკვეთისაგან!“ — ამბობს მღვდელი და აცახცახებულ ჰაერში მისი თმებიც ცახცახებენ.

პატარა იოსები თავის წითელ აკორდეონზე უკრავს. თეთრად მოფრიალე პატარძლებზე უკრავს იოსები მთელი სოფლის გასაგონად, კიდევ საკურთხეველთან მომღიმარი ღვთისმშობლის სისხლისფრად ხორცშესხმული გულის ქვეშ დანყვილებულ ქორწილის სტუმრებზე, თეთრი ცვილით რომ დაქერცლილან. პატარძლის წინ დადებულ საქორწილო ტორტის შესახებაც, ორი ცვილის თეთრი მტრედი რომ აზის წვერზე ავისმომასწავებელი ღიმილით.

„მოტმასნილ ტანგოს“ უკრავს პატარა იოსები მდებრთა და მამრთა ხელ-ფეხისათვის.

პატარა იოსებს ხელზე მოკლე თითები აქვს და პატარა ფეხსაცმელები აცვია. იგი თავის გაფარჩხულ თითებს მთელი ძალით აჭერს კლავიშებს.

ფართო კლავიშები თოვლისგანაა. ვინრო კლავიშები კი მინისაგან. ამ ვინრო კლავიშებს იგი იშვიათად აჭერს თითებს, მაგრამ თუკი შეეხება, მუსიკაც უცებ ცივდება.

მამის ბარძაყები დედის მუცელს აჭერენ, ეტმასნებიან იქ, სადაც ტიტები დაცურავენ.

პატარძალი ჩვენი მეზობელია. იგი საჩვენებელი თითით მიხმობს, დიდ ტორტს ერთ ნეკნს აჭრის და თეთრი ცვილის ორ მტრედს, სახეებზე ავისმომასწავებელი ღიმილი რომ აკერიათ, ხელში მიდებს.

მე ხელს ვმოჭავ. მტრედები ჩემი თითებივით თბებიან და ოფლად იღვრებიან.

მტრედებს ხორცის ნაჭერში ვახვევ და პურში ვდებ, მერე ჩავკბინავ, პურის ლუკმას ვყლაპავ და „მოტმასნილ ტანგოს“ ვუსმენ.

დედა ბიძაჩემის ბარძაყებისა და მოცურავე ტიტების თანხლებით მაგიდებს შორის ცეკვავს. დახვეული ქრიზანთემები მას ახლა პირთან აქვს ჩამოცურებული და ამბობს: „საჭმელთან არ თამაშობენ!“

მღვდელი ძვლებადქცეულ ხელებს მალლა სწევს უფლის სახელით:

„უფალო, გვიხსენ მოკვეთისაგან!“

მისი ხელებიდან კვამლის ბოლქვები მალლა მიიმართებიან, ზარის თოკზე ნასკვის გარშემო ლივლივებენ და კოშკზე ადიან.

„საფლავი ჩაზნექილია, ყვავილებმა რომ გაიხაროს, ორი ურემი მინა და ერთი ურემი ნაკელი უნდა დავამატო.“ დედის შავი ფეხსაცმელი ქვიშაში ჭრატუნებს.

— „ბიძაშენს შეუძლია ეს თავისი მკვდარი ძმისთვის გააკეთოს“ — ამბობს დედა.

ბებია თეთრკენჭებიან გვირგვინს მკვდარ საჩვენებელ თითზე იკიდებს. მამაჩემის ღრმა თვალები დედაჩემის შავი მინის ფეხსაცმელზე და თეთრ ბზარსაც

მხატვარი აივენგო ჭელიძე

ამჩნევენ. დედის შავი ფეხსაცმელები თხუნელის ბორცვების გავლით უცხო საფლავებს შორის მიდიან.

სასაფლაოს ჭიშკარში გავდივართ. სოფელი თავის თავში იძირება, კედრისა და გვირგვინის, ქრიზანთემებისა და გამდნარი ცვილის სუნი ასდის.

პატარა იოსები ჩემს ნაბიჯებს წინ უსწრებს.

სოფელი შავია. ღრუბლები შავი ფარჩის ქსოვილია.

ბებია თავის თეთრკენჭებიან გვირგვინს მოაჟღარუნებს. დედაჩემი ჩემს თითებს თავის ხელში ჭყლეტს.

მამაჩემი ჩვენი გარდაცვლილი სულია. მას დღეს დღესასწაული აქვს და სოფლის კიდეებზე ცეკვავს.

დედაჩემს აჭიმები ეტმასნებიან და ღრმად უსერავენ თეოებს.

მამა „მოტმასნილ ტანგოს“ ცეკვავს და ბარძაყებით ეტმასნება შავი ფარჩის ღრუბელს.

გერმანულიდან თარგმნა
ნინო ტოფაქია-შტოკარმა



უცხო მოყმა

ომსკისა თუ ტომსკის გუბერნიის რომელიღაც მიყრუებულ ქალაქში დაბადებულ-გაზრდილი ჭაბუკი გატაცებით კითხულობდა ბესტუჟევი-მარლინსკის მოთხრობებს შორეულ და ეგზოტიკურ კავკასიაზე, გულში ებადებოდა ძალუმი ლტოლვა, რომ საკუთარი თვალთი ეხილა იქაურობა, მანამდე კი, წაკითხულის გავლენით, წარმოესახებოდა ქარიშხლიანი ღამე და ეჩვენებოდა, თითქოს ბანჯგვლიან ნაბადში გახვეული ცხენზე ამხედრებულიყო და უძირო უფსკრულის პირას ძაფით მთრთოლვარე ბილიკიდან გადაჰყურებდა ღრიალა თერგს; თავს ატყვებოდა წვიმის ღვართქაფი, თვალს სჭრიდა ელვა და სმენას აყრუებდა ჭექა-ქუხილი. მძვინვარე სტიქიის წინაშე უმწეოდ დარჩენილი და შეძრწუნებული ლოცულობდა: უფალო, შემენიე და გადამარჩინე!

მაგრამ ჩვიდმეტი წლის ჭაბუკმა რუსი მწერლის ნიგნში, რომანტიკულ თავგადასავალთა გარდა, ისიც ამოიკითხა, რომ კავკასია და მისი მარგალიტი — საქართველო ისევ „ტერა ინკოგნიტა“ იყო რუსი მკითხველისთვის და, ვინ იცის, ეგებ ელოდა თავის კოლუმბს.

„ოცდაათი წელიწადია ხიშტების ფოლადისებრი ჯაჭვით გარემოცული გვაქვს კავკასიონის კალთები და ჩვენს ოფიცრებს სასარგებლო ან თუნდაც გასართობი ცნობების ნაცვლად კავკასიიდან ჩამოჰქონდათ მხოლოდ ხმლები, პაიჭები და მოსევადებული ქამრები. ყველაზე უფრო მარჯვენი სწავლობდნენ ლეკურის ცეკვას... რუსეთში ერთხელ გავიცანი ერთი დამსახურებული მტაბს-ოფიცერი, რომელმაც ყველა ჩემს შეკითხვაზე საქართველოს შესახებ, სადაც მან თორმეტი წელიწადი დაჰყო, ოდენ ის მიპასუხა, იქ ძალზე იაფია ხობებო. კაცმა რომ თქვას, ამგვარი ცოდნის შესაძენად ამსიშორეზე წასვლა არ ღირდა“.

ამას წერდა ბესტუჟევი-მარლინსკი და სწორედ მან ჩაუნერგა ჭაბუკს მხურვალე გულისწადილი, რომ მიეტოვებინა მთვლემარე პროვინციული ქალაქი, მიეტოვებინა მშობლები და ახლობლები, მიეტოვებინა შეჩვეული, დალაგებული ცხოვრება, ერთი სიტყვით, ყველაფერი მიეტოვებინა და... გაფრენილიყო საოცნებო კავკასიაში, ფეხი დაედგა იმ ალთქმულ მინა-წყალზე, სადაც ელოდა მრისხანე და ველური ბუნება, გულადი მკვიდრნი, საოცარი სილამაზის ქალები, პოეტური ზეცა, მაღალი და მარად-თოვლიანი მთები და სხვანი მრავალნი სიამენი, რომლებიც ასაზრდოებდნენ ჩვიდმეტი წლის ჭაბუკის დაუოკებელ ფანტაზიას.

და აი, 1842 წლის ივლისში არნოლდ ზისერმანი უკვე საქართველოშია. სამსახური მიუჩინეს სახელმწიფო ქონების პალატაში.

ოცნება არ ემთხვეოდა სინამდვილეს. ნუთუ ეს იყო ლეგენდარული საქართველო? ბობოქარი თერგისა და მშფოთვარე არაგვის ნაცვლად — ზღაზნია მტკვრის დუღენი, თავბრუდამხვევ თავგადასავალთა ნაცვლად — ქალაქების გადაწერა და ორმოცდაათი მუყაითი კალმის წრიობი დილიდან დაღამებამდე. ყველა სიკეთესთან ერთად — თერმომეტრი ჩრდილში უჩვენებდა 44 გრადუსს ცელსიუსით.

გარკვეული ხნის შემდეგ ბედმა გაუღიმა. შემთხვევით გაიცნო თუმ-ფაშა-ხევსურთა ოლქის უფროსი მიხეილ ჩოლოყაშვილი, რომელმაც საოლქო სამმართველოში წერილების დამატარებლად გაამწესა.

ქალაქისა და კანცელარიის სულისშემხუთველი ატმოსფეროდან რომანტიკულ მთებში გაიჭრა — საოლქო სამმართველო თიანეთში იყო მოთავსებული. ჯამაგირიც მოემატა.

ჭაბუკმა, უფრო გიმნაზისტს რომ წააგავდა, ვიდრე რუს-ხელმწიფის ჩინოვნიკს, ჯერ არ იცის, რომ ეს მთები და ხეობები, სოფლები და ადამიანები, მათი ცხოვრების წესი და ზნეჩვეულებანი, დაბინავებიან მის ცხრაასგვერდიან ნიგნში,

რომელიც ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ იწერება და 1879 წელს, სანკტ-პეტერბურგში, იხილავს დღის სინათლეს. ნიგნს ჰქვია

„ოცდახუთი წელიწადი კავკასიაში“.

ყველაფერი ჩაეტევა ამ ნიგნში: კეთილმოსურნის თვალთი დანახული სიკეთე და იმავე კეთილმოსურნის ფხიზელი მზერით შემჩნეული ხინჯი, რაც მეტყველებს მხოლოდ და მხოლოდ მოყვრად მოსული კაცის ობიექტურობას და არავითარ შემთხვევაში არ წააგავს მტრულ გაკილვა-გაქილიკებას.

ვიდრე კარგად არ გაინაფა ქართულში, კრინტს არა სძრავდა. ერთ წელიწადში კი უკვე თავისუფლად ალაპარაკდა. ქართული წერა-კითხვაც ისწავლა და ყველას აოცებდა. აქცენტი — ევროპელთა გადაუღალავი დაბრკოლება — ისე შეითვისა, რომ წარმოუდგენელი იყო, ვინმეს არაქართველად მიეჩნია.

ერთხელაც ზისერმანი კავკასიის მეფისნაცვალ ვორონცოვს უკითხავდა მოხსენებას (უკვე ჩოლოყაშვილის თანაშემწე გახლდათ). ველკეთილის უღელტეხილს რომ აღწერდა, იქ დამსწრე თავადმა ბებუთოვმა, სამოქალაქო სამმართველოს უფროსმა, შენიშნა, სახელწოდება ტომონიმის სიკეთეს არ მეტყველებსო; ჯარის გადაადგილებისა და მძიმე ტვირთის გადასატანად, ალბათ, უფარვისი იქნებაო. ზისერმანი მყისვე ხვდება გაუგებრობის არსს და ბებუთოვ-ბებუთაშვილს თავაზიანად შეახსენებს „ველკეთილის“ მნიშვნელობას. ქართველი თავადი მოიბოდიშებს: ჩემი ბრალია, „ვერკეთილი“ მომესმარა და ალტაცებით მიმართავს ვორონცოვს: „რა კარგად იცის ქართული და ქართულ სიტყვებს რა მშვენივრად გამოთქვამს!“

თავისი ხელქვეითის შექებით კმაყოფილი ვორონცოვი მონყალედ იღიმება.

მალე ჩოლოყაშვილმა ჯილდოზე წარადგინა ზისერმანი. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო მოხელე იყო და სათანადო ჩინიც არ ჰქონდა, საქმე დადებითად გადაწყდა და პოლკოვნიკმა მარკოვმა ხუმრობით მიმართა დაჯილდოებულს: შენ ზისერმანი კი არა, ზისერმანიძე ხარო (გადაკვირვებით ძრახავდა ვორონცოვს — ქართველების გადაჭარბებული სიყვარულის გამო).

მაგრამ ზისერმანიძეობა მართლაც უხდებოდა. ვინც მისი გვარი არ იცოდა, ვერცა ხვდებოდა, რომ ეს კაცი ქართველი არ იყო.

ზისერმანს ერთი ახირება ჰქონდა — არ ექაშნიკებოდა მუდმივი დაცინვა რუსების მისამართით, საქართველოში განუყვრელ სინონიმებად რომ მიაჩნდათ „რუსი“ და „ლოთი“. ქართველებს, რუსებისგან რომ გამოარჩევდნენ მას და ეძახდნენ „ნემსას“ (ალბათ, რუსული „ნემეც“), ასე პასუხობდა: წარმოშობით დიახაც გერმანელი ვარ, მაგრამ სულთი და ხორცი — რუსი, ხოლო ათიოდე უხეირო ჩინოვნიკი ვერ გამოდგება სამოცდაათილიონიანი ერის წარმომადგენლადო.

ზისერმანის დასახელებული თხზულება საუცხოო წყარო გახლავთ საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიისათვის. დავიმონმოთ მხოლოდ ერთი ფრიად ორიგინალური ვარაუდი (ვარაუდადვე რომ დარჩა!) ხევსურთა წარმოშობის შესახებ.

ზისერმანის აზრით, ხევსურები იმ ევროპელ ჯვაროსანთა შთამომავალნი არიან, ქართველ მეფეთა ომებში რომ მონაწილეობდნენ. ზოგიერთი მათგანი ჩამორჩა თანამებრძოლებს და ამ მიუვალ მთებში დამკვიდრდაო. ისინი დაქორწინდნენ ქართველ ქალებზე, შეითვისეს აქაური ენაც და ცხოვრების წესიც. ზისერმანი აღნიშნავს ხევსურთა და ჯვაროსან რაინდთა სამოსელისა თუ აღჭურვილობის გარკვეულ მსგავსებას და ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე ხევსურეთში დავანებული ხმლების ლათინურ წარწერებზე.

ზისერმანს ქართული ფოლკლორისტიკის წინაშეც მიუძღვის ღვაწლი. XIX საუკუნის შუა წლებში სწორედ მას ჩაუწერია თუშური „დალაის“ ყველაზე სრულყოფილი ვარიანტი.

ჰენეცია — ირანი

1570 წელს ვენეციამ და-კარგა „უმშვენიერესი კუნძული“ კვიპროსი, მაგრამ არ დაუკარგავს იმედი მისი დაბრუნებისა.

კვიპროსის დამპყრობელ ოსმალთა წინააღმდეგ ყველაზე ძალგულოვანი მოკავშირე ეგულებოდათ აღმოსავლეთში და ამ მოკავშირეს ერქვა სეფიანთა ირანი — დაუძინებელი მტერი ოსმალეთისა.

კვიპროსის დაცემიდან ერთი თვეც არ იქნებოდა გასული და აი, 1570 წლის 30 ოქტომბერს ვენეციის სენატმა განიხილა საკითხი სეფიანთა ირანში საგანგებო ელჩის წარგზავნისა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

გადაწყდა, რომ სეფიანთა სამეფო კარზე წარგზავნათ ვინჩენცო ალესანდრი, რომელსაც მრავალი წელი გაეტარებინა კონსტანტინოპოლში, კარგად ერკვეოდა ოსმალეთის საგარეო თუ საშინაო ვითარებაში და, ამასთან ერთად, ჩინებულიად იცოდა აღმოსავლური ენები.

სენატმა განიხილა და დამტკიცა ტექსტი საიდუმლო ინსტრუქციისა, რომელიც ჩააბარეს ვინჩენცოს. ამ ინსტრუქციის ტექსტში ვკითხულობთ:

„ვინჩენცო! ვიმედოვნებთ, რომ შენ საუკეთესო სამსახურს გაგვიწევ, ვინაიდან გამოცდილება გაქვს ოსმალეთის საქმეებში და წარმოდგენა გაქვს იმ უთანხმოებებზე, რომლებიც არსებობს ოსმალეთის სულთანსა და ირანის შაჰს შორის. ამიტომ, ათთა საბჭოსთან შეთანხმებით, გადავწყვიტეთ შენი წარგზავნა ირანში იქაურ ხელმწიფესთან ჩვენი წერილით, რათა ნააქეზო მისი უდიდებულესობა საომრად ოსმალეთის სულთანის წინააღმდეგ. შენ, ღვთის სახელითა და მფარველობით, გაუდგები გზას სწრაფად, რამდენადაც შეძლებ, ჩახვალ ირანის შაჰთან და ჩვენი წერილის წარდგენის შემდგომ დაუდასტურებ ჩვენი გულწრფელი მეგობრობის ამბავს. შენ უნდა მოუთხრო მათ იმ ომის შესახებ, რომელიც ესოდენ უსამართლოდ წამოიწყო ოსმალეთის სულთანმა, გატეხა რა თავისი ფიცა, ჩვენ ხომ არავითარი მიზეზი არ მიგვიცია. შენ უნდა უამბო, თუ როგორ დაარღვია სულთანმა მშვიდობა და მთელი თავისი ძალებით ზღვასა და ხმელეთზე იმდენად აღდგა, რომ მიატოვა ყველა ის ქვეყანა, ადრე მისი უდიდებულესობის ხელისუფლებას რომ ექვემდებარებოდა, და ახლა თქვენ ხელსაყრელი შემთხვევა არ უნდა გაუშვათო. შენ მოახსენებ, რომ ჩვენ შეუპოვრად ვიცავთ თავს ზღვასა თუ ხმელეთზე და სხვა ქრისტიანული ქვეყნები გვიერთდებიან ამ ბრძოლაში. ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ ჩვენ ვაგ-

რძელებთ ომს და თუკი მისი უდიდებულესობა თავისი მხრიდან დაიძრება, ეს იქნება

უდიდესი სიკეთე, რაც კი შეიძლება ვისურვოთ, რადგან მას მოეპოვება უძლიერესი ძალები თავისი ერთგული ხალხებისა. შენ მოახსენებ, რომ იმ ომის გამო, რომელსაც ოსმალეთი აწარმოებს ქრისტიანთა წინააღმდეგ, ძალზე დაუსუსტდა სამხედრო ძალები... ამ და სხვა გონიერი საბუთებით შენ უნდა ნააქეზო მისი უდიდებულესობა, რომ დაიწყოს ომი ოსმალეთთან. დაპირდები, რომ გაბედულად ვიომებთ სხვა დანარჩენ ქრისტიანებთან ერთად და ეტყვი, რომ მას არ ექნება უკეთესი შემთხვევა, მიაღწიოს თავის სამფლობელოთა გაფართოებას... მოუბოდიშე, რომ არ ვგზავნით ღირსეულ საჩუქრებს, რადგანაც ინკოგნიტოდ მგზავრობ. დაუბრკოლებლად უნდა გაიარო ოსმალეთის სულთანის სამფლობელოები, უზრუნველყო განხილვა ჩვენი წერილებისა და სათანადო პასუხი, შემდეგ კი შინისაკენ გამოეშურო“.

სენატის ამავე სხდომაზე განხილულ და დამტკიცებულ იქნა ტექსტი წერილისა, რომელიც ელჩს უნდა გადაეცა სეფიანთა ირანის ხელმწიფისათვის. ამ დოკუმენტში, რომელიც იმეორება საიდუმლო ინსტრუქციის შინაარსს, შაჰ-თამაზს აუწყებდნენ, რომ ოსმალეთმა გადაისროლა თავისი ჯარები ვენეციის წინააღმდეგ კვიპროსზე, ალბანეთსა და დღლმაციაში. ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ თუკი ახლა, როდესაც ოსმალეთის მთელი სამხედრო ძალები მიმართულია დასავლეთისაკენ, სეფიანთა ირანის ჯარები ზურგიდან მიაყენებენ დარტყმას, იოლად მოიხვეჭენ ნანატრ გამარჯვებას.

ერთი სიტყვით, მთავარი მიზანი ვინჩენცო ალესანდრის ელჩობისა სეფიანთა ირანში ის იყო, რომ დაერწმუნებინა შაჰ-თამაზი, ვენეციას მაღალი ბრძოლისუნარიანობა გააჩნია როგორც ზღვაზე, ასევე ხმელეთზე და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დანარჩენი ქრისტიანული სახელმწიფოები და თვით რომის პაპიც მხარს დაუჭერენო.

გარდა ამისა, ვენეციის ელჩს უნდა ეცნობებინა სეფიანთა ირანის ხელმწიფისათვის იმ მტრული განზრახვების შესახებ, ოსმალეთის ხელისუფლება რომ მაღავედა ამასიის ზავის საფარქვეშ იმის შიშით, ვაითუ შაჰი, დასავლეთთან ერთად, ჩვენს წინააღმდეგ აღდგესო.

ვინჩენცო ალესანდრის უნდა დაემტკიცებინა შაჰ-თამაზისათვის, რაოდენ დიდი წარმატების მიღწევა შეეძლო ოსმალეთთან ომში. დასასრულ, ხაზი უნდა გაესვა იმ პოპულარობისათვის, რითაც სეფიანთა დინასტიის პირველი ხელმწიფე იმ სარგებლობდნენ წინა აზიის ხალხთა მასებში.

ქრონიკა

23 დეკემბერს გამომცემლობა „დიოგენეს“ წიგნის მალაზიაში **ნინო გუგუშაშვილის** მოთხრობების კრებულის **„ფეისკონტროლი“** წარდგინება გაიმართა.

— „ფეისკონტროლი“ ნინო გუგუშაშვილის პირველი წიგნია და გამომცემლობა „დიოგენემ“ გამოუცა მას 2010 წლის პენ-მარათონში გამარჯვებისთვის. გარეკანის მხატვარია **თინათინ ჭუმბურიძე**, — აღნიშნა შეხვედრაზე „დიოგენეს“ რედაქტორმა **თამარ ლებანიძემ**.

ნინო გუგუშაშვილმა საკუთარი სიმღერები მოასმენინა აუდიტორიას, ამით კრებულში შესული მოთხრობების შესაბამისი განწყობა შექმნა, შემდეგ კი კრებულზე ისაუბრა. პირველ რიგში აღნიშნა, რომ წიგნის სახელწოდება ერთ-ერთი მოთხრო-

ბის სათაურია, ასევე აქვს სიმბოლური დატვირთვა, რადგან ეს მისი პირველი წიგნია. ამ კრებულში შესულია პენ-მარათონის გამარჯვებული მოთხრობაც „პრომოთეს ბენზინი“. ავტორმა აღნიშნა, რომ უყვარს პენ-მარათონში მონაწილეობა, ღია ცის ქვეშ, თბილ სეზონზე, ბუნების ნიაღში წერა.

ქალბატონმა ნინომ ისაუბრა თუ როგორ იწერება მისი მოთხრობები. წერისას თურმე ყოველდღიური ცხოვრების დეტალებს იყენებს. გაიხსენა, რომ როდესაც საახალწლო მოთხრობას წერდა, მის სოფელში, რაჭაში, მომხდარი ამბავიც გამოუყენებია. მისი თქმით, ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ერთსა და იმავე რეალურ ამბავზე მოთხრობაც დაუწერია და სიმღერაც.

შეხვედრა ისევ ავტორის სიმღერით დასრულდა.